



ჩვენი მწერა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

31 ოქტომბერი 2014

№ 22 (230)

„დონ შუანის“ ახალი თავი
 რენე კალანდიას გახსენება
 ინტერვიუ ბათუ დანელიასთან
 გურამ ქართველიშვილის ნოველა
 იმრე კერტესის სანობელო სიტყვა
 გვანცა ჯობავას სადებიუტო კრებული
 იოსებ ლაღიაშვილის დაკარგული დღიური
 ანდრეი ვოზნესენსკის იმერული ფესვები
 ლევან ბრეგაძის საჭადრაკო ნოველა
 დადემქელიანთა ხვედრი და ბედი
 ანზორ აბუანდაძის ლირიკა
 მაია ჯოღბორდის ლექსები
 თეატრალები სპორტში



შინაარსი

მწერალი მწერალზე	2	ავთანდილ ყურაშვილი მაცოლა და დადებქალიანების ამბავი (მხატვრულ-დოკუმენტური პროზის მნიშვნელოვანი შენაძენი)
ჩანახატი	4	მამუკა მალულარია 60 ჰერმეტიკული წელი (ქართული რადიოთეატრის 60 წლის გამო)
მსპრეს-ინტერვიუ	5	ბათუ დანელია „დროდრომ უპაცრიელ კუნძულზეც ვიცხოვრებდი...“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	7	გურამ ქართველიშვილი უკუღმართი
	9	ზურა ლობჯანიძე ქალი ნითღაბი
ესაიუსტიკა	10	იმრე კერტესი ევრიკა!
პოეზია	14	ანზორ აბუანდაძე წუთისოვლო, დავზავდეთ და სხვა ლექსები
	17	მია ჯოლბორდი ჰაიკოს სამზარეულო და სხვა ლექსები
	18	ნიკა ჯალიაშვილი წვიმიან ქალაქში და სხვა ლექსები
გზრინები პორტრეტისათვის	20	გურამ გოგიაშვილი ისტორიის სიბლინგვანა... (ამბავი მძევალი პატარა იმერელი ბიჭისა, რომელიც გვენი დროის ფრიად გამორჩეულ დიდ რუს პოეტს გაუწინაპრდა...)
ღიალოგი	24	„ნამდვილი ხალოვანი ერთ საეპიტაქლი ხუთ კილოს იკლავს“ (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება თემურ გუგუშვილი)
ერი და ბედისწერა	26	მია ჯალიაშვილი ბრალად ედება სამშობლოს სიყვარული (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მასალებიდან)
საპარტეზლოს გზაზე	30	დარინა ყურუა აპაკის კვლდაკვალ (სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისში)
სხვა რაპურით	35	დავით ქელიძე თეატრალაქი სკორტში
ღიბარაბურული სიხლენი	38	ნინო ვახანია იოსებ ლაღიაშვილის დაკარგული დღეური (ლაშა იმედაშვილის ბელეტრისტული ვერსია)
მწერლის არქივიდან	41	ნინო ჩხიკვიშვილი კვირვასი ავტობრაფაქი (ოთარ ჩხეიძის ბარათი მიქელ პატარიძეს)
ჩვენი ყოფა, წუთისოვლი	42	ვახტანგ ბახტაძე „ვინც რომ სამშობლო ენას...“ (ღია წერილი მამულისთვის გულანთებულ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს, ცოტენ დადიანის დარბაზის პატივცემულ მესვეურებს)
	46	მიმოზა კვირკვია იყო ასეთი პოეტი... (რენე კალანდია)
დაუვიწყარი სახელები	46	ზურაბ ნიქარიძე ქუცო
ღიურის ფრცხლავიდან	48	ნინო საბაშვილი მხოლოდ მთავრია თავისუფლება (წარდგინება წიგნისა „ვეინახების ქართული საგა“)
კულტურის სიღარი	52	ადა ნემსაძე „შინდროის ლოცვით დაპურავული სიმართლი“ (გვანცა ჯობავას სადებიუტო პოეტური კრებული „კარდიოგრამა“)
კრიტიკა	54	ზოია ცხადაია ჩაყრჩავულ ტკივილთა გაშიშვლება
	55	გიორგი ქუფარაშვილი მზისმეტყველთა ბაღი
ახალგაზრდაგო. აწ კი თქვენი	57	ლევან ბრეგაძე თინიზ მირზაშვილი და ჭადრაქი
საჭადრაქო ნოველა	60	სილვია პლათი სიტყვები და სხვა ლექსები
პოეზიის მერიღიანები	61	ლორდ ბაირონი იზამილის აღება: გომონა გვამავიდან
ახალი თარგმანები	62	ჯემალ ინჯია როცა წიგნები ავტორებს ემსგავსებიან (ლუის დე კამონენსის „ლუზიადების“ გამგზავრება სამშობლოში)
აინტოლა	70	ამერიკელთა თვალთ
ამ მთისა და იმ ბარისა	71	



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 14 ნოემბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯობაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: სილვია პლათი
შემოდგომა ძამას ხეობაში, ბაბუა ალუდაურის ფოტო

ავთანდილ ყურაშვილი

მაცოლა და დადეშქელიანების ამბავი

(მხატვრულ-დოკუმენტური პროზის მნიშვნელოვანი შენაჩენი)

ღმერთმა უშველოს ჯანელა მაცოლას, წარსულში განთქმული იტალიელი ფეხბურთელის, სანდრო მაცოლას შორეულ ბიძაშვილს, ის რომ ამ ზაფხულზე არ მსტუმრებოდა, მეორედ ჩამოვიდა საქართველოში, გინდა თუ არა, სვანეთი უნდა მაჩვენოთო, ისე მოვკვდებოდი, მესტიისა და უშგულს ვერ ვინახულვდი; მანამდე კი ლენტეხს არ ვიყავი გაცილებული და ბეჩოს — დადეშქელიანების ამ „სატახტო“ სოფელს — ზემოთ ბიჯი არ მქონდა გადგმული; სხვათაშორის, ეს სოფელი პოეტების სიმონ და კლარენს შამფრინების მშობელია, მათი აკვნის ადგილი.

მადლობა იმ იტალიელ ქალბატონს, ისე რომ შეყვარებია საქართველო და ქართველები, რომ გაისადაც აპირებს მესამედ ჩამობრძანებას, ფშავ-ხევსურეთი უნდა მოვიხილოო...


მე ხომ იტალიურის არაფერი გამეგება, არც არა მან იცის ქართულისა და ბედის ირონია თუ რა, რუსულ ენაზე ვაგებინებდით ერთმანეთს, თუმცა, ჩემი არ იყოს, რუსეთისკენ გახედვა მასაც არ უნდოდა, პროფესიით იტალიური სკოლის რუსულის მასწავლებელია, ექვსი თვე თუ ერთი წელიწადი, განაფვის მიზნით, მოსკოვში გაუტარებია... მეტად იქეთ პირს რა მაქნევინებსო. მიზეზს არ ჩავძიებვივარ, ყველაფერი ისედაც ცხადია, რუსები თავად კითხულობენ: მთელ მსოფლიოს ასე რატომ ვეზარებითო... ვერ მოუფიქრებიათ კი, საკუთარ ქმედებათა სარკეში ჩაიხედონ და პასუხი უმალ ამოუსურათხატდებათ, მაგრამ აქ ეს ამბავი რა მოსატახნი იყო, სიტყვას რომ არ მოჰყოლოდა; ხოდა, დავეტოვოთ ეს ჩვენი საყვარელი მაცოლა, სვანეთითა და სვანებით მოხიბლულ-თავრეტდასხმული, უკვე ფშავ-ხევსურეთთან შეხვედრის მოლოდინში, და რუსებსაც თოფ-ზარბაზანი მივანებოთ, ღმერთმა უკეთესი არაფერი ანახოთ, თუმცა რას ვწყევლი, მაგათ დალოცვა უფრო სჭირდებათ, იქნებ გონების თვალი აეხილოთ და უფრო ღვთისნიერები გახდნენ...

ხოდა:

— მესტიაში მივივარ, შენს „დადეშქელიანების ამბავს“ ნავიძვან, ნიგნის მალაზიაში ვაჩვენებ და, თუ ყველა სვანის ოჯახი არა, უმეტესობა, ალბათ, ნამდვილად შეიძენს-მეთქი, — ვუთხარი თემურ ამყოლაძეს, იმანაც ნიმუშად ერთი ნიგნი „მასაგზლა“... გვარიანი მოცულობისა გამოდგა, შვიდას გვერდს ბევრი არაფერი აკლდა. ყდაც სქელი, სადა, ლამაზი, ჩინებულად შესრულებული, თვალში რომ მოგხვდება, ხელში ალება და გადაფურცვლა რომ მოგიწდება...

მესტიაში მივდექ-მოვდექი, ხან იქით შევიჭვრიტე, ხან აქეთ გავაპარე მზერა, რა და რის პატარ-პატარა საეჭვოები არ აღმოვაჩინე, მაგრამ რასაც ვეძებდი, ჩემით რომ ვერ მივაგენი, ერთ ახალგაზრდა ქალს ბოდიში მოვუხადე და ვეუბნებ: თვალს დამაკლდა, წარწერებს კარგად ვერ ვკითხულობ, ნიგნის მალაზიას ხომ ვერ მიმასწავლით-მეთქი, ქალბატონო.

— ბატონო ჩემო, საბოდიშო რა გაქვთ, ჩვეულებრივზე ასჯერ უკეთ რომ იხედებოდეთ, რაც არ არსებობს, იმას როგორ დინახავთ.



მოულოდნელობისაგან გავშრი, მერე სინანულწარევი კილო-ხმაზე ვსაყვედურობ თითქოს:

— მუზეუმში რა ძვირფასი, რა უძველესი ხელნაწერები, რა უძველესი ფოლიანტები, საუკუნეებგამოვლილი ნიგნები გაქვთ, ორმოცი სებასტიანელი მონამის სვანურმა ხატწერილობამ ხომ გამაოგნა. იქნებ არც შენ იცი კარგად ეს დაბა, აქაური ბრძანდები?!

— ვითომ არ მეტყობა, ამ მთების ნატეხი რომ ვარ?! — უზადო სვანურ კილო-ხმაზე მომიგო და შემომღიმა ქალბატონმა. — სამწუხაროდ, ნიგნისთვის ჯერ ვერ ვიცლით...

მაინც გამოვჩხრიკეთ რალაც, საჩუქრების, ეგრეთწოდებული „სუვენირების“ პატარა მალაზიის მსგავსი — ქალბატონი დარეჯან ფილფანი უძღვება ამ დანესებულებას... ჯერ მე ვავეცნობი, დაიტოვა ნიგნი, დანარჩენს შემდეგ შევატყობინებ ავტორს; ხოლო

დარეჯანის ტელეფონის ზარი ვიდრე ქუთაისამდე მოაღწევს, მანამ მინდა, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს ერთგვარი მეგზურობა გავუწიო, უფრო სწორად, ვურჩიო, ვუბიძგო ერთი სახელოვანი გვარის ისტორიის საპირეზე გაშლილი ადამიანური ვნებებისა და პოლიტიკური ხვანჯვებით დახუნძლული, ყოველგვარი მწერლური შეღამაზებების გარეშე, ნამდვილად არსებული საარქივო საბუთების ნიადაგზე შექმნილი, უაღრესად კეთილსინდისიერად შესრულებული ნიგნის ხელში ასაღებად, რომლისგანაც სრულ სიმართლეს გაიგებს, თუ როგორ აქცია ღვთისმოსიში ერთი დიდებული ქართველი კაცი, ოჯახის მამა და სვანეთის უკანასკნელი მთავარი რუსეთის ხელისუფლებამ, მისმა იმპერიალისტური სულით გაჟღენთილმა სახელმწიფო მანქანამ ადამიანის მკვლელად და ამასთან, ერთდროულად, თავისუფლებას მოწყურებული ხალხის თვალში, შურისმაძიებელ, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სახალხო გმირად. მკვლელიც და გმირიც — საკმაოდ საინტერესოდ და დამაჯერებლად აქვს ეს ამბავი გაანალიზებული, ახსნილი და სასწორის პინაზე აწონილ-დაწონილი, განმარტებული და შეფასებული ავტორს, — დამარწმუნებლად და უტყუარად!

ნიგნი ლალად იწყება და ნაცადი პროზაიკოსის სიტყვა გიტაცებს, ხელში აჰყავხარ და შენც მასავით ხედავ:

„გორდის ღამეს, დადიანების სასახლეს, სასახლის ეზოში — კოცონს;

ზემით — მთვარეს, ძირს, კოცონის ირგვლივ — ფიჭვის კვარის ჩირაღდნებს;

მინდორში, ახლო-ახლო, ტარით მიწაში, წვერით ზემოთ, სატევრებია ჩარჭობილი;

გაფიცხებული დაირის ხმა მესმის; მესმის — სვანები მღერიან,

ვხედავ: ჯანსუღ დადეშქელიანი ცეკვავს მოლზე, გაბასრულ სატევრებში ცერებზე დგას და ცერებზე შედის წვერით წამომართულ ხანჯლების ჯარში... (ტევრში ხომ არ აჯობებდა? (ა.ყ.) ჯერ ნელა, ისე, თითქოს — ნაბიჯს იმახსოვრებს, თითქოს — ეჩვევა, მერე — ისეთის საშინელი სისწრაფით, ამ

უცხოელს, პირველად რომ ხედავს მსგავს რასმე, შიშის შრეშრელს ჰგვრის ეს ვირტუოზული სიგიჟე...”

ანდა —

„ვხედავ: სამეგრელოს დედოფლის — ეკატერინე ჭავჭავაძის გახსნილ ლილეოს, დაჩოქილ ჯანსუღს, თათარყანის ძეს, აბრეშუმგადაფარებულ ძუძუზე რომ კბილს ადგამს შვიდი წლით უმცროს დედობილს...”

...ლაღატს, გაუტანლობას, სისხლისა და ხორცის, ბიძისა და ბიძაშვილის, ძმისა და ძმისშვილის მტრობას, ძარცვას, წაგლეჯას, მოხვეჭის ჟინსა და მოყვასის სამტროდ გავარდნილ ტყვიას — დასაუფლებლად, მისასაკუთრებლად, გასამდიდრებლად, საკუთარი შვილის, შვილების სასიკეთოდ, მერე, ერთი-ორი თაობის შემდეგ, უკვე ისინი რომ უნდა დაერიონ ერთმანეთს ამ მონახვეჭის გასაყოფად, გაყოფას რა უშავს — მისატაცებლად...”

რაც გვჭირდა და გვჭირს განა მართლა ყველაფერი დამპყრობლის ბრალია?!

დაიხატა რომ ამაზე გვაფიქრებს, გვანაღვლებს მეცხრამეტე საუკუნის შუაგულში გაშლილი მოვლენები (ძირითადად), ამაზე ადრინდელიც, ამაზე მერმინდელიც, რაც ასე უხვად მოუძებნია, მოუწხრეკია, შეუკრებია, გაუაზრებია, შეუფასებია, შეუდარებია, შეუპირისპირებია, მტყუან-მართალი გამოურკვევია, შეჯერებულ-შესწორებული გამოუტანია და ჩვენთვის მზამზარეულად მოუწოდებია მწერალს, უფრო მართალი ვიქნები თუ ვიტყვი: მწერალ-მკვლევარ-ისტორიკოსს, სადაც მწერლურ გაღვებებს უმალ ფრთას აჭრის და გასაქანს არ აძლევს მკვლევარის, ისტორიკოსის, სიმართლის მხარეზე, სინამდვილის და სიზუსტის მხარეზე მდგომი სიტყვა...

ალბათ, თომას მანს არ შეეძლო სხვანაირად დაენერა ბუდენბროკების ისტორია; არ შეეძლო ფოლკნერსაც — სნოუპსების ამბავი სხვაგვარად მოეთხრო...

ალბათ, არც ბატონ თემურს შეეძლო მხოლოდ რომანის ენით მოეთხრო დადემქელიანების (და არამარტო მათი, აქ სხენებულის საუკუნის მთელი საქართველო და რუსეთის იმპერიის მხარეებია მოცული) გვარის ამბავი, ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ათი ასეთი სქელტანიანი წიგნიც არ იკმარებდა...

მოკლედ, ავტორმა შეძლო დადემქელიანების ისტორია ლეგენდებიდან, „სულთა მატანიანებიდან“, სახელმწიფო და სასამართლო-სადამსჯელო მოხელეთა მიერ შედგენილი ოქმებიდან, მოხსენებითი ბარათებიდან, უამრავი მიმონერიდან, საგაზეთო ქრონიკებიდან, საარქივო მასალათა ლაბირინთებიდან, ათობით ერთი გვარ-სახელის მქონე სხვადასხვა ადამიანის ამოცნობისა და მათთვის მართალი სათანადო ადგილის მიუკუთვნების თავსატეხიდან გამარჯვებული ამოსულიყო, გორდაისის კვანძი გაეკვეთა, იგი — შეგნებულად თუ შეუგნებლად — ამუღავნებს კიდეც ამ წინააღმდეგობათა წარმატებით გადაჭრით მოგვიღო სიამოვნებასა და სიამაყეს და აქა-იქ, არც-თუ ისე შეფარულად, წარმოადგენს საკუთარ პერსონას, რაც შეიძლება კიდეც უხდებოდეს ამ ამბიციური, ამ მედიდური გვარის შვილების ნაქმარ-ნაკეთებ საქმეთა გაშლილ საპირეს...

ხანდახან გამოუსხლტება ხოლმე მკვლევარსა და ისტორიკოსს მწერალი და ზუსტად თავის ადგილზე ჩასვამს შესაფერის პასაჟს.

1875 წელს თვითმართველობის ანუ „დუმის“ პირველი არჩევნები ჩატარდა ქუთაისში, 54 ხმოსანი აირჩიეს, ქალაქის თავად მთავრობამ ნიკოლოზ აბაშიძე დანიშნა, საბჭოს მდივანი სოლომონ ლულაძე იყო, ცოტა გულუბრყვილო კაცი. ერთხელაც, ნაარჩევნებს, ქალაქის თავთან ახალი წლის მისალოცად მივიდა. თავადი ნიკოლოზი შინ არ დახვდა და კნეინამ მიიღო. რალაცაზე ხომ უნდა ესაუბრათ და ქალბატონმა ჰკითხა, რაც აინტერესებდა:

— „დუმა“ როგორ მუშაობს, რას შვრებაო...

— კნეინავ, ცოტა დაგვაცადეთ და ისე გაგიხდით მაგ დუმას, თქვენი მოსაწონი იყოსო.

ვერც მიხვდა, რაც თქვა, ქალბატონს კიდე, ეტყობა, იუმორის ნიჭი ჰქონდა მომადლებული და ეს ამბავი გაამხილა.

ახსენებდნენ, აჯავრებდნენ — „რაო, ბატონო სოლომონ, რას შვრება კნეინას დუმაო“...

მეორეც:

...ალექსანდრე შერვაშიძეს ღვინო აგიჟებდა და საქციელს ველარ ზომავდა.

ჯერ რესტორანში ატეხა სროლა.

მერე დამკვრელებს აუხიბრდა და მედოლეს დოლი დაუჩეხა ხანჯლით.

ვინმე პასიკოვი, რესტორანში სავახშმოდ შემოსული, თვალში არ მოუვიდა და ანთებული ლამპა ესროლა...

...მთვრალი რის ვაი-ვაგლახით გამოარიდეს სუფრას კონსტანტინე დადემქელიანმა და ნიკოლოზ ფალავამ, ქუჩაში გამოიყვანეს. სამშვიდობოს რომ დაიგულეს თავი, შერვაშიძემ დაკრა ფეხი და აბანოში შევარდა.

მამაკაცთა საბანაოს რომ მოავლო თვალი ალექსანდრემ, იქაურობა არ მოეწონა, აქ რა მინდაო, იფიქრა, გამოტრიალდა და ახლა პირდაპირ საქალებოში ჰკრა თავი.

ატყდა ნივლი და კივილი, მარა რა ატყდა...”

იქნებ ტრადიციული გაგებით დანერვილ რომანებს ასეთი, ქალაქ-საბუთებზე მტკიცედ დაყრდნობილი, ნამდვილი, უტყუარი ისტორიების თხრობა სჯობდეს, თუმცა რას გაიგებ, ადამიანი სხვის გამოცდილებაზე მაინც ვერ სწავლობს თუ არ სწავლობს...

იმასაც დავძენ: წიგნი ლამის ორმაგი დანიშნულებისაა — საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის და ზოგადად მკითხველთათვის; პირველ შემთხვევაშიც და მეორეშიც არავინ არაფერს კარგავს — ცოტა დროში თუ ნააგებს პირველი, ცოტა ინტერესშენელებულად თუ გადაივლის გარკვეულ გვერდს მეორე, მაგრამ სარგებელი მაინც ორივეს ექნება — მეტს გაიგებენ, ძირისძირამდე გაერკვევიან ყველა ამბავში, ყველა მოვლენაში, იქამდეც კი, როგორც თვითონ ავტორი ამბობს ზოგჯერ: ნამეტანი ხომ არ გამიგრძელდა, ცოტა ხომ არ გადავამეტო... იცის თავისი „ნაკლი“, თუმცა მკვლევარისთვის ნაკლი როდია, ძირისძირამდე ჩაჰყვეს, ჩაეძიოს, გააანალიზოს, გაათვალსაზიროს, სინათლეზე გამოიტანოს, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს ესა თუ ის მოვლენა, ღდინის გაცლამდეც კი... ყოველდღიურობაშიც ასეთი ცნობისმოყვარე და ყველაფრის მოწადინეა ჩვენი ავტორი, ყველაფერი უნდა იცოდეს, სურს ბოლომდე ჩანვდეს ყველაფერს, გამოიძიოს, შეისწავლოს — ეს კი ამგვარი წიგნის შექმნისათვის ყველაზე მეტად საჭირო და აუცილებელი თვისებაა; სხვაგვარად, ასეთ უნარს მოკლებული ადამიანისაგან ამ დონისა და გაქანების წიგნი, ყველანაირი თვალსაზრისით, არ შეიქმნებოდა.

ისტორიის, ამბის ნათლად გადმოცემა, სიტყვის, ფრაზის ოსტატური ფლობა, ფურცლიდან ფურცლამდე ბოლომდე მიჰყვება და მიაცილებს მკითხველს.

დახურავ წიგნს და სურვილი გიჩნდება ზენარს შესთხოვო: ღმერთო, ნათელში ამყოფე ამ ღირსეული კაცის — მურზაყან (კონსტანტინე) დადემქელიანის — ამაყი სული.



მამუკა მალულარია

60 ჰერმეტიკული წელი

(ქართული რადიოთეატრის 60 წლისთავის გამო)

არც ისე დიდი ხნის წინათ, ადამიანები ქუჩაში შეხვედრისას ერთმანეთს რომ ესალმებოდნენ, ქუდს იხდიდნენ ხოლმე. დღესაც დაახლოებით ასეა, იმ განსხვავებით, რომ ქუდის მაგივრად ახალგაზრდები მისალმებისას ყურსასმენებს იხსნიან. გასული საუკუნის ბოლოს დაბადებულ ასეთ ხალხს — თაობას უწოდებენ, ასო „-ის“ ყურსასმენებთან გრაფიკული მსგავსების გამო. ნათელია, რომ ამათ ძლიერ უყვართ მუსიკა. რადიოზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრისთვის ეს უცხო ენის შესწავლის ეფექტური საშუალებაა. არის კიდევ ერთი — სულ ახალი მოვლენა, რასაც აუდიო წიგნი ჰქვია. დაბოლოს: საკმაოდ ხანდაზმული ჟანრი, რომელიც უფრო X, ვიდრე თაობის საკუთრებაა. ესაა აუდიოსპექტაკლი — იგივე რადიოდადგმა, ერთი სიტყვით — რადიოთეატრი, რომელსაც, უცხოურს რომ თავი დავანებოთ, ჩვენთან 60 წლის ტრადიცია აქვს და დღესაც განაგრძობს არსებობას, მისი მთავარი რეჟისორის ზურაბ კანდელაკის ხელმძღვანელობით. ბატონი ზურაბი 400-ზე მეტი რადიოდადგმის ავტორია. მათ შორის განხორციელებული აქვს საკუთარი, საავტორო სპექტაკლებიც და არის არაერთი საერთაშორისო რადიოდრამის ფესტივალის გამარჯვებულიც.

XX საუკუნიდან მოყოლებული, იშვიათია მწერალი, რადიოპიესა რომ არ დაწეროს. თუნდაც სემუელ ბეკეტი, ეჟენ იონესკუ, ჟან კოქტო, ფრიდრიხ დიურენმატი, მაქს ფრიში, ჰაინრიხ ბილი, არტურ მილერი, რეი ბრედბერი თუ ინგმარ ბერგმანი... რა განაპირობებს რადიოთეატრისადმი ასეთ ინტერესს? აი რას ამბობს „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“: „დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალისანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა“.

როგორც ჩანს, საქმე სწორედ ადამიანის ფანტაზიაშია. ერთი მხრივ, დრამატურგი ახალი ფორმების ძიებაში აფართოებს ნაწარმოების ჩარჩოებს, ხშირად ითავსებს რა „კომპოზიტორის“ ფუნქციებსაც. მეორე მხრივ, მკითხველიც თანართობს „კითხვის“ პროცესს და მსმენელიდან პიესის ადამიანური ილუზიები გადმოიქცევა.

თურმე ფლობერი სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა თავის ნაწარმოებთან ილუსტრირებისა. ალბათ სწორედ იმიტომ, რომ მკითხველის წარმოსახვას მაქსიმალური გასაქანი მისცემოდა და ამგვარად ის ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, მონაწილე გამხდარიყო. თეატრალური დადგმისაგან განსხვავებით, რადიოსპექტაკლში მხოლოდ სიტყვა, მუსიკა და ხმაურია. ასე აღწევს მსმენელის ცნობიერებაში, რომელმაც თავის წარმოსახვაში უნდა დაასრულოს წარმოდგენა. გარდა ამისა ეს პროცესი წმინდა პრაქტიკულ დონეზეც ძალიან მოსახერხებელია, მითუმეტეს, ჩვენი დღევანდელი ყოფის დაძაბულ ფონს თუ გავითვალისწინებთ. მაგალითად: რომელიმე დიასახლისს, რომელიც სადილს ამზადებს, იქვე სამზარეულოში მოთავსებული რადიოდან ან სხვა ნებისმიერი სახის საკრავიდან თავისუფლად შეუძლია მოისმინოს, ვთქვათ — „ომი და მშვიდობა“, ისე, რომ მჭადები არ დაეწვას.

ხუმრობა იქით იყოს და, 1938 წელს ორსონ უელსის ცნობილი რადიოდადგმით გამოწვეული ეფექტის მსგავსი სხვა

მაგალითი ძნელად თუ მოიპოვება ლიტერატურის, თეატრისა თუ კინოს სფეროდანაც კი. საუბარია უელსის „რეპორტაჟებზე“, რომელიც მისივე მოგვარე — ჰერბერტის „სამყართა ომების“ რადიოინსცენირება იყო და რომელმაც იმ წელს ლამის მთელი ამერიკა პანიკაში ჩააგდო, როდესაც რეჟისორის ოსტატობის წყალობით ირწმუნა, რომ თითქოს კაცობრიობას მარსელები დაესხნენ თავს. მას შემდეგ ამერიკული რადიოდრამა, გასცდა რა მხოლოდ რადიოს ფარგლებს, აუდიოტექნოლოგიების არნახული განვითარების წყალობით პრინციპულად ახალ მოვლენად გადაიქცა (ე. წ. Podcast). ასევე, იაპონიაში არსებობს ცნება — „დრამა-CD“. ეს არის დისკი, სადაც მთელი სერიალებიც კია ჩანერილი.



ჯერ კიდევ 1881 წელს პარიზში გამოიგონეს „თეატროფონი“, რომელიც სატელეფონო ხაზის საშუალებით გადმოსცემდა თეატრალურ დადგმებს. ამბობენ, მარსელ პრუსტი ამ ყველაფრის დიდი მოყვარული ყოფილა. ალბათ ჩვენთანაც ბევრს ემასსოვრება ფორფიტებზე ჩანერილი ზღაპრები, პოეზია თუ მთელი თეატრალური დადგმები. მაგალითად, ჩემს კოლექციაში დღემდე ინახება ასეთი ფორფიტა — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, სადაც ერთ-ერთ როლს ვლადიმირ ვისოცკი „ასახიერებს“. საინტერესოა, რომ ეს ჟანრი მწერლების გარდა, თანამედროვე მუსიკოსთა ინტერესის სფეროშიც მოექცა. ისევე საკუთარი კოლექციიდან: ფრენკ ზაპას „გრეგორი პეკორი“, ჯონ ზორნის „სპილენი“, ჩიკ კორეას „შემილი მქუდე“ (იგივე „ალისადან“), ბიტლზის „ყვითელი წყალქვეშა ნავი“, გებერისა და რაისის „სუპერ ვარსკვლავი“ შესაძლოა მუსიკალური, მაგრამ ფაქტობრივად მაინც „რადიოდადგმებია“.

რადიოდრამის სიცოცხლისუნარიანობას ალბათ „ცნობიერების ნაკადის“ პოპულარობა — მოდურობაც კი — განაპირობებს. მკითხველს სულ უფრო აინტერესებს ადამიანის აზრის სუბიექტურად ორგანიზებული დინება და „შინაგანი მონოლოგი“ ასოციაციური სტრუქტურა, რომელიც ვნებათა სიტყვიერი დრამაა. რადიოდადგმაში ბუნებრივად აღიქმება ის, რაც ლიტერატურაში მხოლოდ შინაგანი მონოლოგია, თეატრსა და კინოში კი — ქვეტექსტი. ამდენად, სიტყვა რადიოდრამაში მხოლოდ დიალოგს ან მონოლოგს კი არ წარმოადგენს, არამედ პერსონაჟის ფიქრს, მოგონებას, ოცნებასა თუ სიზმარს. ეს პროცესი გენიალურად აქვს აღწერილი მარო ვარგას ლოსანს რომანში „ხულია ბიცოლა და მწერლუკა“, სადაც რეალურ და რადიო სამყაროებს შორის ზღვარი — თხრობასთან ერთად — სულ უფრო იშლება და პერსონაჟები თითქოს სხვა განზომილებებში თავისუფლად გადადიან.

რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, რადიოდრამას დიდი პერსპექტივა აქვს — გამომდინარე მისი ფართო შესაძლებლობებიდან და, რაც არანაკლებ მიმზიდველია — შედარებით მოკრძალებული ბიუჯეტის გათვალისწინებითაც. ამას მონობს კიდევ ის საერთაშორისო ფესტივალები, რომლებიც ყოველწლიურად იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რაზეც ნამდვილად ღირს დაფიქრება: დღეს, როდესაც გაშუდებული გვესმის ჩივილი ახალგაზრდებში ნიგნიერების დაბალი დონის გამო, ხელოვნების ამ ჟანრს აქვს შანსი, გასცდეს მხოლოდ კულტურის სფეროს და განათლების დარგში სტრატეგიულ, ეფექტურ ბერკეტადაც გადაიქცეს. ისევე როგორც ყველა სხვა თაობას, ხომ აქვს უფლება — ჰქონდეს საკუთარი თავისებურებანი!?

ბათუ დანელია

„დროდადრო უკაცრიელ კუნძულზეც ვიცხოვრებდი...“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— მონობა, როცა იძულებული ხარ, თავისუფლებას პურის ყუა არჩიო.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— თუკი ბედის უკუღმართობით ან სიდუხჭირით, ემიგრაცია არ მელოდებოდა, მაშინ, მუდმივად — მხოლოდ საქართველოში, დროებით კი — იტალიაში, ჩინეთში, ტიბეტში, ინდოეთში, იაპონიაში, რადგან ზოგჯერ მგონია, რომ წინა ცხოვრებანი იმ ქვეყნებში გავატარე. დროდადრო უკაცრიელ კუნძულზეც ვიცხოვრებდი, რათა შემოქმედებითი პროცესების გადახალისებისათვის უფრო დიდი მარტოობა მომიპოვებინა.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— უმაღლეს ბედნიერებას შეიძლება გრძნობდნენ ნოე, მოსე და მისთანანი, როცა მათ ღმერთი ელაპარაკებოდა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჰექლბერი ფინი, კვაზიმოდო, ბათა ქექია, გვადი ბიგვა, ილიას პეტრე, მოთხრობიდან „სარჩობელაზე“, ჰემინგუეის მოხუცი მეთევზე, კლდიაშვილის პლატონ სამანიშვილი, ფოლკნერის სნოუჰუსები, დანიელ დეფოს რობინზონი. ასევე მარკესის, აპდიაკის, სტაინბეკის, შერვუდ ანდერსონის პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— იესო ქრისტე, ფარნავაზი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, თევდორე ბერი, მარტინ ლუთერი, ამბროსი ხელაია, სპარტაკი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზვიადი და მერაბი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი, კაკაბაძე, ზურაბ ნიჭარაძე, რადიშ თორდია, თემურ ჯაფარიძე, ირაკლი ფარჯიანი, სავრასოვი, შაგალი, პიკასო, კანდინსკი, მოდილიანი, იმპრესიონისტები და პოსტიმპრესიონისტები — ყველა, რენესანსის მხატვრებიც.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ზაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე, მერი დავითაშვილი, გია ყანჩელი, ვაჟა აზარაშვილი, ზურაბ მჭავია, ნუნუ დულაშვილი, რუსუდან სებისკვერაძე, მორიკონე, ბახი, ბეთჰოვენი, ბიზე, ვაგნერი, რაველი, გლინკა, შტრაუსები. აქ მოცარტს არ ვასახელებ, რადგან ის მარტო დიდი კომპოზიტორი და გენიოსი როდია, ანგელოზიცაა, შეიძლება ითქვას — მუსიკის ღმერთი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— პრინციპულობას, ტოლერანტობას, უკომპრომისობას, სიმართლისმოყვარეობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალი, უპირველესად, ქალური უნდა იყოს, უნდა ამშვენებდეს სინაზე და სისადავე, უნდა უყვარდეს დედობა და დიასახლისობა და უნდა ედგას ქალობის გვირგვინი — კდემამოსილება.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— ყოველი სათნოება მომხიბლავია, მაგრამ ყველაზე უფრო ჰუმანურობა მხიბლავს.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— წერა, კითხვა, ვენახის მოვლა, ღვინის დანურვა. მე, ასევე, ჩემს არა მარტო საყვარელ, არამედ უმთავრეს და



აუცილებელ საქმიანობად ვთვლი კლასიკური მუსიკისა თუ ჭრიჭინების მოსმენას, ჩამავალი მზისა თუ ვარსკვლავიანი ცის ყურებას და ფოთოლცვენისთვის სულის გაშვებას.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— არავინ, გარდა ჩემი თავისა, რადგან ჩემ ნაცნობებს შორის მხოლოდ მას ვიცნობ სრულყოფილად. სხვებს რომ ასე ვიცნობდე, იქნებ რომელიმეს სული და გული ჩემსაზე მაღლა დამეყენებინა და იქნებ დამეთრგუნა თავმოყვარეობა და — რომელიმედ მომნდომებოდა ყოფნა.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— თავმდაბალიც ვარ და ქედმაღალიც. გულჩვილიც ვარ და გულფიცხიც. სამაგიეროდ ზედმეტი გულწრფელობა მჩვევია. ალტრუისტიც ვარ, ერთგული მეგობარიც, თუმცა — ამოღ...
— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრობაში?

— სადღა არიან მეგობრები? წავიდნენ მეგობრობის საუკუნეები, როცა მეგობარს მილიონ ოქროშიც არ გაცვლიდნენ. ახლა ერთ ოქროდ ათ მეგობარს გაყიდნან, არა მხოლოდ უბრალო, არამედ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები — მწერლები, მხატვრები, მეცნიერები... არადა მეგობრობაში ყველაზე მეტად ერთგულება და ულაღატობა უნდა იყოს დასაფასებელი.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიჯიუტე და ორჭოფობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერებაა ის, რომ ელი და — მოვა, ეძებ და — პოულობ, ოცნებობ და — აგინდება, აკეთებ და — გამოგივა და ა.შ. კიდევ — საკუთარ შესაძლებლობათა სრულიად გამოვლენაა ბედნიერება, და კიდევ — მოულოდნელი სისხარული.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— მე, ბავშვობიდან დღემდე, იმდენი უბედურება ვნახე, რომ ყველაზე დიდი, ყველაზე პატარა თუ ჩვეულებრივი უბედურებანი ერთმანეთში ამერია და მივხვდი, რომ პატარა

უბედურება არ არსებობს, უბედურება ყველა დიდაა, და მანც, ყველაზე დიდი უბედურება ამ წუთისოფლად — პოეტად დაბადებაა.

— როგორი გინდოდით ყოფილიყავით?

— როგორსაც ვიმსახურებ ჩემსავე საქმიანობის, შრომისა და ნიჭის მიხედვით. დაუმსახურებელი — არაფერი მინდა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— თეთრი, მელნისფერი, ღვინისფერი, ხორბლისფერ-ჩალისფერ-უდაბნოსფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა, რადგან ჩემი ეზო, გაზაფხულის მინურულსა და ზაფხულის დამდეგს გვირილებითაა დაფარული. ვარდიც და კალაც მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ბელურა, შაშვი, ლობემძვრალა, იგივე ჭინჭრაქა, მოლალური, კოდალაც, გვირიტიც, გედიც, მტრედიც, მეტიც — ძალზე არამუსიკალური ჩხიკვიცა და ჩხართვიც, მერცხალიც, განსაკუთრებით ის, რომელიც, გვიან გამოჩეკილი ბარტყის გამო, ვერ მიფრინავს თბილ ქვეყანაში... ისინი ყველანი საყვარლები არიან. არ მიყვარს მტაცებელი ფრინველები, მათ ყორანი და ყვავი მირჩევნია: რამდენჯერ მინახავს — წინილებს შორის საყვარლად დაბაჯბაჯებდა ყვავი და მათთან ერთად კენკავდა საკენკას...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— აქ საქმე ცუდადაა! — მე იმდენი, ქართველი და საზღვარგარეთელი, საყვარელი მწერალი მყავს, ყველა რომ დავასახელო, ძალიან გრძელი სია გამომივა და მას ამ ჟურნალის ნახევარი გვერდი არ ეყოფა. ისინი ყველანი შესანიშნავი პროზაიკოსები არიან და ვერავის ვერ გამოვტოვებ. ამიტომ ჯობს, მათი დასახელებიდან თავი შევიკავო. მაგრამ, მოდი ასე ვიტყვი: ამ სიის თავში, თუ ასაკობრივ სუბორდინაციას დავიცავ, ფრანგი ფრანსუა რაბლეა, ხოლო ბოლოში — ჩემი თაობის, ქართველი, მერაბ აბაშიძე.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— აქ კიდევ უფრო ცუდადაა საქმე! — ამიტომ იმავე ხერხს მივმართავ: სიის თავში, იმავე სუბორდინაციის დაცვით, ქართველი შოთა რუსთაველია, სიის ბოლოში კი, ისევე ქართველი, ჩემი თაობის პოეტი — ვოვა მაჩაიძე.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოთარაანთ ქვრივი, ელისო, შორენა, მაგდანა, მაღამ ბოვარი, მარიამ სტიუარტი, ჯულიეტა, დეზდემონა, ანა კარენინა.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— არის ერთი-ორი ჩემთვის, მაგრამ სხვებისთვის შეიძლება ისინი ანტიგმირები არიან...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან ნამებული, მაია წყნეთელი, მარიამ სტიუარტი, ჟანა დ'არკი.

— საყვარელი სახელები?

— ყველასთვის, ბუნებრივია, საყვარელი ხდება ის სახელი, რომელსაც ხშირად ეძახდა, ან ეძახის. ჩემი საყვარელი სახელებია: სულიკო (დედას ერქვა), ედუკი (ბებიას ერქვა), შუქია (დეიდას ერქვა), ნათელა (მეუღლეს ერქვა), ლელა, ბელა, მირანდა, თეონა, ხატია, კახა, ლაშა, გიორგი (ნათესავებს ჰქვიათ). ასევე: ელბა, თამთა, ნინია.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ცბიერებას, ვერაგობას, ორგულობას, ცილისწამებას, ლალატს, მოიქცელობას, შეუბრალებლობას, პირში ქებას და ზურგს უკან — სამარის თხრას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დამისახურა?

— ისინი, რომელთა ბრძანებით დახოცეს მილიონობით ადამიანი.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— დიდგორის ომი, სადაც დავით აღმაშენებელმა, 1121 წლის 12 აგვისტოს, 56-ათასიანი ლაშქრით დაამარცხა თურქ-სელჩუკთა 560-ათასიანი ჯარი. ასევე, თამარის მეფობის ჟამს, ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის მეთაურობით, ლაშქრობა სპარსეთს, რაც საქართველოსთვის უჩვეულო იყო, მაგრამ აუცილებლობას წარმოადგენდა იმდროინდელი მსოფლიოსა და მეზობლების თვალში... და კიდევ — ბრძოლა ვატერლოოსთან, სადაც პრუსიელებმა და ინგლისელებმა, ველინგტონისა და ბლიუხერის მეთაურობით, დაამარცხეს ნაპოლეონ ბონაპარტის არმია 1815 წლის 18 ივნისს (არ მიყვარს ნაპოლეონი, მაკედონელიც არ მიყვარს და არც მათი გენიოსობისა მნამს რამე. სისხლის, მაღალ დონეზე, მოხერხებულად, დიდი რაოდენობით ღვრა — გენიოსობა თუ არის, მაშინ სატანაც გენიოსი ყოფილა).

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— სულ ახლახან — მიწის რეფორმა. ხოლო წარსულში — ბატონყმობის გაუქმება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— რაც ღმერთმა არ მომცა, მას რატომ უნდა ვფლობდე, თორემ ორატორობის ნიჭზე არ ვიტყვოდი უარს.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— როგორც ღმერთს უნდა. ჩემი ნება რომ იყოს, მანამ ვიცოცხლებ, ვიდრე წერა შემეძლება.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მცოცავარესიულ-მოციმციმარითმიული (ვხუმრობ, რა თქმა უნდა).

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?


— იმაზე საშინელი ქმედება რა უნდა იყოს, როგორიც იყო ჯვარცმა, მაგრამ ჯვარცმულმა სთხოვა მამას: „მამაო, მიუტევე ამათ, რადგან არ იციან, რას სჩადიან“. მე კი, რა უფლება მაქვს, არ მიუტევეო ადამიანებს სიცრუე, დაცინვა, შური, ცილისწამება, ზენოლა და სხვა ადამიანური ქმედებანი და ცოდვანი, მით უმეტეს, თუკი არ იციან, რას სჩადიან, ოღონდ! — არის ერთი ოღონდ: ისინი როდემდე უნდა იყვნენ მცოდავები და როდემდე არ უნდა იცოდნენ, რას სჩადიან არ მე როდემდე უნდა ვიყო შემწყნარებელი — სადღაც ხომ უნდა იყოს ბოლო! რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს!

— თქვენი დევიზი?

— იყავი, რაც ხარ!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ქართველები მალე გამრავლებით და რაც წაგართვეს, ყველაფერს მალე დაიბრუნებთ.



სამშაბათს, 4 ნოემბერს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დარბაზში ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ თაოსნობით გაიმართება

„თიეფრაზ ხაჰისთავის ლიტერატურული განსამართლება“

დასაწყისი 14 საათზე კოსტავას 5

გურამ ქართველიშვილი უკულმართი

გუძღვნი ყველა „უკულმართს“
ამ ვითომ ნაღმართ საზოგადოებაში

ნუხა ბაიაშვილის ისეთი დღე ედგა, ფრჩხილებიდანაც არყის ოხშივარი გასდიოდა. რაც შირაქიდან გამოქცეული პაპისეულ ნაფუძარს შემოეხიზნა, თვე მინც იყო გასული და დღეში სამჯერ თვრებოდა მარტოდმარტო დასანგრევად განწირულ მონჯღრეულ სახლში. რვა წლის წინათ ფშაველებისგან მიტოვებულ სოფელში გადმოხვენილ ნუხას ეგონა, იქ არავინ დახვდებოდა, მაგრამ ოსებს საფუძვლიანად გაემაგრებინათ ფშაველთა ნაფუძარები და ცხვარ-ძროხიანად მოშენებულიყვნენ. სულის მოსათქმელად გასაქცევი ჯერ არსად ჰქონდა დევნილს, თორემ ოსების სოფლის გარდა ყველაფერს ინატრებდა თავშესაფრად. საქართველო თავდაყირა იდგა. ხევსურეთი ბოლშევიკებთან ომში ღვრიდა სისხლს და ამ ორომტრიალში ოსები იყვნენ წითელი მთავრობის ზურგიცა და დასაყრდენიც. საეჭვო კაცს არ დაზოგავდნენ — ან „ჩეკას“ ჩააბარებდნენ, ანაც თვითონვე ჩაკლავდნენ და გვამს ძღვნად მიართმევდნენ მთავრობას.

სიმთვრალე სიფხიზლეს არ აკარგვინებდა ბაიაშვილს. სოფლის განაპირას მდგარ პაპისეულ დარბაზში ცეცხლს არ ანთებდა. გვიანი შემოდგომის სიცივეს ნაბადი და არაყი ატანინებდა. არც სარჩო აკლდა სანოვავით დატენილ „სამეზობლოში“. დაქანცული სოფელი ძილს მიეცემოდა თუ არა, ნუხა ფეხზე გაიხდიდა, ნაგანს თან მინც გაიყოლებოდა და ჭინკასავით დაძვრებოდა სახლიდან სახლში. სიფრიფანა სხეულის პატრონს ღამით კი არა, დღისითაც ძნელად შეასრებდა კაცი თვალს. გამოხედვაც ისეთი ჰქონდა ღვთის ჯილდოდ თანდაყოლილი, რომ მისი თვალის შემყურე ქოფაკები ნკმუტუნით უთმობდნენ გზას. ამიტომაც დედამინის ზურგზე ისე არავის უხდებოდა, ალბათ, ბაღლობაში დედისგან მეტსახელად შერქმეული „უკულმართი“, როგორც ნუხა ბაიაშვილს. რას აღარ ხელმრუდობდა ოსების საბელ-სამზადებში — ყველი და შაშხი, ერობო, თუ კარაქი, კვერცხი და ხაბიზგინი. არაყი ხომ ჩარეკობით ჰქონდა ნაპარავი. არც მარტობა ტანჯავდა უკულმართს, რადგან იმ გამხმარ სხეულში ბარე სამი სული მინც ედგა და ერთმანეთთან საუბარში, აბა, რა მოაწყენდა!

იმ დღეს, შებინდებისას კართან ამოსულ ტყემალზე გაბმით გალობდა შაშხი. „ამ გვიან შემოდგომით რა გალობა აუტყდა ამ დალოცვილს?! რაღაცის ნიშანი უნდა იყოს! იპ, ზედნიერი კია და...“ — ბუტბუტებდა გალობის ძილისპირულს მინდობილი უკულმართი და ნაბადში თვლემდა. ერთი საათის ჩაძინებული კოკისპირული წვიმის ხმამ გამოაღვიძა. წვიმა წყლად მოდიოდა პაპისეულ სახლზე. ნუხა ნაბადმოსხმულივე ნამოდგა და ნამძინარევმა მონჯღრეული დარბაზი შემოიღია. „პაპინემის სული ცხონდეს, როგო დაულაგებია კრამიტი, რო წვეთი არ გაუღის?! რა კარგა გაუძლია!“ სიბნელეში ჭყეტით ააცეცა ჭერში თვალები უკულმართმა, ჯიბიდან ყანწი ამოაძვრინა, ხელისცეცებით სასთუმალთან არყიანი ტიკჭორა მოძებნა, სამჯერ დაისხა, ზედიზედ გადახუხა და პირჯვარი გადაინერა. „შამინდე ქურდობა, ღმერთო! ჩემზე უკეთესი მინც ვერავინ დალევდა ამ არაყს ამ წუნწკლიანთ სოფელში.“ სასმელმა თავისი ქნა და უკულმართის ტვინში სამმა ნუხამ ერთად დაინწყა ფიქრი. ერთი აღიღინდა, მეორემ ლექსი შემოამეფლა, მესამე კი ორი თვის წინათ შირაქში მოკლულ ქიტესაანთ ოფიცელს გადასწვდა. დაღვრილი სისხლი ემძიმებოდა, მაგრამ არ ნანობდა. ჯერ კიდევ ახრჩობდა სიბრაზე. ის კი არადა, ახლა ცოცხლად რო გამოსცხადებოდა ოფოფაი, ხელმეორედ მოკლავდა. „მოსაშორებელი იყო ეგ სულთამუთავი და მოვიშორე. რათ უნდა ვიდარდო?! სისხლზე დარდი სიბერემ იცისო, და ჯერ იქამდე შორია“.

წვიმამ იმატა და კრამიტს ორმაგი ხმაურით შეუტიეს შხეფებმა. ნუხამ ორიოდ ლუკმა გაკბინა, ნაბადში საგულდაგულოდ გაეხ-

ვია და ის იყო თვლენა მოეკიდა, რომ ერთიანად აყეფდნენ სოფლის ქოფაკები. უკულმართი ნამოხბა, ნაგანი და მაუზერი ორივე ხელით მოიმარჯვა და მიაყურადა. ჯერ ქვევზე მოთამაშე ნაღების ჭახაჭუხი მოისმა, მერე ნუმპიან მინაზე ნაცემი ფლოქვების ხმა უფრო მოახლოვდა და სახლის წინ შეჩერდა.

— ეს სახლი ცარიელია. შევეფაროთ, სანამ გადაიღებს! — თითქოს ნაცნობი ხმა მოისმა გარედან. კარი დარბაზის მეორე ბოლოს იყო და ნუხამ სიბნელეში ორივე ლულა ვარაუდით მიაშვირა იქით. მოსულეებმა ფრთხილად შემოალეს დაჭიანებულ კარი და დაქვეითებულები ცხენ-კაციანად შემოლაგდნენ.

— სწორად მოვსულვართ. კარგი სიმშრალეა, — ისევ მოესმა ნაცნობი ხმა ნუხას.

— ვისი ნასახლარია ესა? — იკითხა მეორემ.

— აქა ფიდო ბაიაშვილი ცხოვრობდა, მამიჩემის ძმობილი. შირაქში გადასახლდა ჯალაბიანა. ამ სოფელში ახლა ოსები ცხოვრობენ და მალე უნდა გავეცალოთ.

— სული მოვითქვით და წავიდეთ.

მამის სახელის ხსენებაზე ნუხამ ყურები ცქციტა. იცნო, ვინც იყო ნაცნობი ხმა და ორივე ლულა დაუშვა. „ლევანა რა-ზიკაშვილი, მაგრამ ეგრე მალვით სასიარულო რა უნდა სჭირდეს მაგასა?!“

— საშა, იმ ცხენს ტომარა ჩამოხსენი და რაც არი, მთელი ქერი აჭამე. ოთხივე კარგა დააძღე. გომბორამდე ვეღარსად შევჩერდებით, — თითქმის ბრძანებით თქვა მეორე ხმამ.

ის ვილაც საშა ბნელში აფათურდა, ორი კვარი ანთო, კედელში გაჩხირა და ცხენების დაპურებას შეუდგა. დარბაზის კარის მხარე განათდა და მოსულეები გამოაჩინა. ნუხა ბნელში იყო შეყუჟული და გაფაციცებით აკვირდებოდა უდროო სტუმრებს. ნაცნობ ხმამ არ შემეცდარა, ნაღად ვაჟა-ფშაველას ლევანი იყო, მაგრამ იმ ორი იარაღსხმულის ვინაობისა არა იცოდა რა. ცუდ დღეში კი იყო ჩავარდნილი უკულმართი — ხმა ამოედო და სიბნელიდან შეხმიანებოდა მოსულეებს, ვაითუ მოულოდნელობისგან სროლა ამტყდარიყო. არადა, როდემდე უნდა ეცქირა ასე ქურდულად სიყრმის ძმობილი ლევანისთვის. ყოყმანის შემდეგ პირველ სათქმელს თავი მოუყარა და სხაპასხუპით გაბედა:

— არ ისროლოთ, ლევან, ნუხა ვარ, ბაიაშვილი!


შემცბარმა ლევანმა უცნობების დაძრობილი მაუზერებისკენ ხელი გაიშვირა — არ ისროლოთ, და სიბნელიდან შუქზე გამოსულ ბაიაშვილს ქორივით დააშტერდა.

— აქ რასა იქ, შე უკულმართო?! — ჩემ სახლში მოხველ და მე მეკითხები მაგასა? — ფშაურად გალაღდა ნუხა.

ძმობილები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ამ ნოემბერში გაზაფხულის მოსვლას უფრო ვიფიქრებდი, ვინემ შენ აქ მოსვლასა, ლევანო! — ხარობდა ადამიანთან შესიტყვებას მონატრებული უკულმართი.

ამის შემყურე იარაღსხმულები დაოკდნენ, მაუზერები „კაბურეპში“ ჩააბრუნეს და მათკენ განვდილ ბაიაშვილის ხელს ხელი დაახვედრეს. ერთი რამ კი ეუცნაურა ნუხას — არცერთმა გაცნობის წესისამებრ თავისი სახელი არ თქვა. ის, ვისაც წელან საშას ეძახდნენ, ცხენებს მიუბრუნდა და მოსართავების მოშვება დაიწყო. მაღიანად ახრამუნებდნენ გულუხვად დაყრილ ქერს გალუმპული ბედაურები. ნუხაც დაფაცურდა, ჭიანჭამი ფიცრები მოძებნა, ძირს მიტყუპებით დააღაგა და ზედ მთელი თავისი ნაპარავი ხორავი დაანყო.





მხატვარი დიმიტრი ერისთავი

— აბა, ამას უყურე შენა! თავადურადა ცხოვრობს! — ხითხითებდა ლევანი.

— მაშა, კაცო, მდიდარ მეზობლებში რას არ მოახლებთებს კაცი. ეგაა, რომა ყანნი მაქ ერთი. — არაყი დაისხა ნუხამ, სტუმრებს მოხდენილად მიუშვირ-მოუშვირა სასმისი, თქვენი მოსვლისა იყოსო, დალოცა და გადახუხა.

ბახმორეულს მარტო ლევანი უსწორებდა ხასიათს, თორე უცხოები მდუმარედ შეექცეოდნენ. უკუღმართის ნაცად თვალს არ გამოჰპარვია, რომ ის ორნი ომიდან გამოსულებს ჰგავდნენ. ისე ჩამოსხდნენ ფეხმორთხმით სუფრასთან, რომ არცერთს იარაღი არ აუყრია. საშამ მადიანად შეუტია საჭმელს. ის მეორე კი, ლამაზად გათილი სახე რომ ჰქონდა, ჯერ გაუნძრევლად იჯდა, მერე კი დინჯად შეუდგა ჭმას. ცოტას მიირთმევდა, მაგრამ საუკეთესოს. გაკვირვებული ნუხა ვერაფერს მიმხვდარყო, რადგან ჯერ არსად გაუგონა, ტყეს შეფარებულ კაცს თან ჩანგალი ეტარებინოს. მერე ერთი-ორჯერ კარგად შეათვალიერა ჩანგლოსნის სახე და გაიფიქრა — „ამას ხო ვიცნობ... მოიცა, სადღაც მინახამს. სად მინახამს? ეს ის უნდა იყოს... ჰო, ნაღდად ის არის.“ თორმეტობედ წლის წინანდელი ალავერდობა გაახსენდა, ბედნიერი ჯველობა. მერე კიდევ ერთხელ შეავლო თვალი უცნობს და გუნებაში დაისაბუთა — „თავზეხელაღებული კნიაზი. აფსუს, რა არი ჯველობა! როგორ ცვლის დრო კაცსა! აბა, სად ეს ყინულის სახე და სად — ისა. უცებ კნიაზის გვარ-სახელიც ამოიჩხრიკა ტვინში და სხეულში კრუნტელმა დაუარა. მთვრალმა თავდაჯერებულობას უმატა და სიტყვაანონილი კაცის გამომეტყველება მიიღო შეძლებისდაგვარად. ეს ვინ მომაყენა რაზიკაშვილმა კარზე, კაცო!“ ისევ ის ალავერდობა გაახსენდა, შუალამის ღრეობაში რომ იგრილა ხალხმა — ჩოლყანთ ქაქუცა მოდისო — დაჰკერეს დოლს და ცეკვის ოსტატმა ჩეჩნებმა ოფლადგაღვრილი ტაიჭიდან დაქვეითებულ ჩოლოყაშვილს ფეხებთან მოზრდილი თეფში დაუდეს. კნიაზმა ჯერ ყანნი გამოცალა და მერე ისეთი ცერული იცეკვა იმ თეფშზე, ერთხელაც არ გადასცდენია ფეხი განზე. ხალხი ტამისკვრად იყო ქცეული და თეთროხიანი კნიაზის შემხედვარე ლამის გულყრამდე იყვნენ მისული კნინები. მოგონებებში ნასული ნუხა ლევანის შეკითხვამ გამოაფხიზლა.

— ერთი ის მითხარ, უკუღმართო, შენ რაღას იმალები აქა?

— ქიტესაანთ ოფოფას მკვლელობის ამბავი გაგონილი გექნება. — მერე?
— მე შამამაკვდა.
— შენა?

— ხო. ხო გახსომს, რა ბოგანო და ხელმათხოვარა იყო. წითლები რო მოეთრენ, ჯერ მოენედ დაუდგა, მერე სამსახური დაუფასეს — „ჩეკაში“ ჩარიცხეს და ცხენ-მაუზერიც მისცეს. აიკლო მთელი შირაქი, ბევრი ოჯახი გაამწარა.

— შენთან რა ხელი ჰქონდა?

— შარაზე გადამეყარა მთვრალი. ცხენით ჩამამიქროლა და ისე გადამიჭირა მათრახი, ლამის ხერხემალი ჩამილენა. ბევრი არ მიფიქრია, შინ მიველ, ნაგანი ავიღე, სახლთან ჩავუსაფრდი და ზედ თავი კარზე გავასხმევიცე ტვინი. მას აქეთია, აქა ვარ. აბა, ოსების სოფელში ვინ დაუნყებს გასულ კაცს ამ დროში ძებნას?! — დუმილი დიდ ხანს გაგრძელდა. მერე ქაქუცამ არაყი დაისხა და ნუხას თვალი გაუყარა.

— მტერზე პასუხის გამცემი კაცები დაგვიცოტავდნენ და შენ გაგიმარჯოს, ბაიაშვილო! ვაჟკაცი ყოფილხარ! — ჩოლოყაშვილმა არყისგან მოსული სიმწარე არ შეიტყო და განაგრძო, — ჩვენთან ერთად წამოდი. სულერთია, ხვალ ამ სოფელს გაუჩხრეკავს არ დატოვებს ჩეკა... კვალში გვიდგანან.

უკუღმართს თავი სიზმარში ეგონა. ხალხში არაკად ქცეული კაცი მის ვაჟკაცობას აქებდა და ხლებას სთავაზობდა. არყის წრუპვაში დრო გავიდა, რიჟარაზე წვიმამ გადაიღო და კართან ისევ აკვნესდა შამი. საშამ და ლევანმა ცხენები გაამზადეს. მარჯაფ ბედაურს ხურჯინი მოხსნეს და ნუხას დაუთმეს. გარეთ გასულებმა ტანით იგრძნეს, რომ ყოველი სახლის საარკმლიდან ბარე სამ-სამი წყვილი თვალი იყურებოდა. საშა ცხენს მოახტა და დასჭყვივლა:

— გარეთ არავინ გამოვიდეს და თავი არავინ გაიფუჭოს, ბიჭო!

ნუხამ სადავე გამოსკვნა და უნაგირის კეხს მიაბა. მერე დარდიმანდული მოძრაობით უკულმა გადააჯდა ცხენს და ნაგან-მაუზერი ორივე ხელში მოირგო. მხედრებს სიცილი წასკდათ.

— ეხლა კი ნაღდი უკუღმართი ხარ! — თბილად გაუღიმა ქაქუცამ და ცხენს დეზი მისცა. დაიძრნენ. სოფელი ისე გაიარეს, ლარივით იყო დაჭიმული ცხენზე უკულმა მჯდარი უკუღმართი და წინ მიმავლებს ზურგს უმაგრებდა. სოფელს ისე გასცდნენ, ტოტის შერხევაც არ გამოჰპარვია. ის იყო ტყიან დაღმართს დაუყვნენ, ერთიანად ატყდა სროლა. ნუხამ საიდანაც გამოჩენილი მხედრებიდან ორი ზედიზედ ჩამოყარა სროლით და, როცა უნაგირზე წაღმა შემოტრიალდა, მისი ცხენი მოცელილივით წაქცია ტყვიამ. ბაიაშვილს მოულოდნელობისგან უზანგში ფეხი ჩარჩა და მკვდარმა ცხოველმა მუხლამდე მოიყოლა ქვემ. სროლა მაინც არ შეუწყვეტია. ცხენის სხეულს ოსტატურად იფარებდა და თან ფეხის დახსნას ცდილობდა. ადვილი სამიზნე არ იყო მისი ფიჩხივით თხელი სხეული, მაგრამ უკნიდან თავდავლილმა კაზაკმა ორი ტყვია ზედიზედ დააჭიდა ზურგში. ნუხამ ერთი ის იგრძნო, რომ მისი სამი სული ერთად გადაიქცა, ტვინში გაირბინა და უკანასკნელი ფიქრი დაუტოვა — „სუ არყის ბრალია...“

* * *

გზაჯვარედინზე მძლოლმა მანქანა შეაჩერა და იქვე მდგარ მოხუცს გასძახა:

— ჯიხოსკენ საით წავიდე, ძიაკაცო?

მოხუცმა გაკრიალებული „მერსედესი“ შეათვალიერა და მარჯვნივ გაიშვირა ხელი.

— აქეთ გაუყევი. იმ ვაკი ბოლოზე უკუღმართის დიდი აღმართი შეგზვდება. ის აათავე, ტყეგადავლილ ნასოფლარს გასცდი და ჯიხოსაც დაინახავ!

— რაო, უკუღმართის აღმართით?!

— ჰო, ეგრე ვეძახით და რა ვიცი... მძლოლმა მანქანა მოხრეშილ გზაზე შეაგდო. აღმართი მართლაც გრძელი აღმოჩნდა.

— „ჰმ, უკუღმართის აღმართით!.. რას არ გაიგებს კაცი!“ მანქანამ ტყეში ჩაკარგული ნასოფლარი ქარივით გაიარა, მტერის ბული დააყენა და თვალს მიეფარა. ჩქამიც არსაიდან ისმოდა. ერთადერთი, შამის გალობა არღვევდა ტყეს ჩახუტებული ნასოფლარის მდუმარე წესრიგს.

ჩეკურანთგორი

მხატვარი იწყებს წერას... მაგრამ როდის არ წერდა მხატვარი?! ზურაბ ლობჯანიძე სპეციალობით მხატვარ-დეკორატორია, კერამიკულ საამქროში მუშაობს, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. წერით დიდი ხანია წერს, მრავალი მოთხრობა, მინიატურა და ჩანახატი დაუბრუნებია, განსაკუთრებით უყვარს ფანტასტიკის ჟანრი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ წარმოდგენილი ტექსტი ფანტასტიკას განეკუთვნება, ეს უფრო თავისუფალი ჟანრია, ყოფით-რომანტიკული განცდების წინ ნამონევით, სადაც ერთმანეთს ენაცვლება ოცნება და სინამდვილე, რეალური და გამონათქვამი, სიზმარი და ცხადი. მოთხრობელი, რომელიც რაღაცით ფრანც კაფკას პერსონაჟს მოგვაგონებს, ლაბირინთში ცხოვრობს, „ბუნაგიდან“ ვერ გამოდის, ეშინია ნისლისა, ქალაქს რომ კედლად არტყია. ფსიქოლოგიური პრობლემებით დატვირთული, სამყაროსგან გაუცხოებული ადამიანი თავშესაფარს ეძებს. თითქოს პოულობს კიდეც, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. იმსხვერპეა ილუზიები, მაგრამ რჩება იმედი — კიდევ შეხვდება წითელ ოცნებას.


ზურა ლობჯანიძე

ქალი წითლებში

წითელი ნკაპუნა ფეხსაცმელების ტაქტს აყოლილი, ლამაზი, მოხდენილი ნაბიჯით ხალხის ნაკადს მოარღვევდა. წითელი ხასხასა, გრძელი, მაქმანებიანი კაბა მის ყოველ მოძრაობას იმეორებდა. არაბუნებრივად წითელი თმები — გრძელი, გამლილი — ანც ნიავეთან მოთამაშე დაუფინყარ სურათს ქმნიდა. გაოცებული გავეშეშდი, მან კი ოდნავ შემავლო თვალი და მკაცრ მოკუმულ ბაგეებზე ღიმილის მსგავსმა გაიღვია, გვერდზე ჩამიარა, შემდეგ მოულოდნელად მოტრიალდა, ისე შემომხედა თითქოს ჩემში რაღაც განსაკუთრებული დაინახა. მაგნიტურ მზერას დაქვემდებარებული მისკენ გავემართე. ის კი შეტრიალდა, სწრაფად გადაჭრა ქუჩა და უახლოეს შესახვევში გაუჩინარდა. ნამებში იქ გავჩნდი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად ცარიელ ქუჩაზე აღვმოჩნდი. აფორიაქებულმა ნაბიჯს მოვუმატე, სადარბაზოებში ვიხედებოდი. ქალი, ვისმა იერმაღაც ჩემში ასეთი მღელვარება აღძრა, უკვალოდ გაქრა. კიბეებზე ჩამოვჯექი, რათა აჩქარებული გულისცემა დამეწყნარებინა და გამეაზრებინა ნანახი. თავი ხელებში ჩაფრგე, გონებაში გავაცოცხლე სურათი: მშვენიერი ხატება თვალწინ დამიდგა, მაგრამ ჩემი გონების ფარდის უკან იმალებოდა რაღაც, რაც მე არ მასვენებდა. თავი ავნიე და ჩემი მზერა გადავიტანე უსახურ, ნაცრისფერი ქუჩის ლაბირინთზე, გონების ფარდა გაიხსნა, მივხვდი: დღეს მე ნაცრისფერ, უსახურ ქალაქში ფერადი საოცრება ვიხილე. წამოვხტი, ამ აღმოჩენამ საშინლად ამაფორიაქა, შიში ვიგრძენი. მომინდა ჩემ ლოკოკინას ნიჟარასავით მყუდრო ბინაში აღმოვჩინილიყავი. რამ შემეშინა, ვერ ვათვისებობიერებდი, მაგრამ უკანმოუხედავად გავიქეცი. აი, ჩემი თავშესაფარი, ზურგით კარებს მივაწექი. ის ადგილი იყო, სადაც თავს უსაფრთხოდ ვგრძნობდი, მაგრამ დღევანდელი ხილვის შემდეგ ეს კედლები ცივი და მიუსაფარი მეჩვენა. საშინლად გამოფიტული ვიყავი. ლოგინზე დავეგდე და ხელები მუხლებს მოვხვიე. შევეცადე დაეწყნარებულიყავი.

რაც თავი მახსოვს, ამ ქალაქში ვცხოვრობდი, თუმცა ვინმეს რომ ეკითხა დღე, თვე თუ წელიწადი, პასუხი არ მქონდა. ამ ქალაქში დრო თითქოსდა გაიყინა. დღე ღამეს ჰგავდა, ღამე დღეს. ნაცრისფერი უსახო მონაცვლეობა. ქალაქში მოძრაობა შეინიშნებოდა. ცივ მიუსაფარ ქუჩებში ხალხის ნაცრისფერი ნაკადი მოედინებოდა, აჩრდილებივით ჩუმად. ოღონდ დღისით, ამით ვასხვავებდი დღეს ღამისაგან. ღამით სულიერის ჭაჭანება არ იყო. მეც ამ დროს გამოვდიოდი თავშესაფრიდან. რატომ? ქალაქიდან გასასვლელს ვეძებდი. ქვეცნობიერად ვგრძნობდი — ეს ქალაქი ჩემი არ იყო, მე აქ შემთხვევით მოვხვდი. ყოველი დაძინებისას მესიზმრებოდა: ლაბირინთში ვიყავი, გასასვლელს ვეძებდი, ვერ ვპოულობდი. რეალურად კიდე უფრო უცნაური იყო. ქალაქს კედლად ერტყა ნისლი, არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი, როგორც კი ქუჩაში მოძრაობას შევნიშნავდი, ისევე ჩემ ბუნაგში ვიკეტებოდი, მაგრამ დღეს რაღაც ძალამ მიბიძგა, თითქოს ამაზე ჩემი მომავალი იყო დამოკიდებული. მეც დავძლიე შიში, გამოვედი ქუჩაში, ვნახე საოცრება და ხელიდან გავუშვი.

დამალა ფიქრმა, ძილ-ბურანს მივეცი თავი. მესიზმრა, ქუჩაში მარტო ვიყავი, არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. მოულოდნელად ის დავინახე, ქალი წითლებში. პირდაპირ ჩემკენ გამოემართა, გამიღიმა, მითხრა: „დღეს, პარკში! არ დაიგვიანო!“ სიტყვაც არ მაცალა, შეტრიალდა და სწრაფად გამშორდა, მაგრამ იმედი დამიტოვა.



ნო!“ სიტყვაც არ მაცალა, შეტრიალდა და სწრაფად გამშორდა, მაგრამ იმედი დამიტოვა.

ქალაქის ცენტრში ერთი ძველი მრგვალი პარკი იყო, შუაში მრგვალივე დიდი შადრევნით. უზარმაზარი შავი ნეკერჩხლების ჩრდილი ფარავდა, როგორც უკანასკნელი ნავთსაყუდელის სიმბოლოს. მარადიული ფოთოლოცვის პერიოდი იდგა პარკში. ნაცრისფერი ფოთლები შრიალით მოფარფატებდნენ და იდილიურ სურათს ქმნიდნენ. უცნაური იყო — მინასთან შეხებისას, ფოთლები ფიფქებივით დნებოდნენ. სკამზე ჩამოვჯექი და სმენად გადავიქეცი. დიდხანს არ მომინია ლოდინი — ზურგს უკან ჩახველება მომესმა. სულმოუთქმელად შევეტრიალდი და გაოცებული გავშეშდი, ის არ იყო. მშვიდი, სათნო სახის მოხუცი კაცი იდგა, კეთილი და ოდნავ მარტოსული. თვალებით მილიმოდა. უნებურად ფეხზე წამოვუდექი: „იჯექი, შვილო, ნუ წუხდები“. — გამიცინა და გვერდზე მომიჯდა. გაუსაძლისმა სიჩუმემ დაისადგურა, მოხუცმა პირველმა დაარღვია უხერხულობა, ნაღვლიანად შემომხედა: „მე და ჩემ მეუღლეს ძალიან გვიყვარდა იქ, ნამდვილ პარკში ჯდომა. თინკოს ძალიან უყვარდა წელიწადის ეს დრო.“ მან ხელები შეუშერა მოშრიალე ფოთლებს. მის სიტყვებში ერთმა ფრაზამ ამაფორიაქა: „ნამდვილ პარკში ჯდომა გინდათ თქვათ, ეს ნამდვილი პარკი არ არის?“ — მან გამიღიმა — „მეგონა თავისით მიხვდებოდი. ისე მე სავლე მქვია.“ — შეშინებული თვალები მივაპყარი და შევდარადე: „ბატონო სავლე, თუ შეიძლება, მითხარით, სად ვარ? თქვენ ვინ ხართ? და აქ როგორ მოვხვდი?“ — სანამ მიპასუხებდა მოხუცმა ჯიბიდან ქისა, ჩიბუხი და ასანთი ამოიღო, აკანკალებული ხელით გატენა ჩიბუხი და მოუკიდა, სქელი ბოლი გამოუშვა. მომეჩვენა, თითქოს ქალაქის ირგვლივ ნისლი იმატა. შემდეგ მომიბრუნდა და სერიოზული სახით მითხრა: „სამყაროში არსებობს ადგილები, სადაც დრო სხვა კანონებით მიედინება, მათ კიდევ პარალელურ სამყაროებს უწოდებენ. არსებობს ეგრეთ წოდებული ჯიბის სამყაროები, სადაც დრო და სივრცე უაღრესად შეკუმშულია. დრო თითქმის არ იძვრის. შენ ზუსტად ასეთ სამყაროში მოხვდი. ის ჩემი შექმნილია. როგორ? ამის მოყოლა შორს წავიყვანს. მე ის საკუთარი დარდისა და კაემანისგან შევექმენი. ყველაფერს, რასაც ირგვლივ ხედავ, ხალხი, სახლები — ჩემი მოგონებებია. მე შემოვხიზნე აქ და მშვიდი ადგილი ვპოვე. შენ შემთხვევით მოხვდი ჩემს სამყაროში, ალბათ იქ შეუხვიე, სადაც არ უნდა შეგეხვია.“ — ღიმილით დაამატა მან. ფანტასტიკური იყო ეს ახსნა, მაგრამ მაშინვე დავიჯერე. მაინც ერთი კითხვა მანვალბდა: — „ჩემი ბინა, ისიც თქვენი სამყაროს ნაწილია?“ — მხარზე ხელი დამადო: „არა, როგორც გეტყობა, უცნაურ გარემოში მოხვედრისას შეგეშინდა, შენმა გონებამ სასწრა-



ნახატი ავტორისა

ვოდ ალტერნატიული სამყარო შექმნა, ლოკოკინას ნიჟარასავით მყუდრო.“ — ბატონმა სავლემ ღიმილით შემომანათა თვალები: „ვიცი ერთი სული გაქვს შემეკითხო, ვინ არის ქალი ნითლებში? შეგიძლია მას დროის ფერია უწოდო. გამტარია. შენნაირ დროში დაკარგულებს ეძებს და გაჰყავს. მან მთხოვა მოვსულიყავი და გავსაუბრებოდი... რა, ბევრი დაკარგული გაიყვანა?! — არა! ერთი, ორი. შენსავით შემოხეტებული. შენზე დიდხანს არავინ გაჩერებულა,“ — ბატონმა სავლემ ხელმეორედ გატენა ჩიბუხი — „აქ ერთი დღე, ერთ წელიწადს უდრის... რატომ თვითონ არ დაგელაპარაკა?! შენი ნახვა მისთვისაც მოულოდნელი იყო, თანაც ხომ იცი, დრო ადგილზე არ ჩერდება. ვიცი, შენთვის მისი ხილვა შოკის მომგვრელი იყო. როდესაც ნაცრისფერ, უსახო გარემოში ცხოვრობ და მერე ასეთ კონტრასტულ საოცრებას ხედავ, შიში აგიტანს, აბა რა! მე რომ პირველად დავინახე,

ლამის ინფარქტმა დამარტყა. სულ ვეუბნები, გაიხადე ეს ნითელი აბა და თმებიც სხვა ფრად შეიღებე-მეთქი. უარზეა, ამბობს, ეს ფერი ჩემს ინდივიდუალიზმს უსვამს ხაზსო.“ — მხიარულად მელაზღანდარებოდა მოხუცი, ყურადღებით გახარებული. შემდეგ მოუკიდა ჩიბუხს, ისევ სქელი კვამლი გამოუშვა და მაშინვე დასერიოზულდა: „აგრილდა, ნავალ ახლა მე, დროა მეც ჩემ სამყოფელში დავბრუნდე, მგონი ამომწურავი პასუხები გაგეცი. დროა შენს რეალურ სამყაროში დაბრუნდე. ის გელოდება, აი, იქ, შუქნიშანთან“ — ფეხზე წამოვდექით. ხელი მაგრად ჩამომართვა — „სასიამოვნო იყო შენთან ბასი, აბა შენ იცი, მეტი აღარ დაიკარგო“. ძალიან თბილი ტალღა წამოვიდა ამ მარტოსული ადამიანის მიმართ. — „ბატონო სავლე, თქვენ არ წამოხვალთ?“ — ნაღვლიანად გააქნია თავი — „რალა დროს რამის შეცვლაა ჩემს ასაკში, თანაც სელაფობია მჭირს — მკვეთრი ფერების შიში. აქ მე სიმშვიდე მოვიპოვე, რასაც შენც გისურვებ.“ შეტრიალდა და აუჩქარებელი ბებრული ნაბიჯით გამმორდა. თვალი ვერ მოვაცილე ამ იდუმალ ადამიანს, სანამ ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში არ მიიმალა. სირბილით გავწვიე გზაჯვარედინისკენ. ის მელოდდა, ლამაზი და ამაყი, ღიმილით შემხვდა: „დროზე მოხვედი. მზად ხარ?“ — ხელი გამომიწოდა, ჩემზე ოდნავ მაღალი იყო, ცისფერ უძირო თვალებში ჩახვებდე, სიმშვიდე ვპოვე: „ბატონი სავლე?“ — ვერ მოვითმინე. სახეზე ჩრდილი გადაეფარა: „მან თავისი დრო ამოწურა, მისი ნასვლით ამ სამყაროს კარი დაიხურება.“ — დიდხანს ვუყურებდი ნაცრისფერ ბურუსში ჩაძირულ ქალაქს. ქალაქსა მოულოდნელად ფერი იცვალა, ათასფრად აბრდელიდა. მივხედი, აღესრულა ...

ჩემი ხელი ნაზი, თლილი თითების ტყვეობაში მოხვდა. გავუღიმე, — „ახლა მზად ვარ.“ — ერთად შევაბიჯეთ თალოვან გასასვლელში. დრო თითქოსდა აჩქარდა. სინათლემ იმატა. შემდეგ ხელი მიშვა და ზურგზე ნაზი შეხება ვიგრძენი, ჩურჩული ჩამესმა: „არ მოიხედო, წინ იარე!“ — რამდენიმე ნაბიჯიც და ხმაურიან ქუჩაზე აღვმოჩნდი, გზაჯვარედინთან, შუქნიშანთან. ფერთა სიმრავლემ აღმავროთვანა, არომატებმა გამაბრუა. უკან მივიხედე — სურთით დაფარული, ლამაზი ბარელიეფით შემკული თალოვანი შესასვლელის წინ ვიდექი. გამაბრუნდა: რალაც უცნაური მისტიკური აურა მოედინებოდა ამ შესასვლელიდან და მაღაზიაში პურზე ჩასულმა, მოხიბლულმა, როგორ შევაბიჯე... ახლა მისტიკური ძალა გამქრალიყო. მხოლოდ მოგონება დარჩა ბატონ სავლეზე და ნითელი თმების, ცისფერი თვალების ნახვის სურვილი. ზუსტად ამ დროს მომესმა: „უკაცრავად, გამატარეთ“. თავი ავწვიე, ის იყო — ქალი ნითლებში. გვერდით ჩამიარა, მერე ისევ მომიბრუნდა, გამიღიმა, საათს დახედა, შეტრიალდა და ხალხის ნაკადს შეერია, მაჩაბლის ქუჩის მოსახვევში გაუჩინარდა. მეც, ფერთა სიმრავლით აღვსილმა, თვალი გავაყლოე... თავისუფლად ამოვისუნთქე. გამაბრუნდა, რომ პური უნდა მეყიდა. სირბილით გავემშურე უახლოესი მაღაზიისკენ.

იმრე კერტესი (დ. 1929), ებრაული წარმოშობის უნგრელი მწერალი, 2002 წელს ნობელის პრემიით დააჯილდოვეს „შემოქმედებისათვის, რომელშიც პიროვნების სიმყიფე ეწინააღმდეგება ისტორიის ბარბაროსულ დესპოტიზმს“. მართლაც, ისტორიის ირონია იყო, რომ კერტესს ფაშისტებმაც საკონცენტრაციო ბანაკებში უკრეს თავი და კომუნისტებიც დევნიდნენ. მეტიც: 1980 წლამდე მის მწერლობაზე არავის სმენოდა და მხოლოდ 1989 წელს გაეცნენ მის ლიტერატურულ აქტივობას. მწერალი, თავის ტრაგიკულ ბიოგრაფიაზე დაყრდნობით, დაინტერესებულია პიროვნებისა და საზოგადოების დეგრადირების ზღვრის მიკვლევით. ყველაზე მეტად ეს წარმოჩნდა მის რომანში „უბედო“ (1975). გთავაზობთ თარგმანს სტოკჰოლმში ნობელის პრემიის გადაცემისას კერტესის მიერ წარმოთქმული სიტყვისა „ვერიკა!“

იმრე კერტესი ვერიკა!

ალიარებით უნდა დავინყო — შეიძლება ცოტა უცნაური, მაგრამ სავსებით გულწრფელი ალიარებით. იმ წუთიდან, რაც თვითმფრინავში ავედი, რათა სტოკჰოლმში ჩამოფრენილს ამ წლის ნობელის პრემია მიმეღო ლიტერატურაში, ზურგს მიხვრეტდა უხილავი მიუკერძოებელი დამკვირვებლის მზერა; და ამ სადღესასწაულო წუთს, მოულოდნელად საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეული, თავს უფრო ამ სასტიკ დამკვირვებელს ვუიგივებ, ვიდრე იმ მწერალს, რომლის ნაწიერების კითხვაც მთელმა მსოფლიომ დაინყო. და შესაძლოა მხოლოდ დავიმედე, რომ ეს სიტყვა, რომლის წარმოთქმის ნებაც მომცეს ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის გამო, დამეხმარება ამ გაორების გამკლავებაში, ჩემში არსებული ამ ორი პიროვნების შეერთებაში.

ჯერჯერობით თვითონაც არ მესმის, რას გულისხმობს ეს გადაუჭრელი წინააღმდეგობა მაღალ ჯილდოსა და ჩემ მწერლობას, ჩემ ცხოვრებას შორის. შესაძლოა ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ვიცხოვრე დიქტატურის პირობებში, არაერთ მტრულ და უსაშველოდ უცხო სულიერ გარემოში და ამიტომაც ვერ დავეუფლე მწერლურ თვითშეგნებას; ამაზე არც არასოდეს დავფიქრებულვარ. თანაც, ყოველი მხრიდან ჩამჩინებდნენ, რომ საგნები, მე რომ მაღლევებდა, და ე.წ. „თემა“, მე რომ მაინტერესებდა, არააქტუალური, უინტერესოა. ერთი სიტყვით, ამ მიზეზის გამო მწერლობა ყოველთვის განსაკუთრებულად კერძო საქმედ მიმჩნედა, მითუფრო, რომ ეს სავსებით პასუხობდა ჩემს რწმენას.

კერძო, რა თქმა უნდა, არასერიოზულს არ ნიშნავს, თუმცა ეს სერიოზულობა ცოტა სასაცილოდაც კი მეჩვენებოდა იმ სამყაროში, სადაც სერიოზულად მხოლოდ სიცრუეს ალიქვამდნენ. სამყარო ხომ, იმ ფილოსოფიური აქსიომის თანახმად, ამ სამყაროში რომ ხშირად იმეორებდნენ, ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი რეალობაა. მე კი 1955 წლის

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს დავასკვნენ, რომ არსებობს ერთადერთი რეალობა და ეს რეალობა მევე ვარ, ჩემი ცხოვრება, ეს მყიფე, გაურკვეველი დროით ჩემთვის მოძღვნილი საჩუქარი, რომელიც უცნობმა ძალებმა მიითვისეს, მოახდინეს მისი ნაციონალიზება, დეტერმინება, დაშტამპვა; მე უნდა წავართვა იგი ე.წ. ისტორიას, ამ საძაგელ მოლოქს, რადგან ეს ძველი მხოლოდ მე მეკუთვნის და მევე უნდა განვკარგო ჩემივე ნებით.

უთქმელადაც ნათელია, რომ ამ პოზიციამ მთელ გარემოს დამაპირისპირა, ყოველივეს, რაც თუმცა ობიექტური არა, მაგრამ უდავოდ რეალობა იყო. ვგულისხმობ უნგრეთის კომპარტიას, დღითიდღე უფრო „გაჯანსაღებულ და დამშვენებულ“ სოციალიზმს. თუ სამყარო ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი რეალობაა, მაშინ პიროვნებაც — თუნდაც საკუთარი თავის — ობიექტია, მისი ცხოვრების ისტორია კი ისტორიულ შემთხვევითობათა ერთთრთს დაუკავშირებელი თანმიმდევრობა, რომლითაც ადამიანს გაკვირვება თუ შეუძლია, თუმცა მასთან ურთიერთობა არა აქვს. ამ ცხოვრების გამთლიანებაზე ზრუნვა უაზრობაა, რადგან შესაძლოა იქ ისეთი უაღრესად ობიექტური მომენტები აღმოჩნდეს, რომ ადამიანის სუბიექტურმა „მე“-მ მათზე პასუხისმგებლობაც კი იკისროს.

ერთი წლის შემდეგ, 1956-ში, უნგრეთის რევოლუციამ იფეთქა. და ქვეყანაში მოკლე ისტორიული მონაკვეთის განმავლობაში სუბიექტურობა დანაწილდა. თუმცა საბჭოთა ტანკებმა მალევე აღადგინეს საგანთა ობიექტური ნესრიგი.


ირონიზებას სულაც არ ვცდილობ, და თუ ჩემს სიტყვებში ირონია მაინც სჭვივის, გთხოვთ, ჩაუფიქრდეთ, რაც დამართა ენას, სიტყვას XX საუკუნეში. როგორც ჩანს, ჩვენს ეპოქაში მწერლობის ყველაზე მთავარი და თავზარდამცემი აღმოჩენა ის არის, რომ ენა, რომელიც ჩვენ უშორეს წინაპართან განდმოგვეცა, უკვე აღარ ვარგა რეალური პროცესების აღსაწერად, ოდესღაც ესოდენ ცალსახა ცნებების გამოსახატად. გავისხნოთ კაფკა, ორუელი, რომელთა ხელშიც ძველი ენა დაიფშენა, მათ იგი თითქოს ცეცხლს შეუკეთეს, რათა შემდეგ ჩვენთვის ის ფერფლი ეჩვენებინათ, რომელშიც კრთებოდნენ ახალი, მანამდე უცნობი ნიშნები.

თუმცა მსურს ჩემს პატიოსან ხელობას — მწერლობას — მივუბრუნდე. იმ საკითხებზე, რომლებიც მასთან დაკავშირებით ჩნდება, ჩემი მდგომარეობის კაცი, როგორც წესი, არ ფიქრობს. მაგალითად, ჟან-პოლ სარტრმა მთელი წიგნი მიუძღვნა იმას, ვისთვის ვწერთ. ეს საკითხი იმდენადვე საინტერესოა, რამდენადაც საშიში, რის გამოც ბედის მადლობელი ვარ, რომ ამაზე არასოდეს მიფიქრია. კაცმა რომ თქვას, რატომაა საშიში? მაგალითად, თუ დავადგენთ, რომ ჩვენი მოვალეობა არა მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოებრივი კლასისათვის სიამოვნების მინიჭება, არამედ მასზე ზემოქმედებაცაა, მაშინ უნდინარესად საკუთარი სტილის შეფასება მოგვიწევს: ვარგისია კი ეს ინსტრუმენტი საჭირო ზემოქმედებისათვის? ძალიან მძლე მწერალი ექვებს დაემონება და იძულებული შეიქნება, საკუთარ თავს ჩაუღრმავდეს. ისე, საიდან უნდა იცოდეს, რა სჭირდება მკითხველს, რა მოსწონს მას? ყველას ხომ ვერ გამოკითხავ! ანკი რა უნდა მოგვეცეს ამან? მწერალი შესაძლოა მხოლოდ თავის წარმოდგენას ენდოს ამ მკითხველზე, ის მოთხოვნილება გაითვალისწინოს, რომელსაც მას მიაწერს, ის ზეგავლენა მოახდინოს, რომელსაც თვითონ ისურვებდა. მაშ ვიღასთვის წერს მწერალი? პასუხი ცალსახაა: საკუთარი თავისთვის.

ასეა თუ ისე, შეიძლება ვამტკიცო, რომ ამ პასუხამდე შემოვლითი გზით არ მივსულვარ. თუმცა ეს მე უფრო იოლად მოვახერხე: მე მკითხველი არ მყავდა და არც ვინმეზე გავლენის მოხდენას ვიზრახავდი. წერა მიზანდასახულობის გამო არ დამიწყია, ხოლო რასაც ვწერდი, არავის მიემართებოდა. თუ ჩემს საქმეს რაღაც მიზანი მაინც ჰქონდა, ის მხოლოდ ერთ რამეს გულისხმობდა — ენისა და ფორმის თვალსაზრისით მართალი ვყოფილიყავი შემოქმედების საგნის წინაშე. ე.წ. ანგაჟირებული ლიტერატურის სახელმწიფო რეგულირების სა-

საცილო და, ამავდროულად, სევდიან ეპოქაში ეს არცთუ ისე ადვილი საქმე გახლდათ.

უფრო ძნელდება მეორე, სავსებით მართლზომიერ, თუმცა უთვალავი ეჭვის წარმომშობ კითხვაზე პასუხის გაცემა: რისთვის ვწერთ? აქაც გამიმართლა, რადგან ისე მოხდა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ფიქრი აღარ დამჭირვებია. სხვათა შორის, ეს შემთხვევა სიტყვა-სიტყვითაა აღწერილი ჩემს რომანში „ფიასკო“. აი, რა მოხდა: ერთი სახელმწიფო დანესებულების უკაცრიელ



დერეფანში ვიდექი, როცა ჩემთვის მეორე უხილავი გვერდითი დერეფნიდან ნაბიჯების ხმა შემომესმა. ამან უცნაურად აღმაგზნო: ნაბიჯების ხმა მიახლოვდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ დერეფანში, ალბათ, ერთი ადამიანი მოაბიჯებდა, უცებ მომეჩვენა, რომ ათასობით კაცის ნაბიჯების ხმას ვუსმენდი. თითქოს კოლონა მარშირებდა, და უცებ ვიგრძენი საოცარი მიზიდულობა ამ კოლონასა და ნაბიჯებთან. იმ წუთში, დერეფანში მდგომი, მივხვდი, რას ნიშნავს თავგანწირვის ექსტაზი, მასაში გათქვეფის შეგრძნების გამაბრუებელი ნეტარება, ის, რასაც ნიცშე, თუმცა სხვა, მაგრამ ამ შემთხვევისათვის ვარგის კონტექსტში, დიონისეს განცდას უწოდებდა. თითქოს რაღაც ძალა მექაჩებოდა, ამ რიგებთან შესარწყმელად მიზიდავდა; იძულებული გავხდი კედელს მივკვროდი, მოვჭიდებოდი, რათა ამ ჯადოსნურ ლტოლვას არ აეყოლოდი.

ჩემი ცხოვრების ამ დაუვიწყარი წუთების შესახებ ისე გვიამბეთ, როგორც განვიცადე; წყარო, რომლიდანაც მან მოვიტანებასავით იფეთქა, თითქოს ჩემში კი არა, არამედ სადღაც სხვაგან ყოფილიყო. ხელოვნების ხალხისათვის ნაცნობია ასეთი წუთები. ოდესღაც მათ უეცარ გასხვივონებასაც უწოდებდნენ. თუმცა ის, რაც მე განვიცადე, ძნელად თუ მიეკუთვნება ესთეტიკურ განცდათა კატეგორიას. მე უფრო ექსისტენციურ თვალისახელას ვუწოდებდი. ამან გამიკვალა გზა არა ხელოვნებისაკენ, რომლის ხერხებსაც კიდევ კარგა ხანს ვამუშავებდი — ამან დამიბრუნა საკუთარი ცხოვრება, ლამის რომ დამეკარგა. მართლობა გამოვცადე, უფრო მძიმე ცხოვრება შევიგრძენი, რომელთანაც მიმიყვანს ის, რაზეც გელაპარაკებოდი — სწრაფვა, თავი დააღწიო მიმზიდველ მწყობრს, ისტორიას, რომელიც სახესა და ბედს გიკარგავს. ძრწოლანარევი ფიქრით მივხვდი, რომ ნაცისტური ბანაკიდან დაბრუნებიდან სულ რაღაც ათი წლის შემდეგ, ცალი ფეხით სტალინური ტერორის ჯოჯოხეთურ კომპარში ჩაფლულს, ყველაფერ ამაზე ბუნდოვანი მოგონება და რამდენიმე ანეკდოტიღა შემრჩა. თითქოს ეს, როგორც იტყვიან, სულ სხვა ვინმეს გადახდა თავს.

როგორც ჩანს, ასეთ წამიერ გასხვივონებას თავისი პრეისტორია აქვს; ზიგმუნდ ფროიდი აქ, ალბათ, რომელიმე ტრავმისმომგვრელი შთაბეჭდილების განდევნას იეჭვებდა. ვინ იცის, ეგებ მართალიც აღმოჩენილიყო. მე უფრო რაციონალისტი ვარ და ვერიდები ნებისმიერ მისტიციზმსა თუ ექსტაზს, როცა ხილვას ვახსენებ, მაინც რაღაც რაციონალურს ვგულისხმობ, თუმცა — ზებუნებრივი ფორმით მოსილს; უეცარს; შეიძლება ითქვას, ჩემში დიდი ხნის განმავლობაში არსებული შეგნების ერთგვარ რევოლუციურ აფეთქებას; რაღაც ისეთს, რომელსაც ძველები გამოხატავდნენ შეძახილით — „ევერიკა!“ — „ვიპოვე!“ მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა ვიპოვე?

ოდესლაც ვთქვი, რომ ეგრეთწოდებული სოციალიზმი იმად მიმაჩნდა, რადაც მარსელ პრუსტს — ჩაიში ჩამბალ ორცხობილა „მადლენის“ გემოდ, რომელიც უცებ გახსენებს დაკარგული დროის ყველა გემოსა და სურნელს. 1956 წლის რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, უწინარესად იმისათვის, რომ ენა არ დამეკარგა, უნგრეთში დარჩენა გადავწყვიტე. საშუალება მომეცა მოქმედ დიქტატურას დავეკვირვებოდი — არა ბავშვის, არამედ ან უკვე ზრდასრული ადამიანის თვალთ. ვხედავდი, როგორ აიძულებდნენ ხალხს, უარეყო საკუთარი იდეალები, ვხედავდი პირველ, გაუბედავ მოძრაობას იმ ადამიანთა, რომლებიც რეჟიმთან შეგუებას ცდილობდნენ, და მივხვდი, რომ იმედი — ეშმაკის ინსტრუმენტი, კანტის კატეგორიული იმპერატივი კი — თვითგადარჩენის მხოლოდ დადამყობილი მოახლე.

განა შესაძლებელია იმაზე მეტი თავისუფლების წარმოდგენა, რომელსაც მწერალი შედარებით შეზღუდულ პირობებში, შეიძლება ითქვას, დალოი, დასაცემად გამზადებული დიქტატურისას ფლობს? 60-იან წლებში უნგრულმა დიქტატურამ კონსოლიდაციის იმ მდგომარეობას მიაღწია, რომელსაც, თუ მოისურვებდი, საზოგადოებრივ კონსენსუსსაც კი დაარქმევდი და რომელსაც დასავლური სამყარო მოგვიანებით კეთილგანწყობილი გულგრილობით უწოდებდა „გულიაშკომუნისმს“; ისე ჩანდა, დასავლეთისათვის, რომელიც თავდაპირველად ერთგვარ უსიამოვნებას განიცდიდა, უნგრული კომუნისმი საყვარელ კომუნისმად იქცა. ამგვარი კონსენსუსის ჭაობში ადამიანი საერთოდ უარს ამბობდა ბრძოლაზე, ან პოულობდა მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს, რომელთაც იგი შინაგან თავისუფლებამდე მიჰყავდა. მწერლის ხელობა დიდ დანახარჯს არ მოითხოვს; მას რომ მისდის, ქალაქისა და ფანქარის ქონაც საკმარისია. ყოველ დილით გაღვიძებისას, გულზიდვითა და დათრგუნულობით გათანგული, უცებ აღმოჩნდებოდი იმ სამყაროში, რომლის აღწერაც მსურდა. ძალიან მაღლე ვაგაცნობიერე, რომ აღვწერ ტოტალიტარული ლოგიკის უღელქვეშ მყოფ ადამიანს, გადაწყავს იგი სხვა ტოტალიტარისმის სისტემაში, და ეს ჩემი რომანის ენას ორი რეალობის ჰიბნოზურ მედიატორად აქცევს. მაშინდელი ჩემი მდგომარეობის გულწრფელი შეფასებისას სულაც არ ვფიქრობ, დასავლურ თავისუფალ საზოგადოებაში რომ მეცხოვრა, დაგწერდი სწორედ იმ წიგნს, რომელიც დღეს ცნობილია რომანად „უბედო“ და რომელიც შევედეთის აკადემიამ აღიარა.

არა, ალბათ, სხვაგვარად წერას ვეცდებოდი. შესაძლოა ისიც სიმართლე ყოფილიყო, მაგრამ — სხვაგვარი. წიგნებისა და იდეების თავისუფალ ბაზარზე, ალბათ, მეც მომიხდებოდა თავის მტკრევა რომანის უფრო მკვეთრი, უფრო მიმზიდველი ფორმის მოსაძებნად: მაგალითად, შემქმლო რომანული დროის დამსხვრევა, რათა ყველაზე შთაბეჭდავ ეპიზოდებზე მეამბნა. მაგრამ ჩემს ამბავში საკონცენტრაციო ბანაკის ტუსალი თავის დროში ცხოვრობს, მას არაფერი გააჩნია — არც დრო, არც ენა, არც პიროვნება. ის არაფერს იგონებს, მხოლოდ არსებობს. ამიტომ ჩემს უბედურ გმირს ისლა დარჩენოდა, გათომილიყო თანმიმდევრული თხრობის გამოუვალ სირუხეში; მას არ გააჩნდა საშუალება, თავი აერიდებინა მტანჯველი წერილმანებისათვის. დასამახსოვრებელი, ტრაგიკული, დიადი წუთების ნაცვლად მას ყველაფრის გადატანა მოუხდა, ეს კი არანაკლებ მძიმე და ერთფეროვანია, ვიდრე — თვით ცხოვრება.

თუმცა ამ გამოცდილებამ თავზარდამცემი რამ მასწავლა. თანმიმდევრული თხრობის პრინციპი მოითხოვდა უკლებლივ ყველა სიტუაციის წარმოდგენას და ნებას არ მძლევედა, ვთქვათ, მსუბუქად გადავფრთხილებოდი ოც წუთს მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ამ ოც წუთს — საძმო საფლავივით უცნობ და საზიზარ შავ ორმოს — ჩემს წინაშე პირი დაეჭინა. ვგულისხმობ იმ ოც წუთს განადგურების ბანაკ ბირკენაუს სარკინიგზო პლატფორმაზე, რომელთა გასვლის შემდეგაც,

ვაგონებიდან გამოყრილი ხალხი წარდგა „სელექციით“ დაკავებული ოფიცრის წინაშე. მე ზოგადად დამამახსოვრდა ეს ოცი წუთი, მაგრამ რომანი მოითხოვდა, არ დამეჯერებინა საკუთარი მესხიერებისათვის. თუმცა რამდენი ანგარიში, საბუთი თუ მოგონებაც წავიკითხე, თითქმის ყველა ადასტურებდა, რომ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა და რამის გაგება შეუძლებელი იყო: უეცრად იღებოდა ვაგონთა კარი, ისმოდა ყვირილი და ძაღლების ყევა, მამაკაცებს ქალთაგან აცალკევებდნენ, უგონო არეულობაში ადამიანები საბოლოოდ ოფიცრის წინ იდგნენ, რომელიც ერთს გადახედავდა, გაურკვეველი მიმართულებით აიქნევდა ხელს და ისინი უკვე ტყვის ტანსაცმელში ეხვეოდნენ.

მე ეს ოცი წუთი სხვაგვარად დამამახსოვრდა. და პირველწყაროს ძიებისას უწინარესად წავიკითხე ტადეუშ ბოროვსკის გულისშემძვრელი და თვითგვემამდე სასტიკი მოთხრობები, მათ შორის, ამ სახელწოდებისაც: „ბატონებო და ქალბატონებო, გთხოვთ, გაზის კამერაში შებრძანდეთ!“ შემდეგ წავაწყდი ფოტოთა სერიას, რომელიც ამერიკელებმა თავის მიერ გათავისუფლებულ დახაუს ბანაკში იპოვეს: ესესელი ჯარისკაცი ცოცხალ საქონელს ბირკენაუს რკინიგზის სადგურზე აღბეჭდავდა. თავზარდაცემული დაცვექროდი ამ სურათებს. ქალის ლამაზი მომღიმარი სახეები, გამომცდელი მზერის მქონე ჭაბუკები, რომელთაც კეთილი განზრახვა და თანამშრომლობის სურვილი ამოძრავებდათ. და მივხვდი, რატომ და როგორ გაქრა მათ მესხიერებაში უმოქმედობისა და უსუსურობის ეს ოცი სამარცხვინო წუთი. და როცა გავიფიქრე, რომ ყოველივე ეს ამავე ფორმით მეორდებოდა ყოველ დღე, ყოველ კვირა, ყოველ თვე, ბევრი წლის განმავლობაში, თვალწინ წარმოვიდგინე სისასტიკის ტექნოლოგია, რომელიც განმარტავდა, როგორ შეიძლება ადამიანური სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართო ადამიანურივე ბუნება.

ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდი აღმოჩენათა უსასრულო გზაზე; ეს იყო, თუკი ასე შეიძლება თქმა, ჩემი ევრისტიკული მეტოდი. მაღლე მივხვდი, რომ ჩემთვის ყველაზე მთავარი ის კი არ არის, ვისთვის ვწერ, და არც ის, რად ვწერ. მხოლოდ ერთი რამ მაღლევეს: საერთოდ, კიდევ რა მაკავშირებს ლიტერატურასთან? რადგან ნათლად ვიცოდი, რომ ლიტერატურას, მის იდეალებსა და სულელებს, რომლებიც ლიტერატურის ცნებასთან ასოცირდებიან, მაცილებს გადაულახავი მიჯნა და მას ჰქვია — ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს ჩემს ცხოვრებაში — ოსვენციმი.

როცა ოსვენციმზე ვწერთ, უნდა გვესმოდეს, რომ ოსვენციმმა — გარკვეული მნიშვნელობით — ლიტერატურა მართლაც შეუძლებელი გახადა. ოსვენციმზე მხოლოდ შავი რომანის ან — დე მეპატიოს ეს გამოთქმა — იაფფასიანი კიჩის დაწერა შეიძლება გაგრძელებებში — მოქმედება ოსვენციმში დაიწყება და დღევანდლამდე მოაღწევს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოსვენციმის შემდეგ აღარაფერი მომხდარა, ის რომ უგულუბელყო. ჩემს ნაწარმოებებში ჰოლოკოსტს წარსული დრო არასოდეს გააჩნდა.

მე, ხანდახან შექების მიზნით, ხანდახან კი — პირიქით, მასხრად ასაგდებად, ერთი თემის — ჰოლოკოსტის — მწერლად მიმიჩნევენ. ვერაფერს ვიტყვი, ზოგი რამის გამოკლებით მართლაც შემიძლია იმ ადგილის დაკავება, რომელსაც გამოიმყოფენ ბოლშევიკის სათანადო თაროებზე. განა არსებობს თანამედროვე ავტორი, რომელიც ჰოლოკოსტზე არ წერდეს? მგონია, საიმისოდ, რომ ადამიანებმა გაიგონონ ის ჩახლჩილი ხმა, რომელიც ათწლეულთა განმავლობაში ბატონობს თანამედროვე ევროპულ ხელოვნებაში, ჩემი აზრით, აუცილებელი სულაც არ არის შემოქმედების თემად ჰოლოკოსტის არჩევა. მეტიც: არ ვიცნობ ისეთ ჭეშმარიტ, მართალ ხელოვნებას, რომელშიც კი არ მოისმოდეს ამ მსხვერვის ხმა; ის ადამიანის იმ ხმას მაგონებს, რომელიც ნამებულ და უსუსურ მზერას ავლებს სამყაროს კომმარული ლამის შემდეგ. საკითხთა წრეს,

რომელსაც ჰოლოკოსტი აერთიანებს, არასოდეს განვიხილავდი გერმანელთა და ებრაელთა გადაუჭრელ კონფლიქტად; არასოდეს მიმიჩნევია ჰოლოკოსტი ებრაელთა ტანჯვის ისტორიის უახლეს თავად, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობდა წინარე განსაცდელისაგან; არასოდეს აღმიქვამს იგი ეგრეთწოდებული ისტორიის შემთხვევით და ერთეულ ხარვეზად, დარბევად, რომელიც სხვა დარბევათაგან მხოლოდ მასშტაბით გამოირჩეოდა, წანამძღვრად, რომელსაც ებრაული სახელმწიფო უნდა წარმოექმნა. მე ჰოლოკოსტში ადამიანური მდგომარეობა დავინახე, დიდი მოგზაურობის უმდაბლესი წერტილი, რომელსაც — თავისი ორათას წელზე მეტხინანი მორალურ-ეთიკური კულტურით — ევროპელმა ადამიანმა მიაღწია.

დღეს მხოლოდ იმაზე ფიქრი გვევალება, საით გავემართოთ — ამ ტვირთით ზურგდამძიმებულნი. ოსვენციმის პრობლემა ის კი არ არის, აქ გავავლოთ ზღვარი თუ არა, დავიმასხოვროთ იგი თუ ისტორიის გრძელ ყუთში გადავინახოთ, დავუდგათ თუ არა ძველი მილიონობით მოკლულს, და თუ უნდა დავუდგათ, როგორი უნდა იყოს იგი. ოსვენციმის ნამდვილი პრობლემა ისაა, რომ ის მოხდა, და ამ ფაქტს უკვე ვეღარ შეცვლის ვერც ყველაზე კეთილგანწყობილი და ვერც ყველაზე უმსგავსი სურვილები. ეს უმძიმესი ვითარება ყველაზე უკეთ, ალბათ, უნგრელმა პოეტმა, კათოლიკე იანოშ პილინსკიმ დაახასიათა, როცა მას „სკანდალი“ უწოდა, როგორც ჩანს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოხდა ქრისტიანული კულტურის სფეროში, და ამიტომაც სულიერ-მეტაფიზიკური მნიშვნელობის უბედურება გამოუსწორებელია.

ადრინდელი წინასწარმეტყველებანი გვარწმუნებენ, ღმერთი მოკვდაო. უდავოდ, ოსვენციმის შემდეგ ჩვენ მართლმარტონი დავრჩით. ჩვენი ღირებულებანი ახლა ჩვენვე უნდა შევქმნათ, ყოველდღიური, შეუდრეკელი, თუნდაც სხვათათვის უხილავი შრომით, რომელმაც ბოლოს და ბოლოს შესაძლოა შედეგი გამოიღოს და ეს ფასეულობანი ახალ ევროპულ კულტურას დაედოს საფუძვლად.

პრემიას, რომლითაც შედეგით აკადემიამ სწორედ ჩემი ნაშრომი დააჯილდოვა, იმის ნიშნად აღვიქვამ, რომ ევროპისათვის კვლავაც მნიშვნელოვანი გახდა გამოცდილება, რომლის ათვისებაც ოსვენციმის, ჰოლოკოსტის მოწმეებს მოუხდათ. ეს პოზიცია — თუკი ამის თქმის უფლება მაქვს — ადასტურებს ერთგვარ გამბედაობას და გარისკვის მზაობასაც კი, რადგან ვინც მე ეს ტრიბუნა დამითმო, როგორც ჩანს, იმასაც მიხვდა, რაზე ვილაპარაკებდი. მართლაც — ყველაფერი უნდა გავიგოთ, რაც ქვეყანამ l'univers concentrationnaire-ის მეშვეობით აღმოაჩინა, და სწორედ ჩვენ მიერ ამ უმდაბლესი წერტილის შეცნობაშია სასიცოცხლო ძალთა გადარჩენის ერთადერთი გარანტია. განა ნათლად დანახვა თავისთავად ნაყოფიერი არ არის? განჭვრეტის სიღრმეებში, თუნდაც ისინი უმძიმეს ტრაგედიას მოჰყოლოდეს, ყოველთვის ღივის თავისუფლების მარცვალი, უდავლესი ევროპული ღირებულება, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რაღაც ძალიან ძვირფასს მატებს, ჩვენი ყოფიერების რეალობას აღვიძებს და მასზე პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

განსაკუთრებით მიხარია, რომ აზრების გაზიარება თქვენთვის ჩემს დედაენაზე — უნგრულად — შემიძლია. წარმოშობით ბუდაპეშტელი ვარ, ებრაული ოჯახიდან, დედის ხაზით ტრანსილვანიური კოლოფარიდან, მამის ხაზით კი იმ ადგილებიდან, რომლებიც ბალკონის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებულია. ბებია და ბაბუა პარასკეობით, როდესაც შაბათის შესახვედრად ემზადებოდნენ, ჯერ კიდევ ანთებდნენ სანთლებს, თუმცა გვარი უკვე გადაეკეთებინათ უნგრულად. ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ ებრაელობა მათთვის რელიგია იყო, უნგრეთი კი — სამშობლო. დედაჩემის მშობლები ჰოლოკოსტის ცეცხლში დაიღუპნენ, მამაჩემისა კი — რაკოშის დიქტატურამ გაისტუმრა საიქიოში, როცა ბუდაპეშტის ებრაელ მოხუცთა თავშესაფარი უნგრეთის ჩრდილოეთში გადაასახლეს. მეჩვენება, რომ ეს მცირე ოჯახური ისტორია სიმბოლოა


ჩემი ქვეყნის ტანჯვის ისტორიისა უახლეს ეპოქაში. ყოველივე ეს იმას მასწავლის, რომ წუხილში არა მხოლოდ სევდაა, არამედ დიდი ზნეობრივი პოტენციალიც. ებრაელობა? მგონი, ეს ჩვენს დროშიც, პირველ ყოვლისა, ეთიკური ამოცანაა. და თუ ჰოლოკოსტს დღეს კულტურის შექმნა ძალუძს — და ეს სწორედ რომ ასეა — მისი მიზანი ერთადერთია: სულიერი ძალისხმევით შვას გამოუსწორებელი რეალობიდან ერთადერთი შესაძლო გამოსასყიდი — კათარსისი. სწორედ ეს სწრაფვა შთამაგონებდა ყოველთვის, რაც კი უნდა ჩამედინა.

თითქმის ყველაფერი ვთქვი, რასაც ვიზრახავდი, თუმცა გულწრფელად ვაღიარებ: მაინც ვერ მოვახერხე დამამშვიდებელი წონასწორობის მიღწევა საკუთარ ცხოვრებას, მწერლობასა და ნობელის პრემიას შორის. ამ წუთას მხოლოდ დიდ მადლიერებას განვიცდი — სიყვარულისთვის, რომელმაც გადამარჩინა და დღესაც მაცოცხლებს. თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, სხვებისაგან ოდნავ განსხვავებულ ჩემს გზაში, ასე ვთქვათ, ჩემს „კარიერაში“ არის რაღაც შემადრწუნებელი, რაღაც აბსურდული, რაღაც ისეთი, რომლის შეცნობაც უაზრობაა, თუ ცთუნებას არ აჰყევი და არ იწმუნე საგანთა ზებუნებრივი წესრიგი, განგება, მეტაფიზიკური სამართლიანობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვითმოტყუებით არ ცთუნდი, თავი ხიფათში არ ჩაიგდე, რიფებს არ გადააწყვიდი, არ დაიღუპე და დაკარგე მტანჯველი და ღრმა კავშირი იმ მილიონობით ადამიანთან, რომლებიც ისე მოისრნენ, მადლის არსი არც შეუცნიათ. ძნელია გამონაკლისად ყოფნა; და რადგან ბედმა ასეთი ზევდრი გვარგუნა, უნდა შევეგუოთ საგანთა აბსურდულ წესრიგს, რომელიც დამხვრეტთა ჯგუფისათვის ნიშანდობლივი მოულოდნელობით განაგებს ჩვენს ცხოვრებას — არაადამიანური ძალაუფლებისა და კომპარულ დიქტატურათა მძევალს.

და მაინც, ვიდრე ამ სიტყვას ვამზადებდი, ერთი უჩვეულო რამ მოხდა, რომელმაც გარკვეულად აღადგინა ჩემი სულიერი წონასწორობა. ფოსტით დიდი ყავისფერი კონვერტი მივიღე. გამომგზავნი მემორიალური კომპლექს „ბუხენვალდის“ დირექტორი, დოქტორი ფოლკჰალდ კნიეგ გახლდათ. ზრდილობიან მოლოცვასთან ერთად პაკეტში კიდევ ერთი, მომცრო კონვერტიც იყო: თუ მის გასახსნელად ძალა არ მეყოფოდა, დოქტორ კნიეგს ცალკე წერილი დავწერა. კონვერტში იყო ასლი ბანაკის პირადი შემადგენლობის ანგარიშისა, რომელიც 1945 წლის 18 თებერვლით დაეთარილებინათ. გრაფაში: **Abgänge**, რაც „დანაკარგს“ ნიშნავს, ამოვიკითხე ტყვე 64921-ის — იმრე კერტესის დაღუპვის შესახებ, რომელიც 1927 წელს დაბადებულიყო, ებრაელი და ქარხნის მუშა გახლდათ. საბანაკო სტატისტიკაში დაბადების წლისა და პროფესიის შესახებ ყალბი ცნობა შემთხვევით არ გაჩენილა: როცა ბუხენვალდის ფარულში ჩემს მონაცემებს ინერდენ, ორი წელი მოვიმატე, რათა ბავშვთა კატეგორიაში არ მოვგვედრილიყავი, და თავი მუშად გავასაღე, რათა უფრო სასარგებლოდ მივეჩნე.

ასე რომ, ერთხელ უკვე მოკვდი — მოკვდი, რათა გადავრჩენილიყავი. ალბათ, ეს არის ჩემი ნამდვილი ისტორია. ბავშვის სიკვდილის გამო დაბადებულ ჩემს ნიგნებს ვუძღვნი მილიონობით დაღუპულთა და მათ, ვისაც ისინი ჯერ კიდევ ახსოვს. და რადგან ბოლოს და ბოლოს ლიტერატურაზე ვლაპარაკობთ — რომელიც, თქვენი აკადემიის განსაზღვრებისამებრ, ყველაფერთან ერთად, ეპოქის მონომობაცაა — შესაძლებელია ჩემი ნაშრომი არც თუ უსარგებლო აღმოჩნდეს სამომავლოდ; მეტიც: სულითა და გულით მინდა, რომ ის მომავალს ემსახუროს. რადგან მეჩვენება, რომ ოსვენციმის ტრაგედიის ამგვარად გააზრებისას ვუახლოვდები თანამედროვე ადამიანის სიცოცხლისუნარიანობისა და შემოქმედებით შესაძლებლობათა ფუნდამენტურ საკითხებს; და ოსვენციმზე ასე ფიქრისას — თუნდაც ეს პარადოქსულად ჟღერდეს — წარსულს კი არა, მომავალს ვხედავ.

ინგლისურიდან თარგმნა
ნი ჯონსაქნი



ანზორ აბუანდაძე მრავალმხრივი მოღვაწეა, საინტერესო ცხოვრებისეული გზა აქვს განვლილი. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სფეროში ვხვდავდით. როცა ქვეყანას სჭირდებოდა, პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა, იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე, მეცნიერებაში, მაგრამ მთავარი საქმიანობა, რასაც მთელი ცხოვრების განმავლობაში მისდევს და არასოდეს შეუწყვეტია, არის ლიტერატურა. ბოლომდე რჩება ლექსის, ქართული სიტყვის, საერთოდ, სიტყვაკაზმული ხელოვნების სამსახურში. მკითხველს შესაძლოა ახსოვდეს მის მიერ გადმოღებული რუსული კლასიკის ნიმუშები, განსაკუთრებით ალექსანდრ პუშკინისა და ვასილი შუკშინის ნაწარმოებები. არც იმ სამეცნიერო შრომის დახეობა შეიძლება, რომელიც მან 20 წლის წინათ გამოაქვეყნა და იმთავითვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. ეს არის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი“.

რაც შეეხება ანზორ აბუანდაძის შემოქმედებას, ლექსებს ჭაბუკობიდანვე წერს, მაგრამ ძალიან ცოტას აქვეყნებს. როგორც ჩანს, დახვეწილი გემოვნება და მომთხროვნელობა საკუთარი თავის მიმართ აიძულებს მკითხველთან დამოკიდებულებაში იყოს ფრთხილი და მორიდებული. ამიტომ რასაც აქვეყნებს, არის ყოველთვის მრავალფეროვანი და საინტერესო. როგორც, მაგალითად, ეს ლექსები, რომლებსაც არც პოეტური გაქანება აკლია, არც სიღრმე და არც სიმსუბუქე. ყველა თემა საგულისხმოად აქვს ხორცშესხმული, მაგრამ ფილოსოფიური ჩაღრმავებები განსაკუთრებით კარგად გამოდის. ეს არის მისი სტიქია, მთავარი თემა, შინაგანი სამყაროს გამოხატვის ფორმა, სიცოცხლის ზეიმისა და ოპტიმისტური მრწამსის შექმნის საშუალება.

ანზორ აბუანდაძე

რალაც სხვა

გული გამძლეა, ის არაა სუსტი, სნეული, — არც “ამღვრეული”, არც “დამწვარი”, არც “დამსხვრეული”.

სულ ცარიელი სიტყვებია — მერე რამდენი — “გულგატეხილი”, “გულმოკლული” თუ “გულნატკენი”.

ჰო, უცნაური ეს ცხოვრება ტანჯვის ზღვა არი. გული გამძლეა. რაც ვერ უძლებს, რალაც სხვა არი.

* * *

რაც რაიმე გვიშრომია, მიწად, ნაცრად ქმნილ არს... სულ მწარეა, სულ შხამია საღამოც და დილაც.

რაც რაიმე გვინატრია, დარჩა ნატვრად მხოლოდ... გვირაბის წინ სინათლეა, სიბნელეა ბოლოს.

სულ ფუჭია, სულ ფარსია, სულ ჭირი და ქატო... მაგრამ მაინც... ლამაზია... მაგრამ მაინც... გმადლობთ...

* * *

შეუცნობელი, იდუმალი სანუთრო ბრუნავს, ღმერთი აშენებს, დაანგრია სატანამ რაიც... ჰო, ბოროტებას სიკეთე სძლევეს, სიკეთე თრგუნავს, ხანდახან მაინც, ზოგჯერ მაინც, დროდადრო მაინც.

ღვინო ღვინოა, რამდენი რამ უმისოდ გვათრობს, რა შეედრება იმ განწყობებს, იმ ღვთიურ ხალისს... ჰო, სიხარული ჩვენთანაა, ჩვენს გულებს ათობს, ხანდახან მაინც, ზოგჯერ მაინც, დროდადრო მაინც.

ღამდება, ვატყობ, და თანდათან ჩამოდის ბინდი, და სინანულით ვეგებები გარდუვალ დაისს... ჰო, სიცოცხლეო, კარგი იყავ, და ვამბობ — ღირდი, ხანდახან მაინც, ზოგჯერ მაინც, დროდადრო მაინც...

სუთი ლექსის გალადა

ექვიანი ღიმილით ვუძღვნი ჩემს გულშემატიკორებს

მისაყვედურეს: “ბოლო ხანს ლექსებს არ სწერო რატომ?.. იქნებ გაგიცვდა კალამი, ან დაგიჟანგდა მთლად?..” “რა გითხრათ-მეთქი? — ამ მწარე საყვედურისთვის გმადლობთ, თუნდ ხვალვე სუთ ლექსს დაგინერთ, — არად ვარგივარ სხვადა...”

დავჯექიწერად... სუთს? — ვერა! — ყურს ცუდად ხვდება “სუთი”... ოთხია წმინდა, ღვთიური... ოთხი გამიხსნის ცას!.. აჯობებს, ოთხჯერ დამედოს რითმის ტკბილ-მწარე ხუნდი, ოთხჯერ გავალო გული და ოთხჯერ შემოვკრა ზარს...

მაგრამ... ეს ოთხი მაეჭვებს, — რა ვი, — ბევრია, მგონი... ვინ უწყის ნება განგების?.. უწყალოდ მიჰქრის დროც!.. სწრაფია ბედის მდინარე... ვაჰ, დრონი... დრონი... დრონი... გადაწყდა: სამ ლექსს ვიკმარებ, ბევრიც გამქირონ რომც.

სამს?.. არა, ორი სჯობია!.. კი, — ორი მინდა სწორედ! ორი — სიცოცხლის წყაროა, ერთი ბუდე აქვს ორს... სინათლეს ორთავ თვალისა გაედევნება შორეთს და მაინც სადღაც იპოვის თავის მეორეს — სწორს...

ჰო, მაგრამ... ღმერთი ერთია... სახე ყოვლისა ტანის... უცნაური და უთქმელი... სასოება და სხნა... ჰო, ერთი ლექსიც მეყოფა დათრგუნვად მე სატანის, თუკი, უბრალოდ, კარგია, და... არაფერი სხვა...

მაგრამ... რა ვუყო ამ ერთსაც, რა გასაქანი მივცე?.. ირგვლივ სუსხია... ზამთარი უკვე მომადგა კარს... ხომ არ სჯობს, დავნვა, რომ თუნდაც პატარა ცეცხლად იქცეს, თუ — ამ გაძარცულ ტოტებში გავასაუბრო ქარს?

ჩამი ოცდამეერთი

ჩემი ოცდამეერთე: წინ — უცნობი შორეთი, ჩემი წილი, ახალი გრძელი ათასწლეულის, ბოლო, უკანასკნელი ამოსუნთქვა პოეტის, — სასტიკ მეოცისაგან ძლივ-ძლივ თავდაღწეულის.

ჩემი ოცდამეერთე: შემოდგომის ფერებით მოჩითული ცხოვრების ბოლო აღმართ-დაღმართი...

დაგმანული კარიბჭე იდუმალი მშვენების,
და ბოლო გაჩერება დაქანცული საათის.

ჰო, ეს ჩემი ხვედრია, — ჩემი ოცდამეერთე,
ათი წელი — ახალი გრძელი ათასწლეულის,
ჰო, ეს ჩემი ბედია ერთი ჩუმი პოეტის,
უდაბნოში ამაო მლაღადებლად ქცეულის.

ცხოვრება ღაბი იხსნაღაბისა

სცენაზე ანგელოსები,
თუ გოგონები იდგნენ? —
ცრემლი სდიოდა აკაკის,
ისე კარგები იყვნენ!
მის ლამაზ ლექსებს მღეროდნენ,
ბულბულელებით ხმოვდნენ,
მღეროდნენ, მაგრამ მორცხვობდნენ, —
მგოსნის წინაშე კრთოდნენ...

მერე, როდესაც სასტიკი
ქარტეხილები ჰქუხდნენ,
მოდოდნენ და მღეროდნენ,
თუმცა ჰგლოვობდნენ და სწუხდნენ.
მერე, როდესაც ავსულნი
ქვეყანას სისხლში ჰბანდნენ,
მოდოდნენ და მღეროდნენ, —
სევდიან ფრესკებს ჰგვანდნენ.

წყვიდადში ნათელ-სხიობდნენ
და სანთლებივით ენთნენ,
მოდოდნენ და მღეროდნენ, —
წყლულებს მალამოდ ედგნენ.
მოდოდნენ და მღეროდნენ,
და... ამაყები იყვნენ!
მერე გარდავლეს სოფელი
და — სანთლებივით მიქრნენ.

ხუმრობისაპური

დაუკარ, ჩემო ჩანგურო,
ამაილე ხმაო, —
სამოცდაათს მივადექი,
ეხლა რაღა ვქნაო?

შენ რას მეტყვი, მეგობარო,
ძმობილო თუ ძმაო?
შენ, მიხვეულ-მოხვეულო,
სად მიგყავარ, გზაო?

შენ სად მიხმობ, სად მეძახი,
იდუმალო ხმაო?
შენ რას დაჰფლავ, რას დაჰფარავ,
მძიმე, ცივო ქვაო?..

დაუკარ, ჩემო ჩანგურო,
ამაილე ხმაო,
სამოცდაათს მივადექი, —
ახლო არის ხსნაო...

ანა კალანდაძე

მახსოვს, როდესაც პირველად
მე წავიკითხე ანა,
რა შუქმა შემომანათა,
რა უნაზესმა ცამა!

რა კდემა იყო, რა კრძალვა,
რა სინატიფე ზენა!
რა სათნოების ზღვა იყო,
რა ვარსკვლავების ცვენა!

რა ბროლი იყო, რა ლალი,
რა ბადახში და მინა!..
დღესაც თვალებს მჭრის,
იმ წიგნმა
ისეთი შუქი მფინა.

ქართველ ემიგრანტებს

ჰო, თქვენ მანდ ხართ,
მანდ ცხოვრობთ, —
ანყობილ სამყაროში,
მანდ ქალაქიც კარგია და სოფლის იდილიაც...
აქ — ყველაფერს ჰყიდიან! იყიდება ნამუსიც...
თუ — მანდედან მამულის მწარე კვამლიც ტკბილია?

მანდ წყნარია ხმაურიც, მანდ ხიბლი აქვს ქაოსსაც...
აქ — ჩონგურის სიმებიც უღმერთოდ აშლილია...
აქ — აღარ კითხულობენ ღვთიურ “ვეფხისტყაოსანს”...
თუ — მანდედან მამულის მწარე კვამლიც ტკბილია?

აღბათ ხშირად დამტკბარხართ წარმატებით, დიდებით...
აღბათ ასეც მომხდარა, - უგზო-უკვლოდ გვილიათ...
აღბათ ზოგჯერ ფანჯრის წინ უნებურად რინდდებით...
ჰო... მანდედან მამულის მწარე კვამლიც ტკბილია.

შოთა ჩანტლაძის მასტიარ-კლასი

მგონი 1982 წელი იყო. ლიტერატურის მუზეუმში
გურამ რჩეულიშვილის, ფილიპე ბერიძის, ყარამან კიკ-
ვიძის და შოთა ჩანტლაძის ხსოვნის საღამო ჩატარდა...
ამ დროისათვის შოთა ჩანტლაძის ერთადერთი მომცრო
პოეტური კრებული იყო გამოქვეყნებული და ორიოდ
საჟურნალო პუბლიკაცია, ისიც სიკვდილის შემდეგ...

შოთას ხსოვნის საღამოზე მორიდებით გამოვედი,
წრფელად დავახასიათე, როგორც კაცი და პოეტი.

მომინონეს, ტაში დაჰკრეს, მაღლობა და ქება მითხრეს;
წიგნიც რამე მისახსოვრეს;
"იცნობდიო შოთას?" — მკითხეს.

არ ვიცნობდი; — მეგობართა გადმოცემით გავიცანი,
რომელთათვის პოეტი და კაცი იყო საფიცარი.

საბჭოური იდგა ჟამი, — ჟამი სუკ-ის და ცეკასი,
იმ ყიამეთს აბრწყინებდა თურმე შოთას მასტიერ-კლასი.

ბაღში უნივერსიტეტის ჯგეროდ ახლდნენო მონაფენი, —
 მისი ლექსის მწარე რითმის, წრფელი სიტყვის მონადენი.
 ჰო, დრო იყო საბჭოური, უძრობა გაგანია...
 პოეზიის გენერლებიც მიიმალნენ რა ხანია...

რაც ხდებოდა, ისევ მოხდა: მოკვდა კაცი და დაფასდა...
 ახლა მისი წიგნთა-წიგნი იბეჭდება დასტა-დასტა.

მაგრამ დარჩა სინანულად დიდი პოეტი და კაცი,
 მისი წიგნი — მისი განძი, მისი ბალის მასტერ-კლასი.

ჩიტები ცაში კვდებიან

ჩიტები ცის შვილებია
 და ფრთებდა ცის ნაჭრები აქვთ,
 ჩიტები ცაში კვდებიან
 და მკვდარნიც ცაში რჩებიან,
 ცის მოყვარული გული აქვთ,
 ცით მობერილი გონი აქვთ,
 ჩიტები ცაში კვდებიან...
 ასე მსურს... ასე მგონია...

ზინა კვერენჩილაძე

მარჯანიშვილის ხიდზე
 გადავდიოდი ერთხელ,
 ქალი შევნიშნე ერთი
 ხიდის იქითა თავში,
 მოჰქონდა კარგა დიდი
 ორკაპიანი ჯოხი,
 და თეთრი, გრძელი შარფი
 უფრიალებდა ქარში.

დამინახა და უცებ
 მალლა შემართა ჯოხი,
 მემუქრებოდა, ხელით
 ყელზე იხვევდა შარფსაც.
 გავიფიქრე: „აი, შარი!
 ვაითუ კიდევ მომცხოს!“ —
 და დავაპირე ხიდის
 იქეთ-მხარეზე გაცლა.

მაგრამ ვიცანი უცებ:
 ღმერთო! — ეს იყო ზინა!
 კვერენჩილაძე! — დიდი
 მსახიობი და ბავშვი!
 ჯოხს მიღერებდა, თანაც
 იღიმებოდა თბილად,
 და მხიარული სხივი
 უთამაშებდა თვალში.

მე მივესალმე კრძალვით...
 მიმიხვდა — კითხვა მსურდა, —
 რისთვის მიჰქონდა ჯოხი
 ასე ამაყად, ლაღად?
 „ეს ჯოხი, ჩემო კარგო,
 დარისპანისთვის მინდა,
 აქამდე — შეშა იყო,
 ახლა — სცენაზე ნახავთ...“

...ასეთი იყო ზინა, —
 უბრალოცა და დიდიც...
 (დმანისელთათვის იგი
 მაშინ „დარისპანს“ დგამდა);
 თვალს აყოლებდა ხალხი
 სიყვარულით და რიდით, —
 მარჯანიშვილის ხიდი
 ერთნამს დიდ სცენას ჰგავდა.

**ნუთისოფლო,
 დავზავდეთ**

ხან ტკბილი იყავ, ხან მწარე,
 ხან ჯილდო, ხანაც სასჯელი...
 ნუთისოფელო, დავზავდეთ, —
 არც შენი იყოს, არც ჩემი!

გამოჩნდა ჩემი საძვალე,
 სივრცე ორიოდ საჟენი...
 ჰო, მე ვერაფრით დაგძალე,
 შენც უკვალოდ ვერ წამშალე, —
 არც შენი არის, არც ჩემი!

პატრიარქის ჩაბრძანება დმანისში

1982 წელს არქეოლოგ ჯუმბერ კოპალიანის
 ინიციატივით საქართველოს პატრიარქი დმანისს ეწვია.
 1987 წელს დმანისის სიონი ამოქმედდა.

გადადო საქმე,
 არც არაფრად ჩააგდო დალლა,
 წინაპართ კვალის გარდავლება ისურვა თვალის;
 მიმოიხილა, მოილოცა, აკურთხა, ნახა...
 ოთხმოცდაორში პატრიარქი ჩაბრძანდა დმანისს.

ნაშთნი, ნაშაღნი სასახლეთა, ციხეთა, ბაღთა,
 ნახა დიდების ნამუსრევი, გამქრალი ლამის;
 წმინდა ტაძარი ცხვარ-ძროხათა სადგომად დახვდა...
 ოთხმოცდაორში პატრიარქი ჩაბრძანდა დმანისს.

და იყო ბრძოლა სატანასთან, წყვილიადთან, ჯანლთან...
 ხუთი წლის ბრძოლა...
 აღსრულება ღვთიურის ვალის...
 ტაძარი ღვთისა შეიმოსა, გაბრწყინდა, აღდგა...

ოთხმოცდაორში პატრიარქი ჩაბრძანდა დმანისს.

თქვენ სულ აქა ხართ

იყო იმედი, იყო სწრაფვა, იყო ზეიმი,
 იყო ნალველი, იყო ფიქრი, იყო ცხოვრება,
 იყო დღეები — უფერულიც, მწარეც, საამოც,
 რაც არასოდეს, არასოდეს განმეორდება.

მაგრამ თუ უკვე საყუდარი ჰპოვეს ვნებებმა,
 მოგონებების ბიბინებენ კვლავაც კორდები!
 ჰო, თქვენ აქა ხართ, სულ აქა ხართ, მოგონებებო,
 და უამრავჯერ, უამრავჯერ განმეორდებით...



ფორმა და შინაარსი. კარგად დავიწყებული ძველი, რომელიც მაშინ გვახსენდება, როდესაც რაიმე განსხვავებულს, ორიგინალურს, სამსჯელოს, საკამათოს ვაწყდებით. მაია ჯოლობორდი გთავაზობს ფორმას, რომელიც შესაბამის შინაარსს ატარებს. გამომსახველობითი საშუალებები — ლექსის სტრუქტურა, თავისუფალი სტრიქონები, ცხოვრებისეული მასალა — იდეის გამოსახვას ემსახურება: სიყვარული როგორც გზა, სვლა შეუცნობელისაკენ. იდეურ-ესთეტიკურ გააზრებაში უცხო კულტურის დეტალებიც მონაწილეობს. თუმცა მთავარი მაინც ემპირიული მასალაა, რეალური, ცხოვრებისეული ფონი თავისი პროზაული შინაარსით, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს პოეტურ მუსხტს. არის ამაში რაღაც გონივრული, აუცილებელი, საჭირო, გარდაუვალი. ცნობილი გამოთქმის პერიფრაზი რომ მოვიშველიოთ, ლექსი პროზის ელემენტების გარეშე დაკარგავდა თავის მომხიბვლელობას. პოეტური პროზაიზმებით ავტორი თითქოს ამოკლებს დისტანციას ლექსიდან მკითხველამდე. მეტიც, აადვილებს ტექსტის აღქმას, ყოველ შემთხვევაში, უშუალოდ და სინრფელის ფლუიდები მოდის სტრიქონებიდან. მიგნების ეფექტიც მიღწეულია და რწმენაც, რომ ეს, რასაც ვკითხულობთ, გასაგებია, მისაღებია, გასაზიარებელია, როგორც ფსიქოლოგიური რეალობა და როგორც საგანთა პოეტური წყობა. ლექსის ექსპრესიას ამძაფრებს ფიქრი იმაზე, „თქმა რომ არ უხერხდება სიტყვაში რომ ვერ ჩაატყე ფრაზაში რომ მოათავსებ“.

დაბოლოს, გინდა-არ გინდა, ჩნდება კითხვა, რას აწესრიგებს რღვევა, რომელიც პუნქტუაციის წესებს ეხება, როგორ მოძრაობს აზრი სტრიქონთა სისხლძარღვებში, სადაც არცერთი სასვენი არ კეტავს გზას, არცერთი „მძიმე“ არ „აპაუზებს“ აზრის გადაცემას.

ერთი სიტყვით, მასალა განსჯისათვის: ფორმა და შინაარსი.

მაია ჯოლობორდი

ჰაიკოს სამზარეულო

მე აიმი ვარ მკვდრეთით აღმდგარი სიყვარულის ქალღმერთი
 ნარინჯისფერ სარაფანას ოქროსფერ კულონსა და
 მინიატურულ კეტებს გამოვექეცი
 აი აქ ვცხოვრობ ჰაიკოს მთებში
 ობობები მიქსოვენ სახლებს
 ბუერები მათობენ და ვხედავ სიზმრებს
 ჩემი სამზარეულოც აქ შეიქმნა
 ერთფეროვანი თუმც ნოყიერი ერთჯერადი კვებით
 მთელი დღე კმარა ერთი კერძი

ღლის მენიუ (კვების რაციონი)

1. ბაკურიანის სიზმარი ვისკის არომატით —
2. ძველის სიზმარი მშრალი ღვინის არომატით —
3. აბასთუმანის სიზმარი მონაზვნების წყაროს არომატით —
4. ქობულეთის სიზმარი შტროსა და ტეკილას არომატით —
5. ზედა დიშის სიზმარი ველური პიტნის არომატით —

1. განმარტება:

თოვდა მე არ ვიცოდი რა უნდა მცმოდა
 გაუგებრად გამოგედევნე
 წამოდიო და წამოგყვი მახსოვს ჩვენი გოგონას
 გაფართოებული თვალები
 ციგაზე გამობმული მისი სიცილი გაყინული ხელები და ლუმელი
 ჩვენს სიცივეს ნებისყოფით რომ ათბობდა
 კიდევ შიში ჩვენი ბიჭის თვალებში ღამეზე
 ერთი ჭიქა ვისკის შემდეგ მთვარეს ლაქები დაეკარგა
 ფინჯანზე კი წითელი ყვავილები აცეკვდნენ
 კიდევ ის მახსოვს თქმა რომ არ უხერხდება
 სიტყვაში რომ ვერ ჩაატყე ფრაზაში რომ ვერ მოათავსებ
 გამთბარი თოვლი.

2. განმარტება:

მწვანე სისავსე ბავშვობიდან წამოყოლილი მიწის სუნი
 გელოდები და მეშინია რომ მოხვალ რა უნდა გითხრა იმაზე მეტი
 რასაც ხედავ აქ მინა და მწვანე სისავსე მშობლიური
 თვალს გარიდებ მერე გაკვირდები დიდხანს გაკვირდები
 როგორ ჭამ ატამს როგორ ნვები მდელიოზე
 როგორ მიშლიან ძველებურად ნერვებს ბავშვები
 რომლებიც ჩვენია და გვიყვარს

მე გსუნავ და კვლავ ვერ ვახერხებ ლაპარაკს
 შენ მიწის სუნი აგდის
 ფრაზები სიტყვებს ვერ აგროვებენ კვლავ.

3. განმარტება:

შემოთავაზება მივიღე არ მენახა აღმოსავლეთი
 სტეპები და ჰაერი რომელიც ფილტვებისთვის საკმარისზე მეტია
 მიხაროდა გზა ობსერვატორია და კოსმოსი
 ერთმანეთზე მიწყობილი მთები ჩვენი რისკის
 შესაძლებლობებს აყურადებდნენ
 ჩუმი ღიმილით აწყობდნენ ერთმანეთში დიალოგს და
 ჩვენზე ადრე იცოდნენ გადაწყვეტილება
 რომელსაც მივიღებდით
 მანამდე ვსუნთქავდით უხმოდ და ჭარბად
 დახარბებულ ერთმანეთს
 გაკვირვებული გოგონას სიტყვები ამ ხაჭაპურში ყველიაო
 რომ ამბობდა და პროტესტის ნიშნად უარს აცხადებდა ჭამაზე
 უპუროდ დაგვანაყრა მონაზვნების წყარომ
 არ გვეშინოდა მგლების და დათვების
 მიდიოდი და მოგყვებოდით ნდობითა და რწმენით ალვსილები
 გვჯეროდა მხოლოდ შენთან ერთად შეგვეძლო
 დაგვემარცხებინა დევები და
 უგზო გზა გაგვევლო ნისლებს შევხებოდით ხელებით
 ეს შენ გვასწავლე სუნთქვა რომლის ჩატევა სტრიქონებში
 არ შემიძლია
 ჰაერი ხომ სიტყვებზე გაცილებით მეტია.

4. განმარტება:

ზღვა ყოველთვის მიყვარდა მამამ შემეყვარა
 სიმშვიდისა და ფიქრის საუკეთესო შესაძლებლობა იყო ნაპირი
 აბუზუნებულს მამშვიდებდი წვიმაშიც კარგაო ზღვა
 მახსოვს როგორ ვბრაზდებოდი
 ქერა გაბურღულ თმებზე ჩვენს მანქანას განგებ რომ
 მიეთვისებინა
 მერე დიდხანს მცხვენოდა თვალის გასწორება შენთვის
 თუმც ხელს არ მიშლიდა შენს ზურგს ხელით შევხებოდი
 რიგრიგობით გამომეყვანა
 იეროგლიფები სიყვარულის კიდევ სიყვარულის კიდევ
 სიყვარულის
 შენ ინეჩი გიყურებდი და გიყურებდი სულ გიყურებდი და
 ვტკბებოდი
 იმდენად რომ ცხოვრებაში პირველად დავჯექი კარუსელზე
 ვიცოდი ცოცხალი უნდა ჩამოვსულიყავი აუცილებლად
 მე ხომ შენი ყურება უნდა გამეგრძელებინა
 მერე იყო დღემდე ამოუცნობი შტროს არომატი
 ტეკილა ღიმილით

მე ვსვამდი შენ მიყურებდი და გინდოდა
ისე დავმთვრალიყავი რომ შენც გყოფნოდა
შენი განწყობისთვის ყოველთვის ჩემი განწყობილება მთავარი
ვგრძნობ სიტყვებს რომელსაც ამბობ და რომელსაც არ ამბობ
მიყვარხარ მაგრამ ნყალი ხომ სიტყვა ნყალზე მეტია.

5. განმარტება:

სინამდვილეში ყველაფერი აქედან დაიწყო
ხელი ჩამკიდე და ბაღდათის მთებს მივადექით
აი ეს არისო ლურჯი ნაცრისფერი მწვანე ერთმანეთზე
მიყუდებული ხეობები
ჯადოსნური ზღაპრის დასაწყისს ჰგავდა იყო თან ეჭვს ბადებდა
ასეთი სილამაზის ნახვა მინაზე სადაც ხალხი ჩვეულებრივი
რიტმით დადის
და არავინ იმჩნევს რომ ბაღდათის ზეცასთან ვალში არიან
სადაც შეგიძლია ჰაერი მინა და ნყალი ერთად
მთლიანობად შეკრა

დაიძინო და არ გაიღვიძო
ან გელვიძოს და ძილზე უარი თქვა აქ ვერ იგებ
გძინავს თუ გლვიძავს
ველური პიტნის არომატით გათანგული
შენთვის სასურველ სიზმრებს ხედავ
და იკვებები — სწორედ ესაა ჰაიკოოს სამზარეულოც
შენთვის და შენით
გაჟღენთილი მინა ჰაერი ნყალი ტკბილი სიზმარი
ამის მერე შემიძლია ნარინჯისფერი სარაფანა ჩავიცვა
ოქროს კულონი ჩამოვიკიდო
მინიატურულ კეტებს გადავხედო და გითხრა მერე რა —
მიყვარხარ
დასკვნა — ჰაიკოოს სამზარეულო ერთფეროვანია
მაგრამ ნოყიერი
თუ შემომივლი მენიუც მრავალფეროვანი გახდება
მაგრამ ჩემთვის ესეც კმარა ძვირფასო
მაღლობ.



წვიმიან ქალაქში

წვიმიან ქალაქში ხომალდებს ელიან,
ზაფხული იკეთებს ვერცხლისფერ ნაწნავებს,
ვეძებდი ვარდებს და ნავანყდი ლელიანს,
წუშისფერ გუბებს, ჩუმად რომ მანვალებს.

გრძნობა თავს აფარებს წვიმიან ნოტებში,
გალუმბულ კულულებს ისწორებს ამაყი,
მიდის და დაეძებს დაჩეხილ ტოტებში,
დაკარგულ ბილიკებს, დაფერილს ვარაყით.

ზაფხულის თვალეში ცრემლებად იცრება,
ვაშლები, ატმები და ლურჯი იები,
უცდიან ხომალდებს, მდუმარედ უცდიან,
გუმბათს შევერცხლილი ჩიტუნიები.

წვიმიან ქალაქში ხომალდებს ელიან,
და ქარიც არ უკრთის მდუმარე საათებს,
ჩემს გულშიც წვიმათა რიტმი და ფერია
და ზეცის სარკეში დავდევე შენს ანარეკლს.

ნიკა
ჯალიაშვილი

ავტოპორტრეტი სარკეში

ჩემი სავიზიტო სტრიქონი: „ღმერთი იქ არის, სადაც მზე სახლობს“.
მე ვარ ნიკა ჯალიაშვილი. ბავშვობიდან ვწერ ლექსებს. არ ვიცი, რა მა-
წერიწებს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც მაიძულებს კალამი ხელში ავიღო და
ვწერო. ჰო, სიყვარულში იმედგაცრუებამაც ბევრი სტრიქონი დამაწერინა.
მახსოვს, თავიდან ლექსების წერა დავიწყე ანა კალანდაძის წიგნის სარჩე-
ვით: სათაურებით ვაწყობდი ლექსებს. ამ თამაშმა ძალიან გამიტაცა და მე-
რე სხვა პოეტთა სარჩევებსაც გადავწვი. მერე დრო გავიდა... დავამთავრე
უნივერსიტეტი და მე ისევ ვწერ ლექსებს, ხან მინონებენ, ხან მინუნებენ, მე
კი, როგორც ლადო ასათიანი იტყოდა, მჯერა, „ამქვეყნად მისთვის მოვედი,
რომ უნდა მხოლოდ ლექსები ვწერო“ ...
ეს კი სულ ახალი ლექსებია.

წვიმიან ქალაქში ხომალდებს ელიან,
ზაფხული იკეთებს ვერცხლისფერ ნაწნავებს,
ვეძებდი ვარდებს და ნავანყდი ლელიანს,
რაც იყო, დამთავრდა და აღარ მანამებს

ზაფხულის წვიმებში ნაქსოვი დარდები.
სხვა ჟრუანტელში ლივლივებს ქალაქი.
წვიმს და ხომალდებს კვლავ ელის დალილი
გაცქერის შორეთის რძისფერ ქარაფებს.

წლები

გავიდა წლები, გაფრენილი შენ ხარ მერცხალი,
და ლურჯ თვალეში შეგპარვია ფერი ნითელი.
ნუ დავივწყებ, ბრძოლის ველზე დავრჩი ცოცხალი,
ღია ჭრილობით ვკრთი კანკელთან გადათელილი.

იფრინე დიდხანს, მაგრამ მაინც ერიდე ქუხილს,
არ იცი, როდის დაენევა ღრუბლებს საფანტი,
ვიოლინოებს ქარი უკრავს მარადის ურჩი
გადაეყრები გზაზე უხვად ველურ ფანტომებს.

გავიდა წლები, მესმის წამთა წამების ექო.
ისევ უდაბნო, ისევ მარტო მგზავრი დალილი,

ვინ მოქსოვს ფარჩას და ვინ ჩაწნავს მასში იარებს,
ვინ გაანათებს ჩემს თვალებში წყვილად მალღიდან.

შენ ცისარტყელებს გაედევნე და წვიმის შემდეგ
სულ ჩაგესმოდა შორეული ლურჯი ძახილი
ხელზე წვეთივით მელვენტება სველი გრაგნილი,
და ასოები წუხან ჩუმად აქ თავდახრილი.

გავიდა წლები. გაფრენილი შენ ხარ მერცხალი,
და ლურჯ თვალებში შეგპარვია ფერი წითელი.
ნუ დაივიწყებ, ბრძოლის ველზე დავრჩი ცოცხალი,
ღია ჭრილობით ვკრთი კანკელთან გადათელილი.

ზამთარი

ზაფხული გადის, ცივ სიზმრებში ეხვევა ზამთრის,
და როგორც ვარდებს, მზის სხივებსაც ეტყობათ ხმობა,
ისმის ხარხარი ბალახებზე მკრთომარე თრთვილის,
დღეები მალე თეთრი ფერით შეიმოსება,

გზას კი გაჰყურებ გარდაცვლილი თვალების ხათრით,
და შავ სუდარას მიაფარებ ფერგაცლილ წარსულს,
ნუ დანებდები, შენს არაბულს დაჰკარ მათრახი,
და გაედევნე მოღანდებულ ზამთრისფერ ასულს.

ზაფხული მიდის, მაგრამ ზამთარს აქვს თავის ხიბლი,
როგორც ჩიტებთან მოსაუბრე ყინვის ლოლუებს,
მიადე ყინულს გადამწვარი მზისაგან შუბლი,
და შენს წამებას სიხარული დააბოლოებს,

ზაფხული გადის, ცივ სიზმრებში ეხვევა ზამთრის,
და როგორც ვარდებს მზის სხივებსაც ეტყობათ ხმობა,
ისმის ხარხარი ბალახებზე მკრთომარე თრთვილის,
დღეები მალე თეთრი ფერით შეიმოსება,

კახეთი

ალაზნის ნიავე ვენახებს ათრობს,
ვაზის სიმღერა მაჭრად იღვრება,
თონესთან მოხუცს ლანდები აკრობს,
თავის ბავშვობას ელიმილება.

კახეთმა თამადად სიღნაღი არჩია,
ყანებში ღვინოა მჩქეფარე კახური.
ბოდბიდან მონასტრის ზარები გვლოცავენ,
ლხინია ისეთი, ჯერარნახული.

იმ კახელ წინაპრის ცრემლებით ვინვებით,
რომელმაც ხანჯალი მტრის გულში ჩატოვა,
ოდესმე მის გვერდზე ყველანი დავწვებით,
ვერ იტყვის ვერავინ, საწყალი მარტოა.

კახურმა ნიავემა ერეკლეს ჩასძახა,
რომ გურჯანში მხედრები ელიან,
გლეხმა კი მარანში მახვილი მონახა,
სიზმარი არ არის — ეს მართლა მღერიან.

მთვარე კი დაჰყურებს კახელთა საფლავებს,
ვერ ბედავს ბალახიც მათ გულზე შადგომას,
მე ქართველ ბიჭებთან გადავალ ალავერდს,
მოგვასწრო ღვთის მადლმა წინაპართ აღდგომას...

რეკავდა ზარი

სამგლოვიარო რეკავდა ზარი,
მიჰქონდა კუბო სველი თვალებით,
და სასაფლაოს გარშემო ქარი,
ხეტიალობდა თალხი ძაძებით.

მინა იცდიდა, როგორც პირველი,
კოცნის სინათლეს უცდის ჭაბუკი,
და ოცდებოდა ამის მხილველი,
მღვდელი ფერგამკრთალ ლოცვის მწირველი.

კუბო დაჩრდილა ფერმა კუპრისამ,
თმებს ინენავდა ხესთან ქალწული,
და თავს იკლავდა მთაში არწივი,
მოხვეის სისხლით დანა დასმული.

და როცა საფლავს ვარდების წვიმა,
ხალხმა გულუხვად გადააღვარა,
ჩამოიქროლა მთიდან გრიგალმა,
შორს გაიტაცა ფიქრი დაღლილი.

ფიფქი წარსულიდან

წარსულში ისევ არ წყდება თოვა
და ყინვაგამძლედ იქცნენ თვეები,
ნუ ელოდები, ის აღარ მოვა,
ისევ ნაქცეულ ღამეს შეები.

შემოგისხია ზურგზე ოცნება,
და ქედმაღლურად მიჰყვები აღმართს,
გადაგავინყდა ამ სიარულში

რატომ მიდიხარ... ვინა ხარ... სად ხარ...
და ერთადერთი მღვიძარებს ფიქრი
ღმერთი იქ არის, სადაც მზე სახლობს.

წარსულში ისევ არ წყდება თოვა,
დაე ითოვოს მან მომავალშიც,
სადღაც ხრამია, მაგრამ არ გაკრობს,
სტრიქონებს იხდი, არა ხარ ვალში.
და სიხარულად ფერადებს ფიქრი.
შენ პოეტი ხარ
შეფარებული
მისი თვალების ტკბილ ვაშლოვანში.

წარსულში ისევ არ წყდება თოვა,
და ყინვაგამძლედ იქცნენ თვეები,
ნუ ელოდები, ის აღარ მოვა,
ისევ ნაქცეულ ღამეს შეები...



ჯოვანი ვეფხვაძე

წვიმიანი თბილისი

გურამ გოგიაშვილი

ისტორიის სიბლისვანჯარა...

**(ამავალი მკვალე პატარა იმერელი ბიჭისა,
რომელიც ჩვენი დროის ფრიალ გამორჩეულ
დიდ რუს პოეტს გაუწინაპრდა...)**

ცოტა შორ გზას მოვივლი, შორიდან დავინწყებ, რათა ბოლოში მშვიდობით გავიდე...

ისე მოხდა, რომ 1963 წლის გაზაფხულზე, უფრო ზუსტად, დაახლოებით შუა მარტი იქნებოდა, მოსკოვში მოვხვდი. სასტუმროში (Moskva), სადაც გავჩერდი, იოსებ ნონეშვილიც ცხოვრობდა. თავისი ახალი ლექსების რუსულად გამოცემის გამო სტუმრობდა მოსკოვს.

ერთ საღამოს იოსებმა თავის ნომერში გადამიპატიჟა. სტუმრებისთვის პატარა ქართული სუფრა გაეშალა კახური პენითა და ლაზათით (ჩვენებურ ხილთან ერთად ტაბლაზე თავს ინონებდა კარდენახული კვერცხისგულისფერი ჭაჭანაური, აგრეთვე ჯერ ისევე ნედლი ჩურჩხელები, რამდენიმე დედას პური და ოქროსფერდაკრული გუდის ყველი, მოსკოვის ჰავის გათვალისწინებით, რასაკვირველია, არც კახური ჭაჭა დავინწყებოდა გულუხვ მგოსან-მასპინძელს). სტუმარი სამი ჰყავდა — მიხეილ ლუკონინი, ვლადიმერ სოლოუხინი და სულ ახალგაზრდა ანდრეი ვოზნესენსკი, რომლის დასამშვიდებლად და გასამხნეველადაც მოეწყო ქართველ პოეტს ეს ჩვენებური ტრაპეზი და ორი ცნობილი საქართველოს მეგობარი რუსი პოეტიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით მოენვია... იოსები ანდრეის სახელით არ მიმართავდა, სულ ჩვენებურო, ჩვენებუროს ეძახდა, რისთვისაც მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია...

დამშვიდება და გამხნეება კი აშკარად დამფრთხალ ყმანვილ ანდრეი ვოზნესენსკის ნამდვილად სჭირდებოდა... ხოლო თუ რატომ იყო ესოდენ დამფრთხალი და აგრეიგად შემინებული ეს ახალგაზრდა კაცი, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა...

...1963 წლის 7 მარტს ავად გაბელადებული ნიკიტა ხრუმჩოვი პარტიულ ფუნქციონერებთან ერთად კულტურის მოღვაწეებს შეხვდა, რომელთა შორის, ბუნებრივია, ბევრი ახალგაზრდაც იყო (რ. როჟდესტვენსკი, ე. ევტუშენკო, ბ. ახმადულინა, ბ. ოკუჯავა, ა. ვოზნესენსკი). სწორედ იმ ხანებში ა. ვოზნესენსკიმ ქალაქ ვლადიმერში გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული („მოზაიკა“), რასაც ეგრევე დიდი სკანდალი მოჰყვა. „საბჭოთა ზნეობრიობის დამცველთ“ (უფრო სწორად, ვაიდანაცველთ) ხელად „სულ მაღლა, ზევით“ აფრინეს წერილები, რომ გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტი, გვარად ვოზნესენსკი, რომლის „ორაზროვანი, რიტორიკული ლექსები მრუდე სარკეში ასახავენ ჩვენს სინამდვილეს და ადამიანის ყველაზე ბნელ კუთხე-კუნჭულთ წარმოაჩენენ“. ამას დაერთო ის ამბავიც, რომ ა. ვოზნესენსკის გაბედული ინტერვიუ მიეცა მავანი პოლონელი ჟურნალისტისთვის, რომელმა ინტერვიუმაც ფრიალ აღაშფოთა „მთავარი საბჭოთა პოლონელი“ ვანდა ვასილევსკაია (დიდად სახელგანსმენილი უკრაინელი დრამატურგის, აკადემიკოს ა. კორნიჩუკის მეუღლე). ეს თავისი აღშფოთება ამ „მთავარმა საბჭოთა პოლონელმა“ სწორედ კრებულში 7 მარტს გამართულ თათბირზე „გადმოღვარა“. და ცბიერი ცრუბელადი ნიკიტა ხრუმჩოვი ამ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა! ეგრევე ტრიბუნაზე „გამოათრია“ თავზარდაცემული, დაელდიანებული ახალ-

გაზრდა პოეტი, რომელმაც პირველი ორიოდ სიტყვა თქვა თუ არა: როგორც ჩემი საყვარელი ვლადიმერ მაიაკოვსკი, მეც არა ვარ კომუნისტური პარტიის წევრი, მაგრამ როგორც იგი, მეც... და პირაქაფებულმა, გავეშებულმა ხრუმჩოვმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა, აღრიალდა, მაგრამ რა აღრიალდა: „დაგფშვნით, დაგფშვნით! უყურეთ ერთი, პარტიის წევრი არა ვარო. რახან ბრძოლაა, ბრძოლა იყოს! დენთი ჯერ არ გამოგვლევი და არც გამოგველევა. შენ ჩვენს ხალხს კი არ წარმოადგენ, პირიქით, არცხვენ... უყურეთ ერთი, როგორ ექლესება ჩვენი ხალხის მტრებს. შავ დღეს დაგაყრით, იცოდეთ... ხვალვე, დიახ ხვალვე, აიღეთ უცხოეთის პასპორტი და ბებიაჩემის მამასთან მიბრძანდით“...

ანდრეი ვოზნესენსკი ქვეყნიდან გაძევების შიშმა შეიპყრო. ვილაც-ვილაცების რჩევით მონანიების წერილიც კი გაგზავნა, თუმცა პასუხი არ ჩანდა... და ახალგაზრდა პოეტს პირველი ვინც ამოუდგა მხარში, ერთ-ერთი იოსებ ნონეშვილი იყო, რომელმაც მიხეილ ლუკონინსა და ვლადიმერ სოლოუხინთან ერთად, ნამდვილი ძმური მფარველობა გაუწია თავის თხუთმეტი წლით უმცროს მეგობარს, რომელიც მალევე გამოარდა, უმაღლესი ხელისუფლებისაგან საქვეყნოდ შერისხული და საბედისწეროდ აფორიაქებული, აქა-იქ უკვე ცერად მაცქერალ მოსკოვს და პირად სტუმრად ჩამოიყვანა საქართველოში. აშკარად დამთხვეული ხრუმჩოვის ავადსახსენებელი მმართველობის პირობებში იოსების მხრიდან ეს ფრიალ გაბედული, ფრიალ ვაჟკაცური ნაბიჯი იყო. თანაც ცნობილია, რა დაუფარავი სიძულვილით სძულდა ამ ლოთმებრუვე ხოხოლს იმ „მრისხანე“ გორელის სამშობლო, რომლის ანთებული ჩიზუხის თავში ჩაკაკუნებაც მთელი ცხოვრება გველის ნაკბენსავით ენვობდა.

მალე ანდრეი ნონეშვილიც ოჯახის ფრიალ სასურველი წევრი, უფრო სწორად, ძალიან ხშირი სტუმარი გახდა, როგორც თბილისში, ისე კარდენახში (იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმში) უკვე ძვირფას ექსპონატად ქცეული ბევრი საგანია (ფოტოსურათები თუ პირადი მიმონერა), იოსებ ნონეშვილისა და ანდრეი ვოზნესენსკის ალალ ძმობა-მეგობრობაზე რომ მოგვითხრობს.

აქ ბარემ ისიც უნდა ვთქვა, რომ ხატკეთილი მედეა და იოსებ ნონეშვილების სტუმართმოყვარე ჭერი ყოველგვარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური „უამინდობის“ დროს ანდრეისთვის ერთგვარ თავშესაფრად იქცა, სადაც თავს უშიშრად გრძნობდა, ვიდრე ავად მოქურუმებული პოლიტიკური ცა გადაიკარებდა ხოლმე. ასე იყო 1967 წლის დამდეგსაც. ერთ-ერთი კეთილისმსურველი კრიტიკოსის რჩევით პოეტმა, „ლიტერატურნაია როსიას“ ფურცლებზე რამდენიმე ახალი ლექსი გამოაქვეყნა ლენინზე (ცხადია, ჯავშნადაც და თავისი სათქმელის თამამად გამოსახატავადაც), საერთო სათაურით — „უოკი-ტოკი“. ამ დროს, მართალია, ტაკიმასხარა „ნიკიტუშკა დურაჩოკი“ უკვე ისტორიის დამტვერილ არქივში ესვენა, მაგრამ კვლავ და კვლავ არ ისვენებდნენ იმისი უკულო ამპარტავანი, ქვეყნის იდეოლოგიური სინმინდის ძალად მაცხონე კუდეი. კონსერვატორებთან ერთად ამჯერად ვაიუშველებელი ატეხა თვითონ ქვეყნის მთავარი ბანკის გონებაზე ზღუდულმა მმართველობამ, რომელმაც პოეტური სახეები და სიმბოლოები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და უმაღ „გამანადგურებელი მამხილებელი“ ბეზღება აფრინა „ზევით, მეცხრე ცაში“. ბანკის მმართველობა განსაკუთრებით გააგიჟა ერთმა სტრიქონმა —

„...მოაშორეთ ფულს ლენინი“ („...უბერიტე ლენინა ს დენეგ), რომელი სტრიქონითაც ვითომ მთელ საბჭოთა საბანკო სისტემას აქცევდა (ამაზე ახლახან რუსულ პრესაშიც დაინერა)...

ანდრეი იძულებული გახდა, რომ დროებით გაეშორებოდა ავად აყვანიებულ დედაქალაქს და თბილისში ისევ ნონეშვილებს მოაშურა... ჩემს ძველ რვეულში იმ დროის არაერთი ჩანანერიც მოვიხიე...

სულ პირველად ანდრეის იოსებთან ერთად 1960 წელს შევხვდი გორში. მაშინ იოსებმა როგორც ქართველი, ისე გამაცნო. არა, ახლა, რასაკვირველია, რუსია, მაგრამ ფესვი ქართული აქვსო. მე, რა თქმა უნდა, ხუმრობად მივიღე ეს ნათქვამი იოსებისგან, რომლისთვისაც თუ რამ ამქვეყნად კარგი იყო, ყველას და ყველაფერს საქართველოსთან ჰქონდა კავშირი. ის ნამდვილად სიყვარულის საყოველთაო დესპანი იყო საქართველოსი. მუდამ ყველგან და ყველაფერში საქართველოს ეძებდა. მაგრამ გზაშიც და მერეც, უკვე თბილისში, ნონეშვილების ოჯახში, ანდრეიმ თვითონვე თქვა, იოსებმა გორში მართალი გითხრა ჩემს ქართველობაზეო. მე ჯერ ვფიქრობ, მაგრამ დანერით აუცილებლად დავნერ პოემას ჩემს დიდ პეპერაზეო...

ერთხელაც, ჩემს ძველ ჩანაწერებში რომ ვიქექებოდი. ანდრეის მონაყოლსაც წავაწყდი. ჩემი თავის შესამონმებლად და ზოგიერთი ძველი ამბის გასახსენებლად იოსების ვაჟუცასაც შევხვდი, ჩვენს ძვირფას სანდროს, ჩინებულ ისტორიკოსს, რომელმაც თავისი ახალგაზრდული, სხარტი გონებით ბევრი რამ გამიცოცხლა და განმიახლა მესხიერებაში.

ერთი პირობა დავაპირე კიდევ, ჩავუფდები და ყველაფერს დანვრილებით დავნერ იოსებისა და ანდრეის ურთიერთობაზეც და თვითონ ანდრეის მონაყოლსაც-მეთქი, მაგრამ გადადებული საქმე, მოგეხსენებათ, ეშმაკისაა...

ბოლო ორ ათეულზე მეტი დრო, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ ძილსა თუ უძილობაში გამოგვეპარა. მეოცე საუკუნემ თითქოს საკეისროთი შობა ოცდამეერთე საუკუნე. უამრავი სისხლი და მოკვდინება ახლდა ამ საშინელ წლებს. იოსებ ნონეშვილი მეოცე საუკუნის ხმაგამაყივარ სახალხო პოეტად დარჩა. ანდრეი ვოზნესენსკი, უკვე ფრიად აღიარებული, 2010 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა...

და აი, 2011 წელს ხელთ ჩამივარდა ანდრეის სიკვდილის შემდეგ გამოცემული ვეება წიგნი (თითქმის 700-გვერდიანი, უიშვიათესი გამოცემა) — „პროზის ძარღვები“, რომლის ანოტაციაში ნათქვამია, რომ ანდრეი ვოზნესენსკი (1933-2010) რუსეთის მინა-წყლის დიდი პოეტი, რომლის ლექსმაც, თავისი უჩვეულო რიტმითა და თავაშვებული მეტაფორებით, აშკარად დაარღვია რუსული პოეზიის დადგენილი კანონები (როგორც თავის დროზე მაიაკოვსკიმ, უთუოდ ქართული ლექსის ზეგავლენით — გ. გ.). ვოზნესენსკი მილიონთა კერპად იქცა, იმის მოსასმენად სტადიონები ივსებოდა, იმისი ყოველი ახალი წიგნი იყო მოვლენა და პოეტის ეს დიდება წუთიერი, წარმავალი არ ყოფილა — სიცოცხლის ბოლო დღემდე თან ახლდა. ასევე დიდად საგულისყუროა პოეტის პროზაც, იმისავე ლექსივით კამკამა, მეტაფორული და პარადოქსული.

პოეტი გვიყვება თავის სიყვანვილეზე, მთელ ნახევარსაუკუნოვან ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ცნობილ პოეტებთან, პროზაიკოსებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, საერთოდ თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრებზე...



იოსებ ნონეშვილი, ანდრეი ვოზნესენსკი

ანდრეი ბევრს წერს ბორის პასტერნაკზე როგორც თავის და საქართველოს დიდ მეგობარზე.

ანდრეის მონაყოლისდა მიხედვით, პასტერნაკს საქართველოს მიმართ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონია, როგორც ფრიად პატივცემული მანდილოსნის მიმართ — მამაკაცური და ჭაბუკური.

იგი თურმე რომანის დაწერასაც აპირებდა საქართველოზე. რომანის მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო წმინდა ნინო, რომანს უნდა აესახა პირველ ქრისტიანთა ცხოვრება, როცა მთვარის ღვთაებისადმი თავყვანისცემა ორგანულად გადადიოდა ახალი კულტურის წეს-ჩვეულებებში.

მკითხველი აქ იმასაც შეიტყობს, რომ ბორის პასტერნაკს მიმონერა ჰქონდა დიდი ლადო გუდიაშვილის ქალიშვილთან ჩუქურთმასთან (ჩუქასთან). გუდიაშვილის სახელოსნოში, მინის ქვეშ, როგორც მუზეუმის რელიკვია, დღესაქამომდე ბრწყინავს ოქროს ყავის ფინჯანი, რომელსაც პოეტის ბაგე შეხებია. ყოველ ჩამოსვლაზე პასტერნაკი აუცილებლად სტუმრობდა თურმე გუდიაშვილს, რომელიც როგორც „უნონო შუქის ძნა“ ისე დაჰყვებოდა სტუმარს და ათვალთვლებინებდა თავის სურათებს, თვითონ სტუმარი კი ამ დროს „ისე ლივლივებდა სურათებს შორის, როგორც ღიმილი“.

პასტერნაკის გუდიაშვილისეულ გრავიულ პორტრეტში ანდრეი მკვეთრად გამოკვეთილ ქართულ ნაკვეთებს ხედავს.

ქართულ კულტურას პირველად პასტერნაკმა მაზიარაო, — წერს იქვე ანდრეი ვოზნესენსკი. — პირველი პოეტი, ვინც მან გამაცნო, სიმონ ჩიქოვანი იყო. მე განმაცვიფრა ამ ლოყებჩაცვიგნული წყნარი კაცის იდუმალმა ცეცხლმაო. ბორის პასტერნაკი თურმე „აღტაცებული გუგუნება სიმონ ჩიქოვანის იმპრესიონიზმზე, რომელიც იმას თავისებურად ესმოდა. ამ ცნებაში პასტერნაკი შოპენსაც გულისხმობდა და ვერლენსაც. მე გაოგნებული ვუცქეროდი ამ ორ ერთმანეთის ტრიალ არტისტს, იმათი საუბარი

ხან გაუგებარიც კი იყო ჩემთვის — ეს იყო განდობილთა, უტყუარი ძმობის ორდენის მსახურთა საუბარი, აშკარად საიდუმლო რამ სერობას ვესწრებოდი, სადაც ქართული სახელები და ტერმინები ჩემთვის მიუწვდომელი წეს-ჩვეულების სიმბოლოებად მეჩვენებოდაო“.

მერე პასტერნაკსა და ჩიქოვანს ახალგაზრდა პოეტისთვის წაუკითხვინებიათ ახალი ლექსები. და ეს იყო ჩემი პირველი საჯარო განხილვაო, წერს ანდრეი, რომელსაც არც იმის თქმა ავიწყდება, რომ უსამართლოდ მოკვდინებული პაოლოსა და ტიცინანის ერთგულ ბორის პასტერნაკს უზიარებია იგი, თუ, უფრო სწორად, ხელი დაუსხამს ქართული პოეზიის რუსულად გადსახველად. და პირველი პოეტი, ვისი ლექსიც რუსი მკითხველისთვის გაუცნია, იოსებ ნონეშვილი ყოფილა...

ერთ-ერთ ჩანაწერში ისიც აღმინიშნავს, როგორ ემადლიერება ანდრეი ქართველებს თავისი მშობლების გარდაცვალებისა და დაკრძალვის დროს გამოჩენილი თანადგომისა და თანალმობისათვის. კერძოდ, მაღლიერებით იხსენებს ისევ

იოსებ ნონევილსა და ზურაბ ნერეთელს. სხვათა შორის, იმისთვის, რომ მამა, ფრიად დამსახურებული პიროვნება, ნოვოდევნიის სასაფლაოზე დაეკრძალა, თხოვნის ნერილით მიუმართავს თვითონ ბრეჟნევისთვის, რომლის უნებართვოდ იქ თურმე კაციშვილი ვერ დაიმარებოდა (ასე იყო, ცოცხალიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მკვდარიც. დღეს კი, თავისუფალნი და ჩვენი თავის ანაბრად დარჩენილნი, არც სიცოცხლეში ვეკითხებით ვისმე და არც სიკვდილის შემდეგ!)...

მშობლების საფლავის ძეგლის პროექტის ავტორი თვითონ ანდრეი იყო (იგი პროფესიით არქიტექტორი გახლდათ, მოსკოვში რუსთაველის ძეგლის პროექტიც ვოზნესენსკის ნახელეკეთილარია — გ. გ.) **„ჩემი მშობლების ძეგლის პროექტი ფაქიზად და ზუსტად ზურაბ ნერეთლის სახელოსნოში განხორციელდა, — წერს ა. ვოზნესენსკი, — ჩემი დიდი მადლობა ზურაბს. მადლობა ტარიელს, გრანიტის მჭრელს, ვაჟას (გვარებს არ ასახელებს — გ. გ.), ყველა ქართველ ოსტატსა და მუშებს, ვინც ხელით, ამწეს გამოუყენებლად, მოათრია სამტონიანი ლოდი“.** ამას იმიტომ ვწერ, რომ მთელ ამ უზარმაზარ ნიგნში პოეტი მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებს საქართველოს და იმ ქართველებს, ვისთანაც ოდესმე სადმე შეუხვედრებია ბედს.

* * *

ანდრეი ვოზნესენსკისთან სხვადასხვა დროს ჩემი შეხვედრებისა და საუბრების ძველი ჩანაწერები თვითონ პოეტის მიერ ამ ნიგნში მონაყოლთან შევაჯერე, მაგრამ მეტი დოკუმენტურობის თვალსაზრისით ქართველი მკითხველისთვის მაინც თავად ავტორის ტექსტის შეთავაზება ვამჯობინე.

ალბათ, ურიგო არ უნდა იყოს იმის მოსმენა, დღეს უკვე საქვეყნოდ (ლიტერატურულ მსოფლიოს ვგულისხმობ) აღიარებული დიდი რუსი პოეტი რას ამბობს თავის წარმომავლობაზე, ანუ როგორ დაამყნო ისტორიის მდინარებამ ვოზნესენსკთა კვირტი თუ კალამი ქართულ საძირებზე.

ზოგიერთ უცხო ტომის სიტყვის შემოქმედს იქნებ ეს არც ჩაეთვალა საჭიროდ ან სულაც მიეჩქმალა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი სულიერი სიმართლის ადამიანი ყველაფერში ბოლომდე მართალია და არავისგან არც დასამალი არა აქვს რა.

მე ვჩემდები. სიტყვას მართმევს თვითონ ანდრეი ვოზნესენსკი:

— ჩემი პირველი ნიგნი ვლადიმირში გამოვიდა, ვლადიმირელი თავიანთი მიწა-წყლის შვილად მთვლიდნენ, რადგან ბავშვობა ვლადიმირის ოლქის კირჟაჩში გავატარე. ვლადიმირში გამოსასვლელად რომ ჩავედი, იქ რედაქტორმა კაპა აფანასიევამ მიპოვა და გამოცემა შემომთავაზა.

კაპა წმინდა ქალი იყო. თითზე გადასახვევიც არა ებადა რა. ქმართან, შვილებთან, მოხუც დედასა და დედამთილთან ერთად ძველ ხის სახლში ცხოვრობდა. იქ დივანზე მუდამ ვილაცხას ეძინა, ან მავან სტუმარს ან ვინმე უსახლკარო მწერალს, როგორც ეცხოვრებოდა, ისე ცხოვრობდა. ადამიანის ცნობის საოცარი ალლო ჰქონდა. მან ბევრი ვლადიმირელი პოეტი აღმოაჩინა.

კაპას წყალობით ჩემი „მოზაიკა“ რომ გამოვიდა, ეს ამბავი მეხვიით გავარდა. მოსკოვიდან დარეკეს, ტირაჟის დაპატიმრება ბრძანეს, მაგრამ ნიგნი უკვე გაყიდული იყო. კაპას მოსკოვში უხმეს, მაშინ კულტურის მინისტრი ვინმე პოპოვი იყო, უშალ თათბირი მოიწვია და კაპას სახალხოდ შავი დღე აყარა. ის კი არა, სამსახურიდანაც გადაგდეს.

იმ ხანებში „ნედელიაში“ (გაზეთ „იზვესტიის“ ყოველკვირეულ დამატებაში. — გ. გ.) ჩემი რჩეული ლექსები დაიბეჭდა. ერთ-ერთი ლექსი კაპას ეძღვნებოდა. ამ მიძღვნამ, როგორც ჩანს, ზემოქმედება მოახდინა ადგილობრივ ხელისუფლებაზე. იფიქრეს, რომ კაპას გამოესარჩლა თავად აჯუბები, ხრუმ-ჩოვის ყოვლიშემძლე სიძე, გაზეთ „იზვესტიის“ რედაქტორი.

შერისხული კაპა ჩქარა-ჩქარა სტამბის მთავარ ინჟინრად დანიშნეს და ხელფასიც კი მოუმატეს.

ცენზურამ „მოზაიკიდან“, მთელი ტირაჟიდან, ამოჭრა ლექსი „პეპერა“. და სუფთა ფურცელი ჩაანებეს. მაგრამ სარჩევში მაინც დარჩა სათაური „პეპერა“. ამისთანა, მაინც რა ლექსი იყო, ასე რომ დააფრთხო ხელისუფლება?

ლექსში მოხსენიებული მყავდა მამარჯემის პაპის პაპა — ანდრეი პოლისადოვი, უფრო სწორად, ეს იყო ჩვენი ოჯახური ლეგენდა წინაპარზე, რომლის შესახებაც მაშინ ბევრი არაფერი არ ვიცოდი.

აი, ის ლექსიც.

პეპერა

**ზამთარს ავად უომია, —
ტვერი თოვლქვეშ წახრილა;
შორიასლო მურომია,
მარხილს მოსდევს
მარხილი.
მოჰყავთ საქართველოდან!
(ბიჭი მეფის მძევალია.)
ტყვეობას არ ელოდა,
რა ქნას,
თმენა ევალება.
უკან დარჩა
მწვანე მთები,
ვამლიანი ბალები.
თვალს არ ეპირმზითება
და გულს არ ელაღება.
უფმურ ბედთან მორკინალს
მწარედ უჭერს ბორკილი.
საქართველო
ენატრება,
საქართველო
ელანდება
გათანგულს და
პყრობილს...
და შენევის
ყინი მიპყრობს,
მერე რა, თუ თოშია,
მაგრამ ხელის აპყრობა
უკვე რალა დროსია!..
მიიკედლებს რუსეთი
უპოვარს და უჭეროს,
ცრემლს დაიდენს
რუსავით
ბერი დღემოუჭმელი,
უმწეო, ვით პეპელა, —
ჩემი დიდი პეპერა.**

დედაჩემს კარგად ახსოვდა პაპაჩემის ბებია, პოლისადოვის ქალიშვილი. შავგრემანი ქალი იყო, საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, ყველაფერში ეტყობოდა მთის შვილობაო.

„შენი პეპერის პეპერა — ანდრეი პოლისადოვი, — მწერდა დედაჩემი, — მურომის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი იყო, რომლისა, აღარ მახსოვს. ბებია იტყოდა ხოლმე, ანდრეი ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი ჩამოუყვანიათ როგორც ქართველი მძევალიო, მგონი, კადეტთა კორპუსში იზრდებოდა, მერე კი სემინარიაშიო. როცა მარია ანდრეევნას შვილები კორჟინში ჩამოვიდნენ, ყველანი ამბობდნენ: „ქართველები ჩამოვიდნენო“... მახსოვს, დედაჩემი ხან ხუმრობით როგორ ეძახდა მამაჩემს „ქართველ დესპოტს“.

მურომში როცა კი ჩავდიოდი, ხალხში გავდიოდი, კითხვა-კითხვით ვეძებდი წარსულში გასხლელილ ძაფს და თავს

უტყუარ ანდრონიკოვად ვგრძნობდი, ეს არ იყო ვიღაც უცხო, თუნდაც ძვირფასი ადამიანის — პოეტისა თუ მავანი ისტორიული პერსონაჟის ძიება, ეს იყო ჩემივე თავის, ჩემივე წარსულის, ჩემივე ბედ-იბოლის ძებნა, ისტორიის სისხლ-ხორცეული შეგრძნება, რაც მთავარია, ბედიც მილიმოდა. ტადარი, რომელშიც პოლისადოვი მსახურობდა, ახლაც მოქმედებდა.

ქვითკირის გალავანში სასწაულად გადარჩენილი საფლავის ქვა ვიპოვე, ნაპირებჩამოტყვევული. ქვას პოლისადოვის სახელი და გარდაცვალების თარიღი ეწერა. რაღაც უცნაური ფერი დაჰკრავდა ამ წავარდისფრო ლაბრადორს, თითქოსდა ცრემლებით დაწინკლულს, სულ ფერის ცვლაში იყო. დილით, სისხამზე, სხვანაირი ჩანდა, სალამოს, მიმწუხრში, სხვანაირი. ფერს იცვლიდა აგრეთვე ამინდისდა მიხედვით. მთვარიან ღამეში ხომ სულ მეუცნაურებოდა, ხან თითქოს ამეთვისტო იყო, ხან გრანიტი, ხან უბრალოდ ნაცრისფერი ხდებოდა, რუხი, ხანაც კუშტად წაიისამნისფერებდა. მოკლედ, განწყობილების ქვად მეჩვენებოდა. ან იქნებ სულაც ცვალებადი დროის მოუხელებელი ფერისა იყო, ვინ იცის.

თანდათან ყველაფერი ნათელი გახდა. დაბადებული ანდრეი პოლისადოვი 1814 წელს. იმერეთის აჯანყების შემდეგ გადასახლებულთა სიებს, ერმოლოვის მიერ ხელმოწერილთ, შემოუნახავთ რეპრესირებულთა გვარ-სახელები. 1820 წელს ვლადიმირში ჩაუყვანიათ და მამინვე უშვილებიათ.

ანდრია (ანდრეი) შემთხვევით, ალაღბებდად არ დაურქმევიათ საქართველოდან მძევლად წამოყვანილი პატარა ბიჭისთვის. წმინდა ანდრია საქართველოსა და რუსეთის მფარველად ითვლებოდა. მქადაგებელი წმინდა ანდრია პირველწოდებული, ხელთ ჯვარცმის სამჭვალი რომ ჩაებლუჯა, დასავლეთ საქართველოში ჩავიდა და იქ ქრისტიანობა გაავრცელა.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი წუსხა მოგვითხრობს, ვითარ გადაიარა მან „რკინის ჯვრის მთა“. მერე უამთააღმწერელი იქვე დასძენს: „ერთი თქმულებისდა თანახმად, ის ჯვარი თავად ნეტარ ანდრიას დაუდგამსო“.

ამასვე ვკითხულობთ ძველსავე შედეგში („წარმავალ წელთა ამბავი“): „ავედ მთასა ამას, დავლოცე, დავდგი ჯვარი“... გადმოცემისდა თანახმად, მქადაგებელი ანდრია, რუსეთში ქრისტიანობას რომ ავრცელებდა, კიევსა და ნოვგოროდში ჩასულა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ანდრიას დროშის ლურჯი ჯვარი იფარავდა იმპერიის ზღვებს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „წარმავალ წელთა ამბავში“ პირველად ვხვდებით ქალაქ მურომსა და გვარტომ „მურომს“.

ანდრეი პოლისადოვი რუსეთის სულიერი ცხოვრების იდუმალი ფიგურა იყო. წარმომავლობა მოსვენებას უკარგავდა. თითქოსდა უხილავი რამ ხელი ხან აღამაღლებდა, ხანაც შერისხავდა და თავსატეხს რასმე უჩენდა. თან ვლადიმირისა და ანას ორდენებით აჯილდოვდნენ, თანაც გვერდს უვლიდნენ, არ ახსენებდნენ. ის კი არა, დიდი თავადის ნიკოლაი მინაილოვიჩის მიერ შედგენილ „პროვინციულ რუსეთის ნეკროპოლში“ სარჩევში მოხსენიებულია, მაგრამ შიგ ალარ იხსენიება, გაუგებარია რატომ.

ყველას აზრით, ის ფრიად განათლებული ყოფილა. ვლადიმირის სემინარია, სადაც იზრდებოდა, XIX საუკუნის 30-იან წლებში ბურსა კი არა, უფრო საეკლესიო ლიცეუმი იყო. იმ წლებში ვლადიმირის გაზეთს გერცენი რედაქტორობდა. სემინარიაში სერიოზულად იკითხებოდა ფილოსოფიისა და ისტორიის კურსები. სტუდენტები ბექდავდნენ ლექსებს, ფიგურულთა.

შემონახულია პოლისადოვის ლექსებიც. უკვე მურომში ყოფილისა მან შექმნა შრომა ადგილობრივ სიტყვა-თქმებსა და ადათ-წესებზე, რაც მეცნიერებათა აკადემიამაც აღნიშნა. ის თურმე გაცილებული იყო ზოგიერთი სლავური და ქართუ-

ლი სიტყვების მსგავსებით... სუბდალის პატარა მდინარე კზა პირდაპირ ქართული გზიდან მოედინებოდა. მთქნარება-მთქნარებით მურომელები ისევე იწერდნენ პირჯვარს, როგორც იმერელი გლეხები. ხოლო აღდგომის მეორე დღეს საფლავებზე აქაც წითელ კვერცხებს აგორებდნენ, რაც ანდრია პოლისადოვს თავის იმერეთს აგონებდა.

შემონახულია საბუთები, რომ უანდარმთა შეფი, კავკასიის გენერალი დუბელტი პირადად ადევნებდა თვალყურს პოლისადოვს, რომელსაც დიდი მიმოწერა ჰქონდა თავის ძმადნაც იოანესთან.

ბროკჰაუზი და ეფრონი თავიანთ ენციკლოპედიაში წერენ, რომ იოანე ისააკის ტაძრის ცნობილი მქადაგებელი გახდა.

თავის ლიტერატურულ შრომებში ანდრეი პოლისადოვი ბევრ სხვა ამბავთან ერთად აღწერს თავის ქალიშვილ მამასაც, მომავალ ჩემს ბებიას — „ფრიად გონებამახვილს, საკმაოდ განათლებულსა და სანდომიანს.“

პოლისადოვს, როგორც მწარე სამართლის პირში მთქმელ კაცს, ბევრი მტერი ჰყოლია, აბულებდნენ თურმე, ცილსა სწამებდნენ, ასეთ დროს ძალიან ჰყვარებია გამოთქმა: ვისაც რა უნდა, ისა თქვას, მთავარია, ნისქილმა ფქვასო.

ძალიან ჰყვარებია მუსიკა. სამხმთან ძველსავე საგალობლებში ძველი ქართული ხალხური საგუნდო სიმღერის ნახმევი ესმოდა. უწერია კიდეც, პოლიფონიურმა „ანგელოზებმა“ საგუნდო სიმღერამ ჩვენამდე ბერძენთაგან კი არა, რომელთა სიმღერა უნისონური, ქართველთაგან მოაღწია, ხოლო ქართველთა ქალდეველთაგან აქეთ შეთვისებული.

80-იან წლებში პოლისადოვი მოუსვენარი ივანე ლავროვის ძიებებს მფარველობდა, რომელმა ლავროვმაც გამოიგონა უჩვეულო „შეხმატკბილებული რეკვა ზარებისა“, რასაც თამომწვევად „თვითრეკვა“ უწოდებდა, და ფანატი პოლისადოვი თავის საგანეში მიიწვია. უვაროვების დიდებულმა ოჯახმა, მოგესხნებათ, გრაფები იყვნენ, დიხასტი პოლისადოვის ზეგავლენით მიჰყო ხელი კავკასიის არქეოლოგიის შესწავლას. უვაროვების თაოსნობით მოხდა 90-იან წლებში სვეტიცხოვლის ტაძრის რესტავრაცია.

პოლისადოვის დაუცხრომელი ხასიათი მურომის ტაძრის გაბედულ გარდაქმნაშიც გამოჩნდა.

ამ ტაძრის ადგილმდებარეობა მურომში რამე შემთხვევის შედეგი არ ყოფილა. მურომი იმხანად ქვეყნის სულიერი ცელა იყო. ნაპოლეონი რომ მიუახლოვდა, სახელგანსმენილი ივერიის ხატი მურომის ტაძარში გადაიტანეს პოსადზე. მურომში დაბრძანების გამო „ყოველწლიურად, 10 სექტემბერს“ ლიტანია იმართებოდა ტაძრიდან მთელი ქალაქის გარშემო. ივერიის ხატი მურომის მფარველი გახდა. მოსკოვში გადაბრძანების შემდეგ მურომში ამ შედეგის ფერწერული ასლი დარჩა.

მაგრამ საიდან გაჩნდა თვითონ ივერიის ხატი? ხატი რუსეთში ჩამოაბრძანეს 1652 წელს ივერიის მონასტრიდან, რომელიც ძმებს იოანესა და ექვთიმეს, ბაგრატიონებს, დაუარსებიათ X საუკუნის ბოლოს. ხატის ფერწერა ქართული ხელწერისაა. სავესებით გასაგებია, რომ ქართველი მძევალი გამოიგზავნა ქართული სინმინდის სამსახურად... არქივის წუსხებსაც თავიანთი პოეზია აქვთ... ალბათ, ვერცრას ვერ გავხდებოდი და ჩემს ძებნა-ძიებას არცრა ფასი არ ექნებოდა, თუ არა ვლადიმირელი არქეოლოგი ნ. კონდაკოვა და მოსკოველი ბ. ხლებნიკოვი.

იმდენი იუმორი კი მაქვს, რომ მივხვდე, თუ ქართული რაღაა ჩემში გადარჩენილი ამ რამდენიმე საუკუნეში ჩავლილი თაობების შემდეგ. საერთოდ სულაც არა ვარ სისხლის პროცენტული შემცველობის გამორანგარიშების მოყვარული. თუმცა ამ ისტორიამ ჩემდაუფურავად მაპოვნინა ფრიად უჩვეული პიროვნება, დროში არდაკარგული, რისთვისაც ჩემი ბედის მადლობელი ვარ.

დედაჩემის ნათესაობა ვლადიმირის ოლქში ცხოვრობდა. არადადეგებს ყოველთვის დედულეთში ვატარებდი. ბებიჩემის სახლის გვერდით ერთი ძველი ხის სახლი იდგა. სწორედ იმ სახლში, ჩუქურთმიან-დარაბებიანში, მიაგნო მურომელმა მხარეთმცოდნე ალექსანდრ ზოლოტარიოვმა დობრინკინის არქივში (ზოლოტარიოვი ამ არქივის მცველი იყო) ანდრეი პოლისადოვის ხელნაწერებს.

მე არასოდეს მტოვებდა იმის შეგრძნება, რომ ისტორიაში ყველაფერი კოდირებულია და წინასწარგანსაზღვრული, არამარტო საერთო პროცესებში, არამედ ცალკეულ შემთხვევებშიც, ცალკეულ ბედილბაღშიც. თითქოსდა ფარდა ეხდებოდა ცნობიერებისგან ფარულ კავშირებს. პირდაპირ ფიზიკურად ვგრძნობდი თავს იმ უზარმაზარი სხეულის კაპილარად, რომელ სხეულსაც ისტორია ჰქვია. არის ისტორიის პოეტიკა. არის დამთხვევათა თანაფარსკვლავები. მაგალითად, 1977 წლის ზაფხულში, იაკუტიამი ყოფნისას, დავენერე პოემა „მარადიული ხორცი“, რომლის სიუჟეტშიც ჩანს მამონტი, იმავე ზაფხულის ბულდოზერისტების მიერ ამოთხრილი. თურმე ზუსტად ასი წლის წინათ, 1877 წლის ივნისში, მურომის ეკლესიის საძირკველში, რომელი ეკლესიაც ნეტარ ვასილის მომავალ მშენებელთა მიერ იყო აგებული, არქეოლოგ გრაფ ა. უვაროვს მამონტის ნარჩენები გაეთხარა, რის გამოც „ვლადიმირის საგუბერნიო უწყებებში“ მაშინვე დაენერა დობრინკინს, რომლის არქივშიც უკვე მერე ჩემი წინაპრის, ანუ ჩემი დიდი პეპერის ხელნაწერს ვიპოვე.

ახლაც კვლავ გუგუხებენ მურომის წმინდა ხარების მონასტრის ზარები. ფოსტამ მიპატიჟების ბარათი მომიტანა, არქიმანდრიტ ალექსის (ანდრია პოლისადოვის) პანაშვიდზე მიწვევდნენ. მურომის მუზეუმთან ერთად ჩემი დიდი წინაპრის პატივსაცემად წმინდა წერილის კითხვა ეწყობოდა.

ბარათს ხელს აწერდა: „მონასტრის წინამძღვარი ილუმენი კრონიდი სამღვდლო ძმებთან ერთად“.

ისტორია სიგნალებს აგზავნიდა. ყველაფერი ურთიერთკავშირდებოდა. და კავშირები ესე არც წიგნის დანარიცხება, არც კაბალისტიკა, არც მისტიციზმი, სახელი ამ კავშირებისა ადამის ტომის სიცოცხლეა...

ასე ამთავრებს თავის მონაყოლს პოეტი.

მთელი მსოფლიოსგან გამასხარავებული, ქვეყნის დამაქცევარი „ნიკიტა დურაჩოვის“ მიერ ნობელწართმეული, „უმადურ ღორად“ შერაცხილი ბორის პასტერნაკი, ფაქტობრივად, ძალით მოკვდივებული, 1960 წელს გარდაიცვალა. „და საქართველომ ნონეშვილის ხელით თეთრი ვარდები მიიტანა დაკრძალვის დღეს პასტერნაკის კუბოსთან“, წერს ანდრეი ვოზნესენსკი... არ დაგავინყდეთ, რომ პროცესიას სულ რამდენიმე კაცი მიუყვებოდა (იოსებთან ერთად იქ იყო მიხეილ ქვლივიძე)...

შეშინებული, მედროვე ინტელიგენცია, არაკაცობის ბუჩქებში მიმალული, შორიდან გულგრილად ადევნებდა თვალს ბოროტთაგან შერისხული დიდი პოეტის სამარცხვინოდ გამეჩხერებულ პროცესიას, რაც მწარედ დასაფიქრებელი უნდა იყოს ყველა დროის როგორც ქვეყნის სათავეში მოქცეულ პოლიტიკოსთათვის, ისე მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე მზრუნველ ცხრავე მუზის მსახურთათვის...

ზუსტად ოცი წლის შემდეგ, 1980 წელს, ანდრეიკ თეთრი ვარდებით დაემშვიდობა იოსებ ნონეშვილს, თავის უფროს ძმასა და მეგობარს.

2010 წლის ივნისში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე ანდრეი ვოზნესენსკის საფლავზე არცვის არცრა ფერის ვარდები არ მიუტანია პოეტების ქვეყნად აღიარებული საქართველოდან, პოეტის ძალიან შორეული წინაპრის — ოდესღაც მძევლად წაყვანილი პატარა იმერული ბიჭის ათასი ოხერი ძაღლისა და მამაძაღლისგან ნაჯიჯგნი სამშობლოდან...

„ნამდვილი ხელოვანი ერთ სპექტაკლში ხუთ კილოს იკლებს“

(მაკა ჯივლაძის ესაუბრაბა თიანურ გუგუშვილი)

— ბატონო თემურ თქვენს მიერ შესრულებულ მინდიას რომ ვუსმენ ასე მგონია ფრინველთა ენა მართლა გესმით.

— ბუნება ძალიან მიყვარს, ხშირად ნამოვწოლილვარ და ჩიტების ჭიკჭიკისთვის მომისმენია. ნამდვილი ხელოვანი მაშინ ხარ, როდესაც ერთ სპექტაკლში ხუთ კილოს დაიკლებ და როლს მთლიანად გაითავისებ.

— როგორ მოხვდით მუსიკის სამყაროში?

— მუსიკა ბავშვობიდან მიყვარდა. მუსიკალური სკოლა დავამთავრე, შემდეგ სასწავლებელში დავინყე სიარული. ეს ის პერიოდია, როდესაც ბირჟაზე დგომა მოდაში შემოვიდა, ნოტებით რომ გამოვდიოდი, ეცინებოდათ, ჩაიკოვსკი მოდისო. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მე-4 მუსიკალურში ვსწავლობდი, მერე კონსერვატორიაში ვოკალზე ჩავაბარე, ნოდარ ანდლულაძის კლასში, შემდეგ — ასპირანტურა, შემდეგ იტალიაში ლასკალას თეატრში სტაჟიორად გამაგზავნეს, იქ სემიენეკო იყო ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი, პრინციპში თვითონ არ გვასწავლიდა. კვირაში ერთხელ ვოკალის გაკვეთილს გვიტარებდა, რაც ძალიან ცოტაა. იქ იყო საკმაოდ კარგი სკოლის დირექტორი, რომელიც დიდ მომღერლებთან გახლდათ ნამუშევარი ლუჩიანო სილვიესტრო, საკმაოდ კარგი ყური ჰქონდა და მასთან ვმეცადინებოდი. იქიდან რომ ჩამოვედი, განსხვავებული ვოკალი მქონდა. იტალიაში შრომატევადი სამუშაო იყო. იტალიელები სხვა მიმართულებით ითხოვდნენ სიმღერას, აქ სხვანაირად ვსწავლობდით და ამ მხრივ მთელი ექვსი თვე დიდი სირთულეები გვექონდა. შემდეგ ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა, ახლა ვცდილობ თაობები აღვზარდო, კონსერვატორიაში ჩემი კლასი მყავს. უკვე ბევრმა დაამთავრა და მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერლებიც არიან. დღეს ვარ მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, ადრე კათედრის გამგედ რომ მოიხსენიებდნენ. ჯერჯერობით ოპერის თეატრის სოლისტი ვარ.

— გასტროლები გაიხსენეთ, რომელიმე იყო განსაკუთრებული?

— ყველაც განსაკუთრებული იყო. თუ ერთხელ გახვედი და წარმატებით ჩაიარა, შემდეგ ერთი მეორეს მიყვება, თუ არ მოეწონე, მეორედ აღარ მიგიწვევენ. რვაჯერ ვარ ნამყოფი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ჩეხეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრალიაში, ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. წლების მანძილზე ერთსა და იმავე ქვეყანაში ბევრჯერ მიწვევა წასვლა. მაგალითად, ექვსი წლის განმავლობაში — ჰოლანდიაში ექვსჯერ, შოტლანდიაშიც და ინგლისშიც ექვსჯერ. ასეთი იყო გასტროლები. საერთოდ ყოველი სპექტაკლი აქ თუ იქ ჩემთვის პრემიერა და ახალი ემოციაა.

— თქვენი გამოსვლისას ყოველთვის ტაში მატულობს, იცით, რომ მქუხარე ტაში იქნება, ყოველი ტაში ახალი სიხარულია?

— რა თქმა უნდა. ყოველი შესრულებული პარტია სხვადასხვა ემოციის გამომხატველია, ყოველთვის ერთნაირი ემოცია

და მოტორიკა არ გაქვს, სიმღერისას სულ უფრო მეტი-
კენ ვისწრაფით, ზოგს წნევა 120 აქვს, ზოგს 180. ჩემი
პულის სულ სხვაა, ვილაცისა — სულ სხვა. იგივე ხდება
ღირსიერებშიც. აი როდესაც ჩვენი მაჯისცემა ერთმა-
ნეთს ემთხვევა, ემოცია უფრო ძლიერია. დარბაზი თუ
აგყვა. ეს ნიშნავს, რომ შენი შინაგანი ენერჯიულობა მა-
ყურებელს გადაეცა, მაშინ ყველაზე ბედნიერები ვართ.

— როგორი ბავშვი იყავით?

— მსუქანა, მაგრამ მიუხედავად ამისა ვცეკვავდი და
ძალიან მოძრავიც ვიყავი. მერე გამოვიცვალე, რაჭაში
ერთ ზაფხულს რომ ჩავედი, თემური გამოუცვლიათო,
ამბობდნენ. შემდეგ ჩავაბარე პოლიტექნიკურ ინსტი-
ტუტში, კონსერვატორიაში პარალელურად ვსწავლობ-
დი. კურსზე ორმოცი სტუდენტიდან ექვსი ბიჭი ვიყავით,
დანარჩენი სულ გოგონები გვყავდა, დებივით ვუვლი-
დით, ზედმეტ სიტყვას არავის ვათქმევინებდით მათზე.
სკოლა დოლიძეზე დავამთავრე და იმ უბანს კარგად ვიც-
ნობდი, კარგი სამეგობრო მყავდა, ქალაქში მიცნობდნენ.
დავობადე ძნელადის ქუჩაზე, მეშვიდე კლასში ვიყავი, სა-
ბურთალოზე რომ გადავედი. პოლიტექნიკურში საკან-
დიდატო დისერტაციაზე დავინყე მუშაობა, მაგრამ სიმ-
ღერამ უფრო გამიტაცა და დისერტაციას თავი დავანე-
ბე. დღეს ვარ კონსერვატორიის დოქტორი. ქიმიკოსობაზე არა-
სოდეს ვოცნებობდი, გამოძიებლის საქმე მომწონდა. მეორე
კურსზე ვიყავი პოლიტექნიკურში და პირველ კურსზე კონსერ-
ვატორიაში, მაშინ შეიძლებოდა ორ ადგილზე სწავლა. იმ წელს
კანონი მიიღეს, რომ კონკრეტულ ფაკულტეტზე ვერ ჩააბარებ-
დი, ორი წლის სტაჟი თუ არ გქონდა. გარეთ რომ არ დავრჩენი-
ლიყავი, ამიტომაც შევიტანე საბუთები ქიმიურ ფაკულტეტზე,
მერე ქარხანაში დავინყე მუშაობა, ასფალტიც დამიგია და დაზ-
გასთანაც მიმუშავია, შრომის ფასი ვიცი და ცხოვრებისეული
საკითხები კარგად მესმის. ჩვეულებრივი ადამიანის ფასიც ვი-
ცი და მეცნიერისაც. ჩემთვის ადამიანი, რომელიც მინას თხრის,
საპატივცემულოა და დასაფასებელი. საკმაოდ ნაწვალები ვაცი
ვარ. დღეს ბავშვების აღზრდით ვარ დაკავებული, თუმცა ბევრი
რამე ისე შეიცვალა, რაც არ მომწონს. დღეს კონსერვატორიაში
ისეთი რამ ხდება, რაც არსად ხდება, სტუდენტს აქვს ყველა
უფლება, თვითონ ირჩევს მასწავლებელს, ამიტომ ზოგ პედა-
გოგს ჰყავს ათი, ზოგსაც ერთი. კათედრა გინდ ყოფილა, გინდ
არა. უბედურება ისაა, რომ კონსერვატორია ეკუთვნის განათ-
ლების და კულტურის სამინისტროს ერთდროულად.

უნივერსიტეტის მაგალითებს მისახელებენ. იქ სხვა სპე-
ციფიკაა. ვოკალური ფაკულტეტი ყველაზე ძვირადღირებუ-
ლია. ერთ სტუდენტზე 11 პედაგოგია. იქ არის სპეციალობის
მასწავლებელი, კონცერტმეისტერი, საოპერო სტუდიის მას-
წავლებელი, ღირსიერი, ორკესტრი, რომელიც ემსახურება,
კამერული მუსიკის პედაგოგი, კამერული მუსიკის კონცერ-
ტმეისტერი, ანსამბლი, ანსამბლის კონცერტმეისტერი... ვო-
კალურ განყოფილებაზე ყოველთვის ყველაზე მეტი კონ-
კურსია. ერთ ადგილზე დაახლოებით სამი სტუდენტი. კონ-
სერვატორიას იმის უფლება არ აქვს, რომ ერთი ფაკულტე-
ტი თუ ვერ შეივსო, თანხა სხვა ფაკულტეტზე გადაიტანოს
და კიდევ სხვა ბევრი რამ. სპეციალობაში ნიჭიერია ბავშვი
და სხვა საგანში ჩაიჭრა, ისეთ საგანში, რომელიც მას დიდად
არც სჭირდება, მაგალითად, ირმა გიგანი. მე მყავს ერთი
სტუდენტი — ხმა არ გააჩნია, სამაგიეროდ დანარჩენ საგ-
ნებში მაღალი ქულები აქვს. ვერ მივალნიეთ, რომ ხმა ვისაც
არ აქვს, არ მივიღოთ. რომელი კარგი კალათბურთელი გინა-
ხავთ, სასწავლებელში იყოს და არ ვარჯიშობდეს? ადრე მათ
ცალკე გამოცდები ჰქონდათ. ახლა ერთი ქულა დააკლდა
ერთ ბავშვს ისტორიაში და ვერ ჩააბარა. ძალიან მინდა ბა-
ტონ ვანო კილურაძეს დაველაპარაკო, რომელსაც აქვს მეც-



მაკა ჯიბლაძე და თემურ გუგუშვილი

ნიერული და ადამიანური მიდგომა მოვლენებისადმი. ცოტა
უხერხულია კონსერვატორიაში ბავშვს აბარებინებდე მათე-
მატიკას. რამდენი გამოცდაა ჩასაბარებელი.

დღეს საქართველოში ცოტაა ისეთი ოჯახი, რომ ყველა
საგანში თანხა გადაიხადონ. თაობებს ეკარგავთ, ჩამბერები
და პიანისტები აღარ გვყავს. მე ჯერ მინდა ვოკალისტის ხმა,
ინტონაცია, სიმღერა, მერე ყველაფერი ერთად, მინტერე-
სებს, რამდენად არტისტულია. შარშანწინ გამოცდაზე ერთი
გოგონა დამამახსოვრდა, ოპერაში არ მღერიან ისე, რო-
გორც მან იმღერა, 10 ქულა მოიპოვა სპეციალობაშიც და
სოლფეჯიოშიც, მათემატიკაში ჩაიჭრა, დავკარგეთ ნიჭიერი
ადამიანი. ბორის ბეღიაზე მწყედა გული — უნიჭიერესია,
ეროვნული გამოცდების გამო დაიკარგა.

ერთი ამბავი მაგონდება. ერთხელ სულხან ცინცაძის რექ-
ტორობისას მე ვიმღერე და ჩემთან ერთად ერთმა ბიჭმა სალა-
მურზე დაუკრა, ეს ბიჭი იცით ვინ იყო? ომარ კელაპტრიშვილი.
სულხანი ისე მოიხიბლა, მივიდა და უთხრა: სწავლა არ გინდა
კონსერვატორიაში? მე რომ ნოტები არ ვიცი, უპასუხა დაბ-
ნულმა ომარმა. შენ საბუთები შეიტანე, გამოცდის წინა დღეს
დამირეკე, ოღონდ ბატონი სულხანი არ იკითხო, სულხანს
სთხოვეთ, ასე მიკითხო. გამოცდის დღეს სულხანმა შეიყვანა
გამოცდაზე ომარი და კომისიის წევრებს უთხრა: ამ ბიჭს უნდა
დაუნეროთ ნიშანი იმიტომ, რომ ასეთი ფლეიტისტი არ გვეყო-
ლებო. ჩარიცხეს, მაგრამ შემდეგ ომარმა ვერ ისწავლა და და-
ანება თავი. აი ასეთი ამბებიც ხდება: საქართველოში ვცხოვ-
რობთ და ჩვენთვის დამახასიათებელი ნიუანსები უნდა გავით-
ვალისწინოთ. კარგი კი არ უნდა დავმალეთ, პირიქით — გამო-
ვამზეუროთ. ჩვენი სიამაყე არ არის, რაც უფრო ბევრი კარგი
ფეხბურთელი, მომღერალი და ნიჭიერი ადამიანი გვეყოლება?!

თემურ გუგუშვილი იუმორითა და სიტბოთი სავსე პიროვ-
ნებაა, ეროვნული იდეებით გამსჭვალული, უყვარს თბილისი
— ქუჩებით, ხედებითა და უამრავი მოგონებით. ძნელადის ქუ-
ჩა ბავშვობას ახსენებს, დოლიძის ქუჩა — ახალგაზრდობას,
კონსერვატორიის აღმართი — სტუდენტობას, ამ ყველაფერს
ლიმილით იხსენებს, მაგრამ დღევანდელი ტკივილს აყენებს
და ნუხს გადაფასებულ ფასეულობებზე, ნიჭიერ დაკარგულ
თაობებზე. სურს, რომ მისი ქვეყანაც ისეთივე გაბრწყინებული
იყოს, როგორც ევროპის ქვეყნები, დაფასებული იყოს შრომა,
ნიჭი, რომელიც უფრო მეტად გვასახელებს მსოფლიო რუკაზე.

მაია ჯალიაშვილი

ბრალად ედება სამშობლოს სიყვარული

(საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
არქივის მასალებიდან)

...ნითელი დროშით, მოღერულ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი ნაბიჯით ნელით,
შემოდოიდა სიკვდილი ცელით...

კოლაუ ნადირაძე



პასუხი: არავითარი.

კითხვა: როგორ მიგაჩნიათ 26 მაისის გამოსვლები?

პასუხი: თუკი ის იყო მშვიდობიანი ხასიათის, როგორც დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობისა, ვუყურებ დადებითად. თუკი მას ჰქონდა ექსცესების ხასიათი, ვუყურებ უარყოფითად.

კითხვა: რა მონაწილეობა მიგიძღვით თქვენ ეროვნული დღესასწაულის გარშემო მომხდარ გამოსვლებში, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ 23 მაისს?

პასუხი: პირადად მე სრულებით არავითარი.

კითხვა: როგორ უყურებთ საბჭოთა ხელისუფლებას?

პასუხი: პირადად მე ვუყურებ ისე, როგორც ამას უყურებს ს.დ.მ. პარტია, რომელმაც გასულ წელს ლეგალურად გამოსცა თავისი პლატფორმა, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია პარტიის დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისადმი.

კითხვა: აწარმოებდით თუ არა თქვენ არალეგალურად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობას დღიდან თქვენი პარტიის ლეგალური ასპარეზიდან წასვლისა?

პასუხი: არა.

კითხვა: საერთოდ, მუშაობს თუ არა თქვენი პარტია არალეგალურად დღეს საქართველოში?

პასუხი: პირადად მე მგონია, რომ იგი აქტიურ არალეგალურ მუშაობას არ ეწევა. მე ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ საშუალებას მონაწილეობა მივიღო პარტიულ ცხოვრებაში.

კითხვა: როგორი შეხედულების ხაროთ იმ გაერთიანებულ ბლოკზე, რომლებიც ყველა ერთად საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვიან?

პასუხი: მე პირადად მომხრე ვარ ყველა სოციალისტური ძალის გაერთიანების საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. რამდენად ისინი ყველა ერთად იცავენ დამოუკიდებლობას როგორც შინაურ, ისე გარეშე იმპერიალისტურ ძალებისგან.

კითხვა: რით, რა გზით აპირებთ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ხელისუფლების დაპყრობას?

პასუხი: საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისთვის, რამდენადაც მე მას თანავუგრძნობ, ეს არ არის საკითხი ხელისუფლების დაპყრობის იმდენად, რამდენადაც საქართველოში ყველა სოციალისტური პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, დაუმორჩილებელი და ბედსვერშეგუებული ნაწილი უბრალო ქართველი ხალხისა აგრძელებდა სხვადასხვა სახის წინააღმდეგობას, მართავდა მიტინგებს, ავრცელებდა პროკლამაციებს, კვლავაც დღესასწაულობდა 26 მაისს, რაც მთავრობის მიერ აღიქმებოდა, როგორც ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლები.

მიუხედავად ხიფათისა, ამ დღესასწაულზე აფრიალებდნენ საქართველოს დროშებს – ნიშნად დაუმორჩილებლობისა, და შავ ბაირალებს — ნიშნად გლოვისა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდებში ბევრი მასალაა, რომლებშიც წარმოჩენილია, როგორ დევნიდნენ, აპატიმრებდნენ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ ღონისძიებებში, ან, უბრალოდ, თანაუგრძნობდნენ. დაკითხულთა შორის იყვნენ ისინიც, რომლებიც არ უშინდებოდნენ შექმნილ ვითარებას და თამამად გამოთქვამდნენ, აზრს, რომ ემხრობოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

გთავაზობთ რამდენიმე საქმიდან ამონაწერებს, რომლებიც ცოცხლად წარმოაჩენენ უბრალო ადამიანთა თავგანწირვას საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ამ საქმეებმა ყურადღება მიიქცია იმით, რომ უბრალო ადამიანები დაკითხვაზე თამამად პასუხობენ დამკითხველს და არ ერიდებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოთქვან კრიტიკული შენიშვნები. მართალია, ამგვარი რამ დაკითხვის ოქმებში შედარებით იშვიათად გვხვდება. ძირითადად ბრალდებულნი საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში მიესალმებიან და იმედს გამოთქვამენ, რომ ქვეყანა განვითარების გზას დაადგება.

ეს მოწმობს შიშისა და ძალადობის იმ ატმოსფეროს, რომელიც გამეფებული იყო საბჭოთა საქართველოში. ახალი ხელისუფლება მონაწილეობდა სასტიკად დევნიდა და სჯიდა, სულ მცირე დანაშაული, მაგალითად, ვინმეს დასმენა, რომ მავანმა სადაც კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა ახალ ხელისუფლებაზე, საკმარისი იყო დაპატიმრებისა და სასტიკი წამებისთვის, რათა არარსებული დანაშაული ელიარებინა ბრალდებულს. ქვეყანაში გამეფებულ საშინელ უნდობლობას, როცა ადამიანები ველარ ბედავდნენ თავიანთი აზრის გამოთქმას, ამხელს გრიგოლ რობაქიძე რომანში „ჩაკლული სული“, რომელიც გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოსცა 1932 წელს.

დღეს ბევრი რამ იწერება ბოლშევიკური რეჟიმის სისასტიკეზე. წარმოდგენილი მასალებიც კიდევ ერთხელ გაგვახსენებენ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ ეროვნული ღირსების დაცვას.

ფონდი 6, საქმე №22140, ტ.2, ყუთი 28

1922 წ. 3 ივლისის დაკითხვის ოქმი

ბრალდებულის ანკეტიდან:

ნიკიფორე იმნაიშვილი, 34 წლის, სასულიერო წოდება, პედაგოგი-ჟურნალისტი, უმაღლესი განათლება, სპეციალობა — საბუნებისმეტყველო. გერმანიაში მუშაობდა 1907-1912 წლებში, შემდეგ — მასწავლებლად ხაშურის გიმნაზიაში. სოციალ-დემოკრატი 1904 წლიდან.

დაკითხვის ოქმიდან (სტილი დაცულია):

კითხვა: როდის შეგიპყრეს?

პასუხი: 23 მაისს, 1922 წ.

კითხვა: ნამოგიყენეს რამე ბრალდება?

ნადაგზე დგას. ეს არის საკითხი ამ დამოუკიდებლობის გამარჯვების, შეთანხმების გზით, რომელიც უარყოფს ყველანაირ ექცევის სახის გამოსვლას და სხვ.

კითხვა: როგორ უყურებთ საქართველოში რუსის წითელი არმიის ყოფნას?

პასუხი: როგორც სოციალისტს და საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეს, მე აუცილებლად **საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს ჰყავდეს თავისი ნაციონალური ჯარი**, მოკლებული ყოველგვარ ავანტიურას და თავგანწირული მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის. **რუსეთის ჯარის ყოფნას საქართველოს ტერიტორიაზე არ ვამართლებ.**

ამ საქმესთან დაკავშირებით საბოლოო დადგენილება: 1922 წლის 5 ივლისი

იმნაიშვილი ნიკოლოზი, აქტიურ და გამოჩენილი მენშევიკის, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს თავის პარტიულ ამხანაგებში, პირადი დაკითხვისას გამოვლინდა მისი მავნებლობა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში.

დადგენილება:

დაპატიმრებულ და იზოლირებულ იქნას უვადოდ (ვადის დანიშვნის გარეშე). საქმე შეწყდეს და გადაეცეს არქივს.

ამ საქმეში არის საქართველოს საგანგებო კომისიის სახელზე, ხელით დანერილი ნიკოლოზ იმნაიშვილის დედის, ლანჩხუთელი ბაბილინა იმნაიშვილის თხოვნა (5 ოქტომბერი, 1922 წ.), რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩემი შვილი, ტუბერკულოზით ავადმყოფი გადაიყვანეს არამიანცის საავადმყოფოში, მაგრამ გაქცევის მცდელობაში დაადანაშაულეს და გადაიყვანეს პირველ ციხეში (ქალაქისა). მიეცით საშუალება მკურნალობისა.

დედობრივი ცრემლებით გვედრებით, მისცეთ საშუალება, განხანგრძლივოს სიცოცხლე, გადაიყვანეთ საავადმყოფოში. ვიღებ პასუხისმგებლობას ჩემი ქონების კონფისკაციით და ჩემი დაპატიმრებით, თუკი გაიქცევა“.

1922 წლის 5 ნოემბერს ნიკოლოზ იმნაიშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ფონდი 6, საქმე №22141, ყუთი 28

1922 წ. 28 ივნისი — ბრალდებული **ივანე ლორთქიფანიძე**, 32 წლის, ექიმი, წარმომავლობით აზნაური

მისი დაკითხვის ოქმში ვკითხულობთ:

„ახლა არც მარჯვნივ ვარ, არც მარცხნივ. საქართველოში წითელი ჯარის არსებობის არ ვარ მომხრე. აუცილებლად **საჭიროდ მიმაჩნია შედგეს ქართული წითელი ლაშქარი“.**

იგი დაპატიმრეს, მძიმე პირობებში დაავადა. 1924 წ. გაათავისუფლეს.

ფონდი 6, საქმე №22135, ყუთი 27

საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის 1922 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება:

„პატიმრობა მიესაჯოს:

ნიკოლოზ ნაკაშიძეს — ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი — 6 თვის ვადით

დავით კანდელაკს — ქ. ქუთაისის ტექნიკუმის სტუდენტი, უპარტიო — 3 თვით პატიმრობა.

ქეთო იამანიძეს — ქუთაისის 2 ტექნიკუმის სტუდენტი, უპარტიო — ერთი თვით.

მსჯავრი დაედოთ მასში, რომ 1922 წ. 26 მაისს ქ. ქუთაისში ჩაიდინეს კონტრრევოლუციური მოქმედება, **მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ მიტიგზე და ააფრიალეს საქართველოს ნაციონალური დროშა“.**

...

შენიშვნა: ქეთო იამანიძე იმიტომ დაუპატიმრებიათ, რომ ნაკაშიძისთვის უთხოვია, მიტინგზე სიტყვა მათქმევიყო (ნაკაშიძის დაკითხვის ოქმშია ეს ჩვენება).

ფონდი 6, საქმე №22224, ტომი 2, ყუთი 44

ჩხეიძე დ.ა. და სხვ. ქუთაისი

დაპატიმრების (ალექსანდრის ძე) დაკითხვის ოქმი — 1922 წლის 20 ივნისი

იგი სხვებთან ერთად დაადანაშაულეს კონტრრევოლუციაში. დავით ჩხეიძე, 21 წლის, მასწავლებელი, სოციალ-ფედერალისტი. დავით ჩხეიძეს ანკეტაში უწერია: კერძო მესაკუთრე, განათლება — საშუალო, სპეციალობა — გერმანული ენა და გეოგრაფია

1922 წელს, 26 მაისს ჩატარებულ მიტინგთან დაკავშირებით დავით ჩხეიძის ჩვენება:

„20 მაისიდან 24 მაისამდე მე ვიყავი სამსახურში, სასწავლებელ ამალღებაში. 20 მაისს მივიღეთ განკარგულება, რომ დავეთხოვრა მონაფეები, მაგრამ ვინაიდან გამოცდები დაწყებული არ გვექონდა, 20 მაისიდან 23 მაისამდე გვექონდა მონაფეების გამოცდები. 23 მაისს დავითხოვეთ მონაფეები. 24 მაისს მთელი დღე ვიყავით სასწავლებელში და ვწერდით სხვადასხვა ოქმს. ჩვენთან 24-ში ხშირად შემოდოდა თვით ალმასკომის თავმჯდომარე.

25 მაისს, როგორც უქმე დღეს, ვიყავი ბზვანის ეკლესიაში, სადაც წირვის დაწყებამდე შეიქმნა ლაპარაკი ხალხში, რომ ქუთაისსა და სამტრედიამი არის გამოსვლები და გაფიცვები მთავრობის წინააღმდეგ. წირვა რომ გათავდა, მერმეთ უფრო ხასიათი მიიღო ამ მიტინგ-მოთქმამ გაფიცვის ირგვლივ. მე მივედი ჯგუფთან და განვუმარტე, რომ ასეთი გამოსვლები თუ იყო, ეს იქნებოდა ეკონომიურ ნიადაგზე და არა პოლიტიკურზე და მოუწოდებ მათ, რომ დამშვიდებულიყვნენ და ასეთი ლაპარაკი არ დაეწყათ. მე რომ აქ ვლაპარაკობდი, ამას დაამტკიცებს ბზვანის მცხოვრები 1) ვანო კორძაძე, 2) მღვდელი გიორგი ტყემელაშვილი, 3) ლუკა ტყემელაშვილი, 4) ივლიანე ხელაძე, 4) მალხაზ ტყემელაშვილი.

რაც შეეხება **ამალღების თემში შავი ბაირალის გამოტანას**, ამის შესახებ არაფერი ვიცი.

დაპატიმრების 6 თვით დაპატიმრეს ბზვანის ეკლესიის ეზოში გამოსვლისთვის.

მასთან ერთად სხვა მასწავლებლებიც დაპატიმრეს

შალვა ტყემელაშვილი

სარდონე კიბრაშვილი — მასწავლებელი (ქართულისა და რუსულისა)

კალისტრატე ტყემელაშვილი — გლეხი

გიორგი კიბრაშვილი — მასწავლებელი, ქართულისა და რუსულისა

ფონდი 6, საქმე №22338, ტომი 3, ყუთი 69

1922 წ. 27 თებერვალი

ბრალდებული ელენე იოსელიანი, იასონის ასული, 16 წლის, ქართველი, აზნაურთა წრიდან, მონაფე სამასწავლებლო სემინარიისა, ჭაჭაჭაძის ქ, 23

ჩვენება დაკითხვის ოქმიდან:

„ჩვენ, მოსწავლეებს, გვინდოდა ძმათა სასაფლაოზე წასვლა, რადგან არ გაგვიშვეს, წავედით უნივერსიტეტში და იქ გვექონდა კრება.

კითხვა: კრებაზე რას ლაპარაკობდით?

პასუხი: პანაშვიდი უნდა გადაგვეხადა.

კითხვა: დიდებას მღეროდით?

პასუხი: ვმღეროდით.

კითხვა: ვინ იყო ხელმძღვანელი დემონსტრაციის და ძმათა სასაფლაოზე წასვლის ინიციატივის?

პასუხი: არ ვიცი. რომ ვიცოდე, მაინც არ გეტყვი“.

დარიან ვალერიანის ასული გუნია, 16 წლის, აზნაურთა წრიდან, მე-10 ტექნიკუმი.

იმავე საქმეზე დაკითხვის ოქმიდან:

„კითხვა: სად დაგიჭირეს თქვენ?

პასუხი: ქუჩაში. მე უნივერსიტეტში ვიყავი ჯერ. მერმეთ დამიჭირეს. გულზე ეროვნული პატარა ნიშანი მქონდა, იმიტომ დამიჭირეს.

კითხვა: უნივერსიტეტში რატომ წახვედით?

პასუხი: ჩვენ გვიწოდებდა ძმათა სასაფლაოზე წასვლა. წავედით უნივერსიტეტში, სადაც ყველა მოსწავლე თავმოყრილი იყო.

კითხვა: ვინ იყო ინიციატორი კრების?

პასუხი: არაფერი არ ვიცი“.

ფონდი 6, საქმე №23285

გიორგი მჭავანაძის საქმე (23 წლის); მენშევიკი (მენშევიკურ პარტიაში მუშაობდა 1907-1913 წლამდე), მძღოლი.

დაადანაშაულებს ანტისაბჭოთა ავტორიტეტში. 1921 წელს დაპატიმრეს, როგორც მენშევიკური პარტიის წევრი.

ბრალდება: მეტეხის ციხიდან გიორგი მჭავანაძისა და ლუკა მჭავანაძისთან ერთად გამოგზავნა გადასახლებული მენშევიკების წერილი, რომელშიც ეწერა:

„თუმცა ჩვენ გვასახლებენ ჯალათი კომუნისტები, მაგრამ არ შეშინდეთ, იბრძოლეთ მედგრად და ძალაუფლებას იმ ჯალათებს სულ მალე გამოგლეჯთ, რის შემდეგ მთელ წითელ არმიას და მათ სულისჩამდგმელ კომუნისტებს სულ ერთიანად ამოვწყვეტთ“.

დაკითხვის ოქმში გიორგი მჭავანაძის აღნიშნა:

„ეხლანდელ ხელისუფლებას აღმშენებლობით დარგში ვუყურებ, როგორც პროგრესულს და მეც თანაფერძნობ მას, მხოლოდ პოლიტიკურ დარგში, როგორც რეგრესიულ ნაბიჯს, ვინაიდან არ არის სიტყვისა და პრესის თავისუფლება და ამ დარგში არ თანაფერძნობ საბჭოთა ხელისუფლებას. საქართველოს დამოუკიდებლობა მნამს. ისეთი დამოუკიდებლობა, როგორც ჰქონდათ მენშევიკებს. ესეა კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ შელახა ერის ინტერესები, ასეთი დამოუკიდებლობა არ მნამს.

საქართველოს გასაბჭოების ფაქტს ვალიარებ არა რევოლუციონურ ფაქტად. საქართველო დაიპყრო რუსეთ-აზერბაიჯანის დამპყრობელმა ძალამ, რომელმაც შელახა ერის ინტერესები. მე ვეცდები წმინდა პოლიტიკური ბრძოლით აღვადგინო ერის შელახული ინტერესები და რაც შეეხება იარაღით ბრძოლას, მე მას ვგმობ და არ მნამს“.

ფონდი 6, №24393, ყუთი 52

პატარაი პავლეს საქმეში დევს ხელნაწერი პროკლამაცია: (პატარაი პავლე: 17 წლის, სოციალ-ფედერალისტი. ანტი-საბჭოთა საქმიანობაში ბრალდებული. მისი საქმე გადაეცა ჩ.კ-ს).

„ძვირფასო ამხანაგებო!

რთულ მომენტზე, რომელშიდაც გვიხდება ცხოვრება, ლაპარაკი ზედმეტად მიგვანია. სამი წელიწადი უკვე სრულდება, მას შემდეგ, რაც წითელი მაჯლაჯუნა აწევს ქართველ ხალხს. დღეს „ქართველად“ თავის გამოცხადება ბოროტ-მოქმედებაა. ვინც ამას გაბედავს, მას მოელის ჩ.კ-ს ჯურღმულები, ციხე-ციმბირი.

აბა, გადახედეთ რამდენი ქართველი მამულიშვილი ქართველობისთვის იქმნა წამებული, რამდენი გადასახლებული ციხე ქვეყნებში იტანჯება ჩ.კ-ს სარდაფებში. ამას ბოლო არ უჩანს, ბოლო რუსეთის იმპერიალიზმს“.

ფონდი 5, №24437, ყუთი 56

ჯალალონი ვ.ვ და სხვ. სოფ. ჩუნეში (ნაბეჭდი, ქართ. ენაზე) 1924 წელს, აპრილის 30, ქ. ქუთაისი

ქუთაისის მაზრის პ/ზ.პ/პ რწმუნებულის თანამშრომელმა შონიამ განვიხილე რა საქმე №530 ბრალდების გამო ჩუნეშის „წმინდა გიორგის“ ეკლესიის კარის ბაღის და კლუბად გადაკეთებულ მუშავის შეჩერების ცდაში:

„1. ლორთქიფანიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე, 63 წლის, ყოფილი აზნაური, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, ცოლშვილიანი, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

2. ნულუკიძე ალექსი რამინის ძე, 75 წლის, ყოფილი თავადი,წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, ცოლშვილიანი, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

3. თვალთვაძე დავითი ივანეს ძე, 31 წლის, ყოფილი აზნაური, საშ. განათლების, უპარტიო, უცოლო. ადმინისტრაციულ დაპატიმრებაში პ/ზ მიერ სკოლოს შესახებ 18 დღით. მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

4. თვალთვაძე ანეტა ივანეს ასული, 32 წლის, ყოფილი აზნაური, წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, უქმრო, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

5. ჯალალანია ფილიპე ნიკოლოზის ძე, 55 წლის, გლეხი წერა-კითხვის მცოდნე, ცოლშვილიანი, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

6. ჯალალანია ბათლომე, სიმონის ძე, 38 წლის, გლეხი,წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

7. ლორთქიფანიძე გულო ლუარსაბის ასული, 39 წლის, ქმარშვილიანი,წერა-კითხვის მცოდნე, უპარტიო, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ჩუნეში, ქუთაისის მაზრა.

ესენი მივიდნენ ჩუნეშის წმინდა გიორგის ეკლესიასთან, რათა შეეჩერებინათ ეკლესიის კლუბად გადაკეთებული მუშები. მათი დანაშაული გათვალისწინებულია კვლევადიებით და წინასწარი გამოძიებით გამოირკვა, რომ ამ სოფლის მცხოვრებმა, ფილომინა ლორთქიფანიძისამ, პელაგია, ზინობია და მარიამ თვალთვაძეებმა თავი მოიყარეს წყაროსთან, მოილაპარაკეს, ეცნობებინათ ქალებისთვის., აქ მოსულიყვნენ, შეეჩერებინათ მუშები, არ დაერღვიათ ეკლესიის მონაწილობა, ვინაიდან კაცი ჰყავდათ ქუთაისში გაგზავნილი ეკლესიის საკითხის მოსაგვარებლად. გადაწყვეტეს ეს მამაკაცებისთვის არ გაემხილათ.

23 მარტს თავი დეკრეტის სოფლის სკოლაში. დაახლოებით 6 სთ. ეკლესიის კარი დაკეტილი დახვდათ, მუშები შიგნით მუშაობდნენ. სცადეს კარის გატეხა, რადგან უარი მიიღეს.“

ამ საქმეზე ზოგს ერთი წელი მიუსაჯეს, ზოგი გაათავისუფლეს მეთვალყურეობის ქვეშ.

ფონდი 6, საქმე №27504

არსენიშვილი გ.მ

1927 წლის 9 დეკემბერი

არსენიშვილი გიგლა მიხას ძე. დაბად. 1909 წ. სამეურნეო სასწავლებლის მეორე კურსელი. ქართველი. საცხოვრებელი ადგილი: სოფ. იყალთო, 1927 წლიდან ნაციონალ-დემოკრატებს თანაუგრძნობს.

ამონაწერი ჩვენებიდან:

„ა/წელს მარტის თვეში მე შეკითხვა მომცა სოფ. საგურამოს მონაფემ შოთა ჩხიკვაძემ, სამშობლო გიყვარს თუ არაო. მე ვუპასუხე: მიყვარს-მეთქი. ჩხიკვაძემ მითხრა, რომ ერთი აზრისა ვყოფილვართო. შენ ჩემთან იმუშავეო. შემდეგ მე დაეუახლოვდი ხსენებულ ჩხიკვაძეს, რომელმაც კიდევ გამაცნო მეორე ამხანაგი ვანო ებელაშვილი. ესენი ჩემთან მუდამ ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენი მოვალეობა არის, სამშობლო უნდა შევაცუაროთო ქართველ ხალხს. პირველად უნდა მოვუყვეთო საქართვე-

ლოს ისტორიიდან, თუ როგორ იმყოფებოდა საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ. ჩვენ უნდა ვეცადოთ საქართველოს განთავისუფლება რუსეთის მფარველობისაგან. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ აქ აღნიშნულნი სამი კაცისაგან შესდგებოდა ახალგაზრდული ნაციონალური დემოკრატიული ორგანიზაცია არალეგალურად. ორგანიზაციული საკითხები ჩვენ გადავწყვიტეთ გავგედიდებინა ორგანიზაცია ახალი წევრებით, მაგრამ ერთი, იმ სასწავლებლის გარდა არსად არ დავდიოდით და სასწავლებლის შიგნით მომხრეები არავინ არ აღმოჩნდა და, მეორე მხრით, ეჭვის თვლით გვიყურებდნენ კომკავშირის წევრები. ამიტომ ჩვენ ვშობდით და ჩვენი ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატიული წრის არსებობას არავის ვუმხელდით. ჩვენი ორგანიზაცია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შედგებოდა სამი კაცისაგან, მეთაურობდა კი შოთა ჩხიკვაძე.

საგურამოს სკოლიდან ა/წ. აგვისტოს თვეს შვებულებით მივდიოდი ჩემს სოფელში, სოფ. იყალთოში. წამოსვლამდე ზემოთ აღნიშნულმა პირებმა ვილაპარაკეთ, რათა **სოფლად გავეძლიერებინა „სამშობლოს სიყვარული“**. როცა სახლში მივედი, ვნახე, რომ ჩემი დუქანი ეჭირა კოოპერატივს და აგრეთვე სახლის ზემო სართული ორი ოთახი. ქირას კი გვაძლევდნენ, მაგრამ დუქანი უნდოდა ჩემს ძმას და ადგილობრივი მთავრობა არ აძლევდა დუქანს ჩემს ძმას. ესეც მიემატა ჩემს გრძნობას და დავწერე პროკლამაცია და გავაკარი სამკითხველოს კედელზე.

შეკითხვა: გახსოვს თუ არა პროკლამაციის შინაარსი?
პასუხი: კი, მახსოვს. იყო შემდეგი შინაარსი: „ქართველო ხალხო! გაიღვიძეთ, საქართველო განსაცდელშია. ერთის იერიშით, ერთის ძალით ვიხსნათ საქართველო რუსეთისაგან. **მამ, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!**“

შეკითხვა: სექტემბრის ბოლო რიცხვებში ვინ დაგანერინა შენ მონოდება ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე?
პასუხი: სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩემს სახლში მოვიდა იყალთოს კომკავშირის მდივანი ფეიქრიშვილი და მთხოვა, რომ დამენერა მონოდება ოქტომბრის ათი წლის თავისთვის. მე დავუწერე მონოდება ფეიქრიშვილს და მივხვდი იმას, რომ ფეიქრიშვილს უნდოდა ჩემი პორეკა ენახა. ამიტომ მონოდებაში ქვემოთ ფრანგული ასოებით დავწერე: „გავიგეთ ეშმაკობა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ გავიგე, რისთვისაც დამანერინა ფეიქრიშვილმა მონოდება.

შეკითხვა: შენ უამბე თუ არა საგურამოში შენს ამხანაგებს პროკლამაციის გაკვრის შესახებ.

პასუხი: საგურამოში დაბრუნებისას ყველაფერი ვუამბე ორივე ამხანაგს — ჩხიკვაძეს და ვანო ებელაშვილს.

შეკითხვა: ჩხიკვაძე და ებელაშვილი რამდენი წლისანი იქნებანი და ხომ არ იცი იმათი სწორი მისამართი?

პასუხი: შოთა ჩხიკვაძე არის 1910 წელს დაბადებული, ოზურგეთის მაზრიდან. ვანო ებელაშვილი არის დაბადებული 1909 წელს თელავის მაზრა, სოფ. ზემო ხოდაშნიდან. აღნიშნული პირები სწავლობენ ჩემთან ერთად სოფ. საგურამოში, სამეურნეო სასწავლებელში სახელმწიფოს ხარჯზე — პანსიონერად.

შეკითხვა: შენ გეძლევა სახელმწიფოს ხარჯი?

პასუხი: კი, სახელმწიფოს ხარჯზე ვსწავლობ.

შეკითხვა: შენ ვინ გადმოგცა სილარიბის მონობა, რათა ყოფილიყავი სასწავლებელში, როგორც ლარიბი, მიღებული სახელმწიფოს ხარჯზე?

პასუხი: სილარიბის მონობა მე მივიღე იყალთოს თემალ-მასკომიდან.

შეკითხვა: თქვენთან ერთად მონაფე გიგლა პაპალაშვილი იყო თუ არა თქვენი ორგანიზაციის წევრი?

პასუხი: გიგლა პაპალაშვილი სწავლობს ჩემთან სოფ. საგურამოში. მას წინადაც ვიცნობდი, როგორც ახალ მეზობელს. ა/წ. ზაფხულში სოფ. იყალთოში ყოფნისას დავუსვი კითხვა პაპალაშვილს, თუ რამდენად უყვარდა სამშობლო, პაპალაშვილმა მიპასუხა, მე დიდი ხანი არიო, რომ სამშობლოს

სიყვარულის გრძნობა მაქვსო. ამხანაგს ვეძებდი და სწორედ თქვენ ვაგვიჩინეთო. ამის შემდეგ წავედით სასწავლებელში, საგურამოში. იქ პაპალაშვილი მიღებულ იქნა კომკავშირში. მან იცოდა, რომ მე ვმუშაობდი ახალგაზრდა ნაც.დემოკრატიულ ჯგუფში. სხვების მუშაობის შესახებ მან არ იცოდა.

პაპალაშვილი გიგლა ნიკოს ძე არის 18 წლის, მონაფე, საგურამოს სამეურნეო სკოლისა, საშუალო გლეხის შვილი, ამაჟამად კომკავშირში მიღებულია დუშეთის მაზრაში.

შეკითხვა: პაპალაშვილმა იცოდა თუ არა პროკლამაციის გაკვრის შესახებ რაიმე?

პასუხი: მე ვუამბე, თუ როგორ დავწერე პროკლამაცია და გავაკარი ლამით, 3 სექტემბერს ე/წ. ქოხ.სამკითხველოში. პაპალაშვილმა მითხრა, კარგი გიქნიაო, მაგრამ თუ გაიგებენ, ამის გამო ორივეს დაგვატუსალებენო.

გიგლა პაპალაშვილი — უცოლო, მე-2 კლასის მონაფე სამეურნეო სკოლისა, საგურამო, დაბადებული 1909 წელს.

დადგენილებაში წერია, რომ იგი დადანაშაულებულია პროკლამაციის გავრცელებაში. იგი ცდილობდა ნაციონალურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებას ხალხში ლოზუნგებით: „სამშობლოს სიყვარული“.

ამ ბრალდების გამო დააპატიმრეს და გადასცეს გპუ-ს.

საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ გიგლა არსენაშვილი დადანაშაულებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობაში.

სსრ საქართველოს საბჭოთა სამართლის კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ფონდი 6, საქმე №27629, გვ.9
ქუთაისის პოლიტიბიურო, 1927 წლის 2 სექტემბერი

ბრალდებული: ალექსანდრე სამსონის ძე ტომონიძე, ინტელიგენტი, უცოლო, 19 წლის, ლიტერატურულ-დრამატული მუშაკი, 1924 წლიდან ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრი.

ბრალდება: ქუთაისში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პროკლამაციების გაკვრა.

აღიარებითი ჩვენებიდან:

„1922 წელში ცეცხვრობდი გორის მაზრაში, სოფ. გომში. აქ მამა ჰქონდა თერძის დუქანი. იქ მყავდა სამი ამხანაგი: შურა ბრეგვაძე, ყარამან ბრეგვაძე და ვახტანგ ყუალაშვილი, ოსი საქართველებული. ჩვენში ისეთი განწყობილება იყო, რომ ჩვენ თავი მენშევიკებად მიგვაჩნდა. მე პირადად მქონდა უვაზნო ნაგანის სისტემის რევოლვერი, რომელიც მილიციამ ჩამომართვა. ჩვენ სშირად გვექონდა ოსებზე ლაპარაკი და გვიკვირდა, რისთვის უჭერდნენ მხარს ოსები საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენ ამ გარემოებას ოსების მოქმედებისა ვხსნიდით იმით, რომ შური უნდოდათ ეძიათ ოსებს ქართველების წინააღმდეგ. პოლიტიკური ხასიათის მეცადინეობა ჩვენ იქ, გორის მაზრაში არ გვექონდა. მამა სშირად მეხვეწებოდა კომკავშირში ჩავენირილიყავი. ეს გარემოება ჩემი პოლიტიკური მომზადებით კი არ აიხსნებოდა, არამედ ბავშვური ყინიანობით. 5 წელი იქნება, რაც მე გომიდან წამოვედი. ქუთაისში რომ ჩამოვედი, ვსწავლობდი სხვადასხვა სასწავლებელში. შემდეგ 1924 წელს შევედი მეორე ტექნიკუმში, სადაც უკვე დავიწყე მუშაობა ჯგუფურად. ჩვენს ჯგუფში იყო მონაფე ფრიდონ მხეიძე, მე, გიორგი მხეიძე, ალექსანდრე ფხაკაძე. ჩვენთან იყო აგრეთვე ალექსანდრე სვანაძე, ვარლამ მეტეკე. ამ წრეში ჩვენ ვკითხულობდით სხვადასხვა ჟურნალს, ბროშურებს რუსეთის ს.დ. პარტიისა და მათ პროგრამას. აღნიშნული ლიტერატურა გამოცემული იყო ოფიციალურად მენშევიკების დროს. ჩვენ დავწერეთ ხელით პროკლამაციები, რომლებიც უნდა გავგვეკრა. შინაარსი პროკლამაციის იყო ლოზუნგები: „**ძირს საბჭოთა ხელისუფლება! ძირს რუსეთის ოკუპაცია და სხვ. აღნიშნული პროკლამაცია უნდა გავგვეკრა 26 მაისს. ნინციატორი პროკლამაციის შედგენისა მე ვიყავი**“.

დარინა ყურუა

აკაკის კვლადაკვალ

(სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისში)

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 23 აპრილს აკაკისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას უმასპინძლა, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ინიციატივით გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები.

საგულისხმო და შთამბეჭდავი იყო სხდომის თავმჯდომარის მწერლისა და მეცნიერის როსტომ ჩხიძის მისასალმებელი სიტყვა. მან ისაუბრა აკაკი წერეთლის მნიშვნელოვან როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თქვა, რომ ბოლომდე შეუცნობელი და დაფარული პოეტის კიდევ ერთხელ ახლებურად დანახვის ცდა იქნებოდა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები. სიმბოლურად მიიჩნია ის ფაქტი, რომ კონფერენცია ქუთაისში, აკაკი წერეთლის მშობლიურ კუთხეში იმართებოდა. „აკაკი გასააზრებელია მსოფლიო კონტექსტში, რადგანაც ის არამარტო ეროვნული, არამედ მსოფლიო მოვლენაა“ — თქვა ბატონმა როსტომმა და გზა მომხსენებლებს დაუთმო.

პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის მოხსენება ისეთ მწვავე თემას ეხებოდა, როგორცაა ვორონცოვის საქართველოსადმი დამოკიდებულება: „აკაკი წერეთელი და მიხეილ ვორონცოვი“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დღემდე აზრთა სხვადასხვაობას ინვესს ვორონცოვის პიროვნება და განსხვავებულად ფასდება ჩვენს ქვეყანაში გატარებული მისი პოლიტიკა. მისი მეფისნაცვლობისას (1844-54) განხორციელებული დიდმნიშვნელოვანი საქმეები: რუსული და ქართული თეატრის დარსება, ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა, საჯარო ბიბლიოთეკის შექმნა, კავკასიის მუზეუმისა და ახალი სკოლებისა და გიმნაზიების დაარსება... ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის უარყოფით შეფასებას იმსახურებდა და იმსახურებს. ისინი ვორონცოვს იმ დიდმოხელედ მიიჩნევდნენ, რომლის უმთავრეს მიზანს ჩვენს ქვეყანაში რუსული მმართველობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცება წარმოადგენდა. ალექსანდრე ორბელიანი თუ თავის ერთ-ერთ წერილში მას „დიდი გონების კაცსა და სრულ განვითარებულ“ იმ მაღალჩინოსანს უწოდებდა, რომელსაც „სურდა ჭეშმარიტად ჩუენი კეთილი“, მეორეგან მის ე.წ. ქართულ ღვანლს ამგვარ შეფასებას აძლევდა: „ის დრო ვარანცოვისა საქართველოში ჩუენგნით გამოუცდელი სულ სხვა გუარი მოსატყუებელი დრო იყო. მითამ კაიკაცობას გვიჩვენებდა... იმან რუსებში გაგვრია, შეგვართა ამ ცფიერმა დიპლომატმა“-ო.

„ვორონცოვის კავკასიური პოლიტიკის“ შეფასება ქართულ ლიტერატურაში დიამეტრალურად განსხვავებულია — უალრესად პოზიტიურად (გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, პ. იოსელიანი, ა. ფურცელაძე, ი. მეუნარგია, ა. ჯორჯაძე, მის. თამარაშვილი, შ. ამირჯიბი, ს. ყუბანიევილი და სხვ.) უკიდურესად ნეგატიურად (ნ. ავალიშვილი, ვახტ. კოტეტიშვილი, ლ. ასათიანი, ს. გერსამია, ალ. კალანდაძე, რ. ჩხეიძე, ნ. ვახანია და სხვ.)“ (თამაზ ჯოლოგუა).

XIX საუკუნის იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთაც ყველაზე უკომპრომისოდ და მასშტაბურად აწილეს საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამყარების შედეგად დაძვინდებული მანკიერებანი, აკაკი წერეთელი ერთ-ერთი უპირველესი

სია. მიუხედავად იმისა, რომ იგი არც რუსეთთან ჩვენი ქვეყნის შერებების დადებით მხარეებს ჩქმალავს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ აკაკი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა რუსეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ იმ მამულიშვილად, რომელიც ვერაფრით შეეგუა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას. ეს პოზიცია არაორაზროვნად ვლინდება მის შემოქმედებაში მოღვაწეობის ყველა ეტაპზე.

მიუხედავად აკაკის შემოქმედებისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი ამგვარი ანტირუსული პოზიციისა, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ხელისუფლება უღალატოდ დაიცავდა იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ჩვენი ქვეყანა რუსეთს შეუერთდა, მწერალი მისი მფარველ-მოკავშირეობის პრინციპულად წინააღმდეგი მაინც არ იყო. აკაკის აზრით, ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსებს საქართველოში მიხეილ ვორონცოვის (1782-1856 წწ.) მსგავსი ბრძენი ხელისუფალნი ეყოლებოდათ.

აკაკი გამონაკლისი არ ყოფილა და ვორონცოვს, მისი ე. წ. ქართული ღვანლის ნეგატიურად შემფასებელთა გარდა, აშკარად მხარდამჭერნიც საკმაოდ ჰყავდა. როცა ეს ადამიანები საქართველოში ამ რუსი დიდმოხელის მოღვაწეობას განმადიდებელი ეპითეტებით ასხამდნენ ხოტბას, მხედველობაში ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში მისი მეფისნაცვლობისას (1844-54 წწ.) განხორციელებული დიდმნიშვნელოვანი ქართული საქმეები.

ვორონცოვისადმი აკაკის პატივისმცემლური დამოკიდებულება ნათლად გამოიხატა მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ და მემუარულ ნაწარმოებებში (პოემა „ვორონცოვი“, „ჩემი თავგადასავალი“, „ქართული ფულის თავგადასავალი“ და სხვ.).

აკაკის ეს თვალსაზრისი ყოველგვარი კონიუნქტურისაგან შორს მდგარი იმ რწმენის შედეგი იყო, რასთანაც იგი ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველაზე მეტად მისაღები და რეალურად შესაძლებელი გზების ძიებაში მიიყვანა. მაგრამ, როგორც მოვლენათა ისტორიული განვითარების შემდგომმა პროცესებმა ნათლად დაგვანახა, ვორონცოვისნაირი „კარგი რუსი“ მმართველებიც ფაქტობრივად მწერლის პოლიტიკური რომანტიზმის საფუძველზე იდეალიზებული ფორმით წარმოსახული ის ხელისუფალნი იყვნენ, რომელთა მიერაც გატარებული მოწვევებითად ლოიალური და ჩვენი ქვეყნისადმი თითქოსდა აშკარად თანამდგომი პოლიტიკის მიღმა რეალურად მაინც რუსული კოლონიალიზმის მზაკვრული გეგმები იმალებოდა“.

კონფერენციის მონაწილეთა და საერთოდ დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია ცნობამ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ მომზადებული აკაკის თხზულებათა ახალი აკადემიური ოცტომეულის გამოცემის შესახებ. პროფესორ **ჯულიეტა გაბოძის** მოხსენებაც სწორედ ამ გამოცემასა და მასში შესულ უცნობ ხელნაწერთა გამოკვლევა-დადგენას ეხებოდა: „აკაკის ახალი აკადემიური ოცტომეული და უცნობი ავტოგრაფები.“

გამოცემის მთავარი რედაქტორი ლიტერატურის ინსტიტურის დირექტორი ქალბატონი **ირმა რატიანია**, ხოლო ერთ-ერთი სამეცნიერო ხელმძღვანელი როსტომ ჩხეიძეცაა. 1963 წლის შემდეგ აკაკის თხზულებათა სრული კრებულები არ გამოცემულა, ხოლო ახალი გამოცემის ხუთი ტომით გაზრდა თავისთავად მეტყველებს იმ მასალათა სიმრავლეზე, რომელთაც აქამდე დღის სინათლე არ ღირებოდა. ამჟამად გამოცემულია I—V ტომები, დანარჩენი ტომებიც ეტაპობრივად მზადდება.

ოცტომეულში მწერლის მასალები შემდეგნაირად განთავსდება: ტ. I — ლექსები (1856-1888 წწ.) ტ. II — ლექსები (1881-1900 წწ.) ტ. III — ლექსები (1901-1914 წწ.). უთარილო, დაუმთავრებელი და ყრმობისდროინდელი ლექსები. ტ. IV — პოემები. ტ. V — დრამატული პოემები. ტ. VI-VII — მოთხრობები. ტ. VIII — დრამატული თხზულებანი. ტ. IX — პოეტური თარგმანები, თარგმნილ-გადმოკეთებული ლექსები, იგავ-არაკები კრილოვით. ტ. X — თარგმნილი პიესები. ტ. XI — 1860-1880. ტ. XII

— 1881-1890. ტ. XIII — 1891-1900. ტ. XIV — 1901-1906. ტ. XV — 1907-1914 — წლებში დანერგილი პუბლიცისტური წერილები და ფელეტონები. ტ. XVI — რუსულ ენაზე დანერგილი პუბლიცისტური წერილები. ტ. XVII-XVIII — აკაკის ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. XIX — დოკუმენტები და საქმიანი ქაღალდები. ტ. XX — შემოქმედების ბიბლიოგრაფია და საძიებლები.

ჯულიეტა გაბოძე: „ამ პროექტით ლიტერატურის ინსტიტუტმა ძალიან დიდი საქმე წამოიწყო. ალბათ, განდებდა კითხვა, თუ სად იყო ეს მასალები, რომლებიც დამატებით ხუთ ტომში განთავსდება? ისინი ახალი მიკვლეულია თუ აქამდეც ცნობილი იყო მკვლევართათვის? — თვითონ აკაკი ამბობდა, ყველაზე მეტად ცენზურის მეშინოდა ჩემს სიცოცხლეში, და მართლაც ასეა, სწორედ ამ ცენზურის წყალობით არ იყო ცნობილი აქამდე მისი ხელნაწერები ფართო საზოგადოებისთვის. უამრავი მასალა იქნა მოძიებული სხვადასხვა მუზეუმებში, ეროვნულ არქივებსა და კერძო პირებთან, მათი დიდი ნაწილი ვერ გამოიცა თავის დროზე, რადგანაც არსებობდა უმკაცრესი საბჭოთა ცენზურა. ახლა კი ვცდილობთ ამ ყველაფერს თავი მოვუყაროთ და სრულად მივანოდოთ საზოგადოებას.“

ამბობენ, რომ კლასიკოსთა შემოქმედება ამოუწურავია. აკაკი პოლემისტი და პუბლიცისტის გამორჩეული ნიჭით იყო დაჯილდოებული, ამიტომაც ასე აქტიურად წერდა წერილებსა და ფელეტონებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის საკითხებზე. მათში მწერალი საგულისხმო შეხედულებებს სთავაზობდა თანამედროვეებს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის, მეზობელ ხალხებთან მიმართების, ე.წ. „ოსმალის საქართველოს“ პრობლემებისა თუ საქართველო-რუსეთისა და სომეხთა და ქართველთა ურთიერთობათა შესახებ, იკვლევდა ქართული ეთნოფსიქოლოგიისა და კულტურის გენეზისის საკითხებს; აგროვებდა და სხვებსაც მოუწოდებდა, შეეკრიბათ ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები თუ ძველი ნაწარმები. და თუმცა იმდროინდელი პრესა გააფრებული იყო აკაკის პუბლიცისტური წერილებით და შემდეგაც მწერლის თხზულებათა რამდენიმე ტომი დაეთმო მის პუბლიცისტურ ნაწარმებს, საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი თუ ნაკლებად ცნობილი წერილები კვლავც „მოთმინებით ელიან“ გამომწერებს.“

თემატურად გააგრძელა საუბარი აკაკი წერეთლის შესახებ ქალბატონმა **ნანა ფრუიძემ**, რომლის მოხსენება შეეხებოდა მწერლის მიერ ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშთა შესწავლას.

„ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების დაბეჭდვის საკითხი აკაკის ძალზე ალელვებდა, რადგან, მისი აზრით, სწორედ სტამბური ნესით გამოცემა იყო იმის გარანტი, რომ ძეგლი დაცული იქნებოდა და ხელნაწერის განადგურების შემთხვევაშიც კი შთამომავლობას არ დაეკარგებოდა. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აკაკი წერეთელმა „მნათობში“ მრავალმხრივ საგულისხმო წერილი დაბეჭდა სათაურით „ვინ სტყუვის?“ სადაც პოეტი ერთ უმნიშვნელოვანეს ბრალდებას სწორედ იმას უყენებდა „მამებს“, რომ მათ არ იზრუნეს გარდასულ საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ძეგლების მოძიებისა და გადარჩენისათვის. ამასთანავე მიიჩნევდა, რომ ნიგნების უბრალოდ დაბეჭდა კი არა, არამედ სწორედ მეცნიერების დახმარებით სასტამბოდ მომზადება უნდა მომხდარიყო. აკაკი ითხოვდა ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მომზადებას ძირითადი ტექსტის დადგენით, შესავალი წერილის, შენიშვნებისა და კომენტარების დართვით, ლექსიკონის შედგენით, რაც, კლასიკური მწერლობის ნიმუშებთან დაკავშირებით, არათუ მისაღები, უსათუოდ გასაზიარებელი აზრიცაა. ასევე, მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის გამოცემა უნდა გამორჩეულიყო დიდი ტირაჟითა და ხელმისაწვდომი ფასით, რათა მკითხველ საზოგადოებას მისი შექმნა და გაცნობა არ გაჭირვებოდა.“



ჯული გაბოძე

აუდიტორიის ვნებათაღელვა გამოიწვია შემდგომ მომხსენებელთა თემებმა, რომლებიც მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალს შეეხო. დღესაც კი, ბოლომდე გაურკვეველი და ბუნდოვნებით მოცული აკაკი წერეთლისა და ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის ურთიერთობა საზოგადოების დავისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია. ასევე გაურკვეველია ტასო ბაგრატიონის მეუღლის ივანე მაჩაბლის გაუჩინარების ამბავი, მისი იდუმალი აღსასრული, აგერ უკვე კარგა ხნის გადაცილებული რომაა საუკუნეს, მაგრამ გარკვეული ხანის მიუხედავად ამ საშინელების მიზეზი, ნამდვილი გარემოება ვერანირად გამოიკვეთა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ივანე მაჩაბლის საფლავიც არ მოგვეპოვება.

სწორედ ამ ტრაგიკულ ამბავს ეხებოდა **გია ხოფერიას** მოხსენება, რომელიც როსტომ ჩხეიძის პიესის „26 ივნისის საიდუმლო“ გააზრება-გაანალიზება გახლდათ. პიესაში წარმოდგენილია ივანე მაჩაბლის საიდუმლო გაუჩინარების შედარებით ნაკლებად ცნობილი ვერსიის ლიტერატურული გარდასახვა. „როსტომ ჩხეიძემ მკითხველს შესთავაზა ის ვარიანტი, როცა ვანო მაჩაბელი თავის მეუღლესთან, ტასო ბაგრატიონთან მყოფ ვიღაც ოფიცერს შეისწრებს. ტასო ამ ოფიცერს მუნდირს უუთოვებს. განრისხებულ ვანოს შეჭიდებისას იოლად ამარცხებს ის ოფიცერი. ვანო თავისივე უთოს მსხვერპლი ხდება. ეს ამბავი რომ არ განმარტებულყო, ტასოს მითითებით სოსიკო მერკვილაძე საკირემი წვავს ვანოს ცხედარს. ამ ამბავს აკაკი წერეთელიც შეესწრო.“

საზოგადოებაში კი ხმა დაირხა, რომ ვანო მაჩაბლის გაუჩინარება ილია ჭავჭავაძის მიზეზით უნდა მომხდარიყო. განსაკუთრებით ეს ვერსია ხელს აძლევთ სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც კარგად იცოდნენ ილიასა და ვანოს საბანკო დაპირისპირების შესახებ და მშვენიერი შემთხვევა მიეცათ ილია ჭავჭავაძე — მარქსისტული იდეების მტერი — თავიდან მოცილონ. ილია იძულებული ხდება თვითონვე გამოიძიოს ვანოს ტრაგედიის მიზეზები, რასაც წარმატებით ართმევს თავს, მაგრამ სიმართლის გამჟღავნებას მოულოდნელი გარემოებანი გადაეღობება წინ. ძნელი აღმოჩნდება ტასო ბაგრატიონისა და აკაკი წერეთლის მოსალოდნელი ხიფათის გაუთვალისწინებლობა.

როსტომ ჩხეიძემ ეს ამბავი მართლაც საშურ დრამატულ ელფერში მოაქცია. მის მიერ შემოთავაზებული სქემა საინტერესოა, უფრო დამაინტრიგებელი კი ილიას დეტექტივობა, ილიასა და აკაკის პაექრობაა. პიესაში არაერთი მოქმედება და

სურათი, ტევად შინაარსთან ერთად, ძალზედ ექსპრესიულადაა დაწერილი, თითქმის არ წყდება თვალი კადრების განვიტარებას და ბოლომდე ინარჩუნებს მკითხველს.

„26 ივნისის საიდუმლო“ იმითაცაა საინტერესო, რომ მარჯვედაა გამოყენებული სოსო სიგუას მიერ ფსიქონალიზის მეთოდით წაკითხული პოემა „გამზრდელი“, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ლიტერატურულ ვერსიაში განვითარებულ ამბავს, კიდევ უფრო რთულდება ვანო მაჩაბლის დაღუპვის ამოსაცნობად გაკვალული გზა, უფრო მეტი ეფექტურობით წამოიჭრება ეჭვი აკაკის მიმართ, როგორც შემსწრისა თუ თანამონაწილის ამ საშინელი გაუჩინარებისა.“

აკაკისა და ტასო ბაგრატიონის ურთიერთობის კიდევ ერთ ინტიმურ მხარეს — ტასოსადმი მიძღვნილ ლექსებს შეეხო **ელისაბედ ზარდიაშვილის** მოხსენება „აკაკის ორი ლექსის უცნობი ადრესატი“. თვითონ პოეტი ძალიან ეკრძაღვოდა ტასო ბაგრატიონისადმი გრძნობების საზოგადოდ გამჟღავნებას, ამიტომაც მისადმი მიძღვნილ ლექსთა რაოდენობა უმნიშვნელოა. მითუმეტეს, ეს ლექსები მიძღვნილია 900-იანი წლების შემდეგ (ვანო მაჩაბლის გაუჩინარების მერე), მანამდე მხოლოდ ერთი ლექსი „ტ. ბაგრატიონის ალბომში“ დაწერილია ტასოს ქალღმვილობაში, კერძოდ, 1889 წელს და დიდაქტიკური ხასიათისაა.

აკაკის გრძნობები ტასო ბაგრატიონისადმი დღესაც დავისა და კამათის საკითხია. ასე იყო იმ დღესაც. დარბაზი ორ წაწილად გაიყო. უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ აკაკის მიმართ არც ტასო ბაგრატიონი იყო გულგრილი და ივანე მაჩაბლის გაუჩინარებაში პოეტსაც კი სდებდნენ ბრალს, კონკრეტულად ამ საკითხშიც შეუძლებელი აღმოჩნდა, მორალის პოზიციიდან აკაკის დამნაშავეობაც ილანდებოდა, თუმცა ვერსიები მაინც ვერსიებად დარჩა...

აკაკი წერეთლის შემოქმედების აკადემიურ გამოცემასა და ცენზურაზე ისაუბრა **მაია არველაძემ** მოხსენებაში „მწერლის ლაბორატორია, ცენზურა და გამოცემა“. მოხსენების ავტორმა განიხილა მწერლის შემოქმედების აკადემიური გამოცემა, რომელიც მზადდება ავტორის შემოქმედების სრული შესწავლით და მისი ბოლო ნების გათვალისწინებით. მიმოიხილა ქართველი კლასიკოსი ავტორების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გრიშაშვილის, გ. ტაბიძის შემოქმედებითი ლაბორატორია. ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რა მავნე ზეგავლენას ახდენდა მეფის რუსეთის, ბოლშევიკურ-მენშევიკური და საბჭოთა იდეოლოგიური ცენზურა ამა თუ იმ ნაწარმოებსა და მთლიანად გამოცემაზე.

„მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა გულისხმობს ავტორის მთელი შემოქმედების ქრონოლოგიურ წარმოჩენას. შეიძლება ესა თუ ის ნაწარმოები ნაკლებ ღირებული იყოს ლიტერატურული თუ შემოქმედებითი თვალსაზრისით, მაგრამ სრული კრებული გამოცემული ვალდებულია, მკითხველს გააცნოს კლასიკოსი მთელი თავისი ლაბორატორიით. აკადემიური გამოცემა განკუთვნილია მკითხველთა იმ წრისთვის, რომელიც წარმოადგენს მეცნიერ-მკვლევრებს და რომელთაც კლასიკოსთა თხზულებანი სათანადო, ტექსტოლოგიურ დონეზე უნდა მიეწოდოს, რათა მწერლის შემოქმედებაზე მეცნიერული კვლევა-ძიება სწორი მიმართულებით ჩატარდეს. ამიტომაც არანაირი რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური თუ სუბიექტური შეხედულება ხელს არ უნდა უშლიდეს მწერლის შემოქმედების სრულ წარმოჩენას. შემოქმედების სრული წარმოჩენა კი თავისთავად ნიშნავს ავტორის ნების გათვალისწინებას, მის მიერ შექმნილი ტექსტის ხელშეუხებლობას“.

აკაკის მასწავლებლების თემას შეეხო **ელგუჯა თავბერიძე: „აკაკის მასწავლებელ კაზიმირ როდზიევიჩის ბიოგრაფიისათვის“**. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ აქამდე აკაკის მასწავლებელთა შესახებ სრულყოფილი გამოკვლევა არ არსებობს. მხოლოდ სამი წერილია (ტრიფონ ხუნდაძის, კონსტანტინე მეძველიასი და რაფიელ შამელაშვილის) ამ საკითხის შესახებ, რომლებშიც ავტორები აღნიშნავენ თუ რა საგნებს

სწავლობდა აკაკი, ვინ ასწავლიდა და რა შეფასებას ღებულობდა. აქედან ერთ-ერთი წერილი, რაფიელ შამელაშვილისა, აკაკის მასწავლებლებს ეძღვნება, მაგრამ ისეთი ეკლექტიური ახერხებს. მოკლედ, უნდა ჩაითვალოს, რომ არავის უკვლევია ეს საკითხი, მითუმეტეს, ერთობ საინტერესო და მწერლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურის კაზიმირ როდზიევიჩის ცხოვრების შესწავლით არავინ დაინტერესებულა. ერთადერთი ცნობა, რომელიც ამ პიროვნების შესახებ მოიპოვება და გიორგი აბზიანიძემ შეიტანა თავის წიგნში „ქართველი კლასიკოსები“, მიანოდა კონსტანტინე როდზიევიჩის (კაზიმირის ძმა) შთამომავალმა მედეა ისარლიშვილმა. ამ ცნობას ეყრდნობა რაფიელ შამელაშვილიც, მაშინ, როცა მის მიერ მოტანილი საარქივო დოკუმენტის გვერდით მეორეც რომ წაეკითხა, უფრო სრულყოფილად გაიგებდა ყველაფერს.

კაზიმირ როდზიევიჩის ოჯახის ისტორია, მისი მოღვაწეობა ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში, განათლება, მიღწევები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები შეგიძლია გავიგოთ ქუთაისის სახელმწიფო არქივში დაცულ მასალებში, რომელიც მკვლევარ ელგუჯა თავბერიძეს, რა თქმა უნდა, ვერ „გადაურჩებოდა“. ასევე ამ მასწავლებლის ბიოგრაფიის დასადგენად საკმაოდ დიდ ინფორმაციას თვით აკაკი წერეთელიც იძლევა „ჩემს თავგადასავალში“. მიუხედავად იმისა, რომ როდზიევიჩს ძალიან უყვარდა დაღუპვა, რაც გავლენას ახდენდა მის საქმიანობაზე, ჯანმრთელობაზე და პრობლემებსაც უქმნიდა, აკაკის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მისადმი. გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ მას ოთხი თვე მოუწია როდზიევიჩთან ერთად ცხოვრება, იხსენებს, ეს ხანა ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე გიმნაზიაში გატარებული მთელი რვა წელი. ალბათ, მსგავს ინტერესს მასწავლებლის მიმართ ისიც იწვევდა, რომ როდზიევიჩი ანტირუსული სულისკვეთებისა იყო.

და კიდევ სხვა მნიშვნელოვან დეტალსა თუ მოვლენას შეეხებოდა მოხსენება, რომელიც ავტორმა წარუდგინა მსმენელთ.

ალბათ, მართებული იყო შენიშვნა, მოხსენების ბოლოს ბატონმა როსტომმა რომ აღნიშნა: დარწმუნებული ვარ, ბატონი ელგუჯა სულ მალე, თუ სადმე დანაბიჯები აქვს კაზიმირს, თვალწინ გადაგვივლისო.

ლია კუხიანიძემ კი ის მნიშვნელოვანი და ახლებური დეტალები გადაგვიშალა თვალწინ, რომელიც აღმზრდელთა-გამზრდელთა და ადამიანურ მორალს შეეხება. აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ რომ ამოუწურავი და მრავალთემიანი პოემაა, ამაზე დღეს არავინ დავობს. პირიქით, პოემის ყოველი ახალი ნაკითხვა კიდევ ერთ ახალ დეტალს გადაუშლის მკითხველს თვალწინ და კიდევ ერთ საფიქრალს გაუჩენს. თვითმკვლელთა, გამზრდელის (მამის) მიერ გაზრდილის (შვილის) საიკვდილოდ გამეტება ვერგამეტებასა და ადამიანად მოვლინების მნიშვნელობას ეხებოდა მოხსენება „**გამზრდელის ერთი პასაჟის გამო (აკაკი წერეთელი და უილიამ ფოლკნერი)**“.

რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ მამამ შვილი გაიმეტოს სიკვდილისთვის („ხევისბერი გოჩა“)? რა შეიძლება მოხდეს ისეთი, რომ მამამ (გამზრდელმა) საკუთარი თავი გაიმეტოს თვითმკვლელობისთვის („გამზრდელი“)? რა არის მთავარი ამ ცხოვრებაში — სიყვარულისა თუ არსებობისთვის ბრძოლა (უილიამ ფოლკნერი „ხვალ“)? რაოდენ დიდი უნდა იყოს ადამიანის პიროვნება, რომ საკუთარი თავი თვითმკვლელობისთვის (სამუდამო სატანჯველისთვის) გაიმეტოს? სამუხაროდ, ცხოვრებისგან შემოთავაზებული არჩევანი მხოლოდ ცარიელ სიტყვებად რჩება და უმეტესად არსებობისთვის ბრძოლა უნევს ადამიანს და არა სიყვარულისთვის, თუმცა მის ადამიანობადაკარგულ და გაცხოველებულ სხეულში ყოველთვის არის ხსოვნა სულიერებაზე. და სწორედ ამ სულიერების გამოძახილია აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ და უილიამ ფოლკნერის „ხვალ“, რომლის ღრმა ანალიზმა მიიყვანა მოხსენების ავტორი ზემონახსენებ დასკვნამდე.

აკაკის მცირე პუბლიცისტურ წერილს ეხებოდა იოსებ ჭუმბურიძის მოხსენება „ორი შეხვედრის“ ამბავი და სილუეტები“.

„დღეს რომ ქართული ჟურნალისტიკა სავალალო მდგომარეობაშია და მშველელიც არ ჩანს, ამაზე უკვე ხმამაღლა საუბარიც კი უშედეგოა, რამეთუ ხელისშემშლელებად სწორედ ისინი გამოდიან, ვისაც უშუალოდ ევალება ამ დარგის ხელშეწყობა. როგორ უშლიან ხელს? — ფაკულტეტებისა და კვლევითი ცენტრების დახურვით, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო გეგმიდან მნიშვნელოვანი დარგების ამოღებით, პროფესორ-მასწავლებელთა უგულვებელყოფით... ამ ყველაფერს კი საბოლოოდ უხელობო და უპროფესიო „პროფესიონალებთან“ მივყავართ. დღეს, ალბათ, ძნელად თუ შეძლებს ვინმე ისეთი პორტრეტების დახატვას, როგორებიც შემოგვთავაზა აკაკი წერეთელმა თავის პუბლიცისტურ წერილში „ორი შეხვედრა“. პირველად, როცა პოეტი 22 წლისა ხვდება ივანე კერესელიძეს, სადილზე მასპინძელმა აკაკისთან ერთად სამი დიდი პიროვნება — ლავრენტი არდაზიანი, ალექსანდრე ორბელიანი და დიმიტრი ბერიევი დაჰპატიჟა. საინტერესო და საუცხოოა თითოეულის პორტრეტი, ერთი ხელის მოსმით რომ გვიხატავს მწერალი. ივანეს „საკვირველი მწუხარებით“ ახასიათებს, ორბელიანს ქართული ჩოხით, ბერიევს კი მუნდირით — მწერლური ოსტატობის ხაზგასმამა და მრავლისმეტყველი დახასიათება თითოეული მათგანის.

საინტერესოა დარიგების სცენა, როცა ორბელიანი აკაკის ქვეყნისთვის თავდადებას ურჩევს, კერესელიძე — ბევრ წერას, არდაზიანი — სიმტიცეს, ბერიევი კი გვერდზე გაიხმობს და ეუბნება: შეგატყვევ ჩემი დანახვა არ გესიამოვნა პოლიციის მუნდირის გამო, მაგრამ ვინ იცის, რა გული მიცემს ამ მუნდირის ქვეშო... მრავლისმეტყველია...

30 წლის შემდეგაც იგივე განმეორდა, როცა ივანე კერესელიძემ და აკაკი წერეთელმა თავიანთი „არაფერები“ შეაერთეს და ერთად წამეს პური...“

რატომ გახდა უფრო მნიშვნელოვანი დღევანდელ საქართველოში, ყურადღების გამახვილება აღნიშნული პუბლიცისტური წერილის ოსტატობაზე და არა იქ აღწერილ ამბავზე? რატომ უნდა ნაეკითხოს ის დღევანდელ ახალგაზრდობას? როგორ და რა მაგალითებზე უნდა აღიზარდოს მომავალი ჟურნალისტი? როგორ გამოვიყენოთ ჩვენი მემკვიდრეობა? — მომხსენებლის აზრით ამ საკითხებზე ფიქრი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა დღევანდელ საქართველოში, ვიდრე თვით წერილის მნიშვნელობა, რაც, ერთი მხრივ, სამწუხარო ფაქტია, როცა პროფესიონალიზმს ეხება საქმე.

კიტა აბაშიძემ მე-20 საუკუნის დასაწყისში, 1911 წელს, გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“. კრიტიკოსის განსჯის საგანია ყველა ის შემოქმედი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ლიტერატურის განვითარებაში, ბუნებრივია, მათ შორისაა აკაკი წერეთელიც. სწორედ ამ „ეტიუდებს“ ეხებოდა **ნესტან კუტივაძის** მოხსენება „აკაკი კიტა აბაშიძის ეტიუდებში“.

კიტა აბაშიძის აზრით, აკაკი „ქართული რეალური ლირიზმის საუკეთესო წარმომადგენელია“. კრიტიკოსი, აღნიშნავს, რომ, რეალისტური თვალთახედვით, „სულიკოს“ ავტორზე უკეთ პოეზიისა და პოეტის ფენომენი არავის განუმარტავს. წერილში, ასევე, საუბარია რომანტიკულ და რეალისტურ ლიტერატურას შორის არსებული განსხვავებების შესახებ. კიტა აბაშიძე აკაკი წერეთლისა და, საერთოდ, ქართველ პოეტთა მნიშვნელოვან დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მათ სიყვარული და პატრიოტიზმი „ისე გახადეს ერთმანეთის ფორმად და შინაარსად“, რომ უკვე ძნელი გასაგებია, რა იგულისხმება — სამშობლო თუ ხორცშესხმული ქალი. აქვე გამოყოფს აკაკის სატრფიალო ლირიკის თავისებურებებსაც და მას ბარათაშვილის ლირსეულ მემკვიდრედაც მოიხსენიებს. ეხება, ასევე, ბუნების მშვენიერების აღწერის ხელოვნებასა და გააზრების სიღრმეს. საბოლოოდ დაასკვნის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ის სამი დიდი პოეტი, რომლებიც „აქისკროვნებდნენ“ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურას.

კიტა აბაშიძის წერილი არ არის ამომწურავი, მაგრამ, ამის მიუხედავად, მასში ნამოჭრილ საკითხებს არც სიღრმე აკლია და არც არგუმენტირებულობა. დღეს აღარავინ დავობს აკაკის პროზისა და პოეზიის თანაბარ ღირებულებაზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სწორედ აკაკის ლირიკის სიმალის დაძლევა და შემდგომ განვითარებას დასჭირდა გალაკტიონ ტაბიძის ნიჭი.

თანამედროვე დასავლურ ლიტერატურულ სივრცეში ბოლო დროს ყველაზე მოთხოვნად „პროდუქციად“ რომანი-ბიოგრაფია გახდა. თუ რა გახდა ამ ჟანრის მიმზიდველობის მიზეზი, ამაზე ისაუბრა **თამარ ყალიჩავემ** მოხ-



ნანა ფრუიძე

სენებაში „**მზით აღბეჭდილი ნაკვალევი (დაკვირვებანი ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანზე „აკაკის ლანდი“)**“.

„საყოველთაოდ გაზიარებული დეფინიცია ამ ჟანრისა არ არსებობს, თუმცა მკვლევართა აზრით რომანი-ბიოგრაფია მხატვრული საქმეა და ის არა მეცნიერმა, არამედ ლიტერატურის დიდოსტატმა უფრო უნდა შექმნას. უდავოდ, ვერც შეეკამათები ამ აზრს.

შთამომავლობაში რომელიმე ისტორიული მოვლენა მაშინ იძენს აზრს, როცა ის თხრობაში ჩაებმება, საშუალებას იძლევა ისტორიული მოვლენა გადაფასდეს, ანიჭებს აზრს დანაწევრებულ მოვლენებს და სძლევეს ფრაგმენტულობას — სწორედ ეს განაპირობებს მნიშვნელობასა და პოპულარობას ამ ჟანრისა, განსაკუთრებით ისტორიის იმ მონაკვეთში, როცა ადამიანის მთლიანობა ეჭვქვეშ დგება.

თუ რატომ დაინტერესდა ელგუჯა თავბერიძე აკაკის შესახებ ბიოგრაფიული რომანის შექმნით, ამაზე რომანში დასაფიქრებელი პირობებების აქტუალობა მეტყველებს. მედროვეობა, ლოლობერიძეთა მაგალითი, მაჰმადიანი აჭარლები, ერის გადაგვარება, პროვინციებში სასწავლებლების აუცილებლობა... — ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ეს ყველაფერი მცდელობაა იმისა, რომ მომავალმა თაობებმა სწორად დაინახონ, აღმოაჩინონ და შეაფასონ მწერლის ნაკვალევი და მარტივად არ დაიკარგოს“.

შეუძლებელია არ დაეთანხმო თამარ ყალიჩავას, როცა მოხსენება შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „თუ ვინმე შეიძლება განზოგადდეს საქართველოსთან, ეს აკაკი და მისი მარადიული ლანდი უფრო მკვეთრი და ცოცხალი გახდა ჩვენთვის ელგუჯა თავბერიძის რომანის წყალობით“.

აკაკი წერეთლის ცხოვრების უმთავრეს პრობლემას — ფინანსურ მხარეს შეეხო **თამარ ახვლედიანის** მოხსენება „აკაკი და მატერია-

ლური პრობლემები”. აკაკის მთელი ცხოვრება სიცოცხლეს უმწარებდა მოუწესრიგებელი მატერიალური პირობები.

„იგი, ძირძველი თავადი, ბატონ-ყმობის გაუქმებამდეც, მით უფრო შემდეგ, ცოლვად მიიჩნევდა მის მამულში მომუშავე გლეხებისგან ფულის აღებას. მთავრდებოდა ფეოდალიზმის ეპოქა, იწყებოდა კაპიტალიზმის ხანა და იქნებ ამიტომაც იგი ეთიკური თვალსაზრისით მისაღებად თვლიდა, აელო ცოლის მზითვეში მიღებული ოქროს საბადოების და მისი მამის მამულში აღმოჩენილი მარგანეცის საბადოებისგან შემოსული ფული, მაგრამ ეს შემოსავალი მეტოქეებმა გამოსტაცეს ხელიდან.

აკაკიმ სახელმწიფო სამსახურზე, საიდანაც მუდმივი ხელფასი ექნებოდა, თავიდანვე უარი თქვა, რადგან მიაჩნდა, რომ ის შემოქმედებითი შრომისთვის აუცილებელ დროსაც წაართმევდა და რუსეთის იმპერიის მონადაც აქცევდა.

ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკმა, როგორც გამორჩეულ მწერალს, დაუნიშნა ყოველთვიური პენსია 125 მანეთი, მაგრამ ამ ფულს თითქმის წლობით არ აძლევდნენ და მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მისი ნაწილი ბანკში დაგირავებული თავისი მამულის გამოსასყიდად გამოუქვითეს.

როგორც მწერალს, შემოსავალი თითქმის არ ჰქონდა, რადგან ქართული გამომცემლობები და რედაქციები ძალიან ღარიბი დანებსებულებები იყვნენ და ნაწარმოებებს თითქმის უფასოდ აძლევდა დასაბეჭდად. თვითონაც სცადა გამხდარიყო გამომცემელი, მაგრამ ვერც აქ იხიერა.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ავად ხდებოდა და ფულს ითხოვდა მისი მეურნალობაც.

ბუნების ალტრუისტი იყო და თუ ფული ჰქონდა, ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა.

იქნებ ცუდი მატერიალური პირობების გამოც, სტუდენტობიდანვე ბანქოს თამაშობდა, რაც კიდევ უფრო არამყარს და კონვულსურს ხდიდა მის ცხოვრებას და აძლიერებდა ნერვოზულ მდგომარეობას, რამაც დააჩქარა კიდევ მისი სიკვდილი“.

მატერიალური პრობლემები მხოლოდ მწერლის სატიკვარი რომ არ იყო, ამაზე მეტყველებს მე-19 საუკუნის ბოლოს სათავადაზნაურო ბანკის დაარსება, რაზეც ისაუბრა **ლუკა დვალისვილი**მა მოხსენებაში „1881 წლის ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის არჩევნები და აკაკი წერეთელი“.

„ქართული სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ იმდროინდელი ქართული საზოგადოების დადებითი და შუქ-ჩრდილიანი მხარეები მთელი სიცხადით წარმოაჩინა. აკაკი წერეთელმა, ჩვეული იუმორით, იმდროინდელი ქართული საბანკო რეალობის ქუმარტი სახე ასე გამოაქილიკავსაჯაროვა: სამართებელი კაცისთვის აუცილებელი და საჭირო საგანია, მაგრამ ბავშვის ხელში სახიფათო იარაღად იქცევაო. აკაკი წერეთელი, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძისთან ერთად, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ დაპირისპირებათა შუაგულში იდგა მუდამ. შესაბამისად, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული პოეტის გარდაცვალებამდე საქართველოში არ ყოფილა ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ნეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის გადაჭრაშიც აკაკის მნიშვნელოვანი როლი არ ეთამაშა. შესაბამისად, არც საბანკო საქმე დარჩენილა ყურადღების მიღმა. სამწუხაროდ, პოეტის წინასწარმეტყველება ბანკთან დაკავშირებით გამართლებული აღმოჩნდა და მართლაც ბავშვის ხელში მოხვედრილი სამართებელი იდაში გამოდგა საზოგადოებისთვის, რამეთუ ბერმა სწორად ვერ გაიზარა მისი დანიშნულება და მატერიალური კეთილდღეობის გამაუმჯობესებელ ინსტრუმენტად კი არ იყენებდა, არამედ ქარაფშუტობისა და მედღეხვალიობის საშუალება გახდა. რა თქმა უნდა, ამ პრობლემის მიმართ გულგრილი ვერ დარჩებოდა პოეტი და შესაბამისად მისი შედეგების გამოსწორებისათვის მთელი ფიზიკური და გონებრივი ძალებით დაუცხრომლად იღვწოდა“.

ცნობილია ქართველმა პოეტმა და დრამატურგმა სიკო ფაშალიშვილმა მნიშვნელოვანი მემუარები დაგვიტოვა. მისი

მოგონებანი ეხება მრავალ ისეთ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენელს, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს ქართველი ხალხის სულიერი აღმასვლის საქმეში. ერთ-ერთი მოგონება სწორედ აკაკი წერეთელს ეხება, რომლის შესახებაც ისაუბრა **თენგიზ გუმბერიძემ** მოხსენებაში „სიკო ფაშალიშვილი აკაკის შესახებ“. წიგნში „დაუვიწყარი შეხვედრები“ ვრცელი ადგილი უჭრავს მოგონებას აკაკის შესახებ. „ოლიმპიელის სახელის დიდი ნათელი“ ასე დაუსათაურებია ავტორს მოგონებათა სკივრი, სადაც მისი და მწერლის ემოციური შეხვედრა აღწერილი. ბავშვობაში მოუწია ავტორს შეხვედრა დიდ პოეტთან და მისთვის ლექსის წაკითხვა. ასევე აკაკისა და სიკო ფაშალიშვილის პირადი ურთიერთობებიც მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დეტალებით გამოირჩევა, რომელიც უკვე დრამატურგის ცხოვრების მომდევნო ეტაპზე შედგა.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში რეალიზმის დამკვიდრების კვალდაკვალ ფეხს იდგამს ქართული დრამატურგია და თეატრი. ამ მამულიშვილურ საქმეში თავისი დიდი წვლილი შეიტანა აკაკი წერეთელმა, რის შესახებაც ისაუბრა **ომარ გვეტაძემ** მოხსენებაში „აკაკი, გოეთე, ჩეხოვი...“.

„აკაკი არამარტო დრამატურგი, არამედ რეჟისორიც და თეატრალური საქმის თავგადადებული ორგანიზატორიც იყო. იგი დღენიდავ ზრუნავდა ქართული თეატრის შექმნისათვის. აღმოაჩენდა და იწვევდა მსახიობებს, მონაწილეობდა სცენის მოწყობაში და სხვა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სცენიდან სწორმეტყველებას და გამომეტყველებით კითხვას, წვრთნიდა და ლექციებს ატარებდა ამ თემებთან დაკავშირებით. აკაკი წერეთლის თეატრალურ შეხედულებებს მრავალი ასპექტით, შეხების წერტილები მოექმნება გოეთეს, ჩეხოვისა და სხვა მწერლებისა და დრამატურგების თეატრალურ ნააზრევში. ქართული სული ყოველთვის მიეღწეოდა დასავლეთის კულტურას. იგი, მიუხედავად ჟამთა სიავისა, არასოდეს ყოფილა ჩაკეტილი ვინრო ჩარჩოებში. სწორედ ამის მაგალითია მწერლის დაუღალავი შრომა დრამატურგიის განვითარებისთვის, რასაც უკვალოდ არ ჩაუვლია“.

აკაკის პიროვნული ბუნების გამორჩეული ემოციური ფონი, რომელიც პოეტს ახასიათებდა, როგორც პირად ურთიერთობაში, ასევე საქმისადმი დამოკიდებულებისას, გახდა **როსტომ ჩხეიძის** კვლევის საგანი, მისი მოხსენება ასე იყო დასათაურებული: „**ყმანვილური მისტიფიკაციები (აკაკი წერეთლის ფსიქოლოგიური პორტრეტის ერთი შტრიხი)**“. პოეტს ყოველთვის ჰქონდა გამძაფრებული შეგრძნება იმისა, რომ ვიღაც მტრობდა, რაღაცას განზრახ უწყობდნენ და ამისთანანი. ხშირ შემთხვევაში შეიძლება მართალიც იყო, თუმცა ალბათ აქ მნიშვნელოვანი ის დეტალია, რომ, რასაც აკაკი ამბობდა, იმის თვითონვე სჯეროდა და ამაში გულწრფელი იყო. მოხსენებელმა ამის დასტურად ის ფაქტი გაიხსენა, როცა აკაკი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, ილიამ იმ გამოცემის მთელი ნომერი შეისყიდა და გაანადგურა, სადაც ჩემი საპასუხო სტატია იყო დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებთან დაკავშირებით. ეს წარმოუდგენელი ფაქტი (ილიას მიერ ტირაჟის შექმნისა და განადგურებისა) პოეტის ფანტაზიის ნაყოფია და ის ყურადღების მიღმა ვერ დარჩება, მისი ხასიათისა თუ თვისების დასახასიათებლად გამოდგება. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია გრიგოლ რობაქიძემ და როსტომ ჩხეიძემ ეს დაკვირვება აქცია ღრმა ფსიქოლოგიურ-ანალიტიკური დაკვირვების საგნად.

პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტის დახასიათება, მისი გაბავშვება და ყმანვილური მისტიფიკაცია როსტომ ჩხეიძემ მაინც ინტრიგად დატოვა, რითაც დამსწრე საზოგადოებას გაუმძაფრა სურვილი, მალე ეხილა და წაეკითხა აკაკის შესახებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წიგნი, რომელშიც ზემოაღნიშნული თეზისი ვრცლად და დეტალურად იქნებოდა გაშლილი.

დავით ჭელიძე

თეატრალური სპორტები

1987 წლის 7 მარტი. თბილისის სპორტის სასახლე. ისტორიული სპორტული ღონისძიება ფეხბურთში, რომელიც დიდხანს დარჩა ხალხის მეხსიერებაში. ერთმანეთს ხვედობდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობთა ნაკრებები, პირველი და მეორე თაობის წარმომადგენლები. ეს იყო ნამდვილად დიდი სიხარულის დღე. დღე, რომელიც ყველა ჩვენგანისთვის დაუვიწყარია: იყო განცდები, ემოციები, სპორტულ-თეატრალური ნარმოდგენა.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, სიტყვა გადავცე ჩვენს სასიქადულო მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს, რუსთაველის თეატრის ფეხბურთელთა პირველი თაობის წარმომადგენელს, ბატონ **ჯემალ ლალანიძეს**, რომელიც მეტად საინტერესო ამბებს გაიხსენებს:

— ფეხბურთთან ურთიერთობა, როგორც ყველა ბავშვს, მეც თითქმის საშუალო სკოლიდან მაქვს. აღნაგობამ შემინყო ხელი, ძალიან მალე ავიყარე ტანი, უკვე მეშვიდე კლასში იმხელა ვიყავი, რაც დღესა ვარ. თბილისში ჩემზე გამხდარი კაცი არ დადიოდა. ამიტომ სულ კარებში მაყენებდნენ. სად გვქონდა მოედანი, დავდებდით ჩანთებს, ქვებს, გვერდები სულ გადატყავებული მქონდა ქვებზე ხტუნაობით, მიყვარდა „პრიუოკები“.

ჩემს დროს საქართველოში რატომღაც 11 კლასი შემოიღეს, სხვაგან არსად, საბჭოთა კავშირში, ასეთი ექსპერიმენტი არ ჩაუტარებიათ. მეშვიდე კლასიდან ვოცნებობდი მსახიობობაზე. გავარდა ხმა, რომ თეატრალურ ინსტიტუტში წელიწადგამოკლებით იქნებოდა მიღება. მაშინ ეს ინსტიტუტი პატარა გახლდათ, არ იყო იმდენი მსურველი იქ ჩაბარების. ამრიგად, 11 კლასს რომ დავამთავრებდი, იმ წელიწადს მიღება არ იქნებოდა. არადა, თუ არ ჩავაბარებდი, ჯარში მიკრავდნენ თავს, მაშინ დიდი სიმკაცრე იყო. მე-10 კლასში გადავიდი და ძალიან განვიცდიდი ამ ამბავს. მამაჩემს მივადექი, ატესტატი მიყიდე-მეთქი. უპატიოსნესი კაცი იყო მამაჩემი და: გიჟი ხომ არა ხარ, ამას როგორ ვიზამო.

ერთხელაც მამას საინგილოდან სტუმრად ჰყავდა თავისი ძმაკაცი, არჩილ ჯანაშვილი, პროფესორი კაცი, რომელმაც კახის ქართული სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. სადილობდნენ, ღვინოს მიირთმევდნენ. ჩემი გასაჭირი რომ გაიგო, არჩილმა უთხრა მამას, კაცო, ჯემალი ყოჩალი ბიჭია, წავიდეს კახში, დაამთავრებს 10 კლასს და მორჩება ამით საქმეო. მაშინ კახში მედლების გულისთვის ჩადიოდნენ, იქ უფრო იოლი იყო სწავლა და მედლის აღება, მაგრამ ეს მე არაფერში მაძლედა ხელს, იმიტომ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში არ გადიოდა მედალი. ასეა თუ ისე, ჩავედი საინგილოში, იქ დავამთავრე 10 კლასი და ავიღე ატესტატი.

56 წლის წინანდელი ამბავია. იქ ახლაც არ არის დალაგებული სიტუაცია, კახი ორადაა გაყოფილი, ზედა კახში ქართველები არიან, ქვედაში — აზერბაიჯანელები. მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს ჩუმი ქიშპობა იყო, ხმამაღლა ვინ რას იტყოდა, და ამ ქიშპსა და მოჭარბებულ ემოციას ფეხბურთის თამაშში გამოხატავდნენ. ყოველ შაბათ-კვირას ფეხბურთი იმართებოდა, და იყო ერთი ამბავი. გურჯაანელი კაცი, ვალიკო რიკაძე გვყავდა ფიზკულტურის მასწავლებლად, ძალიან კარგად თამაშობდა, რისხვა იყო მთელი კახისა და აზერბაიჯანისა.

სტადიონის პროვოკაცია გახლდათ, ხის ბოძებისგან შეკონინებული კარით. იმ ფონზე კარგ მეკარედ ვითვლებოდი. ჩვენი სკოლის გუნდმა ზაქათალაში ჩავატარეთ თამაში, იმათ ძლიერი გუნდი ჰყავდათ. სტადიონი არც იქ ვარგოდა, კარს არც ბადე ჰქონდა, არც არაფერი, ხალხი პირდაპირ სტადიონზე იყო შემოსული, კარის უკან იდგნენ.

ჩვენს კარში დაინიშნა პენალტი. რალაცები ცვივა ჩემს წინ, დამირტყეს, გადავხტი და გუნდი გოლს გადავარჩინე, თურმე ნაბლის გამხმარი, ბუსუსებიანი ჩენჩოები შემომიყარეს და გამარჯვებული ზეზე რომ წამოვდექი, ყველაფერი ზღარბივით ამყვა. ეს ახლაა სასაცილო, თორემ მაშინ ისე დამეჩჩეჩქვა მთელი ტანი, ტკივილისგან კარგა გვარიანად ვიმანჭებოდი.

თეატრალურ ინსტიტუტში ფეხბურთის გუნდი არა გვყოლია. მაგრამ თეატრში რომ მივედი, იქ უკვე დამხვდა „ფეხბურთელი“ ხალხი — ბიჭიკო ჩხეიძე, დიდი მსახიობი იყო, თემურის მამა, კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, კარლო საკანდელიძე და ამით თავისი გუნდი ჰქონდათ ჩამოყალიბებული, სხვათა შორის, კალათბურთსაც თამაშობდნენ. რომ გაიგეს, მეკარეობისკენ მქონდა მიდრეკილება, ჩამაყენეს კარში. სხვათა შორის, სერიოზული გუნდი იყო. „დინამოს“ სტადიონზე ვეთამაშეთ მარჯანიშვილებს. კოლეგებთან სათამაშოდ დავდიოდით ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში. სპეციალური გასვლები გვქონდა, თუმცა თეატრის გასტროლების დროსაც, რა თქმა უნდა, ვნახულობდით დროს. ჩემპიონატივით გვქონდა, დავდიოდით ქალაქებში და ვთამაშობდით...

ერთხელ თეატრების ნაკრები შევხვდით ვეტერან დინამოელებს, ძალიან კარგად თამაშობდა კარლო ელონტი, ტელევიზიის რეჟისორია, იმდენად კარგად, რომ ბორია პაიჭაძემ, რომელიც სტადიონის დირექტორი იყო, ჩვენს მწვრთნელს, შავდიას უთხრა, ეგ რომ სამი-ოთხი წლით უმცროსი იყოს, ულაპარაკოდ ჩავსვამდით „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში. სტრელცოვის აღნაგობა ჰქონდა, ავთო ჭკუასელს მოგავიწყდათ. დანარჩენები არტისტები ვიყავით, მოყვარულები. აბა, ეროსი რის ფეხბურთელი იყო, ერთხელ მარჯანიშვილის თეატრს რომ ვხვდებოდით, ეროსიმ პენალტი დაარტყა და... აღმოსავლეთ ტრიბუნაზე გაუშვა ბურთი (!!).

მარჯანიშვილებთან თამაში იმით დამამახსოვრდა, რომ ჩრდილოეთ ტრიბუნის კარში ვდგავარ. 0:0-ია, თამაში მთავრდება, ბოლო წუთია და ჩვენს კარში პენალტი არ დაინიშნა?! არის ჩხუბი მარჯანიშვილებში, არა მე დავარტყამ, არა მეო. იკისრა საწყალმა შოთა ქოჩორაძემ. ორივე გუნდის ფეხბურთელებმა ზურგი გვაქციეს, დაძაბული მომენტი. ვფიქრობ, რატომ უნდა გავუშვა ბურთი, პენალტი რომაა, იმიტომ? ხომ შეიძლება დავხვე და ავიღო. ახლა, წარმოიდგინეთ, ამდენს რომ იფიქრებ, როგორი დარტყმული იქნებოდა. ჰოდა, წავუნექი და ავიღე. აუ, სტადიონზე პენალტი მაქვს აღებული, ატყდა ერთი ამბავი! ფუნიკულიორი იყო მაშინ მოდაში, იქ ვიქეიფეთ.

მარჯანიშვილელთა ღირსებას იცავდნენ გოგი გელოვანი, ედიშერ მაღალაშვილი, შოთა ქოჩორაძე — მართლაც კარგად თამაშობდა...

ერთხელ მატარებლით მივიღვართ ქუთაისში სათამაშოდ. კარლო ელონტს იმ საღამოს სპექტაკლი აქვს. ადმინისტრატორი შეგვპირდა, მშვიდად იყავით, დილის თვითმფრინავით გადმოვავრენთო. მაშინ ქუთაისს სტადიონი არა ჰქონდა, პატარა მოედანი იყო თეატრის ახლოს. იქ უნდა ვითამაშოთ. დილას ველოდებით კარლოს და მის დასახვედრად აეროპორტში გაგზავნეს მანქანა. ჩამოფრინდა თვითმფრინავი, სად არის ჩვენი სტრელცოვი? აუ, ავტყეხეთ ერთი ამბავი. დავურეკეთ თბილისში თეატრის ადმინისტრატორს: როგორ, კაცო, მანქანით მივიყვანე და ჩემი თვალით დავინახე, როგორ ავიდა ტრაზზე, ხომ არ გადმოხტა თუ სად წავიდაო. ჩავვარდით საგონებელში, ფეხბურთის დარდი აღარა გვაქვს, მთავარი სადარდებელია, სად დაიკარგა ეს კაცი.

თურმე სოხუმისა და ქუთაისის თვითმფრინავები ერთდ-
როულად ფრინდებოდნენ და კარლო სოხუმის თვითმფრინავ-
ში დამჯდარა, არც კონტროლიორებს დაუხედავთ ბილეთის-
თვის და დილას სოხუმში არ ჩაბრძანდა! ატყდა ერთი ამბავი,
რის შემდეგაც სპეციალურად ჩასვეს თვითმფრინავში და
გადმოაფრინეს ქუთაისში.

როგორც იქნა, დაიწყო თამაში. იპოლიტე ხვიჩია მაშინ
ქუთაისის თეატრში მსახიობობდა, მაგრამ თავიდან არ გა-
მოიყვანეს, როგორც ჩანს, ბოლოსთვის შემოინახეს. ქუთაი-
სელთაგან თამაშობდნენ ხაყალია, მეგრელიშვილი, ძველი
თაობის მსახიობები... ხალხი ითხოვს იპოლიტეს გამოსვლას,
წამდაუნუმ ისმის: „იპო“, „იპო“... მეორე ტაიმში გამოვიდა
იპოლიტე, ჩემხელა ნიფხავი ეცვა. თმა უკან ჰქონდა გადაგ-
დებული. ყველას უნდა, რომ შეაგდოს იპოლიტემ. დაცვაში
გვყავდა ხაშმელი ვალიკო ქურხული, ახმეტელის დროინდე-
ლი კაცი. მაგარი დამცველი იყო.

ჩვენმა კაპიტანმა, ბიჭიკო ჩხეიძემ მოიბრინა ჩემთან და:
იპოლიტემ რომ დაგირტყას, გაუშვით, — მთხოვა. ვლადა-
ობთ, რა, ვითომ სპექტაკლს ვთამაშობთ. ვალიკოს ვეუბნები:
ასეთი ბრძანებაა, იპოლიტე უნდა გამოუშვა და გოლი გავა-
ტანინოთ-მეთქი. არა, ცოცხალი თავით არ გავატანინებო.
ვეუბნებით: გამოუშვი კაცო, შენი რა მიდისო. ერთ მომენტ-
ში ბურთი იპოლიტემ წამოიღო, წინ წაიგდო, კართან ძალიან
ახლოსაა, მიუსწრო ვალიკომ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა,
დაარტყა და იპოლიტეს არ მოხვდა სახეში! წაიქცა იპოლი-
ტე, ბურთი კი რიკოშეტით წამოვიდა და შევარდა კარში.
იპოლიტე აგდა და რეტიანებული, როგორც კი მოვასულიე-
რეთ და თვალები დაჭყიტა, ბურთი სადააო, იყვირა. ბურთი
კარშია, შენ შეაგდეო, ვუთხარი. აუ, მე შევავადეო, ატეხა ერ-
თი ამბავი... ასეთი მომენტი ბევრი იყო.

თაობა შეიცვალა, წამოვიდა ახალგაზრდობა. ძალიან
მაგრად თამაშობდა გია ფერაძე — ეს იყო ნამდვილი ფეხ-
ბურთელი, სოსო ლალიძე, რომელსაც 35-ე ფეხბურთის სკო-
ლა ჰქონდა დამთავრებული, და ახალი თაობა..

„კავკასიური ცარცის წრით“ ორმოცი ქვეყანა მაქვს მოვ-
ლილი, და სადაც საშუალება იყო, ფეხბურთს ვთამაშობდით.
მილანში ვართ, პაატა ბურჭულაძე ახალი ჩასული იყო მი-
ლანში, ლა-სკალაში მღეროდა. ლა-სკალაში იმხანად შვებუ-
ლება იყო, მაგრამ თეატრის დათვალიერება მაინც მოგვი-
ხერხა. თან შეაგროვა ხალხი, მსახიობები, ვინც ქალაქიდან
არ გასულიყო, თეატრის ტექნიკური პერსონალი და წავე-
დით ერთ-ერთ პარკში, რომელსაც სტადიონი ჰქონდა, ვითა-
მაშეთ, მოვიგეთ და რომ ჩამოვედით, ვტრახახობდით, მი-
ლანში „მილანს“ მოვუგეთ!

ერთხელ მსახიობ ფეხბურთელთა თერთმეტეულის და-
სახელება მთხოვეს, მაგრამ მეტი გამომივიდა, დუბლებიც
ხომ საჭიროა! მამ ასე: მეკარე **ჯემალ ლაღანიძე** (შეუცვლე-
ლი ვიყავი), **ლევან ღლონტი**, **ვალიკო ქურხული** (ავთო მა-
ხარაძე), **ბიჭიკო ჩხეიძე**, **ეროსი მანჯგალაძე** (კოტე მახა-
რაძე), **შოთა ქოჩორაძე**, **სოსო ლალიძე**, **გივი ბერიკაშვი-
ლი**, **იპოლიტე ხვიჩია** (ბადრი ბეგალიშვილი), **ირაკლი კავ-
საძე** (კახი კავსაძე), **გია ფერაძე**, **გოგი გელოვანი** (ედიშერ
მალაშვილი), **კარლო ღლონტი**.

ახლა, რაც მეხება ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა,
რომ მიშა მესხი ჩემზე უმცროსი იყო, ჩემი ხელისმომკიდე
გახლდათ. ძალიან ახლოს ვიყავით მე, მიშა და ეროსი. მიშა
და ეროსი განუყრელი ძმებივით იყვნენ, უერთმანეთოდ
პურს არა ტეხდნენ და მეც მათთან ვიყავი. ჩემს სტუდენტო-
ბისას ფეხბურთელ ავთო ხელაძის მამიდა ცხოვრობდა რუს-
თაველზე, ბორჯომის წყლების მაღაზია რომ იყო, იმ ეზოში.
ავთო ხშირად მოდიოდა ჩვეთან ინსტიტუტში და იქ გავიცა-
ნი. პურისმჭამელი კაცი იყო და დაგვპატიჟა მამიდამისთან,
სადაც მოვიდნენ ილიკო დათუნაშვილი, სერგო კოტრიკაძე.
მერე დედაჩემთან მივდიოდით, დოლიძეზე, ახლაც იქა

ვცხოვრობ, უყვარდათ დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპურე-
ბი. ასე ნელ-ნელა დავეუახლოვედი ამ ფეხბურთელებს.

ახლაც, ვინც დარჩა, ახლოსა ვარ. ერთი ძველი ფეხბურ-
თელია თემურ ფარჯანაძე, პურისმჭამელი კაცია, კარგი
ოჯახი აქვს და ხშირად ვიკრიბებოდით: სიომა, ელოშვილი,
ბორია სიჭინავა, ბიჭები.

მათხოვრებივით ვიყავით, გასტროლებზე 25 დოლარად
მივდიოდით. საჭმელები, პროდუქტი მიგვქონდა, ზოგი გასა-
ყიდად, ზოგი საჭმელად. მიგვქონდა ხიზილალა, რომელიც
ლიმიტირებული იყო. მხოლოდ ორი კოლოფის წალეხა შეგ-
ვეძლო. სასტუმროში გურამ სალარაძესთან ვიყავი დანყვი-
ლებული. დაგვიგროვდა რვა „იკრა“. გურამი უწესიერესი კა-
ცია. ვუთხარი, სამი შენ წამოიღე, დანარჩენს მე ვიღებ-მეთ-
ქი ჩემს თავზე. თავი გაიგიჟა, არა, არაო. როგორც იქნა, მა-
ინც ჩავუდე ჩანთაში ერთი ხიზილალით მეტი. ამერიკაში
ჩავფრინდით. კენედის აეროპორტში გავიარეთ „ტამოჟნია“
და გურამს ვუთხარი: რომ კანკალებდი, შე დალოცვილიშვი-
ლო, რა გეშინოდა-მეთქი. ბარგს ველოდებოდით, რომ უც-
ხად გამოცხადეს, მგზავრი გურამ სალარაძე გამოცხადეს
ინფორმაციის ბიუროშიო. აუ, რომ დაიწყო კანკალი გურამ-
მა: ხომ გითხარი, შე არამზადა, ხომ გითხარი! ვეუბნები:
დანყნარდი, ეგ რა შუაშია, ერთი კოლოფი „იკრის“ გამო დაგ-
ვიჭერენ თუ რა იქნება-მეთქი.

თურმე რა ყოფილა, ეს ჩვენი მოჭიდავე გურამ სალარაძე
ყოფილა ამერიკაში გუნდთან ერთად, როცა მამის გარდაც-
ვალების ამბავი შეუტყობინებიათ და ის უნდა გადმოეფრი-
ნათ სასწრაფოდ საქართველოში.

ძალიან კაი ძმაცაი გვყავს, ომარ ცაავა, მშენებელი კა-
ცია. საკუთარი რესტორანი აქვს, ზარმაცების ხაშს ეძახიან,
ისე „ოდა“ ჰქვია. ბავშვობიდან ერთადა ვართ, სულ თავისი
ხელით გააკეთა რესტორანი. ეზოში ვერცხლისფერი ნაძვები
დარგო. მსახიობ გურამ სალარაძის დაბადების დღეა. 12-15
კაცი ვართ, მათ შორის მოჭიდავე გურამ სალარაძეც. 500-კა-
ციანი დარბაზია. კუთხეში არის რიკოშეტი, სადაც ჩვენ ვსხედ-
ვართ. სცენაა იქვე, სადაც ორკესტრი უკრავს. გურამ სალა-
რაძეს კეტვი რომ ურტყა სუფრაზე, ლექსი წაიკითხო, ადგე-
ბა და იქაურობას მიატოვებს. რამაზ ჩხიკვაძეს რომ სიმღერა
სთხოვო, ისიც გაჯიქდება. დიზი სურგულაძეა ცნობილი თა-
მადა და იმ დღესაც ის უძღვება სუფრას. სპორტსმენმა გუ-
რამ სალარაძემ გიზის სთხოვა, გავალო. უცხად გვესმის გუ-
რამის სიმღერა. გადავნიეთ ფარდა და მართლაც გურამა არ
უბერავს! ის რომ ჩამოვიდა სცენიდან, რამაზი შეენაცვლა!
არადა, ხომ გითხარით, რომ ესენი, ერთს არ იმღერებს-
მეთქი. ჰოდა, ავიდა სცენაზე და აღარ ჩამოდის. მერე იუბი-
ლარმა გურამმა აიწყვიტა, რაც კი ლექსები იცის, ყველაფერი
თქვა. როგორა ვართ, იცით, „დაგრუზულები“, „უსაშველოდ
ბევრი ვსვით. მერე მე ავედი და მეც ვიმღერე „ვარალე“, ბა-
ლაშვილის სიმღერა, „იუმორინაში“ ვმღერე ვარ ხოლმე. მერე
„რეჩი“ დავარტყი: ქალბატონებო და ბატონებო! დიდი მად-
ლობა, რომ ასე კარგად მიგვიღეთ, ერთი ინფორმაცია მინდა-
მეთქი მოგანოდით. დღეიდან ამ რესტორანში, ამავე ხალხის
მონაწილეობით ყოველ შაბათ-კვირას გაიმართება კონცერ-
ტი და ძალიან გთხოვთ, გადასცეთ მეგობრებს, რომ გვეწვი-
ონ! გავიდა სამი დღე და მირეკავს რესტორნის დირექტორი,
ეს რა მიქენი, ხალხი მომადგა, სად ვიყიდოთ კონცერტის ბი-
ლეთებიო. რაღა ვქნა, მოდი ახლა და იმღერეო...

ამბობენ, მიშა მესხს ცოტა მიძიმე და უჟმური ხასიათი
ჰქონდაო. არ ვიცი, ეს ვერსია ვინ შეთხზა. მიშას მოხარშულს
ვიცნობდი. ძალიან გულლია, უკეთილშობილესი ადამიანი
იყო. საერთოდ, პურმარილიანი კაცი არ შეიძლება ცუდი
ადამიანი იყოს.

მიშა პატარა ბიჭი იყო, „დინამოში“ რომ ჩაირიცხა. მაშინ
დიღმის სანვრთნელი ბაზა არ არსებობდა და გუნდი ძველი
„დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მინდორზე ვარჯიშობ-

და, სულ ახლახან რომ გაავერანეს და მანქანების სადგომად (!?) აქციეს. მე და ჩვენი ცნობილი მოქანდაკე, ელგუჯა ამაშუკელი მივედით „დინამოს“ ერთ-ერთ ვარჯიშზე. მაშინ პირველად ნახა ელგუჯამ მიშა და მისი ოსტატობით მოხიბლულმა თქვა, ეს ბიჭი ვარსკვლავი გახდებაო! ახლა ელგუჯას წინასწარმეტყველება — მიშა მესხი მართლაც დიდებული ფეხბურთელი და ადამიანი იყო.

მიწა რამდენიმე ისეთი ამბავი გავიხსენო, რაც ფართო საზოგადოებამ შესაძლოა არ იცოდეს.

მიშამ სოფელ დილოში სახლის მშენებლობა რომ დაიწყო, ხშირად ვაკითხავდი. თუ რაიმე სჭირდებოდა, ვეხმარებოდი. როცა გაიგეს, მიშა მესხი სახლს იშენებსო, სამშენებლო სფეროში დასაქმებული საქმოსნები თუ ჩინოვნიკები მანქანას მანქანაზე უგზავნიდნენ ცემენტს, ბლოკს, აგურს, რკინა-ბეტონის მასალას. იმდენი დაგროვდა, ბარე ხუთი სახლის მშენებლობას რომ ეყოფოდა. მიშა მთხოვდა, ქუჩის დასაწყისში დადექი და თუ მანქანა მოვიდა, მაღლობა გადაუხადე, ჩიხში არ შემოუშვა, ვერ მოზრუნდება და უკან გასვლა გაუჭირდებაო. მეც დატვირთულ მანქანებს ვაჩერებდი. მიშა მოვიდოდა, შამპანურს გასხნიდა (უპატივცემულოდ არავის გაუშვებდა), მძლოლთან ერთად დავილოცებოდით და იმ ნაჩუქარ მასალას უკან ატანდა, თან მაღლობას დააბარებდა გამომგზავნთან. აგურიც არ აუღია იმაზე მეტი, რაც ერთი სახლის მშენებლობას სჭირდებოდა. არადა, ნაჩუქარი იყო ის მასალა. სხვა დაიტოვებდა, მერე გაყიდა ან რაღაც უბედურებას იზამდა. ვინ შეედავებოდა? მიშა სხვანაირი კაცი იყო, უკადრისს არ იკადრებდა.

მიშას უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა და მხოლოდ სასიკეთო საქმეში იყენებდა. მუდამ სხვისი შემდეგ დამხმარე იყო. ერთხელ მოხუცი ქალბატონი მივიდა მასთან — თუ შეგიძლია, შინაგან საქმეთა მინისტრთან მიშუამდგომლეო. იმ ქალს შვილი ჰყავდა პატიმარი და მისთვის შეღავათები უნდა გამოეთხოვა. ასეთ მთხოვნელს რას დაზარდებოდა! მაგრამ, იცით, რა უთხრა? დედი, „დინამოს“ ბოლო მატჩში მაინცდამაინც კარგად ვერ ვითამაშე, მოდი, დაველოდოთ მომავალ შეხვედრას, იქ არნახულად ვითამაშებ და მინისტრთანაც პირნათელი წავრდები, ამ შენს საქმესაც მოვაკვარახტინებო. გესმით? ერთი „ჩაგდებალი“ თამაში მიშას ავტორიტეტს რაიმეს მოაკლებდა? უკვე მორაული ლეგენდა იყო, მაგრამ იმდენად გამძაფრებული ჰქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა, გაჭირვებულ ქალბატონს ვერ შეჰკადრა, მისი საზომით არცთუ პირნათელს რაიმე ეთხოვა მინისტრისთვის. სხვათა შორის, მიშა გამონაკლისი არ ყოფილა. მთლიანად გუნდს, მის თითოეულ წევრს ჰქონდა უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა.

იცოცხლე, ქეიფი და დროსტარება უყვარდა მიშას. ბედნიერება იყო მის გვერდით სუფრასთან ჯდომა. დღე ერთი იყო და ათასი კაცი ეპატიუებოდა, სუფრა დამიმშვენეო.

ერთხელ დოლიძის ქუჩის ბიჭებმა მთხოვეს, მიშა შენი მეგობარი კაცია და სთხოვე, დაგვდოს პატივი და საქეიფოდ წამოგყვებო. ფული შეაგროვეს და ავლაბრის რესტორანში წავედით. ბრმა მუსიკოსი უკრავდა და მიშას იქ უყვარდა ბიჭებთან ერთად პურის ჭამა. თხუთმეტიოდე კაცი ვიყავით. კარგად მოვილხინეთ და ფულის გადახდის დროც მოვიდა. ანგარიში რომ მოვითხოვეთ, ოფიციალტმა გვითხრა, თქვენი დანახარჯი გადაიხადესო. გაოგნებულუბმა გადახედეთ ერთმანეთს. ვიცით, რომ არცერთს არ გადაგვიხდია, არც მიშა



„დინამოს“ ძველი სტადიონი. რუსთაველის თეატრის ფეხბურთელთა გუნდი მარჯანიშვილებთან მატჩის წინ. ჯემალ ლალანიძე - რუსთაველებთა გოლგაუშვებელი მეკარეა

ამდგარა სუფრიდან, როდის უნდა გადაეხადა? მერე გავიგეთ, მიშას თურმე მიმიკით უნიშნებია ოფიციალტისთვის, ამათ არაფერი გამოართვა, მე გადავიხდიო. აბა, რას წარმოვიდგენდით, სტუმარი თუ მასპინძლად იქცეოდა.

მიშას ხომ საოცრად უყვარდა მოლხენა, მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრის მოახლოებისთანავე წყდებოდა ქეიფები და დროსტარება. მახსოვს, ეროსი მანჯგალაძეს ჩამოწერილი ჰქონდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებისა და თბილისის „დინამოს“ მატჩების განრიგი — ანუ, წინასწარ იცოდა, როდის უნდა გვექეიფა მიშასთან ერთად, როდის გვეკონდა სამივეს თავისუფალი დღეები. ეროსი საოცრად მონესრიგებული კაცი იყო.

მიშამ იცოდა თქმა, ეროსის და ჯემალს „ტრენიროვკა“ დაუმთავრდათო? არა მგონია, ვერ დაეზეპირებინოს სიტყვარეპეტიცია, უბრალოდ, ეს იყო მისი ჩუმი იუმორი...

ის დროა, როცა ძველი „დინამოს“ სტადიონის მისადგომებთან წესრიგს ცხენოსანი მილიცია იცავს. სტუდენტები ვართ და აბონემენტები გვაქვს, პირველი იარუსი ზედ სარბენ ბილიკებთან იყო მიბჯენილი, ბარიერს გადახვიდოდი და მინდორზე აღმოჩნდებოდი. ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ზუსტად კარის უკან ვისხედით მეგობრები. ჩვენს თავზე, ოღონდ მომაღლოდ, იყო ტაბლო.

მინსკის „დინამოსთან“ ვაგებთ 1:2-ს, აღარ არის საშველი. უცბად მარჯვენა ფრთიდან წამოვიდა ალიოშა კოტრიკაძე და არ გაჭედა ბურთი ბელარუსთა კარში! მაშინ ცოტა არტისტული სიტუაციები იყო, მახსოვს, თეთრი შლაპა მეხურა და ჰალსტუხი მეკეთა, ეგეთი მოდა იყო. უცბად ვიგრძენი, რომ ბალახზე გავრბივარ და მივსდევი ალიოშას. ბურთი უკვე ცენტრალურ ხაზზე დევს და გოლის შემდეგ თამაში უნდა განახლდეს. მაგრამ მსაჯი არ იწყებს, ვილაც გიყი დარბის მოედანზე. მივსდევი ალიოშას, ის კი გამიბრბის, მაგრამ, როგორც იყო, დავენიე და დაშობიანად გადავკოცნე. არადა, ალიოშას მაშინ არ ვიცნობდი. აბა, მილიციას რა გააჩერებდა, გამოვარდნენ და გამსკვარეს. აღმოსავლეთ ტრიბუნის სარბენ ბილიკებზე მიმართევენ, იქ თალთან მილიციის უფროსთან მივყავარ, გვერდითელი იყო გვარად. მისი ბიჭი ჩვენს სკოლაში სწავლობდა და ვიცნობდი. არადა, მთელი ტრიბუნა ყვირის, გაუშვითო. გვერდნითელმა მიცნო და: კა-

ცო, აკოცა, ხომ არ გაურტყია, გაუშვითო — და ასე გა-
მომიშვეს.

მერე ალიოშა რომ გავიცანი, ის ამბავი გაგახსენე: ბი-
ჭოო, ისეთი შემოილილი სახე გქონდა, მეგონა, უნდა გეცე-
მე და რას გაგიჩერებოდი, იმიტომაც გაგიბოდიო...

დიდ მოჭიდავესთან, ავთო ქორიძესთან ვძმაცაცობ-
დი. სანყალი, ახალგაზრდა დაიღუპა ავტოკატასტრო-
ფაში. დიდებული ადამიანი იყო. მოლხენა უყვარდა,
ფეხბურთზე ერთად დავდიოდით. მატჩის მერე რესტო-
რანში ან სახინკლეში შევიდოდით და ვქეიფობდით. მა-
შინ სტადიონებზე განათება არ იყო და „დინამოს“ მატ-
ჩები შუადღით იმართებოდა. ამიტომ შეხვედრის შემდეგ
თავს უფლებას ვაძლევდით დრო გაგვეტარებინა. ავთო
ჩვენთან ერთად სვამდა, მაგრამ მთვრალი არ მინახავს.
თუ რაიმე შეჯიბრება ახლოვდებოდა, და ავთო იქ მონა-
წილეობდა, სასმელს აიკრძალავდა, ნაღდი პროფესიო-
ნალი იყო და აკი ოლიმპიური ჩემპიონობაც მოიპოვა!..

წარმოშობით იმერელი კაცი ვარ, სამტრედიის რაიონ-
ის სოფელ ღანირიდან, რომელიც 12 კილომეტრშია
სამტრედიიდან. ჩვენი სოფელი საქვეყნოდაა ცნობილი.
ორი ბუმბერაზი კაცი იშვა იქ — ეროსი მანჯგალაძე და
ვახტანგ ბალავაძე — და მეამაყება, რომ მეც ამ სოფლი-
დან ვარ. რადგან ახლა სპორტულ თემაზე ვლაპარაკობ,
ბატონ ვახტანგზე ვიტყვი ორ სიტყვას, ეროსიზე ხომ
ისედაც უკვე მოგახსენეთ.

ვახტანგი შესანიშნავი მოჭიდავე ბრძანდებოდა, მისი
არაერთი ბრძოლით დავემტკბარვარ, მსახიობური თვა-
ლითაც ვუყურებდი მას, კი არ ჭიდაობდა, ხალიჩაზე
ცეკვავდა. ცხოვრებაში რომ შეხვდებოდი, ვერ იფიქრებ-
დი, თუ ის მოჭიდავე შეიძლება ყოფილიყო, ისეთი ჩა-
მოსხმული ბიჭი იყო, საჩიხზე ტანი ჰქონდა. სხვათა შო-
რის, პირადად ვახტანგი ღანირში, მის სახლში გავიციანი.

ბედნიერი კაცი ვარ, რომ ბატონ ვახტანგსა და რამ-
დენიმე საპატივცემულო ადამიანთან ერთად ამ ორიოდე
წლის წინათ სამტრედიის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს.

საერთოდ, სამტრედიის თუ რაიმე ზემოთა, ან რაიმე
განსაკუთრებული დღე, ყოველთვის მიგვიწვევენ ხოლ-
მე ბატონ ვახტანგს და მე. მართალია, ცოტა დავებერ-
დით, მოვუკელით სიარულს, მაგრამ არა უშავს, რაც
შეგვრჩა, ხომ შეგვრჩა.

სპორტის სასახლეში ვახტანგის სახელობით ტურნი-
რებს ხომ დღესაც არ ვაძღვებ. ერთხელაც, არ გამოაცხა-
დეს?! თურმე ერთ-ერთ წონაში ჩემპიონის დასაჯილდო-
ებლად გამომიძახეს. ასე რომ, ჩემი უსაყვარლესი თანა-
სოფელის ტურნირშიც კი მივიღე მონაწილეობა.

ფოტოების წარწერა:

1960 წელი. „დინამოს“ სტადიონი. რუსთაველისა და
მარჯანიშვილის თეატრების გუნდების შეხვედრის წინ
რუსთაველელები: მარჯვნიდან: კაპიტანი **ბიჭიკო ჩხეი-
ძე, ჯემალ ღაღანიძე, კარლო ლლონტი, ნოდარ მარგ-
ველაშვილი, გიორგი საღარაძე, ეროსი მანჯგალაძე,
კოტე მახარაძე, ემანუილ აფხაიძე, ნუგზარ ანდლუ-
ლაძე, თამაზ (თაზო) ქვარიანი, ვალერიან ქურხული**

1975 წელი. ღანირი. ეროსი მანჯგალაძის 50 წლის
იუბილე. სუფრასთან დასხდომამდე სტუმრები ტელე-
რეპორტაჟს უყურებენ თბილისისა და კიევის დინამო-
ელთა მონაწილეობით. ასე ემოციურად აღიქვამს **დოდო
აბაშიძე** მატჩის პერიოტიტებს.

სამტრედიის 130 წლისთავთან დაკავშირებით **ჯე-
მალ ღაღანიძე და ვახტანგ ბალავაძე** (მარცხნიდან
პირველი ორი), სხვა წარჩინებულ თანაქალაქელებთან
ერთად აირჩიეს სამტრედიის საპატიო მოქალაქეებად.

ნინო ვახანია

იოსებ ლალიაშვილის დაკარგული დღიური

(**ლავა იმედაშვილის
ბალეტრისტული ვერსია**)

იოსებ ლალიაშვილის მოულოდნელმა, გაბედულმა, არაორდინა-
რულმა და, ვთქვათ პირდაპირ, დანაშაულებრივმა, მაგრამ თავგანწი-
რულმა საქციელმა თავის დროზე, XIX საუკუნეში, მთელი საქართვე-
ლო შეძრა, ააღელვა. სემინარიის მოსწავლემ ხანჯლით მოკლა სემი-
ნარიის რექტორი, ლალიაშვილმა — ჩუდეცკი. საქმის არსში ჩაუხე-
დავადაც, დეტალებში გაურკვევლადაც კი იყო ამაში რალაც გმირო-
ბის მაგვარი, ადამიანს უნებურად მკვლელის გამართლებისკენ რომ
უბიძგებდა. უსუსტი, უძალი, არასრულწლოვანი, დაქვემდებარებული
კლავს უფროსს, ძლიერს, მმართველს, მბრძანებელს, ლამის ყოვ-
ლისშემძლეს. არ შემოაკვდა, შეგნებულად, წინასწარ მომზადებული,
ჩოხის ქვეშ ხანჯალდამალული მივიდა რექტორთან და... საკმარისი
იყო ჩუდეცკის მხრიდან ოდნავი ყურადღება, ყმანვილის ბედით და-
ინტერესება, თუ სემინარიაში აღდგენა არა, ცხოვრების საშუალების
მიცემა მაინც (მოსწავლეების ყოლის ნებართვას ითხოვდა ლალიაშ-
ვილი). ყველაფერზე სასტიკი, უგულო, შეუვალი უარი მიიღო მთხოვ-
ნელმა. აბა, სად ეცალა იმპერიის საქმეთა აღმასრულებელ ჩუდეცკის
გულმონყალებისთვის, ვილაც ქართველი აღსაზრდელის მიმართ ყუ-
რადღებისთვის, მითუმეტეს, რომ ამ მოსწავლეს აღმოუჩინეს დღიუ-
რები, სადაც ანტიიმპერიული განწყობა აღბეჭდილიყო.

ამას მოჰყვა ეგ ზარქოს პავლეს (ლუბედევი) მიერ მთელი ქართ-
ველი ერის დანყველა, ამას მოჰყვა შეუდრეკელი, შეუვალი, პირში
მიხლილი მოთხოვნა დიმიტრი ყიფიანისა, რომ ეგ ზარქოსს, რო-
მელსაც სძულდა ქართველები, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სა-
ქართველო, ამას მოჰყვა დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავ-
როპოლში და იქ მისი მოკვლა. ამ თავდადებული კაცის ნეშტის
გადმოსვენებამ შთააგონა აკაკი წერეთელს უკვდავი „განთიადი“...

ეს ტრაგიკული ამბები კარგად მოესხენება ქართველ მკითხ-
ველს, ამ ფონზე გაფერმკრთალდა, უკან გადაინია და უმნიშვნე-
ლოდაც კი გამოჩნდა სემინარიელის პროტესტი, კერძო შემთხვე-
ვა დაჩრდილა დიდმა სახელმწიფოებრივმა საქციელმა და ქვეყ-
ნისთვის თავდადებამ. თუმცა არც იოსებ ლალიაშვილის შემდგო-
მი ბედი დარჩენილა უცნობი: როგორც არასრულწლოვანს, მხო-
ლოდ ციმბირში გადასახლება მოუსაჯეს (და არა სიკვდილი), ციმ-
ბირიდან იაპონიაში გაქცევა მოახერხა, იქიდან — ამერიკაში,
ამერიკის მოქალაქე გახდა, მერე კი არგენტინაში გადავიდა...

ასეთი თავგადასავალი მწერალს როგორ არ ააღელვებდა და
კიდევ დაწერა ანა ხახუტაშვილმა (ფსევდონიმი: ცქვიტი) რომანი
„იოსებ ლალიაშვილი“ (გამოიცა თბილისში, 1941 წელს). დიდად
პოპულარული ის რომანი არ ყოფილა, თუმცა არც შეუმჩნეველად
ჩაუვლია, ჰყავდა მკითხველი, მაგრამ, როგორც ჩანს, რეალურად
მომხდარის განცდა უფრო მძაფრი იყო, ვიდრე რომანად გარ-
დათქმულისგან მოგვრილი ემოცია...

მის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, ცხოვრება გამოიცვა-
ლა, იოსებ ლალიაშვილის მიერ ჩადენილი მკვლელობა კი, დიმიტ-
რი ყიფიანის სისხლით დაკირული, დღესაც ვერ ტოვებს გულგ-
რილს ვერავის, მითუფრო, ქართველს. და მაინც, ამ დრამატული
ამბის შესახებ ახლა მოთხრობის დაწერა რისკსა და გაბმედაობას
მოითხოვს, ნამდვილ მწერლობას — წარსულის ხელისგულივით
დანახვას, წარმოსახვას, შესაფერის სტილს, ენას... ზომიერებას...
კიდევ ბევრ რამეს (თუმცა რომელი თემა, რომელი ეპიზოდი არ
მოითხოვს ყოველივე ზემოთქმულს მწერლისაგან, არა?).

ყოველმხრივ ნაცნობი, შესწავლილ-დამუშავებული თემა ჩვენი წარსულისა და ამიტომაც გახლდათ მოულოდნელი იოსებ ლალიაშვილის მთავარ პერსონაჟად გამოჩენა თანამედროვე მოთხრობაში. თუმცა მოულოდნელი ვისგან? ლაშა იმედაშვილის სტილისტიკისა და რანგის მწერლისაგან არაფერი გასაკვირი და უცნაური ამში არ გახლავთ. 2014 წლის 22 აგვისტოს ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ დაიბეჭდა ლაშა იმედაშვილის მოზრდილი მოთხრობა „კულინარი“, რომელშიც სწორედ ლალიაშვილის მიერ ჩუდდცკის მოკვლის დრამა მხატვრულად გარდასახული. მაგრამ კულინარია რა შუაშია? აქ ჩანს მწერლის უსაზღვრო ფანტაზია, სხვადასხვა ამბის ერთმანეთთან დამაჯერებლად დაკავშირების ნიჭი, ეგრეთწოდებული კონტამინაციის დროულად და მოხდენილად გამოყენების შესაძლებლობა, მძიმე, ტრაგიკული ამბების იუმორისტული, სახალისო თხრობით გათბობისა და განათების უნარი.

„სამი მკვლელია ძველ თბილისში“, „შალალი თბილისური ამბის“ და სხვა გემრიელი მოთხრობების ავტორისაგან მკითხველი ყოველთვის ელის და იღებს განსაკუთრებულ, დახვეწილ, ამაღლებულ, მახვილგონებრივი მიგნებებით, ცოდნით, წარმოსახვით, იუმორით, დრამატიზმით შეზავებულ ნამდვილ, საღ, სიყალბისაგან თავისუფალ ლიტერატურას.

წელან გემრიელი მოთხრობები ვახსენე სრულიად არაკულინარიული შინაარსით. ენის გემო, თხრობის, ლიტერატურის გემო ვიგულისხმე, რადგან ლაშა იმედაშვილის მოთხრობები სწორედ ასეთ რამეს აგრძნობინებს მკითხველს — გადაიყვანს 1-2 საუკუნის წინათ, ჩამყუდროვებს, დეტალურად და ნაბიჯ-ნაბიჯ აღუწერს და შეაცნობინებს იმ დროის, იმ ყოფის, იმ გარემოს ფერს, სურნელს, გემოს, განცდას. ვერ მონყებები, იოლად თვალს ვერ მოაშორებ იმიტომ, რომ თითქოს შენი თანამედროვე კი არ გიყვება საუკუნეთა წინანდელ ამბებს, არამედ რაღაც სასწაულით ცოცხლად დარჩენილი მე-19 საუკუნის კაცი გესაუბრება, თვითმხილველი, დარბაისელი, დინჯი, განმსჯელი, თავისი ენით, ულტრათანამედროვე მეტყველებისგან გაუცხოებულით, მშობლიურით, თითქმის გადავიწყებულით, ასერიგად მონატრებულით.

„კულინარს“ დავუბრუნდეთ.

მწერალი აქ თავისი გამომგონებლობით ახალ სინამდვილეს ქმნის, ოღონდ ისე, რომ შენარჩუნებულია მოქმედ პირთა სულისკვეთება, რეალისტურად იხატება ის — წარსული ეპოქა, და თავისი აბსურდულობით ირიბად აირეკლავს ჩვენს თანამედროვეობასაც.

პირველივე წინადადება გვატყვევებს აზრის სიმართლითა და შეფარული იუმორით. თხრობას იოსებ ლალიაშვილი იწყებს, უკვე ხანში შესული, ბუენოს აირესის პორტში შემთხვევით შეხვედრილ ქართველ მეზღვაურ ჭავჭავაძისთან. „სიბერეში მხოლოდ იმას ვიხსენებთ, რაც არასდროს მომხდარა“, — გვეუბნება და თავიდანვე მიგვანიშნებს ავტორი, რომ საქმე გამოგონილთან, წარმოსახულთან გვაქვს. შეთხზულია კულინარის ამბავი, მაგრამ ისე, რომ მკითხველს ყოველდღიური რუტინული ყოფისაგან მოწყვეტისა და გალალეების საშუალებასაც აძლევს და ცხოვრების გულისგულშიც ჩაახედებს ერთდროულად.

მართლად, უტყუარად, რეალისტურადაა მოწოდებული ეგზარქოს პავლესა და სემინარიის რექტორ ჩუდდცკის პორტრეტები. „პავლემ, გასაგები მიზეზების გამო, ქართული არ იცოდა“, — ვკითხულობთ და იქვე ვიგებთ, რა არის ეს „გასაგები მიზეზები“: თურმე მღვდელმთავარი ვერ იტანდა ვერც ქართველებს და ვერც მათ ველურ საუბარს. ამიტომ პავლემ ლალიაშვილის დღიური რექტორს გაუგზავნა, რომელმაც ასევე არ იცოდა ქართული. რა დიდი მიხვედრა იმას უნდა, რატომ, რა გასაგები მიზეზების გამო არ იცოდა რექტორმა ქართული. დღიური ათარგმნინეს ენის მიმტან-მომტან ქართველ უჩენიკებს. სხვათა შორის, აქაც და სხვაგანაც არაერ-



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

თგზის გამოყენებული ბარბარიზმები („უჩენიკი“, „ოხრანკა“, „ბუნტოვშიკი“, „პერიკლიკა“, „დანისენიე“ და სხვა) კი არ ამძიმებს თხრობას, არამედ ეპოქის სურათს ხატავს ნათლად (ილიასეული „პოვოსკისა“ და „იამშიკისა“ არ იყოს).

და აი, ლალიაშვილის დღიურში აღმოჩნდა ოცდაორი რეცეპტი ქართული და უცხოური კერძისა — სრულიად აპოლიტიკური რამ. სინამდვილეში ლალიაშვილის დღიური დაკარგულია, ჩვენ არ გვაქვს მისი ნაკითხვის საშუალება, როგორც ამბობენ, ის სწორედ პოლიტიკური ჩანაწერებით ყოფილა სავსე. თუმცა რა არის დაუჯერებელი იმაში, რომ სასულიერო სემინარიის მოსწავლე კერძების (ახლის, ძველის, ნაცნობის, უცნობის, ქართულის, ევროპულის) მომზადების წესით ყოფილიყო დანიტრესებული... ფაქტობრივად, სამზარეულო ნიგნი, კულინარიის სახელმძღვანელო შემოგვთავაზა მწერალმა და წარმოუდგენელია, ეს რეცეპტებიც მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს. როგორც სანდო წყაროდან გავიგეთ, ავტორს ეს ჩანაწერები თავისი სახელოვანი პაპის, იოსებ იმედაშვილის არქივში უნახავს და უცვლელად გამოუყენებია მოთხრობაში. XIX საუკუნის მეტყველების, ქცევის, კულტურის ხიბლი დაჰყვება ამ ჩანაწერებს, დღეს პრაქტიკული დანიშნულებით გამოყენებაც რომ შეიძლება. ბოზართმა ბატკნიკა გნებავთ თუ იმერული ხარშო, კარტოფილის კროკეტი თუ ძროხის არტალა, ჩიხირთმა ქათმისა თუ მალოროსიული ბორში, სუფი იტალიანური მაკარონით, შოკოლადის პიროფნი თუ პუდინგი ახალი ჭერმისა, უცნაური ლალაკენტა, ნაყინი თუ ვიშნოვკა ქვიშნის...

რას გაიხარებდა ჩვენი ლუარსაბი, ასეთი რეცეპტები რომ ჩავარდნოდა ხელთ! იქნებ ენანა კიდევ, ნიგნი რომ არ იცოდა, მაგრამ მადლიანი დარეჯანი, აბა, რას დააკლებდა, თითოჯერ მაინც ხომ ყველა კერძს დააგემოვნებდა ცოლ-ქმარი.

სხვათა შორის, პირველი კულინარიული ნიგნი ხომ სწორედ XIX საუკუნეში, 1874 წელს გამოიცა ჩვენში სახელწოდებით „სრული სამზარეულო“. ავტორი — ბარბარე ჯორჯაძისა, რაფიელ ერისთავის ღვიძლი და, რომელიც ლექსებსაც წერდა, მოთხრობებსაც, პიესებსაც, კრიტიკულ წერილებსაც (თამამად ეკამათებოდა ილია ჭავჭავაძეს...), მაგრამ სახელი მაინც ამ ნიგნით (კულინარიული რეცეპტებით) გაითქვა. ნიგნი გამოცემისთანავე გაიყიდა და შემდეგ — ავტორის შთამომავ-

ვალთა მიერ შეცვებულ-გამრავალფეროვნებული — არაერთხელ დაისტამბა და ყოველთვის პოპულარული გახლდათ.

პრაქტიკული დანიშნულება იქით იყოს, და თუნდაც ამ რეცეპტებში როგორაა გამოხატული ეროვნული თავმოყვარეობაც და ევროპეიზმისაკენ სწრაფვაც! ეს ის დროა, როცა ევროპულ ლიტერატურასაც განსაკუთრებულად ეწაფება ქართველი, ევროპულ კულტურა-განათლებას, ევროპულად ჩაცმა-დახურვას იწყებს, ევროპულ ცეკვებს ითვისებს, ევროპულ სიმღერებს (საკრავებს) სწავლობს და ევროპულმა კერძებმა რაღა დააშავა?! ყოფის ეს სფერო აძლევს ქართველს თავმოწონების საშუალებას. ამიტომ ევროპულის წინაშე მოწონი ქედმოხრა კი არ იგრძნობა, არც — ზედმეტი ყოყლოინობა, არა, თანაბრად, ერთ სიბრტყეზე, ერთნაირი ინტერესით წარმოჩინდება ორივე — ქართულიცა და რუსულ-ევროპულიც.

ამ საქმეში მაინც ვართ ევროპის სრულფასოვანი ნაწილი...

ლალაშვილის ინტერესის სფეროში მოხვდა მაშინდელი თბილისისთვის ისეთი ახალი და უცნაური საკვებიც, როგორიცაა მაროჟნი ანუ ჩვენებურად ნაყინი. და სემინარისტის მიერ საგულდაგულოდ გადამალულ ჩანაწერს რომ გვაცნობს მწერალი, ვხედავთ სამზადისს პირველი სანაყინის გასახსნელად ჩვენს დედაქალაქში. ექვსი კაცის საყოფი მაროჟნის ინგრედიენტებია ჩამოთვლილი, ცალკე — ჭურჭელი: ძირში გახვრეტილი ვედრა, ვინრო, მალალი და ხელიანი ფორმა, ნაყინის ერთიანად გადმოსაღებად — სალფეტკადაფარებული ბლუდი. რუსიციზმების სიუხვის მიუხედავად ამგვარი რამის წამკითხველს სიტბო გედვრება გულში. სულ ცოტა, იმას მაინც აშკარად ხედავ და გრძნობ, როგორ ცდილობენ ქართველები სიახლის შემოტანას, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. ვინ თქვა, რომ ბუნებით ჩაკეტილი ხალხი ვართ და არც წარმოება-აღებ-მიცემობის ნიჭი გვაქვს? ცხოვრებაც და ლიტერატურაც სანინააღმდეგოს მეტყველებს.

და მაინც, კერძები არაა მთავარი ლაშა იმედაშვილის მოთხრობაში. ის უცხო სანელებელია, ან თუნდაც მარილია თხზულებისა, სილაღე-სიხალისეა, ზომიერად შეზავებული დრამატიზმთან.

მთავარი ისაა, ეგზარქოსი რომ აგინებდა ქართველებს: ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო. პავლეს დასჯის შემდეგაც რომ იჯდა ეგზარქოსი თბილისში, იმავის იმეორება, გულში ღვარძლს ზრდიდა და პარტიული თათბირების დროს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველების დახვრეტა-გადასახლებას. შიში და სიფხიზლე გვაიძულებს, კარგად მიმოვიხედოთ და დავფიქრდეთ, დღესაც ხომ არ ზის ეგზარქოსი ჩვენს ქვეყანაში?

მნიშვნელოვანი ისაა, რომ მაინც გაიხსნა სანაყინე თბილისში, მოგვიანებით, მაგრამ მაინც... და მალე ნათელი შეიქნა, ერთი სამაროჟნი, მარტო „გამაგრილე“ მთელ ქალაქს ვერ ეყოფოდა...

საყურადღებოა, რომ სასარგებლო და სამომავლო საქმეებსაც (მაგალითად, „სამაროჟნის“ გახსნას) ქართველის მიერ სხვა ქართველის მოტყუება-გაქურდვით ეყრება საფუძველი. კიდევ ბევრი რამ არის ამ შესანიშნავ მოთხრობაში ყურადღების მისაცემი და აღსანიშნავი.

მოთხრობა თითქმის დოკუმენტურია, უკეთ — მხატვრულ-დოკუმენტური. მასში ზუსტად არის ციტირებული ის ცნობილი წერილი დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც თვითონ სიცოცხლის ფასად დაუჯდა, მაგრამ რომლითაც იხსნა ქართველთა ღირსება და თავმოყვარეობა გაუგონარი, თავხედური შეურაცხყოფისგან. სხვადასხვა ეპიზოდში ნახსენები არიან: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, სტეფანე ჭრელაშვილი, დავით კეზელი, შიო დედაბერიშვილი, თედო სახოკია... ამ და სხვა ისტორიულ პირთა ასე სახელდებით მოხსენიება დოკუმენტურობის განცდას ამყარებს და უეჭველად ხდის. სხვათა შორის, ასევე, გვარ-სახელით არიან შემოყვანილი პერსონაჟებად სემინარიის მოწაფეებიცა და სხვა, საზოგად-

დობისათვის ამჟამად უცნობი ადამიანები. ვერ ვიტყვი, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით იცის თუ არა მწერალმა მათი ვინაობა, მაგრამ ამას თხრობისთვის არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. თუ რომელიმე მათგანი ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, ფაქტია, რომ გამოგონილი და რეალური პერსონაჟები ერთ მთლიან პანორამას ქმნიან. წარმოსახვით შეთხზული ეპიზოდები ისე ოსტატურად და ზომიერად ჩაერთვის თხრობაში, რომ ოდნავადაც არ არღვევენ დოკუმენტურობის ხიბლს. გარემოს ზუსტი დახატვით, სემინარიაში გამეფებული ატმოსფეროს უტყუარად ჩვენებით, მოქმედ პირთა ხასიათების მართლად წარმოჩენითა და სხვა ხერხებით მიღწეულია სრული ეფექტი სანდოობისა, დოკუმენტურობისა.

შუაბაზარი, დიდუბე, კონკა, გაეცალესა თუ ტილიპუჭურას დუქნები სრულიად ხელშესახებს ხდის მაშინდელ თბილისს თავისი მოქალაქეებითა და მათი ცხოვრების წესით.

აღსანიშნავია, რომ დასახელებულია კონკრეტული ადგილი, ქუჩა, სადაც პირველი სანაყინე გაიხსნა თბილისში — ერევანსკი პლოშჩადის სიახლოვეს, მთის ქუჩის დასაწყისში. ამ ქუჩას მერე აღმასკომისა ეწოდა თურქე, უფრო მოგვიანებით კი სერგეი კიროვის სახელი დაერქვა. თუ ადრე თბილისელთა კოლა ბარათაშვილი, კოლია რატიშვილი, ლეო ანდრონიკაშვილი... დუქან-დუქან დადიოდნენ და ქეიფობდნენ, მალე ისინიცა და სხვებიც ქალაქის პირველი სანაყინის სტუმრებიც გახდნენ. აი, აბრაგამოცვლილ ქუჩაზე სახელშეცვლილ სანაყინეს კი თბილისელები ახლოს არ ეკარებოდნენ და იქ მხოლოდ ჩამოსულები დაიარებოდნენ. ხომ თითქოს უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ მკითხველის თვალწინ ჩაივლის მთელი სურათი ეპოქათა ცვლისა — მრავალფეროვანი ძველი თბილისიდან რევოლუციის გზით შეცვლილი, დაკნინებული-გაერთფეროვებული დედაქალაქისკენ.

შთამბეჭდავად აღწერილი ტანგოს, არაჩვენებური, ჩვენში ევროპულთან გაიგივებული, სინამდვილეში არგენტინაში გაჩენილი ცეკვის ისტორია, განმტოებები, სხვა დეტალები.

ჭაჭხანიძისთვის (და დღევანდელი ქართველისთვისაც) უცნაური საზომ-სანონი ერთეულების გამოყენებამ, როგორებიცაა: გირვანქა, გარნიცი, ჯაოზი, მისხალი, საპალნე, თუნგი, ჩარქა, ვედრო, კოკა, ბათმანი, ფუთი, მარენკა, ოყა, კოდი, ასმუშკა და ბევრი სხვა, საბოლოოდ ისეთი პროდუქტები მოგვცა, თანამედროვე ევროპული კაფეებიც რომ არ დაინუნებენ: „მაროჟნი“ ნაღების ყავით, შოკოლადით, ჩაით, „მაროჟნი“ ნაღების „კლუბნიკით“, ხენდროთი ან ვანილით, „მაროჟნი“ ვაშლის და მსხლის, ლიმონის და ფორთხლის, პუნში გლიასე, პუნში იმპერიალური მარწყვისა და სხვა ხილის, ზეფირი, პლომბირი, ყელე. ასე, ამ გზითაც მიინევა ევროპისკენ საუკუნეების განმავლობაში აზიის გავლენის ქვეშ მყოფი ჩვენი ქვეყანა.

რომ არა ის გარემოება, რომლის ძალითაც: „დიმიტრი ყიფიანის ხსენება, როგორც სხვა ბევრი რამ, აიკრძალა...

მხოლოდ ერთი რამის დავინყების საშუალება არ მისცეს თბილისს:

ქართველებო, თქვენი სომეხი დედა ასე და ისეო...“ ვინ იცის, საით წასულიყო და როგორ განვითარებულიყო ჩვენი ქვეყანა.

თურმე დღესაც როგორ გვწვავს ის ნაკრავი მათრახი, დღესაც როგორ გვტკივა ის განწული სილა!

ლაშა იმედაშვილის „კულინარმა“ ქართული სამზარეულოთი აღფრთოვანებული მაღალი რანგის სტუმრებიც გამახსენა (არაორაზროვნად რომ იტყაპუნებდნენ მუცელზე ხელს), ძველი ჭრილობებიც გამიახლა, მაგრამ იმავე დროს ჩემს (ჩვენს) ქართველობას მალამოდაც წაეცხო...

თუმცა... კვლავ გაფაციცებით ვიყურები აქეთ-იქით: ისევ ხომ არ შემოგვეპარა და დღესაც ხომ არ ზის გარეგნულად იერშეცვლილი ეგზარქოსი თბილისში?

ნინო ჩხიკვიშვილი

ქვირფასი ავტობიოგრაფიები

(ოთარ ჩხეიძის
ბარათი
მიქელ პატარიძეს)

მართალია, მართალი.. ხელნაწერები, არ იწვიან, არსად ქრებიან, უცნაური ბედი კი აქვთ, როგორც ადამიანებს — ისინი იმისთვის არსებობენ, რომ შეინახონ იმწუთიერი განცდა როცა შეიქმნენ. გადაარჩინონ ის ნამი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მაშინ, რათა მერე მათ „მპოვნელს“ დაუბრუნონ ბედნიერება (და თან ტკივილიც) ოდესღაც არსებული ნამისა. ამიტომ მიყვარს ძველი ხელნაწერები და, მითუფრო, თუ ეს ხელნაწერი შენთვის ძვირფასი ადამიანისაა; კოლაუ ნადირაძის არქივზე მუშაობისას ბევრი ისეთი ხელნაწერი ვნახე (ზოგი სიძველისგან ისეთი გამოხუნებული, გარჩევაც ძლივს მოვახერხე), რომელთა არსებობამაც შემძრა და... კიდევ: ამ ხელნაწერთა კითხვისას მოულოდნელი სიხარულიც მეწვია: მიქელ პატარიძის არქივში ოთარ ჩხეიძის ბარათი აღმოვაჩინე, იქ, სადაც არ მოველოდი, სრულიად შემთხვევით (მაგრამ ვითომ შემთხვევით? ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება), კვლავ აღმოჩნდა ჩემ გვერდით ძვირფასი მოძღვარი, რათა გავემხნეებინე, თითქოს ჩამავგონა: იმუშავე, აკეთე, რის გაკეთებასაც შეიძლება, ხვალისათვის არ გადადო, დროს მოუფრთხილდი!

„ბატონო მიქელ, ნინასწარ ბოდიშს ვიხდი, რომ თხოვნით უნდა მოგმართოთ, მაგრამ ძმა ძმისთვისაო და ამ დღისთვისაო...“

საქმე ისაა, რომ აქ, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ლიტერატურის კაბინეტში, არაფერი გვაქვს თვალსაჩინო მაიაკოვსკის შესახებ. ეს რომ არ გვეპატიება და სხვა ასეთები, თავისთავად ცხადია; ისიც ცხადია, რომ ამითი საქმეს ვერ ვუშველით, ხოლო რაიმეს რომ ვენიოთ, გვინდა გთხოვოთ, გაგვინიოთ დახმარება, ასე ვთქვათ, თუ შესაძლებლობა გაქვთ, იკისროთ ჩვენი შეფობა და მოგვანოდოთ ისეთი მასალა, რასაც შეიძლება თქვენთვის იმდენი მნიშვნელობა არა აქვს (მაგალითად ფოტო ასლები და სხვა), ოღონდ ჩვენითვის დიდად გამოსადეგი იქნება.

ვიმედოვნებთ აღმოგაჩნდებათ შესაძლებლობა ჩვენი დახმარებისა.

პატივისცემით

ოთარ ჩხეიძე
ქ. გორი.“

ბარათი 1957 წლის 18 სექტემბრითაა დათარიღებული, ამ დროს მწერალი გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე იყო. მიხეილ პატარიძე კი — სოფელ ბაღდადში მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორი; უნდა ვიმედოვნოთ, ახალგაზრდა ოთარ ჩხეიძეს მიქელ პატარიძე აუცილებლად გაუწევდა დახმარებას, რადგან იგი იმ თაობისა და მენტალიტეტის კაცი გახლდათ, ვისთვისაც თანადგომა ცხოვრების წესი იყო, მითუფრო, თუ ეს დახმარება მისთვის საყვარელ საქმესა და სფეროს — ლიტერატურასა და მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს — უკავშირდებოდა.

მიქელ პატარიძესა და ოთარ ჩხეიძეზე შემოიძლია, ბევრი ვისაუბრო. შემოიძლია მათი ცხოვრების ეპიზოდები გავიხსენო, რადგან ბატონ ოთარს ვიცნობდი. მიქელ პატარიძე კი კოლაუ ნადირაძის მეგობარი იყო და როცა მის ვაჟს, ცნობილ მეცნიერს — რამაზ პატარიძეს — შეეხვდი, ბევრი რამ მიაძმო მამაზე, და კოლაუ ნადირაძის მოგონებებიდანაც ერთი პატარა შტრიხის გახსენება: „საერთოდ, რა ცოტა რამ იყო საჭირო იმისთვის, რომ მიქელ პატარიძე ბედნიერი ყოფილიყო და რარიგ საშინელ სიძუნეს იჩენდა მისდამი ბედი!“ — კმარა იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ თუ რა ცხოვრება განვლო ამ პიროვნებამ, რომლის სახელსაც ბევრი საქვეყნო ნამოწყება უკავშირდება, და კიდევ ისიც, რომ.. 1924 წლისა და 1937 წლის რეპრესიებს ისიც როგორღაც გადაურჩა:



მიქელ პატარიძე

მიქელი შესანიშნავი სპორტსმენი იყო — ტანმოვარჯიშე, მთამსვლელი (კავკასიონის ბევრი მწვერვალი ჰქონდა დაპყრობილი, მონაწილეობდა 1934 წელს უშბის ექსპედიციაშიც) გიორგი ნიკოლაძესთან ერთად, „შეგარდენის“ — სპორტულ-საწვრთნელი სკოლის — ერთგვარ იდეოლოგადაც ითვლებოდა. სწორედ მიქელ პატარიძემ თარგმნა და ქართულ მეტყველებაში დაამკვიდრა ისეთი სპორტული ტერმინები (მაგალითად, განმკლავი, ზემკლავი, მიმკლავი და სხვა), დღემდე რომ ცოცხლობს და იხმარება სასაუბრო და სალიტერატურო ქართულში. მასვე ეკუთვნის სავარჯიშო იარაღების სახელწოდებებიც: ორძელი, ტაიჭი, ბადრო, თხილამური თუ წერაყინი; და კიდევ, რაც მთავარია, თარგმნიდა ფრანგულიდან, რუსულიდან, წერდა ლექსებს.

სწორედ მან, პირველმა, გამართა ფრანგულიდან ქართულად ჟოზე მარია დე ჰერედიას სონეტები. მოგვიანებით, 1936 წელს, ცალკე წიგნადაც გამოიცა და დღემდე ითვლება ეს კრებული ჰერედიას საუკეთესო ნიმუშად ქართულად თარგმნილ სონეტებს შორის — ასე აფასებს მის ნამოღვაწარს გამორჩეული ლიტერატორი და მკვლევარი, თვითონაც უბაღლო მთარგმნელი თამაზ ჩხენკელი;

ეს მოკლედ რაც შეიძლება მეთქვა მიქელ პატარიძეზე (უფრო ვრცლად იმ წიგნში ვისაუბრებ, კოლაუ ნადირაძეზე რომ დაინერება), ბატონ ოთარზე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისთვის მიქელ პატარიძის ცხოვრების წესი და შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ნამდვილად ფასეული გახლდათ, რადგანაც ოთარ ჩხეიძე იყო ის პიროვნება და მწერალი, რომელსაც ჩვენი დიდი წინაპრების დარად (და ამ წინაპრებში, რა თქმა უნდა, მიქელ პატარიძესაც ვგულისხმობ) ასე საბედისწეროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და ქართული სიტყვა.

სამი წლის წინათ ეს „ღია წერილი“ გაეგზავნა ცოტნე დადიანის საზოგადოების მესვეურთ. ეს საზოგადოება დაარსდა სამეგრელოში, რათა მთელ რიგ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საკითხებზე მუშაობის გარდა, წინააღმდეგობა გაენია სეპარატისტულად განწყობილ ცალკეულ პიროვნებათა მიერ ჩვენი სამშობლოსთვის საზიანო საქმიანობისთვის, რაც გამოიხატებოდა ქართულ ენაზე არსებული სხვადასხვა რელიგიური თუ მხატვრული ნაწარმოების (ბიბლია, საეკლესიო კალენდრები, „ვეფხისტყაოსანი“, ერთჯერადი გაზეთები, ამ კუთხის განსაკუთრებულობის მაჩვენებელი პროპაგანდისტული მასალები, ცრუ მითები და ლეგენდები...) თარგმნით მეგრულ ენაზე და ქართული შრიფტით მათი გამოცემით. არსებობს ეჭვი, რომ ეს პიროვნებანი მოქმედებენ უცხო ქვეყნების სხვადასხვა ჯურის სპეცსამსახურთა ნაქვეშებითა და ნახალისებით. ამ „ღია წერილის“ გაგზავნის შემდეგ, სამუხსაროდ, ზოგჯერ ისევ შეინიშნება არაკეთილმოსურნეთა ეს საქმიანობა ჩვენს ძვირფას მხარეში — სამეგრელოში. ამიტომაც საჭიროდ მივიჩნიეთ ამ „ღია წერილის“ გამოქვეყნება.

„ვინც რომ სამშობლო ენას...“

**(ღია წერილი
მაშულისთვის გულანთიხულ
ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს,
ცოტნე დადიანის დარბაზის
პატივცემულ მისვალს)**

ძვირფასო მეგობრებო, უწინარეს ყოვლისა, მსურს გულითადად მოგილოცოთ ქ. ზუგდიდში თქვენი საზოგადოებრივი (ეროვნული ორიენტაციის) ორგანიზაციის დაარსება და წარმატება გისურვოთ თქვენს მამულიშვილურ საქმიანობაში.

არაერთი საჩინო მამულიშვილი — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირულნი — გვყავდა ქართველებს საუკუნეთა მანძილზე, რომელთა სახელის დროშად აღმართვა და მის ქვეშ მოღვაწეობა გახლავთ ესოდენ ძვირფასი და საამაყო.

მათ შორის ერთი გამორჩეული სახელია ცოტნე დადიანი. ცოტნე დადიანის კოხტისთვის შეთქმულთა თავგადასავალი ძალზე მოკლედაა „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული. გმირობისა და ზნეობის ამ იშვიათი წყაროს შესხენება თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის (არა მხოლოდ მათთვის), ჩვენ მომავალშიც არაერთხელ მოგვიხდება და, ამიტომ ვცანით საჭიროდ მოკლედ შემომეტანა ამ წერილში.

„ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული. გმირობისა და ზნეობის იმ იშვიათი წყაროს შესხენება თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის (არა მხოლოდ მათთვის) ჩვენ ყველას არაერთხელ მოგვიხდება და, ამიტომაც ვცანი საჭიროდ მოკლედ საქვეყნოდ ცნობილი ეს ამბავი კვლავ შემომეტანა ამ წერილში.

„მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თავი ისახელა თავდადებულობით საქართველოსათვის ერთმა დიდებულმა ქართველმა თავადმა, სახელად ცოტნე დადიანმა“, — წერდა საისტორიო თხზულებაში სასიქადულო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი. ცოტნე დადიანმა თავისი საქციელით გვიჩვენა სამშობლოსთვის თავგანწირვის, მოყვასისადმი თანადგომის მარად უჭკნობი ზნეობრივი მაგალითი, რისთვისაც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა.

ცოტნე დადიანი მონღოლთა უღლისგან გათავისუფლების მიზნით ქართველ დიდებულთა შეთქმულების მონაწილე იყო. მონღოლებმა გაიგეს ამ შეთქმულების ამბავი და ყველა შეიპყრეს ცოტნე დადიანის გარდა, რომელიც თავის საერისთავოში აჯანყების მოსამზადებლად იყო წასული. ცოტნემ წამსვე მიიღო გადანყვებილება, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ღირსეულ და დიდ ჰუმანისტ ვაჟაკს. მან თავისი ლაშქარი უკან, აფხაზეთში დააბრუნა, თვითონ კი გაეშურა ანისისკენ იმ განზრახვით, რომ მისულიყო დატყვევებულ ქართველებთან, რათა ჭირსა და ტანჯვაში მათთან ყოფილიყო. ცოტნემ ნახა, რომ შეთქმულნი გაემიშვლებინათ მონღოლებს, ტანზე თავლი წაესვათ და თავარა მზეში მკლავებშეკრულნი დაესვათ ტანჯვით სიკვდილისთვის.

ამ დრამატულ ეპიზოდს იაკობ გოგებაშვილი ასე აღწერს ისტორიულ მოთხრობაში „თავდადებული თავადი ცოტნე დადიანი“: „სამონღოლთა ნუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამძიციებელს დამგომარებოდაში ნახა მთავარნი საქართველოსანი. მაგრამ ამასთან ნუგევიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟაკობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისნი მეგობარნი, თითქოს ყველა ფიქრობსო: თუ მაცხოვარი ჯვარს ეცვა ავაზაკებთან ქვეყნის გამოხსნისთვის, ჩვენ რატომ არ უნდა ავიტანოთ ეს სასჯელი სამშობლო ქვეყნის გულისთვისაო. ცოტნე გადმოხტა ცხენიდან, მივიდა თავის მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა, მერმე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკები მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებს შორის დაღონებული“.

ისტორიაში ცნობილია, რომ მონღოლები გმირობის დიდი დამფასებლნი იყვნენ, ნოინი ძალიან მოიხიბლა ცოტნეს ასეთი ვაჟაკური საქციელით და მიზეზი ჰკითხა.

ცოტნემ მიუგო: „მე მოვედი თქვენს წინაშე, რათა გამოიკითხოთ და უკეთუ ღირსი რამე სიკვდილისა გვიქნეს, მეც ამათთან მოვკვდე და უკეთუ უბრალო იყვნენ, მეცა უბრალოდ შევირაცხო და მართალ ვიქმნა თქვენს წინაშე, რადგანაც უჩემოდ ამათ არაფერი უქნიათ“.

მისმა ასეთმა თავგანწირვამ სასტიკი მონღოლებიც კი მოხიბლა და შეთქმულები გაათავისუფლეს. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრების“ პირუთვნელი ჟამთააღმწერელი წერს:

„რადგანაც ქართველნი იმდენად სათნონი და კეთილნი ყოფილან, იმდენად ერთგულნი ერთმანეთისა, რომ შორეულ აფხაზეთით მოვიდა კაცი ისე დიდებული, რათა დასდგას სული თავისი მოყვასთათვის, და გასწირა სული თავისი სასიკვდილოდ, ამიტომ ვენდობი მეც მათა და განმიტყუებია ყველანი. და განუშვეს ყველანი ესე წარჩინებულნი და წავიდნენ თავის-თავისად“.

ტყვეობიდან დაბრუნებულნი მთავარნი საქართველოსანი კვლავ შეუდგნენ ქვეყნის გაძლიერებას. მათ დაამყარეს ამერთა და იმერთა შორის ძმური კავშირი და ერთობა, აღადგინეს ასე ნანატრი ერთ-მეორე გაორგი ბრწყინვალის დროს და მონღოლნი განდევნეს თავისი ქვეყნიდან. ისევ აყვავდა და გაძლიერდა საქართველო.

მაგრამ შემდეგ როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „განცალკევებამ კიდევ იჩინა თავი ქვეყნის საუბედუროდ“.

რატომ არის დღეს ასე დასაფასებელი და დროულად გასახსენებელი ცოტნე დადიანის თავგანწირვა და გმირობა, როგორ მოქმედებს გმირი, ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს?

„მან მეგობართათვის დასდო თავი თვისი, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, რომელიც იტყვის: „ამისა უფროს სიყვარულ არ არს, რათა დადევს კაცმან სული თვისი მეგობართათვისთათვის“ („ქართლის ცხოვრება“).

სრულიად გულწრფელად და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცოტნე დადიანი დღევანდელ სინამდვილეშიც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელ ძალას და ზნეობრივ მნიშვნელობას, რადგანაც ემსახურება და სრულად პასუხობს ქართველთა წინაშე დამდგარ სადღეისო საჭირობოტო პრობლემებს.

საქართველო თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ალბათ, არასოდეს დამდგარა იმდენი განსაცდელის წინაშე, როგორც დღეს. თუ წინათ ცალკეული მეზობელი ქვეყნები უქმნიდ-

ნენ დიდ პრობლემებს საქართველოს, ხოლო საქართველოს მეტწილად ღირსეული და თანაბარი წინააღმდეგობის განევა შეეძლო, დღეს ჩვენ „იმ ერთი კაცის“ დაუცხრომელი ლტოლვიტ „მეორედ მოსავლინებლად“ ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში (გვულისხმობთ ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში) მსოფლიოს გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული, გეოეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობების ერთიან ვერაგულ მეგა-პროექტში ვართ ჩათრეულები (როგორც ამას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი დევილიოზისას ზვიად გამსახურდია, ერთგან ინტერვიუში ამბობს, ე.წ. ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბრისას — „ევრო-ამერიკული იმპერიალიზმი“ (რუსულ იმპერიალიზმთან ერთად) პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის სფეროებისთვის სასტიკი ბრძოლების მსხვერპლნი ვართ. მცირერიცხოვან ერებს უდიდესი კაცობრიული დილემის წინაშე გვაყენებს მოძალებული (უსულგაულო მცირერიცხოვან ადამიანთა დაჯგუფება) გლობალიზაცია, ნალეკილნი ვართ ფილტრირებული ინფორმაციის, ხატოვნად რომ ვთქვათ, უკიდევანო ღვარცოვებით, რეკომენდაციების სახელდებით თავსმობვეული, მეტწილად ე.წ. „მაღალი სტანდარტებით“.

ამდენი განსაცდელისგან თავის დასახსნელად, ვფიქრობ, საჭიროა ქრისტიანული მართლმადიდებლობა, ზნეობრივი მაგალიტები, ამოქმედება ზომიერად მორგებული უძველესი ადათ-წესებისა და ტრადიციებისა (როგორც ხალხური გამოთქმა ამბობს: „ხე ფესვებით არის ძლიერი“), მოყვასისადმი ზრუნვა, უარის თქმა განცხრომით ყოფნაზე, ურთიერთთანადგომა, დღეს მართლაც გმირობის ტოლფასია, იმდენად გაუფასურდა და იშვიათი გახდა.

მონღოლთა უნაპირო იმპერიისგან ქართველთა განდგომის გაბედულ ცდას იმ დროს დიდი გამოძახილი ჰქონდა და, ამისი მონაბო მემოგინახა ყარაყორუმის კარზე მყოფმა იტალიელმა მისიონერმა, წმინდა ფრანჩესკო ასიზელის სიყრმის მეგობარმა პლანო კარპინიმ. „ქართლის ცხოვრების“ ამ საჩინო ფურცელს მეტი არც დამომწმელებელი ჰყავს, არც უარყოფელი.


როდესაც ცოტნე დადიანზე ვფიქრობთ, არ შეიძლება არ შევხვებით ერთ მტკივნეულ საკითხს ჩვენი სამშობლოს ეროვნულ და ტერიტორიულ მთლიანობასთან, ისე, როგორც ჩვენს ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებით.

თქვენ, მამულისთვის გულანთებულ ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის სამეგრელოს შვილებო, ცოტნე დადიანის ოდაბადედან (დაბადების ადგილიდან), სიამაყით შეგიძლიათ ნარმოთქვათ: დიახ, მე ქართველი ვარ!

დღესაც ჩაგვესმის საუკუნეების სიღრმეებიდან მომდინარე, ჩვენი დიდი წინაპრების ეს მარად უკვდავი ხმა! რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები? არის მხოლოდ ჩვენი ეროვნულობის გამოხატველი, თუ რაღაც უფრო მეტის, რომელსაც ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს? რით და როგორ გავაღწიეთ ჩვენ ამ ისტორიულ კატაკლიზმებში? რითი შევინარჩუნეთ ჩვენი თავისთავადობა, ეროვნული თვითმყოფადობა, მაშინ, როცა გადაშენდნენ დიდი ერები და პირისგან მიწისა აღიგავენ დიდი იმპერიები? ალბათ, ეს უნდა აიხსნას ჩვენი კავკასიიდური რასით, ქართველური მოდგმით, ჩვენს გენში კოდირებული გადარჩენის სურვილით და ღირსების მაღალი თვითშეგნებით, უფრო ზუსტად კი იმ იდეალისკენ სწრაფვით, სულმნათმა ილიამ ლელთ ღუნისა პირით რომ გვიანდერძა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“.

რის ფასად მოვალნივთ ჩვენ აქამდე, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობა ჰქონდა ყოველთვის და შუა საუკუნეებში ფორპოსტს წარმოადგენდა ევროპისა და აზიის საზღვარზე, რამ მოგვიყვანა ჩვენ დღევანდელ დღემდე, თუ არა ჩვენი დიდი წინაპრების მიერ მამულის გამოხსნისათვის, ეროვნული თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის დაღვრილმა ზღვა სისხლმა?

დიდგორი და შამქორი, ქართული სულის აღზევება, ქართველი ერის უდრეკი, დამარცხებასთან შეურიგებელი ხასიათი, მეტწილად უთანასწორო ბრძოლებში ვლინდებოდა. მამულისადმი ზვარაკად შეწირვა მხოლოდ განწირული სულისკვეთებით როდი იყო ნასაზრდოები, არამედ ქართველი ადამიანი, როგორც შამომავალი ისეთი დიდი წინაპრების, როგორებიც იყვნენ: ასი ათასი მონამენი; თბილისის სვარაზმელთაგან 1227 წელს წამებული, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანები, ექვსი ათასი გარეჯელი მონამე, დავით გარეჯის უდაბნოში მონყვეტილნი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანნი, თევდორე მღვდელი, ლუარსაბ მეფე, ქეთევან წამებული, დემეტრე თავდადებული, ცოტნე დადიანი, პატრიარქი წმინდა ამბროსი ხელაია, ილია მართალი და სხვა. საქართველოს ეკლესიას მონამეთა ეკლესიას უწოდებენ. ქართველი ერი თავისთავი ატარებს დაფარულ და ქვეცნობიერ სიყვარულს ქრისტი დმერთისა. იგი ჩვენი სარწმუნოებრივ-ეროვნული სინამდისა და ტრადიციების ნაერთს წარმოადგენს.



დიახ! ჩვენი წინაპრების უბადლო თავდადების მაგალიტზე დგამდა ყოველთვის ქართველი კაცი ცოტნესეულ ნაბიჯს.

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე გლობალიზაციის უსულგაულო ეპოქაში, როდესაც აღმატებულია ეროვნული ღირსების სანინააღმდეგო, უფლებაყრილი ერის სინდრომი, რას უნდა დაეყრდნოს ჩვენი ერის მომავალი?

მშობლიურ ენას, რომელიც განმტკიცებული და უკვდავყოფილია ჩვენი უძველესი და უნიკალური დამწერლობით; ქართველი კაცი ხატოვანი სიტყვაკაზმულობით გამოხატავს სიყვარულს სამშობლოსადმი. იშვიათად თუ მოიძებნება ერი, რომელსაც ასეთი კავშირი ჰქონდეს ორ სიტყვას: „დედას“ და „ენას“. იაკობ გოგებაშვილმა ეს მშვენიერი სიტყვათმეთანხმება შექმნა — „დედა ენა“. იგი წარმოადგენს არა ოდენ ენობრივ კომპოზიტს, არამედ ამასთანავე, ბუნებრივ სიმბიოზს, რომელიც ჰარმონიული დიდაქტიკური მოძღვრების ხელთუქმნელი გვირგვინია, რომლის ძალა უპირატესად მის უშუალობასა და ბუნებრიობაში მდგომარეობს.

ჩვენი გონების საძირკველს შეადგენს ის ენა, რომელსაც პირველად ვსწავლობთ მშობლებისა და ახლობლებისგან... ეს არის აკვანში გაგონილი იავნანის ენა, ენა ჩვენი წინაპრებისა, ჩვენი ხალხისა, იმ ერისა, რომელსაც ჩვენ ვეკუთვნით. ამ ენას დედა-ენა ეწოდება.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარებაში „დედა ენამ“ ისეთივე როლი შეასრულა, როგორც „წმინდა ოთხთავმა“ და „ვეფხისტყაოსანმა“ მომდევნო პერიოდში. ამის თაობაზე ძველი ქართული ლიტერატურის სწავლულნი თითქმის არ დავობენ, ქართულ სინამდვილეში სახელდებენ სამ წიგნს: „წმინდა ოთხთავს“, „ვეფხისტყაოსანს“ და „დედა ენას“.

ქართული ენის დიდი ისტორიული მისია იკვეთება იოანე ზოსიმეს მცირე მოცულობის, მაგრამ უაღრესად ღრმააზროვან თხზულებაში — „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორე მოსვლისა მისისა სანამებლად, რაითა ყოველსა ენას ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. აღნიშნული ძეგლი ღრმა თეოლოგიურ, ქრისტიანულ ცოდნას შეიცავს და ქართველი ერის, ქართული ეთნოსის კულტურულ-ისტორიული მისიის მანიშნებელია.

X საუკუნის ეს ხელნაწერი ტექსტი წარმოადგენს ქართული ენის მისტიკურ ხოტბას... იგი ქართული ეროვნული თვითცნობიერების მდგომარეობისა და მესიანისტურ (მოძღვრება მესიის მხსნელის მოვლინების შესახებ) სულისკვეთების აღნიშნული საუკუნის ქართულ განათლებულ წრეებში (პავლე ინგოროყვა, „კავკასიონი“, 1-2 გვ. 267. „ქებაი და დიდებაი ქართული ენისაის“ მიხედვით ქართული ენა უფლის ენაა, ასე ვთქვათ, სხვა ენებზე აღმატებული და განკითხვის დღეს მესია ქართულად ილაპარაკებს.

ჩვენი დიდი მეცნიერი ნიკო მარის თავის ფუნდამენტურ შრომაში „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში წერდა: „ქართული ენით ყველაფერი წარმოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით, აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე... რომ არათუ ქართულმა ენამ სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიურია. ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოსცეს განყენებული აზროვნების ცნებები, ქართულად ადვილად ითარგმნება, როგორც აზიური, ისე ევროპული კულტურული საზოგადოების უდიდესი მონაპოვარია.“

ენა და დამწერლობა გასაღები ღვთაებრივი სიბრძნისა და ერის საარსებო აზროვნების საფუძველთა საფუძველია, რომელიც განფენილია ერის მითოლოგიაში, ფოლკლორში, ხელოვნებაში და სხვა.

ქართულ ენას წარსულში დიდი დევნა-შევიწროება განუცდიდა. მის გადაშენებას უქადდნენ დიდი იმპერიების ენები, რომლებიც მომძლავრებული იყვნენ ჩვენს ქვეყანაში. მან ცეცხლითა და მახვილით გამოატარა თავისი ღვიძლი დედა-ენა ისტორიული ქართველების სხვადასხვა ეტაპზე... და მოიტანა დღემდე.

ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი ზა განვლო. მაგრამ ენის განვითარების ერთიანი ხაზი არ განყვეტილა. ბევრ კულტურულ ერს ძველი ტექსტების თარგმნა უხდებოდა თანამედროვე ენაზე, ადრინდელი ქართული ტექსტების გაგება კი შესაბამისი კომენტარებით ყველა ქართველს შეუძლია. ჩვენ არ დაგვიკარგავს ცოცხალი კავშირი ჩვენს სალიტერატურო ენასთან, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის დასაბამიდან საერთო იყო ყველა კუთხის ქართველთათვის. ამ ენაზე ქმნიდნენ მწერლობას ქართულელებიც, მეგრელებიც, კახელებიც, სვანელებიც, იმერლებიც, რაჭველებიც, ხევსურებიც, გურულებიც და სხვა ყოველი მათგანი, თავის მხრივ, ამდიდრებდნენ ქართულ სალიტერატურო ენას.

ტყუილად არ უწოდებია ქართული პედაგოგიკის კლასიკოსს, მწერალს, პუბლიცისტს, ეროვნული და მარადიული ფასეულობების ქომავს და ქველმოქმედს იაკობ გოგებაშვილს ქართული ენისთვის „ბურჯი ეროვნებისა“. მთელი მისი მოღვაწეობა იყო ბრძოლა მშობლიური ენის ღირსების აღდგენა-დაცვისთვის. იგი ნუხილით აღნიშნავდა, რომ ამ ენას როგორც საუნჯეს კი არა, „ისე ექცევიან, როგორც ავგულა დედინაცვალი ექცევა ათვალისწინებულ თავის გერსა“.

ჩვენი ვალდებულები ვართ დავიცვათ ჩვენი მშობლიური საუნჯე — ქართული ენა. ენა არის ის საშუალება, რითაც ადამიანი ესაუბრება უფალს, წარმოითქვამს ლოცვებს. ენა არის ჩვენი უდიდესი ძალა და უძვირფასესი საუნჯე, ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მყარი საფუძველი, რომლის დასაცავად

დღეს განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. „მაგრამ დღეს ჩვენს შორის არიან ისეთი ადამიანებიც“, — როგორც ჩვენი ერის მწყემსთავარი ბრძანებს, „რომლებიც ძალზე არასწორი მოსაზრებებით ცდილობენ ქართულ ენას უძველესი და უნიკალური ლაზურ-მეგრული და სვანური დიალექტები (ალბათ ენის მნიშვნელობითაა ნათქვამი — ვ.პ.) ჩამოაშორონ და ისინი დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადონ“. უფრო მეტიც, — დასძენს საკვირაო ქადაგებაში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II (17 მაისი, 2007 წ.), — „მათ განზრახული აქვთ ბიბლია და ლოცვები მეგრულად და სვანურად თარგმნონ. ეს გახლავთ უდიდესი დანაშაული, უპირველეს ყოვლისა, მეგრელთა და სვანთა წინაშე, რადგან ორივე ამ კუთხის ხალხი თავს ყოველთვის ქართველად მოიაზრებდა და მისი დედა ენა ქართული იყო! ამიტომ არასოდეს აზრადაც არ მოსვლიათ, ამ დიალექტებისთვის ცალკე დამწერლობანი შეექმნათ“ (აღსანიშნავია, რომ ეს ანტი-ეროვნული სეპარატისტული ხასიათის განზრახვა საბჭოთა „ჩეკას“ ნახალისებით სისრულეში მოიყვანეს: ლოცვანი და „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნეს მეგრულ ენაზე 1930 წელს).

არაფერი იმაზე უფრო საშიში, ვიდრე მცდელობა იმ მშობლიური ძაფის განყვეტისა, რომელიც ადამიანს საკუთარ ენასთან აკავშირებს. როდესაც ეს ძაფი განყვეტილია ან სერიოზულად დარღვეულია, ის დამანგრეველად აისახება პიროვნების მთლიანობაზეც.

როგორც იაკობ გოგებაშვილი ამბობს: „ვინც რომ სამშობლო ენას ივიწყებს და არ ეძებს, ძრიელ კარგიც რომ იყოს, ნაყოფს ვერ გამოიღებს“.

ჩვენი სასიქადულო მგოსანი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი მეგრულ ენასთან დაკავშირებით, საგულისხმოდ შენიშნავდა: „მეგრული ენა საღაროა ქართული სიტყვიერებისა, აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგავს ნამდვილი ქართული სიტყვები... რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შემონახულან ოქროს მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილი სიტყვებით შეავსონ მათი შელახული ქართული ლექსიკონი“.

ყოველ ჩვენგანს კარგად უნდა გვახსოვდეს, ქართველთა ერთსულოვნებისთვის დიდი ილიას მიერ აღფრთოვანებით ნათქვამი სიტყვები: „სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე — დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქართველს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და განბილებისა მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინათ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც“.

ასევე დიდი ქართველი კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას მრავლისმთქმელი მინიშნება, ამ ულამაზესი კუთხის მიმართ: „სამეგრელო არის საქართველოს ხერხემალი“.

ადამიანი მისწრაფის მსგავსისკენ, ჩვეულისკენ, მას უყვარს ის გარემო, სადაც უხდება ცხოვრება, იგი მიჯაჭვულია იმ ოდაბადეს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, რომლითაც შემოსაზღვრულია მისი საცხოვრისი, რომელსაც ხედავს დასაბამიდან და რომელთანაც, ცნობიერად თუ არაცნობიერად, შერწყმულია თავისი სულიერი არსით. ადამიანს უყვარს ის ხმები, ოდითგანვე რომ ჩაესმის, უყვარს დედის სასიამოვნო გალობისას წარმოთქმული პირველი სიტყვები, რომელიც მერე მისი მშობლიური დედა ენა ხდება. ხოლო შემდეგ, როცა ფართოვდება მისი თვალსაწიერი, სიყვარული მამულისა და თანამემამულისა შეიძლება გადაიზარდოს ზოგადად ქვეყნიერებისა და კაცობრიობის სიყვარულში. მაღლად მხედრე ადამიანისთვის კუთხურობა არ არის ნიშანდობლივი. მისთვის ძვირფასი და ფასეულია ყველაფერი, რაც ჭეშმარიტებასა და მშვენიერებას

უახლოვდება. მაგრამ ასეთი განწყობა სრულებითაც არ ნიშნავს განურჩევლობას, პირველი საწყისის უარყოფას. ყველა ადამიანი არის დაკავშირებული თავის მშობლიურ ფესვებთან და ეს სიახლოვე წარმოშობის პატრიოტიზმის მაღალ გრძობას. პატრიოტიზმი ახასიათებს ყველა ერს, რადგან ერი ადამიანური რაობისა და თვისებების შემცველია, მაგრამ ყველასთვის საერთო ნიშან-თვისებებშიც არის განსხვავება, გამომდინარე ერის თუ კერძო ადამიანის ხასიათიდან, მისი ბუნებიდან და სხვა ქართული პატრიოტიზმი თავის თავში არ ატარებს სიძულვილს სხვა ერების მიმართ, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ზოგიერთი ერის პატრიოტიზმისთვის.

გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილი „ქართველი ერი და კოსმოპოლიტიზმი“.

ძირითადად ქართველი კაცი გახსნილი და ლალი ბუნებისაა, იგი ადვილად ითვისებს და ითავსებს უცხო ელემენტს, ყოველგვარი ეჭვიანობისა და უნდობლობის გარეშე. ქართული ხასიათის გაშლილობა, მგზნებარება და სიმკვირცხლე განსაკუთრებით მძაფრად გამოხატული ქართულ ცეკვებსა და სიმღერებში (გრიგოლ რობაქიძის არაერთი ბრწყინვალე წერილი აღნიშნულ საკითხზე, ამის თვალნათელი დასტურია).

საქართველოს ისტორია იცნობს ეპოქებს, როდესაც ეროვნული პატრიოტიზმი მძლავრობდა, და პირიქით — ჩლუნგდებოდა.

საქართველოს ისტორია ორივე ამ მოვლენას ადასტურებს ჩვენში.

ჩვენი უპირველესი განმანათლებელი „დედა ენის“ ავტორი ერთ მთლიანობაში წარმოაჩენს თავის ნაფიქრ-ნაზარევს, „ქართლის ცხოვრების „ყოველთა ქართველთა ერთობის“ შესახებ, რაც კიდევ ერთხელ ჩავგვაფიქრებს იმაზე, თუ რანი ვიყავით გუშინ, რანი ვართ დღეს და რანი უნდა ვიყოთ მომავალში.

ჩვენი სამშობლოს უბოროტეს მტრებს, ისევე როგორც ცოტნე დადიანის დროს, მონღოლთა უძლეველობის ეპოქაში, მაინც ეშინოდათ ქართველების გაერთიანებული ძალისა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ერთობა ქართველთა შორის ჩაეშალათ, რადგან საერთო მეფე გახლდათ დედაბოძი ამ ერთობისა, „მონღოლებმა მოინადინეს, მეფის სახელი გაეთახსირებინათ, ერთმეფობა მოესპოთ და ორმეფობა შემოელოთ, იმერნი და ამერნი გაეცალკეებინათ ერთმანეთისგან და ამით ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ დაეუძღურებინათ და დაემონებინათ“. ცოტნეს დროსაც ასე მოიქცნენ. „ნადილი თავის სისრულეში მოიყვანეს სავსებით, იმერთ დაუსვეს (ცალკე მეფე და ამერთ სხვა მეფე მისცეს, თანაც ცდილობდნენ, ვერაგობით მტრობა ჩამოეგდოთ ამ ორ მეფეთა შორის და იმერნი და ამერნი ქართველნი ერთმანეთისთვის შეეჯახებინათ. მათ ხელს უწყობდნენ ქვეყნის დამხობაში ზოგნი ქართველნი, სულმდაბალნი და მოსყიდულნი. როცა ასე გააცალკავეს ღვიძლი ძმები და დააუძღურეს, მაშინ ორმეფობაც აღარ იკმარეს და მეფობა სრულიად გააუქმეს, რათა ყოფილიყვნენ პირდაპირი მბრძანებელნი ქართველებისა“, — დასძენს იგი.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მამულიშვილო, მოგიწოდებთ კიდევ ერთხელ გაეცნოთ, გაეცნოთ, როგორი დიდი სითბოთი, სიყვარულითა და პატივისცემით არის გამსჭვალული სამეგრელოსა და მეგრელების მიმართ იაკობ გოგებაშვილის ეს შესანიშნავი სიტყვები:

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოს. სხვა ქართველებისგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან. მარტო ერთი არიან ცოტათი განცალკავებულნი, მაგრამ ეს ენაც ძმა ქართული ენისა, გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელმა კარგად იცის ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვარს: იმათ ეს საღმრთო ენათ მიაჩნიათ, რადგანაც წირვალცვა მთელს სამეგრელოში იმათ თავიდანვე ქართულს ენაზე სრულდებოდა და ახლაც სრულდება... შესანიშნავია, რომ ღრმა მცოდნენ ქართული ენისა მეგრელებს შორის უფ-

რო ბევრნი მოიპოვებინან, ვიდრე სხვა კუთხის ქართველები... მეგრელებს ყოველთვის უყვარდათ გულით ქართული ლიტერატურა და ბევრმა მეგრელმა გააძლიერა იგი მშვენიერი თხზულებებით... გამბედაობითაც მეგრელები თითქმის ყველა ქართველს სჯობიან... ძნელად მოიპოვებინან ნიჭიერი, სწავლის მოსურნე, გამბედავი და გამჭრიახი ხალხი, როგორიც მეგრელები არიან...“

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და „სატიტულო ნაციად“ ჩამოყალიბებაში გადაწყვეტი წვლილი სწორედ ქართული კუთხების გამაერთიანებელ ქართულ ენას ეკუთვნის. ეს ისტორიული პროცესი შეიძლება ასეთი სქემით წარმოვიდგინოთ: ეროვნული ცნობიერება — ერი — სახელმწიფო. ესაა ზოგადი სქემა.

ერთიანი ეროვნული ცნობიერების წარმოშობა ერის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ეს ხელსაყრელი ისტორიული პირობების თანხვედრის პირობებში სახელმწიფოს წარმოშობით მთავრდება (ეროვნული ცნობიერება და ერი მაშინაც განაგრძობს არსებობას, როცა სახელმწიფოს წარმოშობა შეუძლებელია. სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის ხანგრძლივი დროით გადავადება, ცხადია, გარკვეულ ზიანს აყენებს ეროვნულ ცნობიერებას, თუმცა ერის არსებობის მიზანი — სახელმწიფოს შექმნა — მუდმივია).

თვით პროცესის წარმატებით დასრულება თავისთავად მრავალ უმნიშვნელოვანეს ელემენტს გულისხმობს. ეს რთული, ხანგრძლივი და დამაფიქრებელი ისტორიული პროცესია. ხალხის ერთიანი ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების საფუძველია ყველასთვის გასაგები ენის არსებობა, ამ ენის აღიარება ერთობის საფუძვლად. ცხადია, ერთი საერთო ენის არსებობა არ გამოირიცხავს დიალექტების არსებობასაც. ისევე, როგორც სხვაგან, ეს პროცესი საქართველოშიც ძალიან ხანგრძლივი იქნებოდა და, როგორც მკვლევარნი ამბობენ, იგი ძველი ნელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის დასასრულიდან უნდა დაწყებულიყო.

ენობრივი ერთობა თავისთავად დიდი მონაპოვარია, რადგანაც ერთ ენაზე მოლაპარაკე, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ და ამ ტერიტორიის ამთვისებელ ხალხს უნდა ჰყავდეს ერთი ხელისუფალი, როგორც ერთობის გამოხატულება, როგორც პროცესის ერთი მიზნისაკენ წარმმართველი ძალა. საისტორიო წყაროებით ხსენებული ეტაპების დაძლევა შეინიშნება პირველი ქართული სახელმწიფოების — დიაოხისა და კოლხას მაგალითზე (დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის მეტორმეტე საუკუნიდან. ენის ერთობა დიაოხსა და კოლხეთში, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, არ ჩანს).

საქართველოში ეროვნული ცნობიერების, ერისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი ძველი ნელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებისათვის დასრულდა. ენის, ტერიტორიისა და რელიგიური კულტის ერთიანობამ წარმოშვა ერთიანი ქართული ცნობიერება. ერთიანი ცნობიერების მქონე ხალხი კი უკვე ერია, რომელიც ქმნის სახელმწიფოს.

ფარნავაზის მეფობის დროს მიმდინარე ეროვნული და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ტვირთის ზიდვა შეეძლო მხოლოდ ერთ ერად კონსოლიდირებულ ხალხს. ქართული სახელმწიფოს მაშენებელი ერთიანი ქართული ცნობიერების მქონე ერთიანი ქართველი ერია.

ეროვნული ცნობიერების საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთიანი ქართული პოლიტიკური აზროვნება, სახელმწიფო აზროვნება. ასეთი აზროვნების ნიმუშია ეგრისის ერისთავის ქუჯის სიტყვები, ფარნავაზის მიმართ თქმული: „შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“. ეს უკვე აღარაა გვაროვნულ-ტომობრივი აზროვნება. ესაა სახელმწიფო აზროვნება. ეს გახლავთ საქართველოს სიძლიერის ქვაკუთხედი.

ქრისტიანული თვალთახედვით, სინანული არასდროს არ არის გვიან. ისტორია ხშირად მეორდება და როცა მამულის

სიყვარულზე ვსაუბრობთ, უნდა ვიფიქროთ, თუ სად არის ჩვენი ერის სანატრელი გზა ხსნისა. მაგრამ ამასთანავე უნდა ვიყოთ გულწრფელნი, როგორც საკუთარი სინდისის, ასევე ღმერთის და ერის წინაშე. მოვუსმინოთ მღვდელ-მონაზონს, ღირს ალექსი შუშანიას (1852-1923 წწ.). იგი იმ წმინდანთა დასს განეკუთვნება, რომელთა ღვან-ლი განუზომელია ჩვენი სამშობლოსთვის. ის წმინდანად შერაცხეს 1995 წლის 19 სექტემბერს. მას იცნობდნენ, როგორც ასკეტ ბერს, „სასულიერო პოეტ-მწერალს, ზნეობრივი მხრით მდგომარეს სისპეტაკისა და სიმშვიდის მწვერვალზე.“

„ისმინეთ, ძმანო საყვარელნო და გულისხმაყავით, ვითარმედ გზა ეგე, რომელსა ზედა რბიან ფერხნი თქვენნი, ხსნად ერისა არა არს წრფელ, უიმედოა შესვლად აღთქმის ქვეყნად. რამეთუ სვეტი ნათლისა, ე.ი. ნათელი ქრისტეს ღვთაებისა არ უძღვის თქვენს მგზავრობას სასწაულით განწყვანებად ერისა ზღვის მისგან მენამულისად, ვინაითგან შინაგანი დაგიტოვებთა და გარეგანს მიწიდაობილ ხართ.“

ამიტომაც შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, ეროვნული პატრიოტიზმი არის ერის მამოძრავებელი სასიცოცხლო ძალა, თაობიდან თაობას რომ გადაეცემა. ცოტნეს გმირობა ჩვენი ეროვნული ეპოპეის განუყოფელი ნაწილია, უფრო მეტიც — კვლავ გავიმეორებ, მისი ერთ-ერთი წარმართავი მამოძრავებელი ძალაა, აქედან იღებს სათავეს ერის შინაგანი კონსტიტუციის სიღრმისეული შრეებიდან ამოსული რელიქტი — უშრეტო სამართლიანობისა და ღირსების გრძნობა და ამავე სახის მასშტაბურობა. დაღუპვა უწერია იმ ერს, სადაც პატრიოტიზმი ჰქრება. იგი ჯანსაღი ადამიანის ორგანული თვისებაა, მისი თვითდამკვიდრებისთვის აუცილებელი, როგორც ჰაერი, წყალი და მიწა.

ცოტნეს ბედსა და მის თავგადასავალზე ფიქრმა გადამანწყვეტინა მომენწერა თქვენთვის ღია წერილი. მეც თქვენთან ერთად (კაცმა, არა თქვენი ოდობადედან) ვამაყობ, რომ ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილი ცოტნე დადიანია. XIII საუკუნის ტიპიური ქართველი კაცი, ზნეობრივი, განათლებული, მაღალმხედი პიროვნება, სულდიდი ქმნილების სრულიად საქართველოს ყველა კუთხეთა ერთიანობის და ურთიერთთანადგომის, სოლიდარობის ჭეშმარიტი სიმბოლო, ძირდაუხრელად სატარებელი ჩვენი ზნეობრივი დროშა.

განსაკუთრებით დღეს!
ვიდრე არ იარსებებს ქართველი ხალხის დაუცხრომელი სწრაფვა... უანგარო წადილი, ისევე როგორც სიმტიცე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა-აღორძინების... ღვთივკურთხეული ბედის მონასტრის — ბედის ოქროს თასის დედა-იდეის სიმბოლო, სრულიად საქართველოსა, დაუნანვერობის, ერთიანობის და განუყოფლობისა... მანამ ღვთის ნებით, თავად (როგორც პოეტი წერს) „არ გაიღების კარია“.

წარმატებებს გისურვებთ ამ დროშის ქვეშ გაერთიანებულებს!

ულრმესი პატივისცემით, დავშთები უკეთესი მერმისის იმედად

პასტანა პასტაძე
2 სექტემბერი, 2011 წ.
დედა-ქალაქი

მიმოზა კვირკვია

იყო ასეთი პოეტი...

ძღვნება მონათესავე სულებს

არავინ მიიღოს გამონვევად. მაგრამ მაშინ ბევრი ისე არ წერდა, როგორც რენე კალანდია. ეს მაშინ იყო, როცა ავანგარდისტული პოეზიის ჩამიჩუმიც არ ისმოდა. თუმცა ახალგაზრდა პოეტები ცალკეულ ექსპერიმენტებს კი მიმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი გაბედული ექსპერიმენტი რენე კალანდიას პოეზია იყო — სოხუმედ ახალგაზრდა პოეტს რთული და საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი.

„ხსოვნის ყვავილი“ — ასე ერქვა მის პირველ პოეტურ კრებულს, სადაც რენე გამოჩნდა, როგორც პოეტი-ნოვატორი, სალექსო ფორმისა და პოეტური განწყობილების რეფორმატორი. ამის თქმა თამამად შეიძლება. პოეტი-ნოვატორი იმ დროს, როცა ტრადიციულ ლექსის სტრიქონს აქა-იქ არღვევდა ვერლიბრი, მაგრამ მძიმე იყო ეს თეთრი ლექსი, — მძიმე და მოსაწყენი; უფრო შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ორიგინალური ძიების შედეგი გახლდათ.

რენე კალანდიასთან კი პოეტური სტრიქონი სისადავესა და ლაკონიურობას იძენს. სიახლის გრძნობით გამოირჩევა. თამამი ექსპერიმენტების მიღმა რენეს ლექსებში იკითხება პოეტის ღრმა ემოცია, მდიდარი შინაგანი ცხოვრება, ადამიანური ტკივილებით დაცხრილული, რომლის განწყობილებაც საოცრად უშუალოა და ამიტომაც საკმაოდ ძლიერად მოქმედებს ადამიანის სულზე. ერთი შეხედვით წყნარი, რაფინირებული სტრიქონების იკით რამდენი ბორცვა, წუხილი, შფოთვა, განცდაა, რადგან პოეტი ვირტუოზულად ფლობს ქვეტექსტების ენას და არ ამძიმებს მას პათეტიკური მრავალსიტყვაობით. მისი პოეტური ხედვა შიგნით, ადამიანის სულშია მიმართული. ზოგჯერ ფერწერული პოეტური სტრიქონებით მისი ლექსი როკულ კენტისა თუ კიდევ ვიღაცის ნახატს მაგონებს. აქ წამია შეჩერებული, ზუსტი შტრიხის განცდაა გადმოცემული, როგორც ფერწერული ტილო ბევრისმთქმელია და იდუმალი...

უნდა აღინიშნოს, რომ რენე კალანდიას ადრეულ ლექსებზეა აქ ლაპარაკი. საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე ლექსი, რომელიც საუკეთესოდ მიგვანჩნია.

**დამძიმებულან დეკემბერში ქუთუთოები,
დამძიმებულან გვირილის სევდით.
რიხტერი უკრავს, ბგერები ცვივა, როგორც
ფიფქი არყის ჭიქაში.**

ან თუნდაც ეს ლექსი:

**გადარეულან წლები, ოკეანის უძირო ფსკერი
ჩემს სიმართლავს აქანავებს უსიყვარულოდ.**

ან კიდევ:

**დედის ხელებზე
როგორც ხსოვნის მდინარეები
ოქროს სხივები კრთოდნენ მზიერად.**

სულაც ეს:

შენ გაიქციე, შენ დაეცი, ვინ გაპატიებს?

ან თუნდაც მოულოდნელი პოეტური ინტონაციით:

**ნაიქცა მწუხრი
ჭრიჭინობენ ჭრიჭინობელები
უკრავს ბუხარი — ვიოლონჩელო.**

რენე კალანდიას პოეტური გმირი ყოველდღიური ყოფისაგან გაქცეული, მართოსული ადამიანია, რომელსაც საკუთარი სამყარო აქვს კიბომნირივით, და ოკეანის სიღრმეებში ოქროსფერთმიან აქტინიას დაეძებს.

პოეტის ბოლოდროინდელი კრებული „კვადრატული ღრუბელი“ გარდამავალი საფეხურია თამამი ექსპერიმენტებიდან უკვე საკუთარი პოეტური

ფორმის ჩამოყალიბებამდე. წინასწარ ნინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „პოეტის ექსპერიმენტი ზოგჯერ ვერ თავსდება ზომიერების საზღვრებში, მაგრამ თავისი გამართლება უთუოდ აქვს — ექსპერიმენტისა და ახლის ძიების გარეშე მიმდინარე ლიტერატურული პროცესი არ არსებობს“.

ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ ამ აზრს, მაგრამ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით: პოეზიაში ცოტა ძნელია გაარკვიო, სად იწყება და სად მთავრდება ზომიერება. აქ ცივ გონებასთან შედარებით ემოცია ასრულებს გადამწყვეტ როლს. რენე კალანდიას პოეტური ფორმა სწორედ ამ ემოციას არის მოკლებული, რომელიც მისი რთული შინაგანი სამყაროდან მოდის, მისი სულიერი განწყობილების გზაჯვარედინს გადაკვეთს. უნდა აღინიშნოს, რომ რენე კალანდიას მიერ ფორმის ძიება სულაც არ არის პოეტის თვითმიზანი გააოცოს ვინმე მოულოდნელი სახეებით. მის სადა, ერთი შეხედვით გასაგებ პოეტურ სტრიქონებში ისეთი სიღრმეა აზრის, თითქოს მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს თავისი გაშიშვლებული განცდა და მასვე უტოვებს მრავალ კითხვის ნიშანს თუ მრავალწერტილს ამოსახსნელად:

**სხვამ დაგიძახა, სხვას ელოდი,
სხვამ დაგიძახა
გაუძელი და ნუ მოიხედავ.**
(„დახილი“)

პოეტი არც ამ კრებულში ღალატობს თავის თავს, აქაც ახლებურად არის შემოტანილი ნაცნობი თემები, თუნდაც სამშობლოს სიყვარულის განცდა:

**ასე ჩაიარა ჩასავლელმა და დაგიბრუნდი
ხბოს ნუ დამიკლავ
ბლავილი უკვე გავიგონე,
უბრალოდ, მელოტ საქორჩრეზე გადამაფარე
ჭადრის ფოთოლივით ფართო ხელისგული.**
(„საქართველოს“)

რენე კალანდიას პოეტური ხელნერა საოცრად გრძობადია, ფერწერულია, ქვეტექსტებიც ახლავს, მაგრამ ეს იდუმალეა მკითხველს არ აღიზიანებს; პირიქით, ერთგვარ ესთეტიკურ განცდას იწვევს მასში. სწორედ ამიტომ ამბობს ერთ-ერთ ლექსში:

**ფოთოლცვენისას გამწყდარი ბგერა
უფრო მძიმეა, ვიდრე ეს ნიგნი.**
(„P.S.“)

რენე კალანდია ისეთ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც მახვილი ინტუიცია აქვს და ბევრი მოვლენის წინასწარჭერების უნარიც. ამიტომ ჩანს მის პოეზიაში დროის რიტმიც, წინასწარ ნაგრძნობია საერთო ბედი თუ უბედობა:

**აქ დრო გაჩერდა... რას გაარკვევ,
ბედი ცბიერი რაღას გიქადის, როცა მწუხრში,
წმინდა მარიაშ,
ფლორენციიდან იდევენება ალიგიერიც.**
(„გულდაწყვეტილი სულის მუსიკა“)

რენეს ბევრი ლექსი სიახლით სუნთქავს, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი პოეტური ციკლი „წრიული ხაზის ფირფიტები“. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს პოეტური ნაწარმოები არის ისეთი ადამიანის მონოლოგი, რომელიც თავის სასონარკვეთას სულიერ ამაღლებამდე მიჰყავს:

**იყოს რაველი, რა უჭირს, იყოს...
იწრიალოს ბინულის სულმა,
იწრიალოს მწვანე სუიტამ
და ოცნებებში ჩაძირული ხომალდის ნაცვლად
ლაინისფერი ღრუბელი დამრჩეს.**
(„ღამეული მოჩვენებანი“)

მაგრამ პოეტის ეს განწყობილება თავის მაღალ რეგისტრს სხვა ლექსში აღწევს, რომელსაც „ფუგა“ ჰქვია და რომელიც ერთგვარ



რენე კალანდია

ასოციაციას იწვევს რიტმითა და ექსპრესიულობით ბახის მუსიკასთან. რენე კალანდია ძლიერად გრძობს მუსიკას და ეს განაგებს მის პოეზიას:

**გარეთ ისევ წვიმს... სიმარტოვე...
ჩემი სხელი ეხეთქება ფიჭვის მაგიდას,
სიგარეტების ნაცრისფერი ნამწვავებით.
ეს მერამდენედ მიხურულა შენი მოსვლის
იმედის კარი.
ეს მერამდენე სურვილია ჩემი გაქცევის
ვეებურთელა წვიმისფერი სინამდვილიდან.**

რენე კალანდიას პოეტურ სამყაროში სიყვარულის ყვავილიც სხვანაირად იშლება, მისთვის მარტოობა სულიერი თავშესაფარია, რათა ტკივილები დამალოს და არავის გაუზიაროს, გარდა საკუთარი მუხისა.

მიუხედავად იმისა, რომ რენე კალანდიას პოეტური გმირი მარტოხელაა და „კიბო-მწირი“, და მუდამ სევდიანია, მას მაინც არ დაჰკარგვია ბედნიერების განცდის უნარი:

**ვინ გეძახდა ამ სიშორეში, თუ არა შენი
ნაცრისფერი მარტოსულობა?
ვინ გიხმობდა, თუ არა სევდა?
ვინ შეგიტყუა მდუმარების წახანაგოვან
ლაბირინთებში,
თუ არა შენმა წამიერმა აღფრთოვანებამ,
ბედნიერებას რომ ეძახდი გულუბრყვილო
ცხოვრების წრეში?
(„გამოქვაბული“)**

რენე კალანდიას ლექსებს ახლავს კოსმიური სევდა, ირეალური, მისტიკური ხილვები.

პოეტი სულ სხვა საზომით ცხოვრობს და სულ სხვა განზომილებაში გადაჰყავს მუხის ფრინველს, რომლისთვისაც „მთის აღმასებზე განოლილი კვადრატული ღრუბელი ვილაცის სულის ნეგატივა“, რომლითაც სამყარო რამდენ გამოცანას სთავაზობს ადამიანს და პოეტს კი — მითუმეტეს.

პოეტები ხშირად იყურებიან ცისკენ და მინასთან დაბრუნებისას ცოტათი მიუსაფრობას გრძნობენ. ალბათ, ამის თქმა სურდა რენე კალანდიას თავისი პოეზიით.

ზურაბ ნიქარიძე

ქუცო

დღით ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ყურმილში ჩემი ძმის, ჯიმშერის ხმა მომესმა.

— ზურა მოასწარი გუშინ შვებულების ფულის აღება?

— კი, გვიან, მაგრამ მაინც ავიღე.

— რას აპირებ ახლა?

— რას ვაპირებ, ჯიმშერ, და გადავწყვიტე გორში გავიარო ქუცოსთან...

— ქუცოსთან? — გაისმა ჯიმშერის გაკვირვებული ხმა.

— ჰო, ჯიმშერ, ქუცოსთან. შარშან მამიდა მამოს დაკრძალვის შემდეგ სუფრაზე ჩემს გვერდით იჯდა, რამდენიმე ჭიქა ღვინო რომ დალია, გრძნობები მოაწვა, ბავშვივით ატირდა და ძალიან მისაყვედურა: შენ და შენი ძმა გორში ხშირად ხართ, ხან გავლთ, ხანაც სტუმრად, ყველა მამიდაშვილთან მიდიხართ, ნახულობთ, კითხულობთ, მე კი არ გახსენდებით, თითქოს თქვენი ღვიძლი მამიდაშვილი არ ვიყო; მამაშენს დედაჩემი თავისი ხუთი დიდან და ერთი ძმიდან არცერთზე ნაკლებად არ უყვარდაო. ალბათ შოფერი რომ ვარ იმიტომ მთაკილობთო, არც ჩემი ცოლი და არც ის, ჩემი აყვანილი გოგო, ველურები არ არიან, ერთხელ მესტუმრეთ შენ ან შენი ძმა, ან ორივე ერთად და ნახეთ, იქნებ იმათაც იციან პატივისცემაო. მოკლედ ნამუსზე შემეგდო და ახლა გადავწყვიტე ქუცოს ვესტუმრო, დავრჩები ერთი-ორი დღე. მერე სხვა მამიდაშვილებსაც ვინახულებ და წავალ დედასთან ცხინვალში, იქ ხომ როლანდი და შოთაც მელოდებიან.

— და შვებულების ბოლომდე იქ დარჩები?

— არ ვიცი. ისე ვფიქრობდი, ერთი კვირით აგუძერაში ჩავსულიყავი ბიჭებთან. ვნახოთ.

— კარგი, ზურა, კარგი რამ ჩაგიფიქრებია, აბა შენ იცი. დედას უთხარი, რომ სექტემბრის მეორე ნახევარში მე ვიქნები მასთან. ყველა მომიკითხე, ქუცოც რა თქმა უნდა, და დაარწმუნე, რომ ჩვენ არა ვართ ის ხალხი, შოფრობის გულისთვის ნათესავი ვითაკილობთ.

სატელეფონო საუბრის დამთავრებიდან ერთი საათის შემდეგ გორისკენ მიმავალ ავტობუსში ვიჯექი და ქუცოზე ვფიქრობდი. მისი ნამდვილი სახელი ილია კახნიაშვილია. მამაჩემის და-ძმებიდან ბოლოსნინა — მამიდა სოფიკოს — ერთადერთი შვილი. თვითონ ქუცოს მამა არ ახსოვს, ადრე გარდაეცვალა. მამიდაჩემი სოფიკო კი ტრაგიკულად დაიღუპა; ველოსიპედით მოსიარულემ მკლავი გაჰკრა შემთხვევით, სახლის კუთხეს საფეთქლით მიაჯახა და იმანაც ადგილზე განუტევა სული. დარჩა ქუცო, თექვსმეტი წლის ბიჭი, უფლად, ზედის ანაბარა. მამაჩემი, ბიძაჩემი და მამიდაჩემებიც, შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ აკლებდნენ, მაგრამ თითოეული თავად იყო დიდი ოჯახის პატრონი და შესაძლებლობებიც შეზღუდული ჰქონდა.

რამდენიმე ხნით მამაჩემმა ქუცო თბილისში ჩამოიყვანა, ჩვენს ოჯახში. სურდა რაიმე საშუალო-ტექნიკური განათლება მიეცა მისთვის, მაგრამ ქუცო დიდი ქალაქის ცხოვრებას ვერ შეეგუა და სულ მალე მამაჩემს უთხრა: გორში დავბრუნდები, ჩემს სახლში ვიცხოვრებ და მძღოლობით ვირჩენ თავსო.

ოცდარვა წლისა ერთ ძვერელ გოგონაზე დაქორწინდა. მანამდე კი ტაქსის მძღოლობასთან ერთად ზომაზე მეტად ეტანებოდა ალკოჰოლურ სასმელებს. თუმცა დაქორწინების შემდგომაც არ იკლებდა ასეთ სიამოვნებას. მიზეზი არავინ იცის, მაგრამ შვილი არ შეეძინათ და ამ რამდენიმე წლის წინათ ბავშვთა სახლიდან გოგონა უშვილებიათ. ქუცოს ოჯახს ამით გაჭირვება მომატებია, მაგრამ ამასთან — სიხარულიც, ცხოვრების ინტერესიცა და ენერჯიაც. ათი-თორმეტი წლის წინათ შეძენილი ომისდროინდელი „მერსედეს-ბენცი“ შეუკეთებია და სამუშაოდან თავისუფალ დღეებში სოფლებსა და ქალაქს

შორის მგზავრებს დაატარებს, ცოტა ფული მოუგროვებია, ქალაქის ცენტრში ძველი სახლი გაუყიდა და ახალ ქუჩაზე შეუძენია პატარა ორსართულიანი სახლი ეზოთი და გარაჟით.

ასეთმა და კიდევ ცოტაოდენმა სხვა ფიქრებმა დააკავა ჩემი გონება, ვიდრე ქალაქის შესასვლელში ავტობუსიდან ჩამოვიდოდი. თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ქუცოს გარაჟის რკინის კარებში ჩატანებული პატარა კარი შევალე. გარაჟში საკმაოდ შელახული „პობედა“ იდგა. მანქანის გარშემო უნესრიგოდ ეყარა ჭუჭყიანი ნაწილები, ხოლო წინა ბორბლებს შორის ზეთით გაჟღენთილი ორი ყელიანი ფეხსაცმელი მოჩანდა და მანქანის ქვემოდან ქანჩის მოჭერის დროს რომ არის, ისეთი ხმა ისმოდა.

— ილო! — შევძახე.

— რომელი ხარ? — მოისმა მანქანის ქვემოდან.

— დაამთავრე და ისე გამოდი.

— მე კი მალე დავამთავრებ მარა... ილოო!

სანამ სახელს დაიძახებდა, მანამდე მივხვდი, რომ მანქანის ქვეშ ქუცო არ საქმიანობდა. სახელის დაძახებაზე კი გარაჟის სიღრმიდან, სადაც ხელმარჯვნივ სინათლედ ჩანდა, ნაცნობი ხმა გავიგონე.

— ჰოო, მოვდივარ — ქუცო გაურკვეველობას რომ გამოხატავს, სახის ისეთი გამომეტყველებით მოიჩქაროდა ჩემკენ და თან მანქანის ქვეშ იყურებოდა, საიდანაც ძახილი მოესმა. კარებთან მოვიდა, მკლავზე მომკიდა ხელი, ზღურბლს იჩით შემეყვანა.

— ზურო? საიდან, როგორ მოხდა? — და გულზე მომეკრა.

— შემო სახში.

გარაჟის ბოლოს სინათლე რომ გამოსჭვიოდა, იმ კარებისკენ გავეშურეთ. „პობედის“ ქვემოდან მოფუსფუსე კაცმა თავი გამოჰყო და ინტერესით გამაყოლა თვალი. ორი საფეხურიც და დიდ, ნათელ შუშაბანდში აღმოვჩნდი ქუცოსთან ერთად. შუშაბანდის შუა ადგილიდან ციცაბო კიბე ადიოდა მეორე სართულზე, ხოლო ხელმარჯვნივ, ღია კარში მოზრდილი სასტუმრო ოთახი მოჩანდა.


— ქალო!, გოგო! გამოდი, ჩამოდი, სადა ხართ. — ქუცო ძალიან ჩქარა ლაპარაკობს, სიტყვებს შორის პაუზას თითქმის არ აკეთებს. ამასთან, შესამჩნევი იუმორის გრძნობა და კვიმატური გამოხედვა აქვს.

ძახილზე ქუცოს მეუღლე ნათელა და მათი გოგონა მეორე სართულიდან ჩამოვიდნენ. ბავშვი პირველად მხედავდა, ნათელა კი მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა.

— როგორ ხართ, ზურო, ცოლი ხომ არ მოგიყვანიათ? დედა, ჯიმშერი, როგორ არიან? — მოგვიკითხა ნათელამ.

— ცოლი ჯერ არ მომიყვანია, ჯიმშერი კარგად არის, ბათუმში აპირებს წასვლას ოჯახთან ერთად, დედაჩემი ცხინვალშია. შვებულებაში გავედი და იქ მივდივარ, ჩვენი სახლიც ცოტა შესაკეთებელია... ჰოდა, ქუცო! რომ მსაყვედურობ, ჩემთან სტუმრად არ მოდიხარო, ახლა საგანგებოდ თქვენთან ჩამოვედი და ერთი-ორი დღე დავრჩები. — გაკვირვება და სიხარული დაეხატათ სახეზე სამივეს. ქუცო კი მთლად გალალდა.

— მაისხენ ეგ სუმკა, სუმკა მამე აქა, ეგრე რა, შე კაი კაცო; ვაჰ! — ხმაში გულაჩუყება და თვალებზე სისველე შევამჩნიე ქუცოს. მხარზე გადაკიდებული ჩანთა ჩამომხსნა, სასტუმრო ოთახში შეიტანა და სკამზე დადო.



მე ჩანთა გავხსენი, იქიდან ხუთი შოკოლადის ფილა ამოვიღე და ბავშვს მივმართე:

- მოდი, გენაცვალე, შენ რა გქვია?
- მანანა, — მორცხვად მიპასუხა და დედას მიეკრო.
- აი ეს შენ — გავუწოდე შოკოლადები. — ნათელა ეს თქვენ, — და პარფიუმერული ნაკრების ყუთი მივანოდე.
- ქუცო, ხომ ვიცო, ბევრს ენევი და სიგარეტი ნამოგიღე, „კოსმოსი“.
- კარგი ხარ, მადლოფ, — და ქალაქში გახვეული სიგარეტების შეკვრა გამომართვა. შუშაბანდში დავბრუნდი. ქუცომ სიგარეტების შეკვრა ძველებური კომოდის უჯრაში ჩადო.
- ეს „პოპედა“ ვისია, „ბენც მერსედესი“ რა უყავი, — დავინტერესდი მე.
- ეჰ, ზურო, რო იცოდე როგორ მივქარე, რა ჩავიდინე.
- რა ჩავიდინე?

— რაღა, ემაგ ჯანდარაში გავცვალე ი მშვენიერი მანქანა, მამატყუა იმ უნამუსომ, იმანა. თითქო რო დავჯექი და გავიარე, კარგი იყო. ერთი კვირის მერე მოეშალა ყველაფერი და უკვე ნახევარი წელიწადია, ექვსი დღე ვაკეთებ, ერთი დღე დავდივარ. ექვსი დღე ვაკეთებ, ერთი ან ორი დღე დავდივარ. — მიაყარა ქუცომ სიტყვები ერთმანეთს, გარაჟში თავი გაჰყო და დაიძახა.

— ქადაგო! მოდი აქა. — წუთიც და შუშაბანდში მანქანის ქვეშ მოფუსფუსე გამურული კაცი შემოვიდა ქანჩის მოსაჭერი გასაღებით ხელში. — მოდი, ჩემი ბიძაშვილი უნდა გაგაცნო. მეცნიერია, კვლევითში მუშაობს, გეპეიშიც ასწავლის, დოცენტია, ბიძაჩემი ნიკოს უმცროსი ბიჭია, უფროსი ძმა ყამს, ჯიშმერი, იმას ვენაცვალე, ჩვენი ნათესაობის თვალაია.

— კეთილი. — თქვა შუაბანდის ცისფერთვალე გამურულმა კაცმა, დასვრილი ხელი ამარიდა, მაჯა გამომიწოდა და ღიმილით მითხრა: გაიოზი.

- ხელი მაჯაზე მოვკიდე და გავეცანი — ზურაბ ნიქარიძე.
- აი, ხო უყურე! სამი დღეა მანქანის ქვეშიდან არ გამოსულა, რო დღეისთვის მზათა ყოფილიყო. ხუთმთვართობით ქალაქში დავდივართ, კინოში. საბურთალოს ბაზართან რო კინოა „გაზაფხული“, იქა. წინა ხუთმთვართს „დიდი ვალსი“ ვნახეთ, მაგარია, — მარჯვენა ხელის ცერი მაჩვენა ქუცომ.
- დღესაც მაგარი კინოა, — ჩაილაპარაკა გაიოზმა.
- რა კინოა დღესა? — იკითხა ქუცომ და სიგარეტს მოუკიდა.
- არ ვიცი, აი ბერბუკელი ბოტოტი როა, იმანა თქვა, მაგარი კინოაო, შარშანა ვნახეო, და ეხლაც ის ასოები ეწერაო. ხო იცი, წერა-კითხვა არ იცის. რაც არი, ჩავალთ და იქა ვნახამთ. — სერიოზულობით დაასკვნა გაიოზმა.

ქუცომ კვიმატური სახე მიიღო, ხელის მტევანი ოხუნჯურად გადაატრიალ-გადმოატრიალა და გაიოზს შეუტია.

— შენა, ქადაგო, მართლა ალაოთ ხო არა ხარ. ვერა ხედამ, ბიძაშვილი მესტუმრა, დოცენტი კაცი. მე ეხლა ამას დავტომ აქა და იქ ნამოგყვებით კინოს სანახავათა? ნაიყვანეთ მანქანა და ნადით უჩემოთა, თან როგორც ვატყოფ, დღეს კაი კინო არ იქნება.

— რათა ალაოთა, კაცო, შენი სტუმარიც ნამოიყვანე, გავასეირნოთ ქალაქში, კინო ვნახოთ, ღამე რო ჩამოვალთ, პურ-მარილს მე ვკისრულოფ, კაი კახური ღვინო მაქ. აბა ხო იცი, მე პრავა ჩამორთმეული მაქ, ი ჩუმათამ ტარება არ იცის, შენ თუ არ ნამოხვედი, ამ კვირაში კინო ვერ გვიხანხნია და ეგ არი. ე მანქანაც ტყუილად გვიკეთებია მთელი კვირა, ეგრე გამოდის, — ისეთი განცდით ლაპარაკობდა გაიოზი, თითქოს მისი ცხოვრების უმთავრესი გეგმა ომლებოდა იმ წუთში და მივხვდი, რომ მისი სასოების გადარჩენა მხოლოდ მე შემეძლო:

- მე სიამოვნებით ნამოვალ, ორი წელიწადი მაინც იქნება, კინოში არა ვყოფილვარ.
- მამ წავიდეთ? ნამოხვალ? — აცმუკდა ქუცო.
- ხო-მეთქი, წავიდეთ, — ვთქვი და გაიოზს თვალი გავუღს-ნორე სოლიდარობის ნიშნად.
- აი, კაცი; ეგრეც ვიცოდი, — კმაყოფილებით თქვა გაიოზმა და შუშაბანდიდან გარაჟში გაუჩინარდა.

ქუცომ თხოვნა-ბრძანებით ნათელას სადილისთვის სუფრის გაშლა დაავალა. მე სახლ-კარის დასათვალეებლად გამიძღვა.

მეორე სართულზე ორი საძილე ოთახი, ტუალეტი და დაუმთავრებელი აბაზანაა. ზედა სართულზე, ასასვლელი კიბის უკან, ქუცოს თავისი ხელით გაუმართავს კოხტა სამზარეულო, საიდანაც პატარა ეზოშია გასასვლელი. იქ ბოსტნეულის ბაღია, ახალგაზრდა კაკლის ხის ქვეშ ბეტონის მაგიდის ორი მხრიდან მოგრძო სკამებია მიწაში ჩამაგრებული. მაგიდაზე ყუთი, საბუღალტრო საანგარიშო და დომინოს ქვებია მიმოფანტული.

სკამებზე ჩამოვსხედით, თითო სიგარეტი გავაბოლოე და ნათელამ სადილზე მიგვინვია სამზარეულოში. სადილზე ძალიან გემრიელი ჭანჭურის არაყით ჩამოსვლა-დახვედრისა და სამი სახარებისა დავლიეთ. სადილის შემდეგ ქუცომ ჩემი ჩანთა აიღო, მეორე სართულზე ამაცილა, უკანა საძილე ოთახში შემეყვანა, სადაც ჩემთვის უკვე გაეშალათ ახალი ლოგინი; და დამარიდა:

- ეხლა შენ დანეკი და მოისვენე, თუ გინდა ნაუძინე კიდევ. მე მანქანას გავასუთავებ და წასვლის წინ გაგაღვიძებ.
- ექვსი საათი იქნებოდა გარაჟის კარები რომ გავალეთ. ტროტუარზე გარაჟის კარიდან მანქანის სავალ გზამდე ოდნავი დაქანებაა.
- ეს დაქანება საკმარისია დასაქოქადა. — შემეყვანა საქმის კურსში ქუცომ, — ეხლა მოვლენ, მივანვებით და გაუყვებით ქალაქის გზასა.

მოულოდნელად ღია გარაჟის წინ წარმოუდგენლად გროტესკული არსება გაჩნდა. ორი ან სამი ზომით დიდი, ლურჯი ფერის ნეილონის პერანგი ასეთივე ზომის შარვალში ჰქონდა ჩატანებული. შარვლის შესაკრავი დუგმა ქამრის გასაყრელზე იყო გამოდებული და ისე ეკიდა მეტისმეტად გამხდარ თეძოებზე. განიერ, მინასმორთულ ტოტებს ქვეშოდან ასევე შეუსაბამოდ დიდი ზომის იაფფასიანი რეზინის სპორტული ფეხსაცმელი მოჩანდა. მარცხენა ხელში ნაჭრის ხელჩანთა ეჭირა. გრძელი ცხვირი, ფართოდ დაღებული თვალები, ცად აჭრილი წარბები და ირიბი ტუჩები გამანადგურებლად გამკილავ გამოხედვას ჰქმნიდნენ.

— მაგისანა მანქანა რო მქონდეს, თავს მევიკლავდი აუცილებლად, — მოგვწამლა არსებამ.

- რათა, შე ხოხონიკა, შენა, ჭკვიანი კაცი რო ყოფილიყა, გაჰყიდი და შენი ზომის შარვალს მაინც იყიდი. — ნიშნის-მოგებით მიაყარა ქუცომ და მე თვალი ჩამიკრა.
- აჰ! ქრისტიან კაცს მაგისანა რამე არ გეკადრება არაფრით.
- ვითომ რათაო?
- იმიზა რო, ვისაც მიყიდი მაგ მანქანას ხო? ე ის მეიკლავს თავს და არ გეკადრება ქრისტიან კაცს მაგისანა საქმე.
- თქვა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, ქუცომ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო, ხელი აიქნია და კბილებიდან გამოსცრა:

— არ დავგთარსა ამ შობელაძლამა? — იმერელია, მეზობლათ ერთი ღამაში ქვრივი ცხოვრობს, იმან ჩამოგვისიძა გორში. თელი უბანი განცვიფრებას არი, როგორ გაჰყვა მაგასა? ი დიდი ზომის ტანისამოსი რო აცვია, ბარდანას ნაქონია, ემაგ ქვრივის პირველი ქმრისა, ანტონა ერქვა, ბარდანას ეძახდნენ, სუქანი კაცი იყო. ეგ ხოხონიკა დომინოს თამაშობს რომა, კაცი ვერ უგებს აქა. ამას წინათ თავისი „ნაპარნიკი“ მოვისყიდეთ და მაინც ვერ მოუგეთ. — სრულად დააკმაყოფილა ჩემი ცნობისმოყვარეობა ქუცომ.

— აი ესენიც მოვიდნენ — ხალისიანად ნამოიძახა ქუცომ, გასაღებთა შეკვრა ხელში შეათამაშა, საჭეს მიუჯდა და იქიდან გამოგვძახა, — მანქანით!

გაიოზი და მისი თანმხლები, როგორც იტყვიან, საგარეოდ იყვნენ გამონყობილნი. ორივეს ერთნაირი თეთრი პერანგი, ღია-ყავისფერი თხელი ნაჭრის შარვლი და საზაფხულო, ნასვრეტებიანი ფეხსაცმელი ეცვა. გაიოზმა თავის თანმხლებს თავისუფალი გზის შესახებ ნიშნის მოცემა დაავალა, თვითონ გარაჟში შემოვიდა, მანქანის უკან ჩემს გვერდით დადგა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და შესძახა:

— აბა! გორიჯვრის მადლი შეგვენიოს! — და მთელი ძალით მივანეჭით მანქანას. მანქანა ტროტუარზე დაგორდა, სავალ ნაწილზე ერთხელ შეტორტმანდა და ძრავი აშუშავდა.

პატივისცემის ნიშნად მე მძღოლის გვერდზე დამსვეს, ქუცოს უკან გაიოზი დაჯდა, ხოლო ჩემს უკან — მისი თანმხლები.

— ზურო ბატონო, გაიცანით ეს კაცი, ჩემი ბიძაშვილია, სახელათ ლევანი ჰქვია, კაი, ნესიერი კაცია, მაგრამა ლაპარაკი არ იცის, დღეში სულ სამ სიტყვას ამბობს, თუ დღეს ეს სამი სიტყვა უკვე ნათქვამი აქ, ხვალამდე არაფრის მთქმელი აღარ არი, ხო და ამიტომ ზედმეტ სახელად ჩუმათას ვეძახით, უბანში ამის ნამდვილი სახელი არც კი იცინა.

მე მივბრუნდი, ჩუმათას ხელი ჩამოვართვი და ჩემი მამიდაშვილი გავამხნევე:

— იმ ჩამოსიძებულ იმერელს ვერ დაუთარსივართ, ქუცო, მიდი, გაუდექ ესლა თბილისის გზას.

— ხოხონიკამ დაგთარსათ? ვაჰ! ი ქალი მაგას როგორ გაჰყვა კაცო?! — მჯილი დაირტყა გულზე გაიოზმა.

ქუცომ მანქანა დაძრა, იქვე გზაჯვარედინზე მოპირდაპირე სავალ ნაწილზე შემოუხვია და თბილისის გზას დაადგა.

ერთხანს მანქანაში მსხდომთაგან ხმა არავის ამოუღია, ყურს მხოლოდ ჩვენი მანქანის ძრავისა და შემხვედრი ან გამსწრები მანქანების ხმაური ესმოდა.

ასეთი მდგომარეობა ისევ გაიოზმა დაარღვია:

— ნეტა ვინ შეგვხვდება ნელსა უეფას თასზე? ესლა არი ჩვენი გუნდი დაღვინებული, ამ ორ-სამ ნელინადში თუ არ მოახერხეს რამე... მერე აბა როდისლა? თქვენ რას იტყვით, ზურო-ბატონო?

— კარგი გუნდი გყავს ესლა, კარგი. გეთანხმებით, გაიოზ-ბატონო, ამ რამდენიმე ნელინადში თუ წარმატებას ვერ მიაღწიეს, მერე თაობათა ცვლა დაინწყება და კარგი გუნდის დაყენებას ისევ წლები დასჭირდება.

— ესლა ეს მითხარით, თქვენი ჭირიმი — გამოცოცხლდა გაიოზი, ნამოინია, ორივე ხელი წინა სკამის საზურგეს ჩაავლო და განაგრძო, — რომელი ფეხბურთელი უფრო მოგწონთ ესლა თბილისის „დინამოში“?

— ყველა მომწონს, ნამდვილი პროფესიონალები არიან, ძალიან მიყვარს შემოქმედი ფეხბურთელები, მაგრამ ყოველთვის ცოტათი მეტ პატივს იმ ფეხბურთელს ვცემ, რომელსაც ბევრი გოლი გააქვს, რადგან ფეხბურთის უმთავრესი მიზანიცა და შემოქმედებაც გოლია.

— აბა! აჰა! აი ძმოო, აჰა ძმოო! — ცას დაენია სიხარულით გაიოზი. — შარშან შემოდგომაზე შენგელიამ რო „ნაპოლისთან“ ბურთი გაიტანა, გელაშვილი რობერტა ამბობდა, თითონ არ უნდა გაეტანაო, ყიფიანმა რო ბურთი მისცა, უნდა დაებრუნებინაო. მე უთხარი, შე ტოტორინა შენა, ბურთი უკვე გატანილია, მსაჯმა ჩათვალა, ი გუნდმა თამაში ცენტრიდან დაიწყო, ყიფიანს რო ვერ გაეტანა-მეთქი? ვაჰ კაცო! გაიტანდაო. აბა ელაპარაკე ესლა. ი ბიჭი კი ის ქართველი ფეხბურთელი იქნება, ვისაც ყველაზე მეტი ბურთი ექნება გატანილი, და ღმერთმა ქნას, მერე იმას აჯობოს ვინმემა.

— მართალს ბრძანებთ, გაიოზ-ბატონო, — დავეთანხმე და დავინტერესდი, — კი მაგრამ გორში აუცილებელია კაცს ზედმეტი სახელი ჰქონდეს?

— მამ! — აჩქარდა ქუცო, თითქოს იმ მიზნით, ქადაგამ არ დამასწროს პასუხის გაცემაო, — გორში ისე როგორ იქნება. მოკლეთა, გორში, ერთი კვირით მივლინებაში, ან სტუმრად რო ჩამოვიდეს კაცი, თან თუ არ წაიღო ზედმეტი სახელი, აქ უეჭველად დასტომს.

— ჰოდა ამიტომ ორ დღეზე მეტს ვერ დავრჩები, ჩემო ქუცო, თორემ ვინძლო მეც გავიყოლიო ან დავტოვო ერთი მეტსახელი.

— გორში მარტო ერთ კაცს არა ჰქონდა ზედმეტი სახელი, იმას იქ დაარქვეს, კრემლში. — ვერ მოითმინა ამდენი ხნით გაჩუმება გაიოზმა; და თანაც ისე როგორ იქნებოდა, რომ გორელებთან „იმ“ კაცზე სიტყვა არ ჩამოვარდნილიყო.

— ოს! შე ქადაგო, შენა — გაცხარდა ქუცო — ჯერ ერთი, რა იცი რო არა ჰქონდა ზედმეტი სახელი, და მეორეცა, კრემლში კი არ დაარქვეს, თითონ დაირქვა. ხოდა, ამი მამას მაგრა არ უყვარდა ეგ იოსება და მორჩი ესლა მაგაზე ლაპარაკსა.

— ვაიმე! ზურო?! — პირველად მომმართა გაიოზმა ბატონოს გარეშე — თქვენ იტყვით რომა იოსება მაგარი არ იყო?

— მაგარი?.. მაგარი როგორ არ იყო, თექვსმეტი წლის ბიჭი სახლიდან წავიდა, ოცდაშვიდი წელიწადი მთელი რუსეთის იმპერიამი იბოროილა, ბოლო ოცდაათზე მეტი კრემლში იპარპაშა და იქვე მოკვდა, რა თქმა უნდა მაგარი იყო. ადამიანებს რა მოუტანა, თავის სამშობლოს რა მოუტანა? ეს არის კითხვა.

— როგორა, კაცო? — აწრიალდა გაიოზი, — ამხელა ომი მოიგო, ომის მერე სულ რამდენიმე წელიწადში ქვეყანა სურსათით გაამსო, ყოველ პირველ აპრილს საქონელს აიაფებდა და ეგ არ იყო ჭკვიანი კაცი?

— ჯერ ერთი, გერმანიამ ომი წააგო, ქვეყანა შუაზეა გაყოფილი, მაგრამ დღეს დასავლეთ გერმანიამი ცხოვრება დულს და გადმოდულს, აღმოსავლეთიც გაცილებით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე რუსეთი, და მაშინ, როცა გერმანია მთელ მსოფლიოს ეომებოდა, სულ შვიდი მილიონი კაცი დაედუშა. სტალინს კი ამდენი ქვეყნები ესმარებოდნენ და ოც მილიონზე მეტი შეაკლა იმ მოგებულ ომს. აქამდე ისტორიაში დიდ მხედართმთავრად ის ითვლებოდა, ვინც ომს პატარა დანაკარგებით იგებდა, ან აგებდა. წაგებულ ომშიც კი ცოცხალი დანაკარგი ცოტა უნდა იყვეს. როცა დამარცხებულზე სამჯერ ან ოთხჯერ მეტი ადამიანის სიცოცხლე გაგინყდება, ეგ უკვე გამარჯვება აღარ არის. აი, თქვენ ბრძანეთ, საქონელს აიაფებდით; საქონელი ძვირდებოდა, ის კი აიაფებდა. საერთოდ კომუნისტები ეკონომიკის კანონებს არაფრად აგებდენ, განიანავს ყველაფერი. შარშან სვანეთში ერთმა მოხუცებულმა სვანმა კაცმა მითხრა, ადრე პაპაჩემი ტყეში ხეს რომ მოჭრიდა, იმის მაგივრად ნერგ-სა რგავდა, მეორე მოსაჭრელი ხის საძებნელად კი შეიძლება ნახევარი კილომეტრიც ეარა ტყის სიღრმეშიო. კომუნისტებმა უტყვიანოდ, უმოწყალოდ გაპარსეს აქაურობა, ერთმანეთს სოციალისტურად ეჯიბრებოდნენ, დღეს ტყე კი არა, მოსაჭრელი ხე აღარ დარჩა, თოვლი და ნიადაგი ფერდობზე ველარ ჩერდება, მენყურებმა გაგვანაგა, იშულებულენი ვართ მშობლიური ადგილები დავტოვით და ბარში გადავსახლდეთ სიცოცხლის შესანარჩუნებლადო. ის გაიაფებაც ხალხის სატყუარა პროპაგანდა იყო, იმის შედეგია, დღეს რომ კარაქის ტალონებზე ვზივართ, ცოტა ხანში კიდევ უარეს დღეში ჩავცვივდებით და...

— იმას რო კიდევ ეცოცხლა და ქვეყანა ამ რეკენებ არ ჩავარდნოდა ხელში? — შემანყვეტინა გაიოზმა.

— კი ბატონო. ვთქვით, დაგეთანხმეთ, რომ ჭკვიანი კაცი იყო, მაგრამ ეგ კი დედამიშვილი ცას ხომ არ გამოეკერებოდა? ვის ხელში ტოვებდა ქვეყანას?.. ერთუფერდინას, გაბოროტებული კრეტინების ხელში, რომელთაც თავზე ჩიბუხს აბერტყავდა, დასცინოდა, მაიმუნებით აცეკვებდა, ბრმა კატებს ეძახდა, მე რომ მოკვდები, დედა გეტირებათო, ეუბნებოდა. ხრუმჩოვს უწერია თავის მოგონებებში, კავკასიურად ცეკვას გვაიძულებდაო, კავკასიურად ვერა ვცეკვავდით, ხელები გვეჭირა კავკასიურად და რუსულად ვბუქნავდითო. ჭკვიანი ადამიანები თავის გარშემო ჭკვიან ადამიანებს იკრებენ, მაგან კი ჭკვიანები და განათლებულები სისხლში ჩაახრჩო, გარშემო უნიგური, უნიჭო, უთავმოყვარეო, კუჭის მონა დემაგოგები შემოიკრიბა და ისინიც ისე მოექცნენ, როგორც უნდა მოჰქცეოდნენ. დღეს ვის ხელშია ამდენი ხალხის ბედ-ილაბალი? სრულიად უმნიშვნელო საკითხებიც კი „ცენტროში“ წყდება. მარნეულის ლურსმნების ქარხანაში ახალგაზრდა კაცი მთავარ ინჟინრად რომ დანიშნო, 2000 კილომეტრზე უნდა გადაფრინდეს ეგრეთწოდებულ „გლავკში“ დასამტკიცებლად. ათი ჩურჩუტი ბებერი ორდენებს ურიგებს და პირში ლოშნის ერთმანეთს, ჩვენც გადმოგვდეს ეს კოცნა-პრომტნაობა. ძველად ქართველი მამაკაცები დიდი გულითადობისა და კაცური სიყვარულის გამოსახატავად მხრებს

მიადებდნენ ხოლმე, ეხლა კი, დილით რომ დასცილდებიან, საღამოს ისევ კოცინით ხვდებიან ერთმანეთს. ქრთამმა გახრწნა ქვეყანა, ექიმი ავადმყოფის მკურნალობაში ქრთამს იღებს, მასწავლებელი ნიშნის დაწერაში ფულს იღებს, ასმანეთიან მექრთამეს ასამართლებს მოსამართლე, რომელსაც ათი ათასი აქვს აღებული. თუ კაცს არ შეუძლია ზემდგომთან ქლეხა და მლიქვნელი იყოს, ქვემდგომს კი დედა უტიროს, ისე წინ ვერ წაინევს და კარგი საქმის გაკეთებაც რომ უნდოდეს, ვერ გააკეთებს. სტალინი უსამშობლო კაცი იყო, ნამდვილი რუსული მოვლენა, და მისი სიყვარული მარტო იმიტომ, რომ გორში დაიბადა და ქართული გვარი ჰქონდა, ქართველ კაცს გზას თუ აუზნევს, თორემ სიკეთეს არას მოუტანს; მოლდაველი ან უზბეკი რომ ყოფილიყო, ვითომ ეგრევე იქნებოდნენ ქართველები მის მიმართ განწყობილი? — გამიგრძელდა კამათი და ასეთი საუბრის შეწყვეტის მიზნით ქუცოს მივუბრუნდი, — ყოჩაღ, ქუცო, ცოტაც და თბილისში ვართ.

რვის ოცი წუთი იყო, როდესაც ქუცომ მანქანა მოხერხებულად ადგილზე დააყენა; — ჩუმათა მკვირცხლად გადახტა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა ბილეთების სააღებად. კინოს აფიშას რომ მივუახლოვდით, ქუცომ იკითხა:

— რა კინოა დღესა?

ქუცოს ზურგს უკნიდან გაიოზმა თვალი ჩამიკრა, საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიღო და სერიოზულად თქვა:

— ოპერაა რაღაცა.

— ოპერა? — გველნაკბენივით იყვირა ქუცომ და სახეზე ისეთი იმედგაცრუება დაეხატა, გულიანად გადავიხარხარე.

— ეგრეა აი, გულუბრყველო კაცი, ოცჯერ მაინცა მყავს ესეთიანირად მოტყუებული და კიდე მიჯერებს.

— ნუ გეშინია, ქუცო, ოპერა არ არის, აგერ წერია — „კემპბელის სამეფო“ — დავამშვიდე და ჩუმათამ ხელითაც გვაინიშნა შესასვლელთან მოდიითო...

ათის ნახევარი იქნებოდა, გორის გზას რომ გავუყვებით. ქუცომ სიგარეტს მოუკიდა და ამჯერად მის გვერდით მჯდომ გაიოზს მიმართა:

— ჰა, თქვი ეხლა, რა იყო, რა უნდოდა იმ კაცსა.

— რა უნდოდა და ქონების წართმევა! — იყვირა გაიოზმა, შემობრუნდა თავისი ყოფილი ადგილისკენ, სადაც ამჟამად მე ვიჯექი, და მითხრა — ზურო, აი ეგრე არიან, კაცო, ჩამოვალთ აქა, შევალთ კინოში, სხედან ორი საათი დაყვლეფილი თვალეებითა, ვერაფერსა გებულობენ, მერე უკანა გზაზე თავიდან ბოლომდე მყოლინებენ კინოსა და თანაც ქადაგოს მეძახიან. სამართლიანია ეხლა ესა?

ერთ საათზე ცოტა მეტი იქნებოდა გასული, ქუცომ მანქანა უკანსვლით გარაჟში რომ შეიყვანა. გაიოზმა კი მანქანიდან გადმოსვლისთანავე უკმაყოფილო ლაპარაკი გამართა იქ დამხდურ ახალგაზრდა, მომღიმარ ქალთან:

— აქ რათა ხარ შენა? სუფრა განყოფილი გაქ სახლში?

— კაცო, ნათელამ არ დამანება, ჩხუბი ამიტეხა, ჩემ სტუმარს მე ვერ უმასპინძლე ჯერა და თქვენ რათ უნდა დაიპატიოთო. თუ გინდა გადმოდი და აქ მომეხმარე სუფრის გავლასში, ეგ არი თქვენ ღვინოზე უარს არ ვიტყვითო. ნადი ეხლა და ღვინო გადმოიტანე, დანარჩენი ყველაფერი მზად არის, მშვენიერი სუფრაა გაშლილი.

— ეეჰ! ეგა ხართ ქალები რა! — ბუზღუნით გავიდა გაიოზი გარაჟიდან.

ქუცომ გარაჟის კარები ხმაურით მოხურა, დიდი ურდულით გადააკეტა და იქ მდგომი ქალბატონი გამაცნო:

— ზურო, ეს გაიოზის მეუღლეა, ჩვენი საყვარელი რძალია, მარინე, თქვენი მხრიდან არი, ნიქოზელია.

მე ქალბატონს თავი დავეუკარი.

— სასიამოვნოა.

— სასიამოვნოა, — გაიმეორა მან და ხელის განვდით შუშაბანდში შეგვიპატიჟა ქუცო, ჩუმათა და მე.

სასტუმრო ოთახში მართლაც მშვენიერი სუფრა იყო გაშლილი. ძალიან კარგად ითამადა გაიოზმა. ზომიერად გვაძინარულა

და ასევე ზომიერად დაგვამწუნრა კიდევ. ყველა სადღეგრძელო შეისვა, ცოცხლები ვადღეგრძელებით, გარდაცვლილები მოვიხსენიეთ. როგორც იქნა ჩუმათა-ლევენამაც ხმა ამოიღო, რამდენჯერმე თქვა „გაუმარჯოსო“, ერთხელ „გაანათლოსო“, ხოლო როდესაც გორის ადგილის დედის სადღეგრძელო დავლიეთ, მთელი წინადადებაც კი წარმოთქვა: „გორიჯვრის მაღლი შეგვეწიოს“ — რასაც მაშინვე გაიოზის გამობხაურება მოჰყვა:

— ეჰე! დახე ამასა, რამდენსა ლაპარაკობს?

დილით თვალების გახელა გამიჭირდა. თავდაპირველად ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს სხეულში უანგიანი წყალი მიმოიტეკოდა, ხოლო შემდეგ მომეჩვენა, რომ ჩემი სხეული, განსაკუთრებით კი თავი, დენითი იყო დატენილი და ისისაა აფეთქდებოდა. თვალებზე ბინდი რომ გადამენმინდა, ოთახის კარებში მანანა დავინახე:

— ზურო ძია, მამამ თქვა, სანამ მე არ მოვალ არ ადგესო, მაღე მოვალ მეო.

— კარგი გენაცვალე, კარგი — მივუგე და ორივე ხელი თავზე წავივლე აუტანელი ტკივილის გამო. ისე ცუდად ვიყავი, სანოლთან პატარა სკამზე მდგარ ბორჯომის ბოთლს ვერ მივწვდი. მაღე ოთახში ქუცო შემოვიდა.

— ყოჩაღ შენა! არა გცოდნია ცუდი დალევა.

— ვაიმე, ქუცო, რომ იცოდე, თავი როგორა მაქვს, ეგრე არ შემაქებდი.

— კაი კახური ღვინო იყო და რათა ხარ ეგრე. ადე ეხლა! ქადაგთან გადავიდეთ, კარგი ხაშია იქა, ხაში გამოგიყვანს, ადე! სამუშაოზე არ გავედი, ამხანაგს შეუთვალე, თითონ იმუშაოს დღესაცა. ადე! ადე! დაბლა გელოდები. — და ოთახიდან გავიდა.

გაიოზს მშვენივრად გამართული სახლ-კარი აქვს. მეორე სართულზე, ერთგვარად ვრცელ, მაგრამ მაინც მყუდრო აივანზე სუფრა იყო გაშლილი. მაგიდაზე მხოლოდ სამი სუფთა თეფში იდო და ორი ბოთლი „სტალიჩნი“ იდგა.

— ოჰოჰოჰო! რა მაგრათა ხარ, მოდი აქეთ დაჯექი, ზურო, მე ვიცი მაგის წამალი, ეხლავე გამოგასწორეფ, — მზრუნველობით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას კეთილი მასპინძელი.

გაიოზის მეუღლემ, მარინემ, მოზრდილი საინით ხაში დამიდგა წინ, მაგრამ გაიოზმა კოხვის ალების უფლება არ მომცა — დაიცა ჯერაო! გახსნა არყის ბოთლი, პირთამდე გაავსო ასორმოცდაათგრამიანი თლილი ჭიქა და მიბრძანა — დალიეო!

— გაიოზ! — ისეთ შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი გული მოკრივეთა სავარჯიშო „გრუშა“ და ვიღაც ჯო ლუისი ორივე ხელით ზედ მიბრაგუნებს, ეხლა ეს რომ დავლიო შეიძლება სულიც დავლიო, — შევეცადე წინააღმდეგობა გამენია, მაგრამ...

— ლაპარაკი არ იყოს! დალიე! — კატეგორიული იყო გაიოზი.

— ეეჰ, რაც არის, არის, ღმერთმა ეს ჭერი დალოცოს და ყველა ის ჭერი, სადაც შენი მონაგარი იცხოვრებს, ჩემო გაიოზო. — ვთქვი და ის ჭიქა არაყი სულმოუთქმელად გადავკარი.

თავდაპირველად მეგონა, რომ წყალი დავლიე. შემდეგ სუნთქვა შემეკრა, თითქოს მთელ სხეულზე ცეცხლი მომეკიდა და მეც ცეცხლად გადავიქეცი; მაგრამ უცებ ვიგრძენი, რომ თავის ტკივილმა გამიარა, ყოველგვარი დაძაბულობა მომეხსნა, შვებისგან ხელები გავშალე და მომეჩვენა, თითქოს გაიოზის სახლის აივანიდან მთელ დედამიწას შემოვწვდი...

იმ დღეს უკანასკნელი სურათი, რომელიც ჩემმა მხედველობამ დაიმახსოვრა, იყო მაგიდაზე მდგარი „სტალიჩნის“ ორი ცარიელი ბოთლი, სკამზე ჩაძინებული გაიოზი და სკამის ზურგზე გადაწოლილი, ძილთანმოზრდავი ქუცო.

მომდევნო დღეს, შაბათს, ქუცომ „პოპედით“ სოფელ ფლავეში წამიყვანა, მამიდა წინას სანახავად, მაგრამ მეზობელმა გვითხრა, ძმისშვილი ჩამოუვიდა გაგრიდან და თან წამიყვანაო. ხოლო კვირას, შუადღეს, ნათელას და მანანას გამოვემშვიდობე და ქუცომ თავისი ტაქსით წამიყვანა ცხინვალში. დედაჩემს ძალიან გაუხარდა ქუცოს ნახვა, ერთხანს ტკბილად ისაუბრეს; ბევრი ვეხვეწეთ დედაჩემიც და მეც, სადილად დარჩენილიყო, მაგრამ არანაირმა ხვეწნამ არ გაჭრა, დედაჩემს მოკრძალებით

დაემშვიდობა და, ეზოდან რომ გავედით, მთხოვა მანქანაში ჩავ-
მჯდარიყავი და პატარა მანქანაზე გამეცილებინა. ქუცომ გო-
რისკენ მიმავალ გზაზე ჩაუხვია, მანქანა იქვე, დიდი რცხილის
ჩრდილში გააჩერა, სიგარეტს მოუკიდა და დაიწყო:

— ზურო! ესეიგი რამეები უნდა გითხრა, რასაც შენ
ჩემგან არ ელოდები, — ქუცო გასაკვირად დინჯად და გარკ-
ვევით საუბრობდა, თუმცა გრძნობებისგან მოწოლილი შინა-
განი მღელვარება მაინც ეტყობოდა. — პირველი ისა, რომა, ის
ბავშვი... მოკლეთ, ამ თორმეტი წლის წინა ნათელა თბილისში
დაწყებდა, ჟორდანის ინსტიტუტში. ბოლოს რო წავედით,
ჩემმა მოყვარემ წაგვიყვანა თავის მანქანითა; და ისიც იქ იყო,
როცა ნათელას უთხრეს რომა, შვილი არ გეყოლებო. უკანა
გზაზე ნათელა გაუჩერებლად ტიროდა და თავისმა ძმამ ურ-
ჩია, რომა „ეგრე ნუ ტირიხარ. ქუცო წავიდეს ვინმესთან გაა-
ჩინოს ბავშვი, მერე ის ბავშვი აიყვანე, გაზარდე და ის იქნება
შენი შვილი“. მაგრამა ამაზე სულ უფრო გადაიჩინა: „ქუცო
რო სხვა ქალთან დანვეს, თავს მოვიკლამ მეო“; აბა, დახე ეხ-
ლა ქალის ჭკუასა — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა ქუცომ
— „მაგას ის მიჩვენებინა, უპატრონო ბავშვი ავიყვანოვო“.

ქუცო ცოტა ხანს დადუმდა, ჩამქრალ სიგარეტს ხელმეო-
რედ მოუკიდა და ისევ დინჯად განაგრძო:

— მერე ბევრი ვიფიქრე და ის მოვიფიქრე რომა, აყვანილ
ბავშვებსა ამყვანები კი ზრდიან, როგორც ნამდვილი დედ-მა-
მა თავიანთ ნამდვილ შვილსა, მაგრამ მერე ნათესაობა მაინც
არა ლეზულობს, არ იგულებს თავის სისხლით ნათესავადა და
ისინიც დედ-მამის გარდაცვალების მერე რაღაცნაირად უთ-
ვისნიტოთა რჩებიან ამქვეყანაზე.

— მთლად ეგრე არ არის, ქუცო. მე ვიცი ოჯახები, სადაც
თავიანთი ნათესავების აყვანილი შვილები ღვიძლ ნათესავე-
ბადა ჰყავთ მიჩნეული.

— ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე, მაგრამ მე ეგრე დავინახე.
მოკლეთ, ჭკუად ვილე ჩემი მოყვრის რჩევა, „ტექსტილი“ ერ-
თი სუფთა რუსის ქალი ვიცოდი, ფული მივეცი და...

მერე ერთი მამაჩემის ნათესავი ქალის დახმარებით, ახალ-
შობილი ბავშვთა სახლში გავაფორმეთ, მერე ის ქალი, ვითომ
მე არ ვიცოდი, ისე მივაგზავნე ნათელასთანა და იმანაც თავი-
სი ხელით მოიყვანა ჩემი შვილი ბავშვთა სახლიდანა. ის რუსის
ქალი რუსეთში წავიდა და იმისი გზა და კვალი არც მე ვიცი და
არც არავინა. ჩემი ნათესავი ქალიც კარგა ხანია ცოცხალი
აღარ არი, და ესეიგი ამისთანა შავ დღეში ვარ. არ მინდა ნათე-
ლამ გაიგოს, მეშინიან ბავშვზე გული არ აიყაროს, თანაც რო-
გორი ასატანია, მარტო მე ვიცი, რო ჩემი შვილი ნამდვილად
ჩემი შვილია. — ქუცო ერთ ხანს დადუმდა, თვალებზე ეტყო-
ბოდა, ფიქრში იყო. შემდეგ გააგრძელა, — რა ვიცი, თუ შეგიძ-
ლია მიჩნეო რამე, თუ არადა შენ მაინც იცოდე.

— ნათელას უნდა უთხრა, ქუცო. ბავშვი უკვე მოზრდილია,
ამდენი ამაგი გაუღია, ეჭვიანობის საფუძველი აღარ არის. მე-
რე ყველა ნათესავიც გაიგებს და ყველაფერი ჩვეულებრივად
იქნება, შენ რომ გინდა, ისე იქნება; ეს არის ჩემი რჩევა.

— კარგი, ცოტას კიდევ ვიფიქრე მაგაზე. შენ კიდევ ასე ჰქე-
ნი, უკანა გზაზე ისევ შემომიარე გორში, მე წაგიყვან თბილისში,
ქადაგოს წამოვიყვან და ბარემ კინოსაცა ვნახათ რამესა.

— კარგი, ვნახოთ, თუ ზღვაზე არ წავედი.

ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ. მე მანქანიდან გადმოვედი და
სანამ კარს მივხურავდი, ქუცო ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:

— სახლში რო მიხვალ, სანერ მაგიდაზე პატარა ყუთი და-
დე და ისა ნახე, გამოგადგება, მეცნიერი კაცი ხარ.

— რა არის, რად გინდოდა.

გამიღიმა, თვალი ჩამიკრა, ძრავა აამუშავა, თავისი კარის
ფანჯრიდან მარცხენა ხელი გამოჰყო, მაღლა ასწია და გზას
გაუყვია. მე ერთხანს ვიდექი, მანქანას თვალს ვადევნებდი,
ვიდრე სტადიონს მიეფარებოდა.

შინ ერთგვარად გულაჩუყებული დავბრუნდი. სანერ მაგი-
დაზე ახალი „პარკერის“ კალმისტრების ყუთი იდო.

წინა საბავშვო

მსოფლიო მთავრია თავისუფლება

იქ, მაღლა, ახლოს ღმერთთან, იქ, სადაც ნისლებს ზემოთ
ხარ, სადაც მანდილი ნისლზე თეთრია, იქ, სადაც გორობ
მთებში მოძმე ერია, სადაც ვაჟკაცის სიტყვას და ქალის მან-
დილს დიდი ძალა აქვს.

**ვუმზერ ჩენთვის ლამაზ ლაყვარებს
და მზემ მარაო გაშალა თითქოს,
ამღერებულან კუშტი კოშკები,
ბანს ეუბნება ძირძველი ღიღოც.
გული მომპარა ქისტის ასულმა,
სულიც იმისკენ გაფრენას ითხოვს**
(„კავკასიური ბალადა“, ამირან ჭილაძე)

სოციალური ქსელები რომ არა, ალბათ, ბევრი ინფორმა-
ცია, სიახლე გვიან ან ვერც მოაღწევდა ჩვენამდე.

მინდა მოგიტყუროთ ერთი წიგნის ისტორია, რომელიც
პანკისის ხეობაში, დუისის საჯარო სკოლაში გაიმართა. „**ვე-
ინახების ქართული საგა**“-ს წარდგინებას დაესწრნენ ძვე-
ლთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენ-
ლები, წიგნის რედაქტორები **ნათია ჯალაბაძე** და **ნუგზარ**
ანთელავა, სკოლის პედკოლექტივი, დუისის საკრებულოს
გამგებელი **მათე ქავთარაშვილი**, ახმეტის რაიონის მუნიცი-
პალიტეტის წარმომადგენლები, პანკისის ხეობის უზუცესთა
საბჭოს წევრები და ქიტი საზოგადოების წარმომადგენლე-
ბი. პრეზენტაციისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზა-
ტორები იყვნენ დუისის საჯარო სკოლის დირექტორი **ლილი**
სვიაკაური და ამავე სკოლის პედკოლექტივი.

მიუხედავად იმისა, რომ ქისტებსა და ქართველებს ერ-
თად თანაცხოვრების დიდი ისტორია გააჩნია, მოსახლეობის
დიდმა ნაწილმა არ იცის ვეინახების, ქისტების საქართვე-
ლოში დამკვიდრების, მათი ისტორიისა და ფრიად საინტე-
რესო კულტურის, ყოფის შესახებ.

ვაჟა-ფშაველას, გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე ყაზ-
ბეგის, ამირან არაბულის, მიხა ხელაშვილის, ანა კალანდა-
ძის, ტარიელ ხარხელაურის, გიორგი არაბულის, გიგი ხორ-
ნაულის, ეთერ თათარაიძის და არაერთი სხვა მწერლის შე-
მოქმედებაში ასახულია ვეინახთა წარსულის, ფოლკლორისა
და ეთნოგრაფიული რეალიების მდიდარი მასალა.

სწორედ ამ მწერალთა თავმოყრით და მცირე ისტორიუ-
ლი მიმოხილვებით, წიგნის შემდგენელმა **თუმი (წონა) ხან-
გომშილმა** გადმოგვცა, საქართველოში ვეინახთა შემოსე-
ვის და რამდენიმე საუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ.

ჩენი შეხვედრა მის სახლში შედგა, სახლში, სადაც ქარ-
თულ-ვეინახური სული და ორი მოძმე ერის კულტურის ნა-
ზავი დამხვდა. იმ კულტურისა, რომელსაც ძალიან ღრმად
აქვს ფესვები გადგმული კავკასიელი ქალის სახით. მის მიერ
შექმნილმა ხელნაკეთმა სამკაულებმა, ქალის ჩენურმა სა-
მოსმა, სარტყელმა და სხვა ნივთებმა ოთახში შესვლისთანა-
ვე მიიპყრო ყურადღება. საუბრისას ვგებულობ, რომ თუმის
2009-2010 წლებში **ალა დუდავეასთან** ერთად თბილისში,
რუსთავსა და ზუგდიდში ხელნაკეთი ნივთების ერთობლივი
გამოფენა ჰქონია. 2013 წელს კი ხელნაკეთ სამკაულთა პერ-
სონალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვ-
ნულ ბიბლიოთეკაში გაუმართავს.

მისი ფეისბუქის გვერდის დათვალიერებისას ნათლად ჩანდა, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ვეინახთა ისტორიის, წარმომავლობისა და საქართველოში გადმოსახლების შესახებ ინტერესი. ავტორის განცხადებით, სწორედ ამან განაპირობა წიგნის გამოცემაც.

თუმი (ნონა) ხანგოშვილი:

„ქართველი მწერლები მოხიბლულნი ჩეჩნებისა და ინგუშების გმირული წარსულით, მათი მაღალზნეობრივი ცხოვრების წესით, მე-19 საუკუნიდან გაუნელებელ ინტერესს იჩენდნენ და დღესაც იჩენენ ვეინახური პრობლემატიკის მიმართ.

ჩემი ფეისბუქის გვერდზე ხშირად მწერდნენ და მთხოვდნენ ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას. შევეცადე ქართული კლასიკური და თანამედროვე მხატვრული ტექსტები, ისტორიული, კულტუროლოგიური და ეთნოგრაფიული ნაშრომები ერთ წიგნად გამეერთიანებინა, შეძლებისდაგვარად გამეცნო ქართველი მკითხველისათვის ვეინახთა წარსული, ყოფა, ადათ-წესები და კულტურის ძირეული საკითხები. ვფიქრობ, ეს კრებული ხელს შეუწყობს ვეინახთა და ქართველთა კულტურულ-ისტორიული კავშირების საფუძვლიანად გაცნობას და ურთიერთდაახლოებას. ჩემს ხელთ არსებული მასალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ერთ წიგნად მისი გამოცემა შეუძლებელი იყო. 500 გვერდიდან 200 — მდე დავიყვანე, ამან განაპირობა მეორე კრებულის გამოცემისთვის მზადებაც.

— ვინ დაგეხმარა წიგნის გამოცემაში?

— კრებული დაიბეჭდა 300 ეგზემპლარად, მაგრამ იმდენად დიდი გამოხმაურება ჰპოვა, არამარტო საქართველოში, არამედ ჩეჩნეთ-ინგუშეთში და ევროპაშიც, რომ განმეორებით გამოვა ჩემი ხარჯებით და საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცემა შეიძინოს წიგნის მაღაზიებში. ასევე იგეგმება კრებულის მეორე ნაწილის გამოსვლაც, რომელშიც შევა ვეინახთა მიერ შექმნილი საგები საქართველოსა და ქართველებზე. ამჟამად ვშუშაობ ახალ ალბომზე, ვამზადებ გამოცემას, სადაც თავმოყრილია ვეინახური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მქონე ხელნაკეთი ნივთები როგორც ძველებური, ასევე თანამედროვე, და გამოიცემა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ალბომში შეტანილია ქისტურ-ქართული ხელნაკეთი ნიუმუშებიც, როგორც ორი მოძმე ერის კულტურის სინთეზი. ალბომი დასრულდება და მალე გამოვა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

რომ არა ძველთა დაცვისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერა, წლების მანძილზე ნაოცნებარი წიგნი ისევ ოცნებად დარჩებოდა. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ქისტების დიდ მეგობარს, კულტურის ყოფილ მინისტრს გურამ ოდიშარიას.

— თქვით, რომ ფეისბუქის საშუალებით ყველაზე ხშირად კითხვებს ახალგაზრდები გისვამენ.

— ბოლო დროს ძალიან აქტიუალური გახდა ინგუშთა საკითხი. ახალგაზრდებს აინტერესებთ ინგუშების ისტორია, არიან თუ არა ისინი იგივე ვეინახები. აფხაზეთის ომის შესახებაც მომდიოდა ბევრი კითხვა. ეს წიგნი თითქოს საზოგადოების დაკვეთით შეიქმნა. მას უნდა გაეცა კითხვებზე პასუხი.

წიგნზე მუშაობისას მოხდა ერთი საინტერესო დამთხვევა. გამოვიდა ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“, რომელმაც ძალიან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მოგვიანებით გავიცანი ბატონი ზაზა და ვუთხარი, რომ ის ჩემთვის არანაკლები ეროვნული გმირია, ვიდრე ისინი, ვინც ნამდვილად იბრძოდნენ და დაეცნენ ბრძოლის ველზე. იგი პირველი ადამიანია, რომელმაც ამ დანაშაულზე მთელი მსოფლიოს წინაშე ხმა მალა დაიწყო საუბარი, ამით წლების მანძილზე არსებული დუმილი დაარღვია. მან თითქოსდა, იმ ტკივილთა მოშუშება შეძლო, წლების განმავლობაში რომ ვატარებდით.



ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე ძალიან დამიდგნენ გვერდით. წიგნის სათაურად თავიდან შერჩეული მქონდა „ვეინახები ქართულ ბიბლიოგრაფიაში“, ბატონმა ამირანმა მითხრა, რომ ბიბლიოგრაფია ბევრის მომცველია და მირჩია კრებულისთვის დამერქმია „ვეინახების ქართული საგა“.

— წიგნში შესულია „კავკასიური ბალადა“, რომელიც გამოსვლისთანავე ძალიან პოპულარული გახდა, მის ტექსტზე შეიქმნა მუსიკა და თუ არ ვცდები, თქვენთან, სახლში.

რაც შეეხება „კავკასიურ ბალადას“, ტექსტის ავტორია ჩემი მეგობარი ამირან ჭილაძე, რომელიც ასევე ემსახურება თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით დიდ კავკასიურ საქმეს. ჩვენ ვცდილობთ შეძლებისდაგვარად გავაღრმავოთ და გავამყაროთ ურთიერთობები — განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში.

„კავკასიური ბალადისთვის“ კომპოზიტორმა ჭაბუკა ამირანაშვილმა ძველი ხალხური ინგუშური მელოდიის მიხედვით დაწერა მუსიკა და შეიქმნა სიმღერა, რომელიც ჩაინერა ჭაბუკა ამირანაშვილისა და სოფო ხალვაშის სტუდიაში და ასრულებს ჯგუფი „ბანი“ — მათე ფირცხალავა, რაულ ბინაძე, ბესო მეტრეველი, ბესო კვიციანი, გელა გოგიშვილი, ბექა მიქაძე, გოგა ნიკოლაძე და გია ფეიქრიშვილი.

ამირანმა პირადად გამაცნო ჯგუფის წევრები. მან იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა მათი სიმღერა, რომელიც ეძღვნებოდა ალუდა ქეთელაურის ხსოვნას. ამირანმა პირველად სხვა ტექსტი მომიტანა, სადაც ქისტი ქალი და ქართველი ვაჟი ერთმანეთს სიყვარულს უხსნიდნენ, მე ვუთხარი, რომ ჩვენ გვეკრძალება მსგავსი საქციელი, არ გვაქვს უფლება სხვა ერის ვაჟს სიყვარული ავუხსნათ. მაშინ მან მომიტანა ამჟამინდელი ტექსტი. ერთად დავგეგმეთ ჩაგვენერა ინგუშური მელოდიაზე. მელოდიაში ჩავრთეთ ჩეჩნური საგმირო ეპოსის მისამღერები და ჩავწერეთ სტუდიაში. ტექსტი ქისტურად ჩემს დას — მედინას — ვათარგმნიდით. სიმღერის წარმატება ამირანის დამსახურებაა. მსმენელს ძალიან მოსწონს თანდართული ქისტური ტექსტი და რა თქმა უნდა „ბანის“ არაჩვეულებრივი შესრულება.

სიმღერა გამოსვლისთანავე იქცა ჰიტად, განსაკუთრებით კავკასიური ემიგრაციის წრეებში. ერთი თვის განმავლობაში ინტერნეტის საშუალებით მილიონზე მეტმა მომხმარებელმა მოისმინა. „კავკასიური ბალადა“ ჩეჩნურად თარგმნეს აფთი ბისულთანოვა და მედინა ხანგოშვილი.

გარდა იმასა, რომ კრებულში შესულია კლასიკოსი მწერლებისა და თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები, ილუსტრირებულიცაა და ვეინახთა ისტორიასაც გვაცნობს.

ერთი სადენიუტო კრეზული, ორი კრიტიკოსი

ადა ნემსაძე

„შენდოვის ლოცვით დაპურებული სიმაართლე“

გვანცა ჯობავას ლირიკით პოეზიის სამყაროში წვევა მკითხველის ბედნიერებაა. მისი ლექსების მოცულობით მცირე კრებული, რომელსაც ავტორმა „კარდიოგრამა“ უწოდა, იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რა დიდი, ამოუწურავი და მშვენიერი სამყარო შეიძლება გადაგიშალოს პოეტმა თუნდაც რამდენიმე ლექსით.

ყველანი მგზავრები ვართ, ზოგი მცირე, ზოგი კი უფრო დიდხინანი, თუმცა აქ დროს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, მთავარი ისაა, მგზავრის სიცოცხლე ვისთვისაა განკუთვნილი, მხოლოდ მისთვის თუ სხვებისთვისაც. ეს გვანცა ჯობავას პოეზიის ერთი მნიშვნელოვანი „საკითხავია“. ლექსში „მგზავრი“ იგი მარადიულ პრობლემებს ეხება და ამავდროულად კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ადამიანად მოვლინებისა და არსებობის გამართლებაზე. მასში პოეტური წარმოსახვის სიღრმე სახარების ერთი ადგილის ალუზიაა: ყოველი კაცი, რომელმაც დახმარება გთხოვა და არ დაეხმარე, მე ვიყავიო, — მიმართავს მაცხოვარი ხალხს. „მგზავრში“ ეს ფილოსოფიური სჯა ფაქიზ პოეტურ ქსოვილშია გახვეული, წინ ჯერ ეს-თეტიკური განცდა მოდის და მხოლოდ შემდეგ რეფლექსია:

**და თუკი ყრუ ვარ,
ის მეძახდა და მე
სხვაგან ვიხედებოდი,
მაშინ თავს დავედებ,
ახია ჩემზე!
და თუ არც ბრმა ვარ, არც მუნჯი
და არც ყრუ არა ვარ,
მაშინ რა დამრჩა მეტი სადავო,
მითუმეტეს ახია ჩემზე,
რომ მოსული უკან გავუშვი!**

ეს მგზავრი, ცხოვრების რთულ ბილიკებზე დაღლილი ადამიანი, „აღღვებული და მერყევი მოძრაობებით“, საოცრად ებრალება და უყვარს პოეტს. ადამიანი ხომ უსუსურია ღვთის გარეშე, მის შემწეობასა და ნუგეშს, მის მეოხებას მოკლებული.

გვანცა ჯობავას ლექსებში მცხოვრები ადამიანი ხანდახან მასხარაა, რომელიც იღებება საკუთარი თავის შესანიღბად, ნიღბის ქვეშ დამალვა კი თავისუფლების გემოს გასაგებად სჭირდება. ხან „მედღეხვალე ალპინისტია“, რომელიც თავის მწვერვალს ეძებს დაჟინებით, თუმცა ხან პოულობს, ხანაც — ვერა:

**ალპინისტი ვარ. ვერ ვიპოვე ჩემი მწვერვალი.
მოვა ღამე და ჩემს გუთანსაც ამიყირავებს.**

მაგრამ პოეტს არასოდეს ავიწყდება, ანუგეშოს უსასრულო ცის ქვეშ დარჩენილი ადამიანი: „მოდგა ლაზარე, ფეხ-

შიშველი თასით წყალს მიწვდის, როგორც უქონელს“. ცოდვასა და მადლზე ფიქრით დაღლილი, მარტოსული ადამიანის ერთადერთი ნუგეში უფალია ამ სამყაროში, ასე ფიქრობს და განიცდის გვანცა ჯობავას ლირიკული გმირი. სწორედ ღმერთის არსებობითა და იმედით დაიძლევა ის დიდი ტრაგიზმი, რაც გადმოცემულია ლექსში „ბიმ, ღმერთი თუ შეგვინდობს!..“

**ბიმ, მე მტკივა, რომ მარტო ვარ,
რომ მეგობრები ჩემს წერილებს აღარ პასუხობენ,
რომ შეყვარებულებმაც მაშინვე მიმატოვეს,
როგორც კი მე გავიქეცი.
...ბიმ, ღმერთი თუ შეუნდობს
ცოდვილ ადამიანს,
მხოლოდ მან იცის,
როგორი უგუნურია იგი!..**

გვანცა ჯობავას პოეტურ სამყაროში რწმენა და სიყვარული განუყრელია. მათე მახარებლის — „ღმერთი სიყვარული არს“ — მასთან უპირველესი ნუგეშია. სიყვარული აქ ერთ დიდ მთლიანობადაა მოაზრებული, რომელშიც ძნელია ერთმანეთისგან გაარჩიო და გამოყო ზეციური და მიწიერი, განცდა ყოველისშემქმნელისადმი და იმ ერთადერთისადმი, შენს მიწიერ ცხოვრებას რომ აძლევს ფერს, ძალასა და აზრს:

**როცა მინდოდა, აღარ მქონოდა რწმენა,
მაშინ ვინამე,
რომ სიყვარული ბევრად მეტია,
ვიდრე უბრალოდ განცდა,
ვინამე ღმერთის, ვინამე მინის, ადამიანის,
სახლის ვინამე, რომელიც ერთხელ
ავაშენე შენთვის და ჩემთვის...**

ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც მეტაფორის შექმნა შეუძლიაო. ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე, ეს პოეტურობის საუკეთესო განმსაზღვრელია. როცა ამაღლელებელ სახეებს ქმნის პოეტი და შენც უნებურად ამ სახეთა ტყვეობაში აღმოჩნდები, ალბათ, გასაკვირი აღარ არის, რომ რაციონალიზმსა და პოეტურობის ძიებებს თავს ანებებ და უბრალოდ ტკბები ხელოვანის მიერ შექმნილი მშვენიერი სამყაროთი, რომელიც საშუალებას გაძლევს, დაივიწყო მოსაწყენი და უფერული ყოველდღიურობა და ყოფითი პრობლემები. ლექსი „დაგუბებულ გაზაფხულებს“ სწორედ ასეთ შეგრძნებებს იწვევს:

**წვიმად დაგუბებულ გაზაფხულებს
ფეხებს შფოთიანი ვუტყაპუნებ,
გული შევალე და ველარ ვჯაბნი
შიგნით შემოპარულ უმადურებს.**

**სულში დაგუბებულ სიჩუმეებს
ცაზე რიგრიგობით გადმოგიწერ.
მოდის, იწამე, რომ არც ვყოფილვარ,
ჰოდა, უჩემობაც არ მოგიწევს.**

საოცარი განცდითაა დაწერილი და ასეც იკითხება ლექსი „ხესულისა“. თავიდან ლირიკულად დაწყებული თხრობა

ნელ-ნელა აღმავალი რეგისტრით მიდის, მძაფრდება და იყოლებს მკითხველსაც; გრძნობ, რომ შენც თავისუფლებისაკენ სწრაფვისა და ბედნიერების ჟინით, სურვილების გატანისა და ახდენის მძაფრი ვნებებით გავსებს, ფრთებს გასხამს და ცისკენ გინვეს:

ერთ დღესაც ჩემი ხესულისა ფრთებს გამოისხამს... თვითონვე იქცევა უზარმაზარ ფრთებად და ილივილებს ზღვასთან ერთად ჩემს მხრებსუკან ყოველ სისხამზე...

გვანცა ჯობავა ერთნაირი სიძლიერით ქმნის რითიან ლექსსაც და ურითმოსაც. მისი ფრაზა რიტმულია აქაც და იქაც, მსუბუქია ყოველთვის, ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობს თუ უბრალოდ საკუთარ ადამიანურ განცდებზე გიყვება. გზიბლავს მისი პოეტური სიტყვათნარმოება: „ნუხელ მთელი დამე თოვლიდობა იყო...“ — აქ კომპოზიტის შემადგენელ ფუძეთა გადანაცვლება (დიდთოვლობა/თოვლიდობა) მთლიანად უცვლის სიტყვას ელფერს. ზოგჯერ გხვდება ევფონია: „დედა თვალბში დამიშრა, ხელი გამიშვა და გამიქრა...“ რაც შეეხება რითმას, მის ჯვარედინ თუ რკალურ რითმებში იგრძნობა გემოვნება და ოსტატობა; გამჭვირვალე, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი რითმა მეტაფორასთან ორგანულადაა შერწყმული:

ჩემი ფანჯრებიდან ომობს შემოდგომა, შენი ფანჯრებისკენ უკვე შემოთოვა.

საოცრად რიტმულია პოეტის პეტეროსილაბური სტროფი, შერეული 12 და 10-მარცვლიანი სტრიქონებით და საკმაოდ იშვიათი რკალური რითმით:


ზოგჯერ მეჩვენება წლები გადაბრუნდა, უკვე ხუთი ღერით მეტი ჭალარა მაქვს, რა უბნებით აღარ შემოვუარე და მაინც შენს ქუჩასთან დამაბრუნა.

დაბოლოს, ბატონ ივანე ამირხანაშვილს დავესესხები და ჩემს წერილს მეც ამ მშვენიერი კრებულის წინასიტყვაობის ავტორის სიტყვებით დავასრულებ: „გვანცა ჯობავა მალე თავისი პოეტური თაობის ერთ-ერთი ემბლემატური სახე გახდება“.

ზოია ცხადაია

რაც უჩვეულ ტკივილთა გაშიშვლება

გვანცა ჯობავას ლექსების კრებულს რედაქტორის (ივანე ამირხანაშვილის) ერთი შეხედვით, მოკრძალებული წინასიტყვა უძღვის (ტექსტის მოცულობის თვალსაზრისით), მაგრამ შესანიშნავად არის მონიშნული და მიგნებული ის, რითაც შეიძლება ყურადღება მიიქციოს ახალგაზრდა პოეტის სათქმელმა: „უშუალობა, გულწრფელობა, სისადავე — ეს ცოტა არ არის ლექსისათვის, მაგრამ არსებობს კიდევ რალაც სხვა, რომელიც არ ჩანს, ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ და იცო, რომ სწორედ ის ქმნის ნაწარმოებს, კომპოზიციის ცოცხალ მთლიანობას“ — ვკითხულობთ რედაქტორის ამ სიტყვებს და რა შეიძლება დავამატოთ, რა არის კიდევ რალაც სხვა.



პირველ ყოვლისა, ალბათ, პოეტური მგრძობელობა და კიდევ რალაც, საძიებელი „სხვა“ გვანცას ლექსებში. ის ნამდვილად არის მაძიებელი პოეტი. შეიძლება ითქვას, იმ ზღვარზეა, როცა საკუთარი სტილი საკმაოდ მონიშნული აქვს. უფრო მეტისთვის კი წინ სავალი გზაა და ვეთანხმები ბ-ნ ივანეს, რომ იგი თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული სახე გახდება.

ამის იმედს იძლევა მისი წერის კულტურა, შესაშური შუალედი ტრადიციულსა და საკმაოდ თამამ ნოვაციებს შორის. რაც მთავარია, მას აქვს სათქმელი, რაც მის გულწრფელობას ეჭვმიუტანელს ხდის და, ამასთან, კარგად გამოსდის პოეტური თამაშის ხელოვნება.

„კარდიოგრამა“ (ნიგნის სახელწოდება) არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ტექსტის, არამედ მთელი კრებულის ზოგად სურათსაც გამოსახავს, ცხოვრებისეული ტკივილების კბილანებით, სევდის და სიხარულის, სიმართლისა და უმართლობის, რეალურისა და წარმოსახვითის ზიგზაგებით, „მივიწყებული ოთახის მივიწყებულ აკვარიუმში“ გამოწყვედული წარინჯისფერი თევზის ბედისწერით — ანუ: „ადამიანთა ბედის და უბედობის, არარაობისთვის გამეტებული სულის ტკივილებით“.

სევდის, მარტოობის, მიუსაფრობის, წუთისოფლისგან განბილების თემატიკა არახალია და მარადიული. ამაზე ბევრი დანერვილა, ინერება, დაინერება და, ამდენად, ძალზე საფრთხილოა მასთან შეხებაც. გვანცა ჯობავას ტექსტებში მრავლად არის ამგვარი განცდები, საკუთარი ხელწერით, საგანგებო ეფექტების გარეშე. „იცით, როგორი დიდგულაა დედამინა ჩემი ფანჯრიდან?! ამომიჩემა“... დედამინა, ალბათ, ცხოვრებაა, რომელიც ხშირად გვატყუებს, ან თვითონ ვიტყუებთ თავს მასთან მიმართებით და გვიან ვხვდებით, რომ არაფერია მარადიული დედამინაზე.

გამომიყენა თითქოს ჩემმა არარაობამ და მომატყუა, და დამაჯერა, რომ სიყვარული ანგრევს დარაბებს. ვერ დავანგრეე. ძირგახვრეტილი დოქივით დამელვარა თურმე მთელი სიყვარული — რისიც სჯეროდათ და შევრჩი ასე შიშველი ხელებით ჩემს არარაობას.

მისი სათქმელი ხშირად დიალოგის ფორმით გამოიხატება: დიალოგი საკუთარ თავთან, დიალოგი ცხოვრებასთან, დიალოგი სამყაროსთან, დიალოგი მიწასთან, რომელიც უკივის: „მტკენს შენი მძიმე ნატერფალი, წადი, გამშორდი, სხვაგან გადარგე შენი ნაყოფი, სხვაგან ახარე“... „და მესმის ჩემი ნასახლარის ჩუმი ქვითინი“... ცხოვრებასთან შეჭიდების, სირთულეთა დაძლევის სურვილს გამოხატავს სიმბოლურად გუთანს შებმული ადამიანის ვედრება მიწისადმი შენდობის გამოსათხოვად, რათა არ წაიქცეს, არ დაიქცეს, არ წაიშალოს. ლირიკული გმირის დასაცავი „ობიექტი“ ამ დედამიწაზე ერთი „ქონმახი“ (ვისთვის — ქონმახი, ვისთვის — ქვეყნად ყოფნის ფუძე და ზღუდე). ლექსის დრამატიზებულ ფინალს სწორედ ეს „ქონმახი“ ანიჭებს პოეტურ სიღბოს, სინოფელს, გაჯერებს, რაც ითქმება, იმას:

**ასე მგონია, გულზე მანევს, მკერდით ვაკავებ,
რომ არ დაიქცეს ჩემი კერა. მაინც და ისევ
მეივინსე ვარ, მენვიმე და მედღეხვალზე,
დღეს თუ არ, ხვალ რომ უსათუოდ
განმიკითხვენ,
ალბინისტი ვარ. ვერ ვიპოვე ჩემი მწვერვალი.
მოვა ღამე და ჩემს გუთანსაც ამიყირავებს.**

ბოლო ორი სტრიქონი მეტაფორებია ცხოვრების სიმწრით შეჭიდებული ადამიანისა და იმ წინააღმდეგობისა, სიკვდილისა, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს.

ირონია, თვითკრიტიკა, ზოგადად, ადამიანთა გულგრილობა ჩანს ლექსში „დგანან სახლები ზურგით“... ანუ თვით ადამიანები დგანან სახლებისკენ ზურგით, გაუცხოებულნი, მოჩვენებებივით ჩაბუდებულნი ნასახლარებად გადაქცეულ უბნებში; ირონია კიდევ უფრო საგრძნობია ლექსში „ერთჯერადი ადამიანები“, მათი ერთჯერადობის ნიშანია ის, რომ „ერთჯერადად უნდა იცხოვრონ „კარგად“, ანუ ცხოვრობენ დღევანდლობით, „მრავალჯერადი ცოლებით, ქმრებით, საყვარლებით, შეყვარებულებით, სახლებით, მონებით, მრავალჯერადი გრძნობებით, მრავალჯერადი რწმენით და ურწმუნოებით“, უზრუნველი, უდარდელი ცხოვრებით... საბოლოოდ — უიმედობით, დეპრესიით. სურვილი ავტორისა ამ ირონიის მიღმა — ინვერსიულად, რომ არ უნდა ვიცხოვროთ ერთჯერადი ინტერესებით, რომ გლოვა და ნუხილი არაფერს შველის, თუ „ჩართული დავტოვებ თო“, ანუ ყურადღებით მოვეკიდოთ ჩვენი ცხოვრების ყოველ დღესა და წუთს.

„მე და ჩემი მეზობელი“, ასევე, ადამიანთა ურთიერთობის ზოგადი მინიშნებაა შურის, გაუტანლობის, ურთიერთშეჯიბრების, უსიყვარულობის გამოხატვით. საკმაოდ ვრცელი ტექსტის კომპოზიცია ცალკეულ მხატვრულ დეტალებს მოიცავს ცალკეული სურათებით, ცხოვრებისეული წვრილმანების წარმომჩენი პოეტური შტრიხებით:

**სიტბო მიწაზე უფრო ცოტაა,
ვიდრე გვეჭირდება,
არ გვეყოფნის მე და ჩემს მეზობელს
და ამას ერთმანეთს ვაბრალებთ,
ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.**

ესაა ირონიული შეფასება ცხოვრების უზნეო წესისა. ნიგნის ბოლო ლექსი „მე თასმინი ვარ“ უკვე საკმაოდ გარდასულის, ტრაგიკული ისტორიის წარმოსახვაა. ძალზე ცხადად, სულ ცოტა — თვითმზილველის გულწრფელ და ღრმად პოეტური განცდით, თანაგრძნობით, უზადო მხატვრული დეტალებით, მძიმე, მაგრამ რეალობის ამსახველი ხილვებით. ნარატორი — მონოლოგის ლირიკული გმირი —

ებრელია „ფაშისტების სასაკლაოდან“, რომელსაც მშობლები თვალწინ დაუხვრიტეს. მას შემდეგ მისთვის მზესაც სახე ეცვალა.

**თვალდახუჭული ვინცები მზესთან
ნერვიულ თამაშს...
მაგრამ მზეს ესროლეს! ესროლეს მზეს!
და ჩაქრა...
გავახილეთ...
სისხლი სდიოდათ ზეცის საფეთქლებს...
მზე კი აქციეს ნაცრად...
გაქრა,
შეერია ზეცის ნაწილაკებს
და მამაჩემის ფერფლი გათოვდა...
დედა? დედა არ ვიცი,
ალბათ გათხოვდა
მამაჩემის ფერფლზე
და განვიმდა,
რომ დაეღობო ჩემი ნაგვემი სხეული,
რომ ჩაექრო შემასავით შენთებულ
ადამიანების კოცონი...**

სამოცდაათ წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან. სხვათა შორის, 2013 წელი ანა ფრანკის საყოველთაო გახსენების წელი იყო, 70 წელი მისი დაღუპვიდან. ეს ლექსი კიდევ ერთი უტყუარი დასტურია, რომ პოეზიისთვის არ არსებობს დავინწყებული, შეხორცებული ტკივილები. კიდევ უფრო სასიამოვნოა, როცა სრულიად ახალგაზრდა თაობის პოეტი შეძლებს ასე მგრძნობიარედ გამოხატოს ისტორიის მდუმარებაში ჩაყურებული ტკივილები. აქვე მინდა გავიხსენო „გულში სათქმელი“ ლექსიც. ასეა დასათაურებული ხუთთაეპიანი ტექსტი, რომელიც იმდენად მარტივია და იმდენად მეტყველი ამ შემადრწუნებელი „სიმარტივით“, რომ კომენტარსაც არ ითხოვს, უნდა წაიკითხო, მოისმინო, ჩაუკვირდე:

**ერთხელ მეც ვიყავი შაოსანი,
მერე მზემ ღრუბლები გადაყარა.
ერთხელ მეც წამექცა ჩემი ძმა და
მინა მიაყარეს ალყა-ალყა...
მაღე აშუშებსო ნაიარევს...**

ისე რომ არ გამოგვივიდეს, თითქოს გვანცას ლექსებში მხოლოდ უსიყვარულობაზე, გულგრილობაზე, მარტობასა და მსგავს ემოციებზეა საუბარი, რამდენიმე ლექსსაც გადავხედოთ, რომლებშიც ჩანს ამ მიწაზე უკეთესის მაძიებელი ადამიანი.

**და ვეძებ, ვეძებ მარადისობას,
არ მინდა ვინამო, რომ ამ მიწაზე
ვერაფერს ვნახავ მარადიულს
სიკვდილის გარდა.**

ასეთივე განწყობისაა „თოვლიდობა“ თოვლიანი ღამის წარმოსახვით, როცა მშვიდი ძილის ფონს ქმნის ვილაცის თბილი ხელები. „მჯერა მხოლოდ შენი ხელების, ჩვენი ხილვების, ჩვენი თოვლიდობის, რომელიც უკვდავია, როგორც მარადისობა“. წინ დიდი გზაა იმისათვის, რომ ადამიანმა, ახალგაზრდამ, პოეტმა ეძიოს და აღმოაჩინოს, რომ სიკვდილის გარდა ამ მიწაზე არსებობს სხვა მარადიულიც — ვფიქრობ, სიყვარული, ფართო, ყოვლისმომცველი გაგებით. დასაწერიც ბევრი იქნება, კიდევ და კიდევ უკეთესის იმედით და საუკეთესო სურვილებით.

ბატონო როსტომ!

გიაზვნით ჩემი მოსწავლის, გიორგი ქუფარაშვილის თემას, რომელმაც მოსწავლეთა 68-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე პირველი ხარისხის დიპლომი და კულტურის სამინისტროს სიგელი დაიმსახურა. იქნებ მოგეწონოთ რუბრიკისთვის „ახალგაზრდობა, ან კი თქვენი!“

თეიმურაზი

გიორგი ქუფარაშვილი

მზისეცხველთა ბაღი

ეს ამბავი საიდან დაიწყო, ნამდვილად არ მახსოვს. საერთოდ, შემთხვევები თუ დამთხვევები არ არსებობს. ყველაფერი ერთი დიდი პროცესია, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ეს ისტორია, ალბათ, ჩემში მიმდინარე ცვლილებებისა და გარდაქმნების ერთ-ერთი გამოხატულებაა, ყოველგვარი საწყის-სასრულების გარეშე.

აგრესიული გონება მაქვს, შესაბამისად, ფორმალობები და ზედაპირული მიდგომები არ მიყვარს. უკმაყოფილების შეგრძნება მრჩება, თუ საკითხის შიგნით ვერ ჩავიხედე. ასეთმა ბუნებამ გამოიწვია, რომ ბევრი თემისადმი (რელიგია, ურთიერთობა, განათლება) უჩვეულო შეხედულებები ჩამომიყალიბდა, ეს კი ჩემსა და თანატოლებს შორის უხილავ კედელს აშენებს... ჰოდა ერთხელ ერთი ნაცნობი მეუბნება, შენზე ამბობენ, ღამით სასაფლაოზე რაღაც რიტუალებს ატარებო. მაშინ დავრწმუნდი, რა შორს ვიყავი მათგან, რომ უფსკრული გაჩნდა ჩვენ შორის. რასაკვირველია, ეს აბსურდი იყო, ჭორი, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოებაში ასეთი აზრი წარმოიშვა. რისი ბრალია? ხალხს ეშინია იმის, რისაც არ ესმის, იმის, რაც საკუთარს არ ჰგავს. ხალხს ცვლილებების ეშინია. როგორც ბუდისტები ფიქრობენ, შიში არის ბოროტების სათავე, შიში კი უცოდინრობა იწვევს. რაც არ იცი და რისაც გეშინია, მარტივად რომ ვთქვათ, „არ ვარგა“. ასე დაუკავშირდა ერთმანეთს ჩემი განსხვავებული შეხედულებები და სასაფლაო.

ორიოდე წლის წინათ მამაჩემმა ასეთი იგავი მიაშობო: მამაშვილი მოგზაურობისას სოფელს მიადგა, სადაც ყველა კოჭლი იყო. მამამ ბავშვს უთხრა, რომ ხალხში ისე გაველო, როგორც სხვები დადიოდნენ, რადგან ეს იყო გადარჩენის უპირველესი პირობა. წარმომიდგენია, როგორ უძნელდებოდათ ეს ისეთ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ სოკრატე ან იესო.


შემდგომ, როცა „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელს“ ვსწავლობდი, მიგზვდი, რომ აუცილებლად უნდა დამეწერა რამე „ერთ სხვანაირზე, ბევრ ერთნაირში რომ გამოერევა ხოლმე“ (ეს ფრაზა მშვენიერი პოეტის ელა გოჩიაშვილის ლექსიდანაა, რომელიც კლასში ვაჟას პოემებზე მუშაობისას წავიკითხეთ).

თოლია ჯონათანი, ცასწავალა და პატარა დინოზავრი სწორედ იმ უშიშართა რიცხვში აღმოჩნდნენ, რომელთაც შეძლეს ეაზროვნათ მამინ, როცა ყველას ეძინა.

შესაბამისად, ჩემს თემაში საუბარი იქნება ორ საკითხზე: როგორია საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავებული ინდივიდის მიმართ და როგორ ეძებს ის „ერთი“ თავისი შესაძლებლობების ზღვარს.

რიჩარდ ბახმა დიდი ალეგორია დაუტოვა კაცობრიობას თოლია ჯონათანის სახით. ბევრის აზრით, ეს მოთხრობა მისი შემოქმედების მწვერვალია. ჩემი აზრით, „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“ საუკეთესოა არა მხოლოდ ბახის შემოქმედებაში, არამედ ყველა იმ ნაწარმოებში შორის, რაც ამ თემაზე დაწერილია.

ავტორი ნაწარმოების დასაწყისშივე აპირისპირებს ჯონათანს დანარჩენებთან. თოლიების საზოგადოება, ე.წ. „საუზმის გუნდი“, დილას საქმლის ნარჩენებისთვის ჭიდილში იწყებს, მათგან განსხვავებული ჯონათანი კი ვარჯიშობს... „ის ხომ ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ“. მისგან განსხვავებით „თოლიების უმეტესობა თავს არ ინუხებს, რომ ფრენის ელემენტარულ წესებს გასცდეს და მეტი გაიგოს. მხოლოდ იმდენი იციან, რამდენიც



ნაპირიდან გაფრენას და საკვების მოპოვებას სჭირდება.“ ადამიანებიც ხომ ზუსტად ასე არიან, არ ინტერესდებიან იმაზე მეტით, რასაც, უბრალოდ, თვალთ ხედავენ, მაგრამ რჩეულები ისწრაფიან სრულქმნილებისაკენ. სწორედ ასეთი რჩეულია ამ შემთხვევაში ბევრ ერთნაირში გამორეული თოლია, რომელიც „დღევანდელ მარტოობაში ატარებდა“. საინტერესოა, რომ „საუზმის გუნდის“ არცერთ წევრს არ აქვს სახელი. მხოლოდ თოლიას, რომელიც ვარჯიშობს და ცდილობს მეტის მიღწევას, შეიძლება ერქვას სახელი — ჯონათან ლივინგსტონი.

როგორც წესი, საზოგადოებას არ მოსწონს მიზანმიმართული ადამიანები. ბრბო ან დასცინის, ან გარიყავს მათ, რადგან საკუთარი სახის მქონე პიროვნება საშიშია. მას შეუძლია დაანგრიოს ნებისმიერი საზოგადოება და მისი ტრადიციული შეხედულებანი. თოლია, რომელსაც ჭამაზე მეტად ფრენა უყვარს, უცნაურია და, შესაბამისად, საეჭვოც. ამის გამო მშობლებიც შემფოთდნენ. დედას არ ესმის შვილის და ამიტომ ეკითხება: „რატომაა ასე ძნელი, რომ სხვა თანაგუნდელებით იცხოვრო?“ ჯონათანს არ ალღევებს, რომ ბუმბულად და ძვლებადაა ქცეული, მას სურს გაიგოს, რა შეუძლია, სად გადის ზღვარი შეუძლებელსა და შესაძლებელს შორის.

მშობლებთან საუბრის შემდეგ ის ცდილობს სხვებივით იცხოვროს, მაგრამ არ გამოსდის და ვარჯიშს აგრძელებს. „ისევ მარტო დაფრინავდა ზღვის თავზე... ნაპირიდან შორს... მშვიდი, ბედნიერი და სწავლას დანაფებული“. ბევრჯერ მარცხდება, ბევრჯერ ენარცხება, მაგრამ ყველაფერს თავიდან იწყებს. ჯონათანმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მთამსვლელებიც ასე ცდილობენ, რაც შეიძლება მაღალი მთა დაიპყრონ. იალბუზზე ასვლა გამარჯვებაა, შემდეგ იქნება კლიმანჯაროც, მაგრამ ნამდვილ მთამსვლელს არასოდეს მისცემს მოსვენებას ევერესტი. ჯონათანიც აგრძელებს კვლევა-ძიებას — მეტი სიჩქარეა საჭირო და ისეთი მოკლე ფრთები, როგორიც შევარდენს აქვს... არც ეს პრობლემაა გადაუჭრელი, თოლიას გრძელი ფრთა რომ მოკეცო... ჯონი ისევ ცაშია და თავის დამყარებულ რეკორდს ამხობს — 214 მილი საათში. ის ბედნიერია: „კიდევ რამდენი რამისთვის ღირს თურმე ცხოვრება!“ ერთ დროს თვითმკვლელობაზე მისული ჯონათანი გამოიცვალა, მის წინ ახალი სამყარო დაიბადა: „ახლა შეგვიძლია უმეტრებიდან გამოვიდეთ, შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი ფრინველები ვართ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ფრენა!“

გუნდში ახალი იდეებით დაბრუნებული ჯონათანი თოლი-
ების საბჭოში მიიყვანეს... გაასამართლეს... მოკვითეს... მოკ-
ვეთეს იმის გამო, რომ სამარცხვინდ იქცეოდა, რომ უპასუ-
ხისმგებლო იყო და ტრადიციების დამრღვევი. ლივინგსტონი
ცდილობს დაანახოს მოძმეებს, რომ ისინი ცდებიან, რომ ჯო-
ნათანი მათ საკვებზე გამუდმებული ზრუნვის ნაცვლად
ცხოვრების ახალ გზას სთავაზობს: „ათასობით წელი თვეზის
თავების დევნაში გავატარეთ, ახლა კი, როგორც იქნა, სხვა
მიზანი გავიჩინა, სწავლა, აღმოჩენა, თავისუფლება!“ ისინი
კი, შემფოთებულნი იმით, რომ მათი სისტემა არ დაინგრეს,
აძევებენ ჯონათანს. „ყველა ერთად საზეიმოდ დაიყრუა ყუ-
რი და საზეიმოდ აქცია ზურგი თოლია ჯონათან ლივინგს-
ტონს“. ავტორის ირონია აშკარაა. ეს მომენტი მახსენებს
ქრისტეს ცხოვრებას. იესო ახალი, სიყვარულის იდეითაა
შეპყრობილი. ცდილობს ხალხის გულსაც წაუკიდოს თავისი
აღმოჩენილი ცეცხლი, მაგრამ ამის საშუალება არ მისცეს და
ბრბომ ჯვარს აცვა იგი.

თოლია ჯონათანი ყველასგან გარიყულია, მაგრამ მისთ-
ვის ეს დიდი სირთულე არ ყოფილა. ვარჯიშობდა, ეძებდა,
ჰპოვებდა, ახალ-ახალ საიდუმლოებებს ეცნობოდა. მან „აღ-
მოაჩინა, რომ მონყენილობა, შიში და რისხვა ის მიზეზებია,
რომელთა გამოც თოლიას სიცოცხლე ასე ხანმოკლეა“. მას კი
სურდა „ეცხოვრა ხანგრძლივი, მშვენიერი ცხოვრებით“. ამი-
ტომაც არის მისთვის მნიშვნელოვანი, აკონტროლოს საკუთარ-
ი შიში. ამის მიღწევა კი მხოლოდ ფრენით შეიძლება. თავის
მხრივ, ფრენა აძლევდა შესაძლებლობას, დაეძლია მონყენი-
ლობა და რისხვა. მან, სხვა თოლიებისგან განსხვავებით, ირ-
წუნა „ფრენის დიდება“ და იგი „ახერხებდა ზღვის მიძიმე ბუ-
რუსის გარღვევას და მოწკრიალეულ ცამდე ასვლას... მაშინ,
როცა ყველა სხვა თოლია მიჯაჭვული იდგა მიწაზე, ნისლში
და წვიმაში“.

ძალიან საინტერესოა მოთხრობის მეორე ნაწილი. ფიზიკუ-
რი სამყაროდან მეტაფიზიკურში გადაცხოვრებული ჯონათა-
ნი სწავლას განაგრძობს. ახალ ადგილს ახალი შეზღუდვები
აქვს, ლივინგსტონიც ცდილობს შესაძლებლობათა ზღვარზე
ფრენას. აქ უკვე სხვა საზოგადოებაა. ყველას თავისი სახელი
აქვს. აქ აღარ არსებობს „საუზმის გუნდი“. აქ არის მოსწავლე-
თა, ინდივიდთა, პიროვნებათა გუნდი. შეიძლება ვთქვათ, რომ
რიჩარდ ბახმა დახატა იდეალური საზოგადოება, მატერიალუ-
რი ღირებულებების მიღმა საკუთარ შესაძლებლობათა
ზღვარს რომ ხედავს. ეს სხვა სამყაროა. აქ აღარაა ის შუღლი,
განსხვავებულის ცქერაში რომ იბადება. ცაში ყველა ინდივი-
დუალურია, თუმცა ჯონათანი აქაც კი უნიკალურია — ის ძა-
ლიან სწრაფად და ძალიან ბევრს ითვისებს. ჩიანგმა მას ასწავ-
ლა „აზრის სისწრაფით“ ფრენა, მომავალსა და წარსულში
მოგზაურობა. ჩიანგი ამბობს: „ზეცა სრულყოფილი არსებო-
ბაა“. ეს სიტყვები რომ გავიგოთ, საქირა გვესმოდეს, რომ ავ-
ტორი კარგად იცნობს აღმოსავლურ ფილოსოფიას. ერთი ინ-
დოელი ფილოსოფოსი კი ამბობს: „სრულყოფილება მარადიუ-
ლი განვითარებაა. ღმერთიც კი განიცდის პროგრესს“. გამო-
დის, რომ ეს მუდმივი სწრაფვა სიახლისკენ, რომელიც ჯონა-
თანს აქვს, არის სწორედ სრულყოფილება. და ყოველი ჩვენგა-
ნის ცხოვრების მიზანიც, ლივინგსტონის მსგავსად, ამ სრულ-
ქმნილების პოვნა და გამოკვლევა უნდა იყოს.

დგება მომენტი, როცა ჯონათანი ზეცას ტოვებს და კვლავ
მიწას უბრუნდება, რათა თოლიებს მზე დაანახოს და ზეცის
სრულყოფილების შეცნობაში დაეხმაროს. ეს მომენტი მაგო-
ნებს პლატონის მითს გამოქვაბულის შესახებ. ამ მითშიც, მას
შემდეგ, რაც ადამიანი სწვდება ჭეშმარიტების არსს, იწყებს
მოღვაწეობას და სხვების „მოქცევას“.

ლივინგსტონს ახლა ფრენასმონყურებული მოსწავლეები
ჰყავს. მოძღვარს იმედი აქვს, რომ მალე უკვე ისინი წავლენ
თოლიების გუნდში ცოდნის ცეცხლის შესატანად და ასეც
მოხდება. ისინი არღვევენ კანონს, რომელიც „ერთხელაც არ

დარღვეულა მთელ 1000 წელიწადში“. ისინი დაფრინავენ
ღრუბლებში, დანარჩენები კი „საცოდავად დაფართხუნობდ-
ნენ მიწაზე“. განსხვავება აშკარაა, ამიტომ ორი თვის შემდეგ
ჯონათანთან ახალი მოსწავლეები მიდიან, რათა ნამდვილი
ფრენა ისწავლონ, ისინი ისეთი საოცრები იყვნენ, გარშემომ-
ყოფნი ამაზე თვალს ვეღარ ხუჭავენ. ჯონათანი ახალ კანო-
ნებს ქადაგებდა: „შენ გაქვს თავისუფლება — იყო ის, ვინც
ნამდვილად ხარ, იყო აქ და ახლა. ვერაფერი გადაგელობება
შენს გზაზე. ასეთია დიდი თოლიას კანონი. კანონი, რომელიც
არის და მოქმედებს“. ვფიქრობ, დიდი თოლია უფალია, რომე-
ლიც ჩუქნის და ანიჭებს ადამიანს ყველაზე დიდ განძს — თავისუფლებას. მთავარია, ამ თავისუფლების დაფასება და
სწორად გამოყენება შევძლოთ.

ჯონათანს უყვარს ის ბრბო, რომელიც მოსაკლავად მის-
დევდა, ეს ცოტა უცნაურია, ვიდრე თვითონ ახსნიდეს: „თი-
თოეულ მათგანში ნამდვილი თოლია უნდა დავინახოთ. დავი-
ნახოთ მათში სიკეთე და დავეხმაროთ, რომ დაინახოს ეს საკუ-
თარ თავში. აი, რას ვგულისხმობ სიყვარულში“. აქ კი პლატო-
ნი მახსენდება: „მზე ყოველ ადამიანშია, ოღონდ მიეცით სა-
შუალება, რომ გამოანათოს“.

ჯონი ფლექტერს ტოვებს თავისი გზის გამგრძელებლად,
თვითონ კი სხვა სამყაროში განაგრძობს ფრენას. ეს გამარჯ-
ვებაა... ხშირად იმ ნაწარმოებებში რომლებშიც პიროვნება
უპირისპირდება საზოგადოებას, დასასრული ტრაგიკულია,
ხოლო ჯონათანი გაიმარჯვებს. მე ვეთანხმები რიჩარდ ბახს.
შესაძლებელია ამქვეყნად ვიღაც დამარცხდეს ბრბოსთან
ბრძოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ ფიზიკური მარცხია. მარადი-
ობისთვის კი ასეთი პიროვნება გამარჯვებული იქნება. რა
არის ჩვენი სიცოცხლის 80 წელი? თუნდაც 1000? უზენაესის-
თვის ერთი გაელვებაც კი არაა. როგორც დავით მეფსალმუნე
ამბობს: „ათასი წელი, წინაშე თვალთა შენთა, უფალო, ვითარ-
ცა გუშინდელი დღე, რომელი წარხდა...“ ზუღისტთა შეხედუ-
ლებით კი საუკუნეები ბუდას თვალის ერთ დახამამებაშია
მომწყვდეული.

ნებისმიერი „საუზმის გუნდი“ სწორედ იმიტომ მარცხდე-
ბა ინდივიდთან ბრძოლაში, რომ ის მხოლოდ მინიერ, ამქვეყ-
ნიურ არსებობაზე ფიქრობს, პიროვნება კი — მარადიულზე.
სწორედ ამიტომ სხვაგვარად მოაზროვნე პიროვნების დაბა-
დება უკვე ძველი სისტემის დამარცხებაა. შეუძლებელია
ადამიანის მოწოდება მხოლოდ ჭამასა ან ფულზე ზრუნვა
იყოს. ამიტომ, ვფიქრობ, თოლია ლივინგსტონის ალეგორია
ყველას დაეხმარება ფასეულობათა ჩამოყალიბებაში, რად-
გან როგორც კი დაინახავ განსხვავებას ფრენასა და ჭამას
შორის, მაშინვე დაიწყებს შენში გაღვივებას „დიდი თოლიას
იდეა“. და თუ გაიღვივებს, მისი დაძინება შეუძლებელი იქნე-
ბა. ესაა ინდივიდთა ძალა.

„ერთი სხვანაირი“ კარგად ჩანს გოდერძი ჩოხელის მოთხ-
რობაში „ცასწავალა“. ცასწავალა პატარა ქრელი ჩიტია, რო-
მელიც ცაში აჭრის იდეითაა შეპყრობილი. ის ცდილობს, რაც
შეიძლება ზემოთ აფრინდეს, მაგრამ არ გამოდის. „აიჭრე-
ბოდა ცაში გაგულისებული ძახილით: ცასწავალ! ცასწავალ !
ცასწავალ! — რალაც ზღვარს მიაღწევდა, ღონე გამოელოდა
და ისევე ქვემოთ დაეშვებოდა: ვტყუი! ვტყუი! ვტყუი!“

თოლია ჯონათანივით იგი წუხს თავისი დასაზღვრული ბუ-
ნების გამო, იმის გამო, რომ მხოლოდ ერთი პატარა, ცისფერ-
თვალეა ჩიტია ძალიან პატარა ფრთებით, მაგრამ ლივინგს-
ტონის მსგავსად შეუპოვარია და მიზანსწრაფული. ამიტომ
ყოველ დილით ლაჟვარდოვან ცას აპობს მისი ძახილი: ცასწა-
ვალ ! ცასწავალ ! ცასწავალ ! თუმცა, სამწუხაროდ, ყოველ
ცდას მარცხი მოჰყვება. ამგვარი წარუმატებლობის გამო და-
ნარჩენი ფრთოსნები შეურაცხყოფილნი რჩებიან, თავს
მოტყუებულად მიიჩნევენ. ცასწავალს გაასამართლებენ და

მიუსჯიან „ერთი დღე-ღამით თავისუფლების აღკვეთას“. ის კენკეშას ღეროზე მიაბებს. ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს თოლია ჯონათანის ამბავს. ამ შემთხვევაშიც საზოგადოება ვერ იტანს ინდივიდს, რომელიც ზეცას — „სრულყოფილ არსებობას“ — ესწრაფის.

ცასწავალა ობოლია, რალა თქმა უნდა, არც ესაა შემთხვევითი. ყველა, ვისაც აქვს ზეციურისკენ სწრაფვის სურვილი, მარტოა. მარტობაში იბადება განსხვავებული ადამიანი. პიროვნება (ამ სიტყვის ზესრული გაგებით) მუდამ „ობოლია“ ... ცასწავალაზე მხოლოდ მოლაღური იფიქრებს და ფოთლებს მიაფარებს, მელამ რომ არ შეჭამოს. ესეც საგულისხმო დეტალია. ცასწავალა ახალ დღეს ცოცხალი უნდა შეხვდეს, რადგან თავისი მისია ჯერ არ შეუსრულებია. ის მეორე დღეს გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ აღარ უნდა მოეცემა ფრინველები. მანაც, არ მოვიტყუებები, ცას — ნავალო! და ნავიდა... რათა დაბრუნებულიყო გამარჯვებული. „ისე მალლა ნავიდა, ოდნავლა ჩანდა. გასცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრე მიდიოდა ხოლმე... ყველანი მას შეჰყურებდნენ. ის წერტილივითა ჩანდა. უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისლა ეყო ღონე და გული გაუსკდა“.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ზეცას მხოლოდ განსხვავებული ეზიარება. სიკვდილი ცაში! ეს ცასწავალას გამარჯვებაა... მინაზე რჩება საფლავის პატარა ბორცვი, სული კი მარადიულობის ბინადარი ხდება.

ახლა კი პატარა დინოზავრის ჯერია. „მინდორზე დინოზავრები ძოვდნენ ბალახს“. ყველაფერი ისე მიდის, როგორც წესია... ანუ არაფერი არ ხდება. ისტორია ან თუგინდ ლეგენდა მაშინ იქმნება, როცა ერთი ადამიანი ამ „არაფერს“ გამოეყოფა და ამბობს: „რალაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს“. და აი, „ერთხელ, ერთმა პატარა დინოზავრმა მოულოდნელად ძოვა შეწყვიტა და თავი მალლა ასწია“. იქნებ ეს პატარა დინოზავრი ქრისტიანად კოლუმბია?! ან გალილეი?! მან ხომ მზე აღმოაჩინა?! აი ასე, ჭამის დროს თურმე შეგიძლია უცბად გაჩერდე და ზევით აიხედო. რუტინა ირღვევა... წესები, რომლებიც, ვინ იცის, რამდენი ხნის წინათ შექმნეს წინაპრებმა, საეჭვო ხდება... მიზეზი კი ისაა, რომ კითხვა გაჩნდა... კითხვა კი უფრო მტანჯველია, ვიდრე ტკივილი. ანუ თვით კითხვაა დიდი ტკივილი. საჭიროა დაიბადოს მხოლოდ ერთი კითხვა და უკვე მზეს უყურებ...

პატარა დინოზავრმაც თავი ასწია და ცაზე წითელი ბურთი დაინახა. „დედა, აგე, ის რა არის?“ — ეკითხება დედას, მაგრამ მას ხომ თავი დაბლა აქვს დანეული და არ აინტერესებს, ცაში რა ხდება. პატარა სხვებსაც ეკითხება, მაგრამ პასუხი არ არის. ყურადღებამისაქცევია, თუ საიდან იწყება საზოგადოებისგან გამიჯვნა. როგორც კი კითხვა ჩნდება, ინდივიდი მაშინვე ემიჯნება მასას.



ჭეშმარიტებას (მზეს) მოსწონს, როცა მისკენ ისწრაფიან, მან მძინარე დინოზავრს ღამით აკოცა და დილაც უკვე განსხვავებულად გათენდა. „მთელი ცხოვრება, ჭამის მეტი არაფერი უნდა ვაკეთო?“ — დალონებული კითხულობს პატარა დინოზავრი მას შემდეგ, რაც აუხსნეს, რომ მისი საქმე ცაში ყურება კი არა, ბალახის ძოვაა. განა სწორედ ასე არ ფიქრობს „საუზმის გუნდიც“, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს ჯონათანი: „ჩვენ ამქვეყნად იმისთვის მოვედით, რომ ვჭამოთ და რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლოთ“. პატარა დინოზავრს კი, ლივინგსტონის მსგავსად, არ ხიბლავს ასეთი სიცოცხლე, ამიტომაც ემიჯნება ყველას და ამბობს: „მე ნავალ“. გაჯიუტებულს კუდზე ფეხიც კი დაადგეს, მაგრამ „გაინია პატარა დინოზავრმა, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და მოსწყდა კუდი“. ის უკვე თავისუფალია... და ისიც გარბის... ამ ეპიზოდმა შეუძლებელი არ გავახსენოს კენ კიზის რომანი „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, როდესაც საეჭეთიდან გარბის ინდიელი. გაამტვრევს ფანჯარას და გარბის... ამას ჰგავს დინოზავრის გაქცევა. ეს მისთვის ხსნაა. სხვები გადაშენდნენ უმოქმედობისა და ერთფეროვნების გამო, ის კი გადარჩა. გადარჩა იმიტომ, რომ ზეცას ახედა; იმიტომ, რომ მზე შენიშნა; ალბათ, იმიტომაც, რომ აღარ იყო რამეზე მიჯაჭვული.

პატარა დინოზავრი ამაღლდა, ჟირაფად გადაიქცა, რომელსაც თავი მუდამ მალლა აქვს აწეული და მზეს შეჰყურებს. ეს სხვა ადამიანად, პიროვნებად ქცევაა, ხოლო ფერისცვალების მომენტი, ევოლუცია, ძალიან მნიშვნელოვანია. თუ გადარჩენა გინდა, უნდა შეიცვალო. მერე მთელ სამყაროს ეყვარები, მერე ღმერთს დაუბრუნდები ...

ასე გაერთიანდნენ ერთ რკალში თოლია ლივინგსტონი, ცასწავალა და პატარა დინოზავრი. ისინი, ვინც უკიდვანო ცის სილაყვარდით მოიხიბლნენ. ისინი, ვინც მზე დაინახეს და შეიყვარეს. ისინი, ვინც თავისუფლების დიადი ძალა შეიგრძნეს და ცდილობენ ამ იდუმალეზას სხვებზე აზიარონ.

სამივე ტექსტის ალეგორია გამჭვირვალეა. ისინი „ბევრ ერთნაირში გამორეული“ ადამიანები არიან, რომლებიც ვერ ეგუებიან ტრადიციების ბრმა მორჩილებას. ამსხვრევენ ძველ სტერეოტიპებს და ახალ გზას კვლავნ მზისაკენ. ამიტომაც ხდებიან „მზისმეტყველნი“.

ერთი სხვანაირის რიგებში დგანან ჩვენთვის საყვარელი პერსონაჟები: ალუდა, იგი, ალაზა, ჯოყოლა, ანტონიო, მაკმერფი, გოდემუნდი ...

უიმათოდ ხომ კაცობრიობის განვითარებას, უბრალოდ, მომავალი არ ექნებოდა და ერთ წერტილზე გაიყინებოდა. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები იყვნენ; საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები არიან დღესაც და იქნებიან მომავალშიც. ისინი მიწიერი ცხოვრებიდან მიდიან და უფლის ნიაღში იმკვიდრებენ ადგილს, რადგან ასეთია „მზისმეტყველთა“ ბედი.

ლევან ბრეგაძე

თენგიზ მირზაშვილი და ჭადრაკი

ყველა მხატვარი არ არის მოჭადრაკე, მაგრამ ყველა მოჭადრაკე მხატვარია.
მარსელ დიუშანი

ჭადრაკით გატაცებულ მხატვრებს შორის ასახელებენ ვარვარა გოლოვინას (1766-1819), ილია რეპინს (1844-1930), ვასილი ვერეშჩაგინს (1842-1902)... მაგრამ სიძლიერით ვერცერთი მხატვარი ვერ შეედრება ამ წერილის ეპიგრაფად გამოყენებულ ფრაზის ავტორს, ფრანგ ავანგარდისტ ხელოვანს მარსელ დიუშანს (თუმცა რალა მარტო მხატვრები — ბარე ორი ხელოვანების დარგის წარმომადგენელი ვერ გაეჯიბრებოდა ჭადრაკის თამაშში ამ არაჩვეულებრივ შემოქმედს! ბარე ორი-მეთქი, რადგან ხელოვნების ყველა დარგზე ამას ვერ ვიტყვი: პიანისტი მარკ ტაიმახოვი იყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი). მარსელ დიუშანს, მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ხელოვანს, სიურრეალიზმის ერთ-ერთ საფუძვლამყრელს, ჭადრაკის დიდოსტატის ნოდება ჰქონდა, მონაწილეობდა საფრანგეთის ჩემპიონატებში და საჭადრაკო ოლიმპიადებზე საფრანგეთის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა.

ეს ყოველივე თენგიზ მირზაშვილის გულისთვის გავისხენე. თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა) დიდებული შემოქმედი, უაღრესად თვითმყოფადი ფერმწერი და გრაფიკოსი, ჭადრაკით დიდად იყო გატაცებული.


ქალბატონი გიული ხაბეიშვილი, სულიკო ხაბეიშვილის მეუღლე, იგონებს:

„თენგიზი რომ ჭადრაკს ძალიან კარგად თამაშობდა, ცნობილია. სულიკო არ იყო თენგიზით ძლიერი მოჭადრაკე, მაგრამ მასთან ჭადრაკის თამაშის სურვილი ყოველთვის ჰქონდა. სულიკო თამაშის დროს გამუდმებით ეწეოდა სიგარეტს. ჩუბჩიკა სიგარეტის ბოლს ვერ იტანდა. ერთხელ ეუბნება სულიკოს: მოდი, 20 პარტია ვითამაშოთ. თუ ყველას მოგიგებ, სიგარეტს თავი უნდა დაანებო. სულიკო დაეთანხმა. დაიწყო თამაში. სულიკო წერვილობდა და ზედიზედ აგებდა. მე და თენგიზს გვიხაროდა. მეთხუთმეტე პარტია სულიკომ, როგორც იქნა, მოიგო. გახარებულმა შვებით ამოისუნთქა და გამარჯვებული იერით... სიგარეტი გააბოლა. ჩვენმა იმედმა სრული კრაზი განიცადა“.

თენგიზთან მეც მითამაშია. მასთან მოგებული ერთი პარტიის დაბოლოება გამოვიყენე კიდევ ერთ ჩემს საჭადრაკო ნოველაში, რომელსაც „სლალომი“ ჰქვია (გაზეთ „მშობლიურ კერაში“ დაიბეჭდა 1992 წელს).

ამას წინათ, ჩემი არქივის თვალთვლებისას, ორად გაკეცილი დიდი ზომის კონვერტს წავაწყდი, რომელზედაც თენგიზის მიერ ჩემთვის მოგებული პარტიის დაბოლოება ჩამინერია თარიღითურთ: 12.08.1991. თარიღის ქვეშ არის მინაწერი: „კრიტიკა“, რაც ნიშნავს, რომ ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქციაში გვითამაშია (მაშინ იქ ვმუშაობდი, ანუ შეხვედრა „ჩემს“ მოედანზე მიმდინარეობდა).

პოზიცია დაფაზე გადავითანე და პირველივე სვლების გაკეთებისთანავე ყველაფერი გამახსენდა. აქ თენგიზმა ლამაზი მომგებიანი სვლა გააკეთა პოზიციაში, რომელიც ჩემთვის უკეთესი მეგონა, და უცბად შეცვალა პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ. ის მომგებიანი სვლა იმდენად საინტერესო ჩანდა, რომ, ცხადია, ჩავინერდი — ასეთ რამეს რას გაუშვებდი ხელიდან!



თეთრებით მე ვარ. აქ 1. **♙d4** ვითამაშე და ჩავიფიქრე გაცვლითი კომბინაცია, რომლის შედეგად პოზიცია მარტივდება და მცირედენ პოზიციურ უპირატესობასაც ვღებულობ, რაც კიდევაც განხორციელდა პარტიაში.

1. ... **♜d8** 2. **♜b6!** 3. **♙:a5 ♜:d1** 4. **♜:d1 b6** 5. **♜d8+ ♜f8**

6. **♜b4 c5**
შავების ამ იძულებითი სვლის შემდეგ ახალი კომბინაცია წამოვიწყე:

7. **♙:c5 bc** 8. **♜a6**

თუ ახლა შავების კუ ჩემს კუს მოკლავს (8. ... **♜:a6**), მაშინ ჯერ ეტლით ავიღებ ეტლს, მერე კუთხის პაიკსაც და მოსაგებ პოზიციას მივიღებ. მაგრამ თენგიზმა მოულოდნელად ასე ითამაშა:

8. ... **♜b7!!**

და აღმოჩნდა, რომ... ფიგურას ან ხარისხს ვკარგავ! შავი კუ გრანდიოზულ მისიას ასრულებს ამ სვლით: ა) გზას უხსნის შავების ეტლს თეთრების ეტლისაკენ (ტაქტიკური ოპერაცია, რომელსაც ღია თავდასხმას ან ხაზის გათავისუფლებას უწოდებენ), ბ) თან იცავს იმავე ეტლს, რომელსაც გზა გაუხსნა (ამ ორი მისიის შერწყმა — კუს სიმარჯვის დემონსტრირება — ერთობ მომხიბლავია!), გ) ამავდროულად ინარჩუნებს მუქარას თეთრი კუს მიმართ.

ეს სვლა კუთი ორი ტაქტიკური ილეთის შერწყმას: ღია თავდასხმა რომ არის, ეს უკვე ვთქვით, და შუალედური სვლაც გახლავთ ამავდროულად: შავი კუ თეთრ კუს ეგრევე როდი კლავს — ჯერ მხოლოდ ერთი უჯრით წაინევს მისკენ, ვინაიდან ეტლი ჰყავს დასაცავი, და თუ თეთრი ეტლი შავ ეტლს გამოერიდება (9. **♜d1**), მაშინლა მოკლავს ჩემს კუს (9. ... **♜:a6**) და შავებს ზედმეტი ფიგურა რჩებათ.

შუალედური (თანაც წყნარი!) სვლა აქ იმავე ფიგურით კეთდება, რითაც მომდევნო სვლა უნდა გაკეთდეს, რაც პრაქტიკულ პარტიაში ერთობ იშვიათია.

ფიგურის დათმობას ხარისხის დათმობა ვამჯობინე:

9. **♜:f8+ ♙:f8** 10. **♜:b7 ♜b8** და ფარ-ხმალი დავყარე.

ამრიგად, ამ პარტიაში თენგიზმა ჩინებული ტაქტიკური ოპერაცია (კონტროპერაცია!) განახორციელა, რასაც, ვფიქრობ, სასწავლო ღირებულებაც აქვს.

ასე რომ, გამოქვეყნებული პარტიების მიხედვით, თენგიზ მირზაშვილსა და ჩემ შორის ანგარიში საყაიმოა — 1:1.

P.S. მარსელ დიუშანის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს საჭადრაკო თემატიკას. თენგიზ მირზაშვილს თუ აქვს მხატვრობაში გამოყენებული საჭადრაკო მოტივები, არ ვიცი.



სილვია პლათის სულიერი და ლირიკული სამყაროს ამრეკლავი სამი ლექსი სიტყვები, „სიკვდილი და კომპანია“ და „კონტუზია“ ბუნდოვანი მეტაფორებისა და სიმბოლურ ნაკრებია. „სიტყვები“ ერთი მთლიანი მეტაფორაა. სილვია პლათის სხვა მრავალი ლექსის მსგავსად თავისუფალია, მოუწესრიგებელი რიტმითა და შემთხვევითი რითმით. მთავარი აქ სათაურია, რადგან მკითხველი თავიდანვე იგებს, რომ ლექსი სიტყვებზეა და აღარ უჭირს მოგზაურობა მეტაფორების ჭალაკში.

„ჯერ ვერ მიხვლეთაო“, ამბობს ლირიკული გმირი „სიკვდილი და კომპანიისა“, მაგრამ ცხადია, რომ სიკვდილის კერძი თუ არა, მისი კომპანიონი მაინცაა უკვე; ამაზე მიუთითებს ვამპირული კონოტაციები ლექსისა, ვთქვათ, „მე წითელი ხორცი ვარ“.

„კონტუზიის“ სათაური სხეულის გარეგნულ დაზიანებაზე მიუთითებს, მაგრამ ავტორი ტკივილის შინაგან არსზე უფრო გვიყვება, ლექსის მელოდრამატული ინტონაცია გვაგრძნობინებს უიმედობასა და სიცარიელეს, სიკვდილის განუყრელ მხლებლებს.

თარგმანების ორიგინალებთან შედარება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მედეა ზაალიშვილი ერთგულია დედნისა, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნოდ გაგვაკვირებს იმის აღქმით, რომ აბსოლუტურად განსხვავებული ბუნების ადამიანი ასე ღრმად სწვდება სილვია პლათის ნევროტულ, თვითმკვლელობის სურვილით გაჟღენთილ, ისტერიკულ განცდებს. ეს მხოლოდ ოსტატობით არ მიიღწევა. ცხადია, შეხვედრისას მთარგმნელი არამარტო ყურადღებით, არამედ თანაგრძნობითაც უსმენდა ავტორის სიტყვებს და შიგნიდან ხედავდა მის არაორდინარულ, უკიდურესად დრამატულ მხატვრულ და პიროვნულ სამყაროს. ამიტომაც გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს ლექსები ტრავიკულად აღსრულებულ ამერიკელ პოეტს ქართულად დაეწეროს.

სილვია პლათი

სიტყვები

ნაჯახი,
რომლის დარტყმის შემდეგ ხე ზარივით რეკავს,
და ექო!
ექოს ხმები მისი გულიდან
ცხენებზე ამოსხლტებიან.

ხის წვენი
ცრემლივით ამოდუღდება, რომ მიელტვის
კლდის თხემს წყალივით,
რათა ხელახლა აღიდგინოს
ელვარება სარკისებური

როცა ეცემა და ტრიალებს,
თეთრი თავის ქალა,
სარეველას სიმწვანით ამოჭმული.
წლების შემდეგ მათ
გზაზე შემოვხვდი —

მშრალ და მხედრისგან უმართავ სიტყვებს,
დაუმცხრალი ფლოქვების თქარუნს.
მანამდე კი,
გუბის ფსკერიდან, უმოძრაო ვარსკვლავები
ნარუძღვებიან ცხოვრების დენას.

სიკვდილი & კომპანია

ორნი, უდავოდ ორნი არიან.
ბუნებრივად მოჩანს ყოველი, —
ერთი, რომელიც ზე არასდროს არ იხედება, დახუფვია
ორთავე თვალი,
ბურთებად აზის, როგორც ბლეიკს,
ის წარმოაჩენს
თანდაყოლილ ხალებს, რომლებიც მისი სავაჭრო ნიშანია —
ნაიარევს მთლად დაფუფქულს მდულარე წყალით,
შიშველ,
მწვანე პიგმენტებს სვავისას.
მე წითელი ხორცი ვარ. მისი ნისკარტი
მხოლოდ ცალმხარეს ჩამჭიდებია: ჯერ ვერ მიხვლეთაო.
ის მეუბნება: ცუდად ჩანხარ ფოტოსურათზე.
ის მეუბნება: რა ლამაზები

არიან ჩვილნი საავადმყოფოს
საყინულეში, კისერზე

სადა მარმაშებით,
მერე, ნაკეცი მათ იონურ
სასიკვდილო სამოსელზე,
მერე, ორი პატარა ტერფი,
არც ილიმება და არც ეწევა.

ამას მეორე აკეთებს,
გრძელი და დამყოლი თმა აქვს.
ნაბიჭვარი.
ბრწყინვალეების მასტურბაციას ეწევა.
უნდა, რომ შეიყვარონ.

მე არ ვინძრევი.
ყინვა შობს ყვავილს,
ცვარი შობს ყვავილს,
ცვარი შობს ვარსკვლავს,
მკვდართა ზარი.
მკვდართა ზარი.
ვილაცამ უკვე სული დალია.

კონტუზია

ფერი წალეკავს ბინდდაფენილ მენამულ ადგილს,
დარჩენილ სხეულს გადარეცხავს
მარგალიტის ფერი ერთიან.

კლდის ღრმა ქვაბულში ზღვა გულმოდგინედ
წოვს ერთ ფულუროს,
მთელი ზღვის საყრდენს.

ბუზის ოდენა
ბედისწერის ნიშანი ქვევით
ცოცავს კედელზე.

იხურება გულის სარკმელი,
ზღვა უკან სხლტება,
სარკეებზე ზენრებია აფარებული.

ინგლისურიდან თარგმნა
მედეა ზაალიშვილი

ლორდ ბაირონი

იზმაილის აღება: გოგონა გვამებთან

(მარკო ტავი „ღონ ჟუანიდან“)

— აჰ, სისხლი და ქუხილი! და სისხლი და ჭრილობები!
ასეთ მდაბიურ შეძახილთა მოსმენა არ ეამება კეთილშობილ
მკითხველს! და არც თავზარდამცემი ხმაური: და აი, მაინც ასეა;
ასეთია მისწრაფება დიდებისაკენ, ამოუხსნელი, და რაკილა ჩე-
მი მართალი მუზა ახლა ასეთ რამეებს მომიტხრობს, მამ ამგვარ-
რადაც ყოფილა შთაგონებული! უნოდეთ შთამაგონებელთ მარ-
სი, ბელონა ან რაც გენებოთ, მაინც ომი იგულისხმება.

ყველაფერი მზა გახლდა: ცეცხლი, მახვილი, კაცები, რათა
ემოქმედათ საზარელი დანიშნულებისამებრ. არმია, ლომივით
გამოსული ბუნაგიდან, მწყობრად გაემურა მოზიდული ძარ-
ღვებითა და კუნთებით, რათა მოეკლა; ეს იყო ადამიანი-ჰიდ-
რა, ამოსული თვისი ჭაობიდან, რათა ცეცხლოვანი ქმენით
მოესპო ყველაფერი თავის გზაზე; მისი თავები იყვნენ გმირე-
ბი, რომელთაც მოჭრიდი და მაშინვე ახლები ამოვიდოდნენ.

ამბავთა მოწოდება ისტორიას მარტოდენ ერთობლივ შე-
უძლია; მაგრამ რომ შეგვეძლოს მათი შეცნობა დეტალურად,
ვთქვათ, მოგებისა და ზარალის გასანონასნორებლად, ომის
ნილი უთუოდ ყველას ნააჭარბებდა, როს ძალზე ბლომად ოქ-
რო იხარჯება ერთბეწო ნიდისათვის, ვით ყოველთვისაც
ხდება დაპყრობებისას.

ობოლი ცრემლის შემრობა უფრო საპატიო მოვალეობაა,
ვიდრე სისხლის ზღვის დაყენება.

და რისთვის? — იმისთვის, რომ თვითდამკვიდრება მოაქვს;
და გარდა ასე მოსული ბრწყინვალეებისა, ქება, ხიდეები, თაღები,
სახელმწიფო პენსიები, რისგანაც (ასეც მომხდარა) ბევრი არა-
საყუდარი, თუმც აქვე შეიძლება კორუფციამაც შემოიჭრი-
ტოს; და მაინც, ბოლოს, მიუხედავად თავისუფლებისათვის
ბრძოლისა, არაფერი რჩება მკვლელობათა რიგის გარდა.

ასეთნი არიან და ასეთნიც იქნებიან; მაგრამ არა ლეონიდე
და ვამინგტონი, რომელთა ყოველი ბრძოლის ველი წმინდა
ადგილია, ერების თავისუფლებით რომ სუნთქავს და არა დაქ-
ცეული ქვეყნებით.

რარიგ ტყბილად ისმის ასეთ ხმათა ექო! მაშინ როს სხვა
გამარჯვებანი შიშითა და ზარით გვაგვსებს, ამოინი და მდა-
ბალნი, ასეთი სახელები უნდა გვაფრთხილებდეს, ვიდრე თა-
ვისუფალ მომავალს ველირსებოდეთ.

ბნელი ღამე იყო და ნისლი ფარავდა ყველაფერს, გარდა
არტილერიის ცეცხლისა, რაც ცეცხლოვანი ღრუბლის თაღად
დასდგომოდა თავზე ჰორიზონტს და დუნაის წყალში ირეკლე-
ბოდა, ჯოჯოხეთურ სარკეს რომ ჰგავდა! ქვემეხთა ზაღვი და
ხმამალალი განუწყვეტელი ზათქი და ზარი, ჭექა-ქუხილზე
მეტად ახშობს ყურებს; რადგან ზეცა გვაცლის და იშვიათად
ქუსს, ადამიანი კი ფერფლად აქცევს ყველაფერს.

შეტევაზე მიმავალი მწერი ის-ისა რამდენიმე მეტრით გა-
მოსცდა, რომ წვეროსანი მუსლიმები როგორც იქნა ადგნენ და
ქრისტიანულ ჭექა-ქუხილს იმავით უპასუხეს და ყველაფერი,
ცეცხლი, ჰაერი, მინა, წყალი, გაერთიანდა და მძლავრი ხმაურით
დაგორდა ქვევით; ვიდრე მთელი ზვავი ეტნასავით აგიზგიზდებო-
და, ისე, მოუსვენარი ტიტანი რომ გამოდის თვისი ქვაბულიდან.

და იმავდ დროს გაისმა ერთი გამაყრუებელი ღრიალი „ალაჰ!“
ისეთივე ხმამალალი, ვით იმ მოსაკვირებელ მანქანათა, მტერს
რომ ესროდნენ გამეტებით; ქალაქი, მდინარე და სანაპირო ექო-

თი გამოეხმაურა „ალაჰს!“ და ღრუბლები გასქელდნენ და გადაე-
ფარნენ ომის სცენას, და აიტაცეს ეს გამუდმებული ძახილი.

უსმინეთ! ყველანაირ ხმაურში აღწევს „ალაჰ! ალაჰ ჰუ!“
საბრძოლო მწკრივები მწყობრად მოძრაობდნენ, მაგრამ
იმ ნაწილში, რომელიც წყლიდან უტევდა, ფოთლებივით დაე-
ფინნენ ძირს ჯარისკაცები, თუმც წინ არსენიევი უძლოდათ,
დიადი ვაჟი სიკვდილისა, მისებრ მამაცს აროდეს გაუსწორე-
ბია თვალი ტყვიისა თუ ყუმბარისათვის. „ჟულტა“ (ამბობს
უორდსუორნი) „უფლის ქალიშვილია.“² და თუ ასეა, ქრისტეს
და ყოფილა და ახლა ისე იქცევა, ვით წმინდა მინაზე.

პრინცი დე ლინე მუხლში დაიჭრა; გრაფ შაპო-ბრასს ტყვია
გაეჩხირა ქუდსა და თავს შორის, რაც ამტკიცებს, რომ ჯეროთუ-
ნახავი არისტოკრატიული თავი ჰქონია, რადგან არავითარი
ზიანი არ მისდგომია ტყვიისაგან, მარტოდენ ქუდი გაუხვრე-
ტია; ასეც უნდა იყოს, ტყვიამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ულგეი-
ტიმურეს თავს; და თუ ვამბობთ: მინა ხარ და მინად იქცეო, —
რატომ არ უნდა ვთქვათ: ტყვია ხარ და ტყვიად იქცეო?

აქვე ბრიგადის გენერალმა მარკოვმა უბრძანა, პრინცი მოე-
ცილებინათ იმ ადგილისათვის, სად ათასობით სასიკვდილოდ
დაჭრილის კვნესა ისმოდა, უბრალო ბიჭებისა, რომელთაც უნდა
ეკრუნნხათ და ეცახცახათ, და წყალი ეთხოვათ კვნესით, თუმც
დაყრუებულთ არა და არ ესმოდათ; გენერალმა მარკოვმა ამით
გამოხატა თანაგრძნობა ნოდებისადმი იმ გაკვეთილის მისაცე-
მად, რომ მასაც ასე უნდა მოქცეოდნენ, თუკი ფეხი მოტყდებოდა.

სამასი ყუმბარა ამოანთხივი ზარბაზნებმა და ოცდაათი
ათასი მუშეტი სტყორცნიდა თავიანთ აბებს, ვითარცა სეტყ-
ვას, რათა სისხლდენა გამოეწვიათ.

მოკვდავობაც! შენ ფლოპ ყოველთვის ანგარიშებს; და
მაინც, შენი უპიდეები, შიმშილი, ექიმები ნიკნიკით გვამც-
ნობენ სიკვდილის არსებობას; ჩაგვესმის ყურთ წარსულში ან-
მყოსა თუ მომავალში; მაგრამ რა არის ყოველივე ეს ერთ
ბრძოლის ველთან შედარებით.

სად მრავალრიცხოვანი, მოულოდნელი ტყვიელები გესე-
ვიან მანამდე, სანამ კაცს აღარ ძალუძს ატანა და აგონია ენ-
ვევა, თვალი გაეყინება და ველარას ხედავს, კვნესის, მტვერში
გორავს, თვალებს გადაატრიალებს ბუდეში და... ესაა ჯილ-
დო, რასაც მიიღებენ ათასები, ხოლო დანარჩენნი შესაძლოა
ბაფთის ღირსნი შეიქნან მკერდზე შესაბმელად.

და მაინც, მე მიყვარს დიდება;... სახელის მოხვეჭა კარგი
რამაა; წარმოიდგინეთ, სიბერეკაცისას კეთილი მეფის წყალო-
ბას მიიღებთ; ზომიერი პენსია ბრძენკაცთაც კი სჭირდებათ,
ამასთან, გმირებს უმღერენ ბარდები; იმას რაღა სჯობს, როს
ლექსებში უკვდავყოფენ ომებს, სადაც შენ იბრძოდი, აგერ,
პენსიითაც უზრუნველყოფილი ხარ მთელი სიცოცხლე და...
განა არა ღირს ამისათვის კაცობრიობის გაუფუჭვა?

ამასობაში ჯარები უკვე გადმოიჭრნენ და მარჯვენა მხარეს
განლაგებულ ბატარეას შეუტიეს, ისინი კი, ცოტა ქვევით ვინც
გადმოსხდნენ, მონესრიგდნენ და მსწრაფლ მიბაძეს თანამო-
ძემთ; აღმართს მკვირცხლად შეუდგნენ გრენადერები, აი, ზავშ-
ვი რომ აღოლდებდა დედის ძუძუს; შეესივნენ სიმაგრესა და
სვეტებს, ისე მწყობრად, თითქოსდა აღლუმზე არიანო.

ალტაცებისმომგვრელი სანახაობა გახლდათ; რადგან ისე-
თი მხურვალე ცეცხლი ენთო, თითქოს წითელი ვეზუვი გად-
მოპირქვავებულა, ჯოჯოხეთისებერი ლავა გადმოუქცევია და
გამოუშვია ქვემოთო.

ოფიცერთა მესამედი მალლობზე დაეცა, ასე სჭირდება გამარ-
ჯვებას უცნობად, ასეთია ხვედრი შეტევაზე გადასული ჯენტლ-
მენისა; როს მონადირე ააცდენს, დამნაშავენი ძაღლები არიან.

მაგრამ აქ მოვეშვები ზოგად აღწერას, რათა გავვედვნო
ჩვენს გმირს სახელ-დიდების ბილიკზე; მან თვით უნდა მოი-
პოვოს თავისი დაფნა.

ორმოცდაათი ათასი გმირისათვის, სახელდებით, სტრო-
ფისა თუ ელეგის მიძღვნა, თუმც ყველანი თანაბრად იმსახუ-
რებენ, ძალზე გრძელ ლექსიკონს შეადგენდა ხოტბისა, და
რაც უარესია, ამბავს მეტისმეტად გააჭიანურებდა.

ამიტომ მრავალრიცხოვანება გაზეთს დავეთვით, რომელიც ეჭვგარეშეა მშვენივრად ჩამოთვლის გარდაცვლილთ, სანგრებში, მინდვრად თუ სადაც დაეცნენ, იქ რომ წვანან სახელოვან ძილში დანთქმულნი; ამ ბოლო დროს მტვერი მათი ტვირთად ექცა მათსავე სულს; სამგზის ბედნიერია, ვისი სახელიც სწორად ჩანერილა ცნობებში; მე ვიცნობდი კაცს, ვინც დაკარგულეში მოხსენიებულიყო გროვად, როს გვარი მისი გახლდათ გროუსი.³

ჟუანი და ჯონსონი ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს შეუერთდნენ, და იბრძოდნენ მძლავრად და შეუპოვრად, არ უწყოდნენ თუ საით მიინებდნენ ამ უცნობ გზაზე, და არც ის გაეგებოდათ თუ წინ რა ელოდათ, მაგრამ მიაბიჯებდნენ, აქეთ-იქით გვამები ცვიოდა, მიაბიჯებდნენ ცეცხლში, მგზნებარედ, ჩეხავდნენ გაოფლილნი, გახურებულნი, დაუფიქრებლად იბრძოდნენ გასამარჯვებლად, გადასარჩენად და ბიულეტენში მოსახვედრად.

ამოიგანგლნენ სისხლის ჭაობში, ათასობით მკვდარსა და მომაკვდავს შორის, ძნელად მიიწვედნენ თითო-ოროლა იარდით, შიგადაშიგ მიუახლოვდებოდნენ რომელიღაც კუთხეს სულისმოსათქმელად; ხან ცეცხლში მოხვდებოდნენ, რაც მართლაც ჯოჯოხეთისა და არა სამოთხის წვიმასავით ესხმოდათ, მკვდარ ამხანაგებს ეფარებოდნენ და მათ სისხლში ევლებოდნენ.

თუმცა ჟუანისათვის პირველი ბრძოლის ველი გახლდათ, პირველი იყო ღამეული თავშეყრა და ჩუმი მარში სუსხიან სიბნელებში, როს სიმამაცე ისე იოლი არ არის, ვითარცა ტრიუმფალური თაღის ქვეშ, და კიდევ ცახცახებდა, ამთქნარებდა და ისე აპარებდა თვალს პირქუში ღრუბლებისაკენ (სახამებელივით რომ გასქელებულიყვნენ და ზეცას ამკვირვებდნენ), რომ, ცხადია, დღე ერთი იქნება; და მაინც ყველაფერი აიტანა და არ გაქცეულა.

ანკი სად უნდა გაქცეულიყო.

მაგრამ მერედა რა, რომ გაქცეულიყო? ყოფილან და არიან გმირები, ვისაც ბევრად უკეთ არ დაუნყიათ საქმიანობა, ის კი არა, უფრო ცუდადაც; ფრიდრიხ დიდმა გადაწყვიტა მოლოცი-დან გაქცეულიყო; ეს იყო პირველად და უკანასკნელად; რადგან მელა იქნება, შევარდენი თუ პატარძალი, მოკვდავთა უმრავლესობა პირველ ციებ-ცხელებას რომ გადაიტანს, ახლისათვის მზადაა და იბრძვის მხარდამხარ ჯამაგირისა თუ პოლიტიკისათვის.

იგი არ ყოფილა, ვითარცა ერინი უწოდებს, ძველი ერსი ანუ ირლანდიელი, ან ეგებ პუნელი (ანტიკვარები, რომელთ დროის მოხელთება შეუძლიათ,⁴ და სცნობენ ყოველს, რომაული იქნება ბერძნული თუ რუნული, ჰვიცავენ, რომ პატის ენა იგივე კლიმატმა წარმოშვა, რომელმაც გააჩინა ჰანიბალი და სადაც ტვიროსლუ ტუნიკას ატარებენ, და დიდონას ალფაბეტს იყენებდნენ; და რომ ეს რაციონალურადაა ასე და არა ნაციონალურად)...

მაგრამ ჟუანი „კერეკტი კაკალი“ გახლდათ, მგრძობიარე და გული უმღეროდა; ახლაც შეცურდა ზღვაში ალტაცებისა ანუ განცდებისა (თუ წინა სიტყვა არ მოგეწონათ), და თუნდ დაღუპულიყო, ასეთ კარგ საზოგადოებაში, ბრძოლის, ალყისა და ამგვარი თავშექცევის ფაშს რომ შეიყრებიან ხოლმე, ასეთი დროსტარება მაინც სასიამოდ დაურჩებოდა.

მაგრამ ვით სჩვეოდა, ბოროტგანზრახვის გარეშე ირჯებოდა; თუკი ომობდა ან უყვარდა, მარტოდენ, ვითარ იტყვიან,

„საუკეთესო განზრახვით“, რაც კაცობრიობის კოზირია, საჭიროებისას გამოსაყენებელი.

სახელმწიფო მოღვაწე, გმირი, მეძავი, ვექილი... როს ხალხი გამოიკითხავს, თუ როგორ აღასრულეს მიზანდასახულობა, პასუხობენ, სიკეთე გვინდოდა; სამწუხაროა, რომ ამგვარი სურვილი „ჯოჯოხეთის გზას მოკირწყლავს.“⁵

ამ ბოლო ხანს ეჭვი გამიჩნდა ჯოჯოხეთის ტროტუარისა გამო, თუკი ამგვარადაა მოკირწყლული, უკანასკნელ დროს ცოტა ხომ არ გაცვდებოდა, არა იმიტომ, მრავალთ რომ უჩნდებოდათ კეთილი განზრახვა, არამედ იმ მასების მიზეზით, ქვემოთ რომ მიექანებიან იმ უძველეს კეთილ ზრახვათა გარეშე, რამაც ერთ დროს განმინდა და გადაასწორა ჯოჯოხეთის ქუჩა, მეტისმეტად რომ გვაგონებს პელ მელს.⁶

რალაც უცნაური შემთხვევისა გამო, მეომრებს რომ დააშორებს ომის სისასტიკეში, ვითარცა უმანკო ცოლებს ამორებს ქმრებს პირველი საქორწინოს წლის მინურულს, იმ ძველი უცნაურობით ბედისწერის ტრიალისა ჟუანი უეცრად დაიბნა და ამ ტყვიების წვიმაში მარტო დარჩა უმეგობროდ.

არ ვიცი, ეს ვითარ მოხდა, შესაძლოა უმრავლესობა დაიხოცა ან დაიჭრა, დანარჩენები კი წინ გაიჭრნენ; ამგვარი რამ თვით კეისარსაც შეემთხვა, რომლის არმიაც ისე მამაცურად გაიჭრა წინ, კეისარს მოუხდა ფარი აეღო, ბრძოლის ველზე გასულიყო და უკან გამოეხმო რომაელები.

აბა ფარი საიდან უნდა მოეტანა ჟუანს, და არც კეისარი გახლდათ, ერთი რიგითი კაი ყმა იყო, ვინც არც უწყობდა, რისთვის იბრძოდა, ამიტომ წუთით შეჩერდა, ან ეგებ ცოტა მეტხანს დააყოვნა და ვირივით (ნუ გამინანწყენდები, კეთილო მკითხველო, ეს შედარება ჰომეროსმა საფეროდ სცნო აიაქსისათვის, და ჟუანს უკეთაც უნდა მოერგოს)...

და ვირივით გაუყვა გზას, და რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, უკან არ მოუხედავს; არამედ წინ იყურებოდა და, თითქოს ბორცვებს მიღმა დღე იღვიძებო, შეჰყურებდა ცეცხლს, რასაც შეძლო დაუბრმავებინა ისინი, ვისაც ბრძოლა სძულდა; დაბორძიობდა, ლამობდა ბილიკი ეპოვნა, რათა თავისი სუსტი მკლავი და ძალა შეემველებინა ჯარისათვის, მეტწილად გვამებად რომ ქცეულიყო.

მერე და მერე მიხვდა, აღარც მეთაური ჰყავდა ჯარისა, აღარც თვით ჯარი, სადღაც გამქრალიყო, ღმერთებმა უწყიან თუ ვითარ (ვერ ჩამოვთვი ყველაფერს, რაც ცუდად გამოიყურება ისტორიაში; მაგრამ ის მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ არაფერია გასაკვირი, ყმანვილკაცი დიდების ძიებისას წინ იყურებოდეს, და ისე ადარდებდეს თავისი ჯარი, ვით მწიკვი ბურნუთი);

რაკიღა მიხვდა, აღარც მეთაურია სადმე და აღარც სამეთაუროო, და მარტოდმარტოს დარჩენოდა მემკვიდრეობა, გზა რომ გაეკვლია ცალად დაშთენილს, არკი იცოდა საით; ვით მოგზაურნი მისდევენ ჯაგანარსა და ჭაობში მაცთურ ნათებას, ან ნაპირზე გადმოსული მეზღვაურები თავს შერგავენ უახლოეს ქობში; ჟუანიც მიენდო თავის ყნოსვასა და ღირსების გრძნობას და იქ შევარდა, სად ყველაზე ცხარე ცეცხლი დაენთოთ მტრებს.

არ იცოდა, სად იმყოფებოდა და დიდად არც დაგიდეგდა, ისწრაფოდა თავბრუდახვეული, ძარღვები თითქო ელვით ავ-



მხატვარი აივენგო ჭელიძე

სებოდა; სული მისი იმ წუთით ავსებულყო, ვითარც სწვევი-ათ ცინცხალ გონებისათ; და სად ყველაზე უმეტეს გიზგიზებ-და ცეცხლი და ქვემეხნი ხმამალა ქუხდნენ და ანადგურებდ-ნენ, იქ შევარდა, იქ, სად მინასა და ჰაერს არყევდა ადამიანუ-რი გამოგონება, ძმა ბეკონისა!⁷

ნინ გაიჭრა და იმათში მოხვდა, რომელთ მეორე მწკრივი უწოდეს და გენერალი ლასკი მეთაურობდა, და ახლა ისე შეკვე-ცილიყო, ვით მსხვილი ტომი — ლაზათიან ნაწყვეტად გადაქ-ცეული (დანურული) შესახებ გმირობისა; ჟუანი მტკიცე გამო-მეტყველებით ჩადგა მათ შორის, ვინც მამაცური სახეებითა და იარაღმომარჯვებულნი მისეირნობდნენ ციხის ფერდობზე.

სწორედ ამ გასაჭირისას ჯონსონიც მობრუნდა, ვისაც „უკან დაეხია“, რაც ნიშნავს, რომ ადამიანები გარბიან, ნაცვლად იმი-სა, სიკვდილის კბილებში მოხდნენ ანუ ეშმაკის ბუნაგში დურ-თონ თავი; ჭკვიანი ყმანვილი იყო ჯონსონი, იცოდა, როდის „ჩამოეჭრა და მობრუნებოდა“⁸; და აროდეს გარბოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როს გაქცევა კარგი და მამაცური გაცლაა.

და, ამრიგად — როს მისი ყველა ჯარისკაცი მოკვდა ან კვდებოდა, გარდა დონ ჟუანისა, უბრალო ახალწვეულისა, რომ-ლის ქაბუკურ გამბედაობას ფიქრდაც არ მოუვიდოდა გაქცე-ვა, რადგან არა იცოდა რა საფრთხისა, რაც მხოლოდ თავყანის-მცემელთ სწყალობს, ისე ვით უმანკოება მარტოდენ საკუთარ ძალას ენდობა, თავზეხელაღებული ნერვებითა და კუნთებით — ჯონსონმა ცოტა შეისვენა, რათა მოებრუნებინა ისინი, ვისაც სიცივე შეეპარათ ველზე „აჩრდილთა სიკვდილისათა“.⁹

და იქ მცირე ხანს გაერიდა ტყვიებს, რაც რომ აწვიმდა სი-მაგრადან, ბატარეადან, პარაპეტიდან, ფერდობიდან, კაზემა-ტიდან, სახლებიდან, ... რადგან არ იყო მთელ ამ ქალაქში, სა-ბედისწეროდ გარშემორტყმულში ქრისტიანთაგან, ერთი ად-გილიც, ქაჯივით რომ არ ებრძოლა; და მაინც იპოვა რაზმი მონადირეთა, უკან რომ დაეხიათ და გაფანტულიყვნენ ასეთი სასტიკი წინააღმდეგობის შედეგად.

სწორედ მათ უხბო და, გასაკვირია, რომ დაემორჩილნენ მის ბრძანებას, განსხვავებით „უფსკრულიდან გამოძახებულ სულთა“, რომელთაც შეგიძლია მოუხბო, ამბობს ჰოტსპური, ოლონდაც თუ დატოვებენ თავიანთ სამყოფელს შენს დაძა-ხილზე.¹⁰ მონადირეთა მორჩილების მიზეზი დაბნეულობა იყო ანდა სირცხვილი, ტყვიებსა და ყუმბარებს რომ გამოექცნენ, და ის უცნაური ბიძგი, რაც ომსა თუ სარწმუნოებაში ადამიან-ნებს აიძულებს საქონელივით აედევნონ უკან წინამძღოლს.

ზევისი მადლმა! კაი ჯეელი გახლდათ ჯონსონი, და თუმც მისი სახელი არა ხმანებს აიაქსივით ან აქილევსივით, ამ მზის-ქვეშეთში ვეღარ შევხვდებით მის მსგავსს; ისე მშვიდად მოკ-ლავდა კაცს, ვით მუსონი უბერავს (თევობით შეუფერხებლივ); არც ფერს იცვლიდა, არც ხასიათს, არც გუნებას, შეუტოკდებ-ოდა და საქმეს აღასრულებდა ფართიფურთის გარეშე.

და ამიტომაც როს გარბოდა, ამას გააზრებულად სჩადიო-და, იცოდა, ზურგში სხვესაც იპოვიდა, ვინც ხალისით იტყოდა უარს მცონარობაზე, ქარივით რაც შეეპარება ხოლმე გმირულ მუცლებს. თუმც ძალზე ხშირად ეხუჭებათ თვალები, ყველა გმირი ბრმა როდი გახლავთ, და ოდეს სიკვდილს შეეყრებიან, მცირე ხანს შეისვენებენ ხოლმე სულის მოსათქმელად.

მაგრამ ჯონსონი მხოლოდ იმიტომ გაიქცა, უკანვე დაბ-რუნებულყო და მრავალ მეომართან ერთად, როგორც გით-ხართ, იქით გაემართა, „იმ ბნელსა და უცნობ მხარეს“¹¹, რაც, ვითარცა ჰამლეტი გვეუბნება, სახიფათო ბილიკია. თუმც ჯე-კი ამან მცირედენავ თუ შეანუხა; მისი სული (ისე ვით გაღვა-ნიზმი მკვდრებზე) ცოცხლებზე გადამცემივით მოქმედებდა და მიუძღოდა უკან გიზგიზა ცეცხლში.

ღმერთმანი! მეორადაც იგივე დახვდათ, რამაც პირველ ჯერზე თავზარი დასცა და გააქცია, მიუხედავად იმ ყოველივე-სი, დიდებაზე რასაც ამბობენ და უკვდავებაზე, რაც ალაფრთო-ვანებს ჯარის ნაწილებს (ჯამაგირის შემდეგ ანუ იმ ყოველდღი-ური გრომისა, გულს რომ უმაგრებს მებრძოლთ), უკან დაბრუ-

ნებისას იმავნაირად მიესალმნენ, ვინც ერთნი ჩააფიქრა, ხოლო სხვებმა ისედაც უწყოდნენ, ჯოჯოხეთში ვართ მოხვედრილნი.

ისე ეფინებოდნენ ძირს, ვით დასეტყვილი მოსავალი, მო-ცელილი ბალახი ან მომკილი ხორბალი განამტკიცებენ იმ გაცვეთილ ძველ ჭეშმარიტებას, სიცოცხლე ისეთივე მყიფეა, ვითარცა სხვა სიკეთენი, რასაც კი კაცი ჯიუტად ეჭიდებაო. თურქული ბატარეები, თითქოს ჯაჭვით სცემენო, ანდა კაი მოკრივესავით ჩეჩქვამდნენ უმამაცესთ, ძირს ანარცხებდნენ თავში დარტყმით, ვიდრე ჩახმასხს მოზიდავდნენ.

თურქები მეორე ბასტიონის საფარს უკნიდან და გვერდები-დან უშენდნენ ჯოჯოხეთურ ცეცხლს და ისე აღგვიდნენ ჯარის-კაცთა მწკრივებს, ვით ქარი გადააცლის ხოლმე ტალღებს ქაფს; და მაინც, უფალმა უწყის ვითარ, იღბალმა, თავისი ბორბლით რომ გადაასწორებს ხოლმე ქალაქებს, ერებსა და მსოფლიოს, ისე მოაწყო ამ ჯოჯოხეთურ ღრიალში, რომ ჯონსონმა და მისმა რამ-დენიმე კაცმა, ვინც არ შემდრკალა, ფერდობის თხემს მიაღწიეს.

ჯერ თითო-ოროლა, მერე ხუთი, ექვსი, მერე თორმეტიც აცოცდა მკვირცხლად, სხვა გზა მაინც არ იყო, რადგან ცეცხ-ლი და კუპრი მოთქმავდა ვითარ ზემოდან, ისე ქვემოდან და ვერ იტყოდი, თუ საით სჯობდა, და ვინ მოიქცნენ უკეთ — ის ჯენტლმენები, ვინც გაბედეს თავიანთი მეომრული თავ-პირი გამოეჩინათ პარაპეტზე, თუ ისინი, ვინც მოცდა ამჯობინეს, ვით კარგთ და მამაცთ სჩვევიათ.

მაგრამ გამბედავნი დარწმუნდნენ, რომ მათ წინსვლას ილ-ბალი შეენია შემთხვევითობისა თუ შეცდომისა გამო. ბერძენი თუ თურქი კოპორნის¹² უვიცობის გამოისობით ისეთი ლობებნი ჩაემწკრივებინათ, გაცდებოდით ნიდერლანდთა ან საფრანგე-თის ფორტებში რომ გეხილათ (თუმც მათი სიმაგრენი ჩვენს გიბრალტართან რას მოვა); და სწორედ პარაპეტის შუაში ჩაემ-წკრივებინათ ეს ლობებნი; ისე, რომ ორივე მხარეს ცხრა-ათი ნა-ბიჯი რჩებოდა, სადაც მარშით გავლა შეეძლოთ; დიდად მოსა-ხერხებელი იყო ჩვენებისათვის, ბოლო-ბოლო მათთვის, ვინც ცოცხლები გადარჩნენ, შეეძლოთ ჩამწკრივებულყვნენ და იეროშე გადასულიყვნენ, ებრძოლათ კვლავაც; და იმისთვის, რაც ბრძოლაში ეხმარებოდათ, ანუ ლობეთათვის, წიხლი ეკრათ და ძირს დაეყარათ, ბალახთან გაეთანაბრებინათ.

პირველთა შორის — ვერ ვიტყვი პირველი-მეთქი, რადგან ასეთი რამ, ამგვარ შემთხვევებში, სამკვდრო-სასიცოცხლო ჩხუბს იწვევს მეგობრებსა და მოკავშირე სახელმწიფოთა შო-რის; ბრიტონები მამაცნი უთუოდ არიან და მართლაც შეიძლე-ბა დავა ჯონ ბულის მოთმინებისა გამო, როცა ეტყვიან, ველინ-გტონმა ვატერლოო წააგოო, თუმცა პრუსიელებიც ირწმუნე-ბიან, რომ ბლიუხერს, ბიულოვს, გნეისენაუს და, უფალმა უწყის, კიდევ რამდენ „აუ-ს“ და „ოვ-ს“, დროზე რომ არ მოესწ-როთ და გამბედაობით არ აღენთოთ ინგლისელები, რომლებიც მანამდე ისე იბრძოდნენ, ვითარცა ვეფხვი, ჰერცოგ ველინგ-ტონს უკვე შეენყვიტა ბრძანებთა გაცემა და აღარც პენსიებს იღებდა, კარგა მძიმეებს, ვითა უბნობს ჩვენი ისტორია.

მაგრამ არა უშავს;... „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს!“ და მეფე-ებს! და თუ აღარ დაიფარავს, ვეჭვობ, ადამიანებმა დაიფარონ კიდევ დიდხანს. მგონია მესმის პანია ჩიტის ჭიკჭიკი, რომ ხალ-ხი სულ უფრო და უფრო გაძლიერდება; მიხრწნილი ჯაგლაგი აცახცახდება, გადამძვრალ კანში რომ ჩაეჭდობა გადამეტებუ-ლი ტვირთი, და ბრბოსაც ყელში ამოუვა იობისათვის მიბაძვა.

ჯერ აბუზლუნდება, მერე გინებას მოჰყვება და მერე კი — დავითივით — მრგვალ კენჭებს სტყორცნის გლობათს; ბო-ლოს იარაღს დასწვდება კაცისას, ვისაც იმედის გადანურვა გულს გაუქვავებს და მერე „თოკი დაიჭიმება“, ვეჭვობ ომის დრო დადგება და ხალისით ვიტყოდი, „ბრანნი უჩვენეთ“-მეთ-ქი, რომ არა ვგრძნობდე, მარტოდენ რევოლუციას შეუძლია იხსნას დედამინა ჯოჯოხეთის სიბინძურისაგან.¹³

მაგრამ განვარდით: ვთქვი, პირველი არა-მეთქი, მაგრამ პირველთა შორის იყო ჩვენი პატარა მეგობარი დონ ჟუანი, იზმაილის სიმაგრეში რომ

შეიქრა, თითქოს ამგვარ ყოფაში გამოზრდილიყოს, არადა, სრულად უცხო იყო მისთვის, და ვიტყვი უმრავლესობისათვისაც. დიდების წყურვილმა, სულ უფრო და უფრო ღრმად რომ იჭრება კაცის გულში, მოიცვა მისი არსება, თუმც კი დიდსულოვანი ადამიანი გახლდათ, გულით — თბილი და ნაკვებთი — ქალისებრ ნაზი.

და აქ იყო იგი, ვინც ქალის მკერდზე ყრმობისას ყრმად გრძნობდა თავს;¹⁴ რაც უნდა იყოს, კაცი ყველაფერ დანარჩენს აღიარებს, და ჟუანი თავს იქ ისე გრძნობდა, ვით ელიზიუმში; მას ხომ იმ უძნელესი გამოცდის ატანაც შეეძლო, რასაც რუსო საეჭვო საქმეს უწოდებს, „დააკვირდი შენს სატრფოს, როს შენს მკლავებს დატოვებს“;¹⁵ მაგრამ ჟუანი ხომ აროდეს მიატოვებდა სატრფოთ მანამ, სანამ მომხიბვლელნი იყვნენ, რომ არა ბედისწერა, ან ტალღა, ან ქარი, ან ნათესაობა, რაც ერთი და იგივე გახლავთ.

და აი, იგი აქ იყო, სად კაცობრიობის თვითუფლები ნასკვი ფოლადითა და ცეცხლით გადაიჭრებოდა; და ჟუანიც, ვისი სხეულიც და გონებაც გაერთიანებულიყო, შემთხვევით მოხვედრილი იქ, სად ყველაზე ამპარტავანიც კი მოიღუწება, დროითა და სივრცით აჩქარებული მიისწრაფოდა ვით დეზამოკრული წმინდა სისხლის ბედაური რბოლაში.

ასე უჩქევდა ხოლმე სისხლი, ოდეს წინააღმდეგობას ნაწყვეტობდა, ვით მონადირე, ჭიშკარს ან ლობეს რომ მიადგება, როს ბრიტანელი ყმანვილის ბედი მის ნონაზე ჰკიდია, და რაც უფრო მსუბუქია, მით უსაფრთხოდაა; შორიდან თითქოს სძულდა სისასტიკე, ვითარცა ყველა კაცს ეჯავრება სისხლი მანამდე, სანამ გახურდებოდეს, და მერე თუნდ თავისი სისხლიც იყოს, გააშემოს და კვენსაც აღმოხდეს, აღარ დაეძებს.

გენერალ ლასკის, ვისაც სულზე მოუსწრო ასეთმა იღბლიანმა შემწვობამ, მეტად გაუხარდა ასიოდე მგზნებარე ახალწვეულის დანახვა, ისე რომ გამოჩნდნენ, თითქოს მთავარიდან ჩამოცივდნენ; ჟუანს, ვინც ყველაზე ახლოს იყო მასთან, დიდი მადლი უძღვნა, და იმედიც გამოთქვა, ქალაქს მალე ავიღებთო.

არც უფიქრია (როგორც პისტოლი უწოდებს), „მდაბალ ბეზონელს“¹⁶ ველაპარაკებო, ეგონა, ახალგაზრდა ლივონიელიაო.

ჟუანმა, ვისაც იგი გერმანულად მიმართავდა, იმდენივე გაეგებოდა გერმანულისა, რამდენიც სანსკრიტისა, თავი დაუხარა გენერალს, ვინც მისი მეთაური უნდა ყოფილიყო; რადგან ხედავდა აქსელბანტებს, შავსა და თეთრს, ვარსკვლავებს, მედელებსა და ხელში ჩაბლუჯულ სისხლიან ხმალს, ამით იცნო მაღალი რანგის ოფიცერი, ვინც მადლობის კილოთი მიმართავდა.

მოკლე საუბარი შედგა ორ კაცს შორის, ვინც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა; ამასთან, ომი როცაა, ქალაქს იღებენ, ყვირილი და გნისაი იჭრება დიალოგში, მრავალი ცოდევა ხდება მანამდე, სანამ სიტყვა წარმოითქმის, შემზარავი ხმები გაისმის საეკლესიო ზართა რეკვასავით, ოხვრა, კვენსა, კივილი, ღრიალი, ვედრება, და აბა რა დროს მასლაათია.

და ამიტომაც, რაც ორ ოქტავაში მოგითხრეთ, ერთ პანია წუთში მოთავდა, ერთ პატარა წუთში ყოველი ცოდევა ერთად მოგროვდა. ქვემეხის ხმა დაახშო, დააყრუა მუსლიმანთა ხმაურიანმა ლოცვა-ვედრებამ, თითქო სატყაცუნთა ხმად გადაიქცა ქუხილი, ადამიანური განწირულობის აგონიურ გუგუნშიო.

აიღეს ქალაქი!

ო, მარადისობაჲ!

„ღმერთმა შეჰქმნა ქვეყანა და ადამიანმა შეჰქმნა ქალაქი“¹⁷, ამბობს კაუპერი, და მის აზრს ვიზიარებ, როს ვხედავ დატყვემულ რომს, ბაბილონს, ტვიროსს, კართაგენს, ნინევიას, ყველა იმ კედელს, ადამიანი რომ იცნობდა და ველარ გაიცნობს.

და როს ვადარებ ანმყოსა და წარსულს, ვფიქრობ, ტყეები იქნება კაცობრიობის სახლი, ბოლო-ბოლო, სახლი ყველა კაცისა, გარდა სულასი, კაცისმკველელისა, ვისაც მეტად იღბლიანი სიცოცხლე და სიკვდილი ერგო, სახლი იმ დიად სახელთა, რომელნიც გვსმენია, გენერალ ბუნისა,¹⁷ ტყეს რომ დაუბრუნდა კენტუქის შტატში, და უბედნიერესი იყო მოკვდავთა შორის, რადგანაც აღარას ჰკლავდა, გარდა ირმისა და დათვისა,

და მარტოხელა, სიცოცხლით საგსე ტკებოდა უშფოთველი დღეებით, მოხუცებული რომ დაესახლა უღრან ტყეში.

დანაშაული ახლოსაც ველარ ეკარებოდა — დანაშაულს არ უყვარს მარტოხელანი; ჯანმრთელობა არ ღალატობდა — რადგან სახლად დაეგულებინა უღრანი ტყე, სად კაცის ფეხი არ ჭაჭანებდა, უკაცოდ კი დანაშაულიც არ არსებობს; და თუ ადამიანები სიკვდილს ამჯობინებენ სიცოცხლეს, რას იზამ, ჩვეულება ჩაადენინებთ იმას, რაც გულითა სძულთ ქალაქთა ჯურღმულში მყოფთ. ეს შემთხვევა კი იმიტომ მოვიხმე, რომ ბუნმა ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლა და ინადირა.¹⁸

და რაც უცნაურია, სახელიც დატოვა, რისთვისაც ადამიანები ყოველ მეთეს ჰკლავენ ურიცხვი ბრბოდან, და არა სახელგანთქმულთ, თუნდ კარგი სახელის მქონეთაც, და უამისოდ დიდება ფუნდუკში ნამღერ სიმღერას უტოლდება, უბრალოს, მშვიდობიანს, ანტიპოდს სირცხვილისას, რასაც მტრობა და შური ვეროდეს ნაახდენს; ასეთია ნამდვილი განდევილი, მცოვანიც კი ბუნების შვილია და როსელი — კაცი¹⁹ უდაბნოში გასული.

ისიც სიმართლეა, რომ თვისტომთაც კი გაურბოდა, როს მშენებლობანი მოუახლოვდა მის საყვარელ ხეებს, ასიოდე მილით დაიხია და იქ აიგო სადგომი, სად სახლები არ მოიძებნოდა; ცივილიზაციის ნაკლებობა იმით ვლინდება, რომ ვერც ვერავის აამებ და ვერც ვერავინ გაამებს, მაგრამ ოდეს კაცად კაცს შეხვედებოდა, იმდენ სიკეთეს ამჟღავნებდა, რამდენიც მოკვდავს ძალუძს.

მთლად მარტოც არ გახლდათ; მის ირგვლივ შემოკრბა ტყის ტომი დევნილ არსებთა, ჭაბუკი, მარად ახალი, ჯერაც გაუღვიძებული სამყარო, არც მახვილი რომ არ უხილავს და არც ტანჯვას დაუტოვებია კვალი მის უმანკო შუბლზე, და არც სიბრაზე აღბეჭდვია ადამიანისა თუ ბუნების სახეზე; თავისუფალ ტყეში იმყოფებოდნენ და იყვნენ თავისუფალნი, და ისეთივე ანკარა, ვით წყარო ან ხე.

მაღალნი, მძლავრნი და მკვირცხლნი შორს იყვნენ ქალაქის ჯუჯა ნასხლეთაგან, აროდეს ფიქრობდნენ ნადავლზე, სარჩოსა და მოგებაზე, მწვანე ტყე ამარაგებდათ, არ ანუხებდათ სულმოკლე აზრი დაბერებაზე, მოდის დაჟინებით თავს არ იმახინჯებდნენ, მარტივნი იყვნენ, მაგრამ ველურნი არა ყოფილან; თოფები ჰქონდათ ნამდვილი, მაგრამ ფუჭად არ ისროდნენ.

დღისით მუშაობდნენ, ღამით ეძინათ, მიძიმედ შრომობდნენ, მაგრამ ხალისით; არც ძალიან ბევრნი იყვნენ, არც ძალიან ცოტანი; გადაგვარება ვერ გაიდგამდა მათ გულში ფესვს; ვერც გარყვნილება დაკებნდათ, ვერც ზიზილ-პიპილები აბრკოლდებდათ, თავისუფალ ტყეში ხრიოკი არ მოიძვევებოდა; ნათელი და უღრუბლო გახლდათ ამ ტყის განდევილი ხალხის უხინჯო ცხოვრება.

მოვრჩეთ ბუნებაზე საუბარს, მრავალფეროვნებისათვის რომ ჩაფურთეთ, და დაუბრუნდეთ ცივილიზაციის დიად სიხარულთ! დიდი საზოგადოების ტკბილ ნაყოფს, ომს, ეპიდემიას, ხალხის ამოწყვეტას დესპოტთა მიერ, სამეფო მათრახს, წარმატების წყურვილს, ჯარისკაცთა ულუფისათვის გაჟუჟულ მილიონებს, ეკატერინეს ბუდუარის სცენებზე სამოცჯერ მეტს, და ყოველივე ამის გალაზათიანებას იზმაილის იერიშით.

ქალაქი აიღეს: ჯერ ერთმა ნაწილმა გაიკვლია სისხლიანი ბილიკი ყოჩაღად და მერე მეორემ; ცეცხლოვანი შუბებითა და ნაპერწკლებმფრქვეველი მახვილებით შეუტიეს იატაკანებს, დედა შვილს ვერ იყვანდა ხელში და ხსნას ზეცას ევედრებოდნენ; გოგირდოვანი ღრუბლები სულ უფრო ახლოვდებოდა, რომ დილაც მოეშოთ და კაციც, იქ სად გამაგებული თურქნი ჯერაც იცავდნენ მშობლიურ ქალაქს.

კუტუხოვს, ვინც მოგვიანებით უკუდარტყმა აგემა და დაახვიანა (ცოტა ყინვა და თოვლიც კი ნახებმარა) ნაპოლეონს, როს იგი თავზედურ და სისხლიან გზას დაადგა, ამჯერად თვით მოუხდა უკანდახვევა; ხალისიანი ყმანვილკაცი გახლდათ და შეეძლო პირში მიეხალა ხუმრობა ძმაკაცისა თუ მტრისათვის, როს სიცოცხლე, სიკვდილი და გამარჯვება იდო სასწორზე, მაგრამ, ეტყობა, ამჯერად ხუმრობა არ გამოუვიდა;

თხრილში ჩაეშვა, თან მიჰყვნენ გრენადერები, გუბებად დააყენეს სისხლი, მერე მინაყრილზე აძვრა და სწორედ აქ, როს უმაღ-

ლეს წერტილს მიაღწია, ზღვარზე აღმოჩნდა (ამ ადგილას ყველა სხვა დალუპულზე მეტად სამწუხარო აღმოჩნდა გენერალ რიბოპიერის სიკვდილი), რადგან მუსლიმებმა უკანვე ჩარეკეს თხრილში.

და რომ არა რომელიღაც დაბნეული ნაწილი, შეტყვის ნაკადმა რომ მოაგდო ამ ადგილას და არც იცოდნენ თუ სად იყვნენ, თავგზადაკარგულნი აღმა-დაღმა დაბორილობდნენ, თითქოს სიზმარში არიანო, და აქამდე მოაღწიეს, ის-ისაა ინათლა კიდეც და ვაივავლახით გაარკვიეს თუ სად მოხვედრილიყვნენ, დიადი და მხიარული კუტუზოვიც იქ დარჩებოდა, სად მისი ნაწილის მესამედი ჩანოლილიყო.

და მინაყრღთან მოგროვდა იგივე ჯარი, „კავალერის“²⁰ ალების შემძლე, ისევე, ვითარცა კუტუზოვის „საბრალე იმედმა“²¹ შიში დაძლია და ქამელეონივით გაძვრა და გაუხსნა „კილიად“²² ნოდებულები ჭიშკარი დაბნეულ გმირთა ერთ გუნდს, იქვე რომ იდგნენ მორცხვად მუხლამდე გაყინულ ტალახში ჩაფლულნი, იქიდან კი ფეხები ადამიანის სისხლის ჭაობში გაილხვეს.

კაზაკები ან, თუ გნებავთ, ყაზახები (დიდად არ ვინუხებ თავს ორთოგრაფიის დაცვით, ოღონდ ფაქტები, სტატისტიკა, პოლიტიკა და გეოგრაფია არ ამერიოს) იმყოფებოდნენ ცხენოსან ჯარში, არც ტოპოგრაფიაში გახლდნენ დილეტანტები, არც სიმარგეთა ცოდნაში და იბრძოდნენ იქ, სად მეთაურნი უბრძანებდნენ — მცირე ნაწილებად დაწლიკებულნი.

ერთი ნაწილი, მიუხედავად თურქების ბატარეთა ცეცხლისა, მინაყრღთან მიიჭრა და, ბუნებრივია, ფიქრობდნენ, ქალაქში დაუბრკოლებლივ შევალთო, მაგრამ ვითარც ემართებათ მამაცთ, რალაც შეეშალათ, თურქები ვითომ გაიქცნენ და შეიტყუეს კი ორი კოშკის კუთხეში და მძაფრად შემოუტიეს ამ საზიზღარ ქრისტიანთ.

და კუდშიც რომ წაავლეს ხელი — ამგვარი ჩავლება საბედისწეროა ეპისკოპოსთათვისაც²³ და ჯარისკაცთათვისაც — მზის ამოსვლამდე სულ განყვიტეს კაზაკთა რაზმი, იცოდნენ, ველარ გადავრჩებითო, და დაილუპნენ შეუდრეკელნი, და მათი ჩონჩხები კიბებდად გამოადგა პოლკოვნიკ იესუსკოის, პოლუზკოის მამაც ბატალიონს რომ მოუძლოდა.

ამ მამაცმა კაცმა სულ გაუფუა წინ შემოყრილი თურქნი, მაგრამ შეჭმა ველარ მოასწრო, რადგან თვითონაც დაეცა მუსლიმანთა ხელით, ვინც გულგრილნი ვერ რჩებოდნენ, როს მათი ქალაქი ინვოდა. სიმარგის კედლები დაეცა, მაგრამ ჯერაც სადავო იყო, თუ რომელ არმიას მეტი ჰქონდა გამოსავლოვი; დარტყმას დარტყმა ხვდებოდა თვითეული გოჯისათვის, არც ერთი იხევდა და არც მეორე დრკებოდა.

მეორე ნაწილიც კარგა გვარიანად დაზარალდა: და აქ კი ისტორიკოსთან ერთად უნდა შეგნიშნო, ასეთ ჯარისკაცებს, ვისაც დიდად ბრწყინვალე მარშით უყვართ შეტევა, თითო-ოროლა ტყვია უნდა მისცე და მზინავი ხიშტთა ამარა გაუშვა, და სწრაფადაც გაეშურებინა და თავის გადასარჩენად არ დაინყებენ უაზრო სროლას უფურთხი მანძილიდან.

გენერალ მეკნოფის ხალხი (ოღონდ უგენერლოდ, რადგანაც იგი ცოტა ხნით ადრე დაეცა მძიმედ დაჭრილი) შეუერთდა მათ, ვინც გაბედა აცოცებულებო ამ სიკვდილისმომტან მინაყრღზე, და თუმცა თურქნი სასტიკი წინააღმდეგობას უწევდნენ, სიმარგე მანაც აიღეს, რასაც სერასკირი²⁴ მეტად ძვირად აფასებდა.

ჟუანმა და ჯონსონმა და რამდენიმე მოხალისემ პირველებმა შესთავაზეს მას სიცოცხლის შენარჩუნება, სიტყვა, რაც სერასკირს არ უხდება, ანდა ამ მამაც თათარს²⁵ არ შეჰფეროდა. და მოკვდა და სამშობლოს ცრემლსაც იმსახურებდა, მოკვდა ვით მოურჯულბელი სამხედრო ნამებული.

ინგლისელი საზღვაო ოფიცერიც, ვინც მის ტყვედ ჩადგებას ლამობდა, დაილუპა, რადგან პასუხი ამ შეთავაზებაზე იყო დამბაჩის ტყვია, რამაც იქვე განგმირა; რაზედაც დანარჩენებმა დაუყოვნებლივ აამოქმედეს ფოლადი და რკინა, წმინდა ლითონები ამგვარი შემთხვევისათვის მომარჯვებული; არვინ დაინდეს; სამიათასი მუსლიმი გამოასალმეს სიცოცხლეს, თექვსმეტი შუბი მარტო სერასკირს ჩასცეს.

ქალაქი აიღეს, მაგრამ ნაწილ-ნაწილ და სიკვდილიც დათვრა სისხლით; არ მოიძებნებოდა ქუჩა, სად ვინმე არ იბრძოდა თავგანწირულად, ვისი გულისცემაც უნდა მალე შეწყვეტილიყო. აქ ომმა დაივიწყა თავისი დამანგრეველი ხელობა და დამანგრეველი ბუნება უფრო შეიძინა; და ჟღერის სიმბურვალე ჰგავდა ნილოსის მზით გახურებულ ლაფს, სად ყოველი დანაშაული მხეცურია.

და აი, რუსი ოფიცერი, მარსის მსახური, გზას მიიკვლევდა გვამებს შორის და იგრძნო რალაც ქუსლზე მოეჭიდა, თითქოს გველმა ჩასო კბილები, რომლის ეშვებმაც ევას ასწავლა თუ ვით შეეცნო ადამის თესლი; ამაოდ ტლინკავდა ოფიცერი, იგინებოდა, იკლანებოდა, სისხლი სდიოდა და ყმუოდა: მიშველეთო, — ვით მგლები ყმუიან დამშეულნი. კბილები მაგრად ჩასობოდა, თითქოს მართლაც უძველესი გველი ჩასჭიდებიაო.

მომაკვდაც მუსლიმს ეგრძნო, თუ როგორ აბიჯებდა თავზე მტერი და ჩაეჭიდა და უკბინა მყესში, რაც ყველაზე მტკივნეულია (და რასაც უძველესი მუზა და თანამედროვე გონება შენს სახელს უწოდებს, აქილევს), ასე ჩაეჭო კბილები და სიცოცხლის ფასადაც არ გაუშვებდა, და ამბობენ (ტყუიან), ცოცხალ ფეხს ჯერ კიდევ ეჭიდებოდა მოკვდილი თავიო.

რაც უნდა ყოფილიყო, ერთი რამ ნამდვილია, რუსი ოფიცერი სამუდამოდ დაკოჭლდა, რადგან თურქის კბილები შამფურზე ბასრი გამოდგა, და დაინვალიდა და დააგონჯა; ნაწილის ექიმმა ვერა უშველა თავის პაციენტს და ალბათ იგი უფრო უნდა დავადანაშაულოთ, ვინემ შეურიგებელი მტრის თავი, რომელმაც, როს მოკვეთეს, მაშინლა უშვა კბილები.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ჭეშმარიტი პოეტი ცდილობს მოერიდოს გამონაგონს, სადაც კი შეძლება; რადგან ლექსის დაცვას მეტი ხელოვნება სჭირდება სიმართლის დაკლებსაგან, ვიდრე პროზისას, თუ მოდამ არ დაისაჭიროვა ის, რასაც ხანდახან პოეტურ წყობას უწოდებენ, და უზომო მადაა ტყუილის თქმისა, რასაც სატანა შემოუსევს ხოლმე სულელებს ბუზებევით.

ქალაქი აიღეს, მაგრამ ვერ ჩაიბარეს! ვერა!

ჯერ არცერთ მუსლიმს არ დაუგდია ხმალი: სისხლი დუნაივით მოედინება ქალაქის კედლებთან; მაგრამ არც სიტყვა და არც წერილი არ მოასწავებს ან შიშსა და ან სიკვდილს მტრისას: ამაოდ გასძახიან გამარჯვების სიტყვებს მოსკოველნი, ექოდ უკანასკნელი მტრის კენესა ესმით მხოლოდ.

შუბი ჩხვლეტს და ხმალი ჩეხავს, კაცის სიცოცხლე გრომის ფასი გახმდარა, შემოდგომის გაყვითლებული ფოთლებევით ცვივიან, როს განძარცულ ტყეს ცივი ქარი დაუბერავს და ააკვნესებს; ასე კვნესოდა ხალხი ქალაქში; ჰქრებოდა კარგი და საყვარელი და შიშვლდებოდა ყველაფერი; ოღონდ ეს იყო შემზარავი დაცემა, ისეთი, მუხა რომ ეცემა ათასი ზამთრით დამძიმებული.

სამინელი თემია, მაგრამ მე არ მიყვარს შიშის მოგვრა, როცა გინდ იყოს, რადგან თუ დააკვირდები ადამიანურ ბედ-იღბალს, კარგს, ცუდს, უარესს, მელანქოლიური მხიარულებისა არ იყოს, თუ მეტისმეტად ბევრს მოყვები, ძილისმომგვრელი ხდება; ეწყინებათ თუ გაუხარდებათ მტრებსა თუ მეგობართ, მე აღვწერ სამყაროს ისეთს, როგორიც არის.

მაგრამ ერთი ქმედება აშხელა დანაშაულში „საკმაოდ გამომაცოცხლებლად“ გამოიყურება, ვით უჩვეულო ფრაზა ამ ამბროზიულ, ფარისევლურ დროში, სულ ყველა, რისა და წყლის გზებგამოვლილი, ცვარ-ნამად რომ წადგომოდა ჩემს რითმებს; ეს ქმედება ცოტა მეტრუსულია დაპყრობის ალში და მის შედეგთაგან გამომდინარე, რაც ეპიკურ პოეზიას ასე იშვიათად ხდის მდიდრულს.

ალბულ სიმარგეში, სად ათასობით დახოცილი კაცი ეგდო და აქვე — ჯერაც თბილი ჯგუფი დახოცილ ქალთა, ამაოდ რომ უძებნიათ თავშესაფარი აცახცახებულთა და გულგახეთქილთ; ამ დროს მაისივით მშვენიერი ათი წლის გოგონა ათრთოლებული ცდილობდა დამალულიყო სისხლიან ცხედრებს შორის.

ორი მდაბალი კაზაკი ანთებული თვალებითა და მზინავ იარაღმომარჯვებული მისდევდა ბავშვს; ყველაზე სამინელ-

საც კი ციმბირის მხეცთავან მათზე წმინდა გრძობები და სუფთა სინდისი აქვს, დათვიც კი ცივილიზებულია და მგელიც გულმონყალე მათთან შედარებით; ბოლო-ბოლო ვის უნდა დავაბრალოთ მათი ბუნების გადაგვარება? ალბათ მათ ბატონებს, ყველაფერი რომ ილონეს ხელქვეითთა დასაღუპავად.

მათი მახვილები აღმართა გოგონას თავზე, მშვენიერი თმა ყალყზე დაუდგა საბრალოს, თავი მკვდრებს შორის ჩარგო; ამ დროს ჟუანმა მოჰკრა თვალი ამ სამწუხარო სანახაობას, ვერ გავიმეორებ თუ რა თქვა, რადგან „თავაზიანი ყურისათვის“ არ გავიგონება, მაგრამ მოიმოქმედა კი ის, რომ მსწრაფლ მოეყვანა გონზე კაზაკები.

ერთი ბარძაყი დაჭრა და მეორე მხარში, და გაიქცნენ მხეცური ღრიალით, ეგებ სადმე ქირურგი ვიპოვოთ, რომ ეს დამსახურებული ჭრილობები მოგვირჩინოსო, კიოდნენ ტკივილისა და სიბრაზისაგან; ცოტათი დამცხრაღმა ჟუანმა კი შეაბრუნა თავისი ფერმკრთალი და სისხლიანი სახე, დასწვდა პატარა ტყვეს და ასწავლა გვამების გროვიდან, კინაღამ მის სამარედ რომ იქცა.

გოგონაც გვამებით გაციებულყო და წერილი სისხლის ზოლი მის სახეზე იუნყებოდა თუ რა ახლოს იყო მისი იღბალი მისსავე დაღუპულ თვისტომებთან; იმავე მახვილმა, რომელმაც დედა მოუკლა, გაუსერა სახე და დაუტოვა წითელი კვალი, ვითარცა ბოლო კავშირი ყველაფერ იმასთან, რაც ძვირფასი გახლდათ მისთვის; სხვა მხრივ უვნებელმა გაახილა დიდი თვალები და მეტად განცვიფრებულმა შეჰხედა ჟუანს.

და იმ წამს, რომ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა ხანგრძლივი მზერით, ჟუანის გამობედვამი აირია ტკივილი, სიამოვნება, იმედი, შიში და სიხარული, რომ შეძლო და ისხნა, და დარდიც, ჩემს მფარველობის ქვეშ მყოფს არა დაემართოს რაო; გოგონას თვალებში ბავშვური შიში იდგა, გონდაკარგული იყურებოდა; ფაიფურის ლარნაკსა ჰგავდა, წმინდას, გამჭვირვალეს, ფერმკრთალსა და მინც გასხვივსნებულს.

ამ დროს თავს წამოადგათ ჯონ ჯონსონი (არ დაუძახებ „ჯეკს“, რადგან ვულგარული გამოვა, ცივი და მდაბიური ისეთ დიად მოვლენასთან შეფარდებით, როგორცაა ქალაქის ალება, და ჩვენი ამბავიც ხომ ამაზეა), დიახ, თავს წამოადგათ ჯონ ჯონსონი, ასიოდე ჯარისკაცის თანხლებით:

— აბა, ყმანვილო! ხელი შეიხვიე, და დოლარზე დავენიძლავები მოსკოვს, რომ მე და შენ წმინდა გიორგის ორდენი დავიმსახურეთ.²⁶ სერასკირს თავი გავუხეტქეთ, მაგრამ ქვის კოშკი ჯერაც დგას, ბებერი ფაშა იქა ზის რამდენიმე ასეულ მკვდართან ერთად, მშვიდად ენევა ჩიბუხს ამ ჩვენი და მისი ქვემეხების გუგუნ-გრაღლში, ამბობენ, ჩვენი მკვდრები, ბატარეის გარშემო ჩანოლილები, უკვე ნიკაპამდე წვდებო, და ზალპი ზალპს მოსდევს, თითქოს რთველში მონეული ყურძენი იყოს. აბა მომყევი! მაგრამ ჟუანმა მიუგო:

— შეჰხედე ამ ბავშვს, გადავარჩინე და ბედის ანაბარად ვერ დავტოვებ; რაღაც თავშესაფარი რომ იყოს და ეს ცახცახკანკალი დაიცხროს, სადაც გინდა წამოგყვები.

ჯონსონმა მიმოიხედა და მხრები აიჩეჩა, სახელო და ყელსახვევი მოიქექა და უპასუხა:

— მართალი ხარ; საბრალო! რა უნდა ვუყოთ? ვერ მომიფიქრებია.

— რაც უნდა იყოს, — მიუგო ჟუანმა, — ვერ დავტოვებ, ვიდრე არ მეცოდინება, რომ ჩვენზე უსაფრთხოდ მაინცაა.

— ჩვენზე ვერ იტყვის კაცი, უსაფრთხოდ არიანო, — თქვა ჯონსონმა, — მაგრამ, სხვა თუ არაფერი, სახელოვანნი მაინც დავიხოცებთ.

— რაც არის, არის, გავუძლებ, — უთხრა ჟუანმა, — მაგრამ ამ გოგოს არ მივატოვებ, უდემამაო, მამდამე ჩემია.

ჯონსონმა უთხრა:

— ჟუან, დროს ვერ დავკარგავთ; მშვენიერი ბავშვია, ძალზე ლამაზი, ასეთი თვალები ჯერ არ მინახავს, მაგრამ მისმინე! არჩევანი მოგიწევს სახელსა და გრძობებს შორის, სიამაყესა და სიბრაღულს შორის; უსმინე! ხმაური ძლიერდება! თავს ვე-

რაფრით გაიმართლებ, როცა ასეთი აურზაურია ქალაქში; არ მინდა უშენოდ გადავიდე შეტევაზე, მაგრამ, ღვთის გულისათვის, დაგვაგვიანდება და პირველ შეტაკებას ვერ მივუსწრებთ. მაგრამ ჟუანი გაჯიუტდა.

მაშინ ჯონსონმა, ვისაც იგი მართლაც უყვარდა თავისებურად, გამოაცალკევა თავის ხალხში რამდენიმე გამორჩეული, მისი აზრით — ნაკლებ დახარბებული ნადავლს, და დაიფიცა, თუ ბავშვს რამე დაემართება, ხვალვე ყველას დაგხვრეტო, ხოლო თუ სალსალამათს ჩამაბარებთ, სულ ცოტა ორმოცდაათ მანეთს მიიღებთ. და ნაალაფარიდანაც თანაბრად გარგუნებთო.

ამის მერე ჟუანი დათანხმდა მასთან ერთად ქარ-ცეცხლში შევარდნას, რაც ყოველ ნაბიჯზე ათხელებდა მათ რიგებს; და მაინც დანარჩენი ჟინიანად უტყვევდნენ და, რა გასაკვირია, მოსახვეჭს ელოდნენ, ასეთი რამ ყოველდღე და ყველგან ხდება, არცერთი გმირი არ ყაბულდება ნახევარ ხელფასს.

აი, ასეთია გამარჯვება და ასეთია კაცი! ბოლო-ბოლო, ცხრა მეათედი იმათგან, ვისაც ასე ვუნოდებთ; უფალს შესაძლოა სხვა სახელი აქვს ნახევარისთვის მათგან, ვისაც ადამიანს ვუნოდებთ, ან შეუცნობელია საქმენი მისნი.

მაგრამ ჩვენს სიუჟეტს დავუბრუნდეთ: მამაცი თათარი ხანი,²⁷ — ან „სულტანი“, როგორც ავტორი უწოდებს (იმ პროზაული ნაშრომისა, მე რომ ლექსად გარდავთქვი) ამ ხელისუფალს — როგორღაც დანებებას არ აპირებდა;

გარშემორტყმულმა ხუთი მამაცი ვაჟიშვილით (ასეთია პოლიგამია, ქვირითივით ჰყრიან მეომრებს იქ, სად არავინ ისჯება ორცოლიანობისა გამო), ცხადია, იცოდა, რომ ქალაქს ველარ გადაარჩენდა, მაგრამ მამაცობის ძაფი არა წყდებოდა.

პრიამოსის, პელეგისის ან ზეგისის შვილებს აღვენერ? არა, არცერთისას, მხოლოდ ერთი კარგი, პატიოსანი, ზომიერი ბერკაციცაა, რომელიც წინა რიგებში იბრძოდა ხუთ ვაჟიშვილთან ერთად.

მიზანი მისი ტყვედ ჩადგება გახლდათ. ჭეშმარიტ ვაჟკაცთ, როს ვაჟკაცს გასაჭირში ხედავენ, სურვილი იპყრობთ დაიცვან და გადაარჩინონ; გმირები ველურ მხეცთავს ჰგვანან და ნახევარდემრთთაც, ხან მძვინვარებენ ზღვასავით, ხანაც სიბრაღული თიანყრობთ; ხან უძრავი ხეც გადაიხრება ზაფხულის ქარში, შენაღობობა ენევა ხოლმე ველურ გონებას.

მაგრამ იგი არ ნებდებოდა, და დანებების მოწოდებებს იმით პასუხობდა, რომ მარჯვნივ და მარცხნივ აწვენდა ქრისტიანთ, ისევე ვით უჯიათი შვედი ჩარლზი ბენდერის ბრძოლაში.²⁸ სულთნის ხუთი ვაჟიშვილიც არანაკლებ ზიანს აყენებდა მტერს. ამასობაში რუსთა განწყობამ დაჰკარგა სინაზე და სიქველე, მინიერი მოთმინების საწყაული აღივსო და გადაიზარდა წვრილ კაპასობაში.

ჯონსონისა და ჟუანის ჯიბრზე, მთელი თავისი აღმოსავლურ სიტყვათა მარაგი რომ დახარჯეს, ევედრებოდნენ ღვთის გულისათვის, არნმუნებდნენ ბრძოლის უაზრობაში, და რომ მათთვის პატივი იქნებოდა ასეთი მტრის დანდობა, სულთანმა ხმლით ჩეხვა ამჯობინა, თეოლოგიის დოქტორებივით, სკეპტიკოსებს რომ ეკამათებინ, და ლანძღვა-გინებით გადაჰკრა ხმალი მეგობრებს, აი, ბავშვები რომ სცემენ ხოლმე თავიანთ აღმზრდელთ.

ორივე დაჭრა, ჯუანიცა და ჯონსონიც, მართალია მსუბუქად, მაგრამ ორი დაეცა, ერთმა ამოიკვნესა, მეორემ წყევლა შეუთვალა ასეთ ბრაზიან სულთანობას და აურზაურიც დაინყო, ყველა განარისხა ამ ურჯულოს ვერაგობამ და წვიმასავით დაატყდნენ თავს მას და მის შვილებს, მათ კი ისეთივე წინააღმდეგობა გასწიეს, ვითარცა ქვიშიანმა დაბლობმა, რომელიც სვამდა და მაინც მშრალია.

ბოლოს ყველანი დაიღუპნენ: მეორე ვაჟი ტყვიამ იმსხვერპლა, მესამე ხმალი, მეოთხე, ყველაზე საყვარელი ამ ხუთთაგან, ხიშტებზე აღესრულა, მეხუთე ქრისტიანი დედისაგან ჰყავდა და არ დაენახებოდა, არ უყვარდა, გონჯი გახლდათ, მაგრამ თავი კი გასწირა თავისი ბატონის გადასარჩენად, რომელსაც რცხვენოდა მისი გაჩენა.

უფროსი ვაჟი ჭეშმარიტი და მოურჯულელებელი თათარი იყო. ისევე სძულდა ნაზარეველნი, ვით ოდესღაც მუჰამედი გამოარ-

ჩვედა ნამებულს; შავთვალემა და მწვანეში გამონწყობილი გოგონები წარმოესახა, ვინც მათთვის შლიან ლოგინებს, ამქვეყნიური სამყოფელი რომ აღარ სჭირდებათ, სამოთხე ურჩევნიათ, იქაურ პურიებს ამჯობნიებენ, ყველაზე დამატკობელთ.

და თუ რას უპირებდნენ ზეცაში ახალგაზრდა ხანს, არცა ვუნცი და არც მიხვედრას დავეშურები; მაგრამ უსათუოდ ახალგაზრდა, მოხდენილი კაცი ურჩევნიათ მოხუცებულ, კერკეტ გმირებს, და არაფერს დააკლებენ; და ამიტომაცაა უეჭვო, რომ თუ ბრძოლის პირქუშა და უდაბურ ველს გადავხედავთ, ერთ ქარტეხილებგამოვლილი, გაუხეშებული ველერანისა გვამზე ათი ათასი კოხტა, სისხლიანი ცხედარი მოდის.

თქვენს პურიებსაც ბუნებრივად სიამოვნებთ ახალდაქორწინებულ კაცთა განწყვეტა მანამდე, სანამ ქორწინების საათი მიიწურებოდეს და სევდიანი, მეორე მთვარე გაფერმკრთალდებოდეს, ანდა მონანიება მოიცლიდეს მოსაწყენი და გულსგამანვრილებელი აღსარებისათვის და კვლავ უცოლობას ინატრებდეს კაცი დროდადრო. და თქვენი პურია კი (შესაძლოა) უკვე მსჯელობს ახალშემოსული ნაყოფის მოსავალზე.

და ჭაბუკმა ხანმაც პურიები წარმოისახა და აღარც გახსენებია ოთხი ნორჩი პატარძალი, ისე გაექანა პირველი ზეციური ღამისათვის, მოკლედ, რაც უნდა გაგვეპრანჭოს ჩვენი იღბალი, უნდა ვიცოდეთ, რომ მუსლიმები იმ შავთვალემა პური-ათათვის იბრძვიან და, თუმც მარტოდენ ერთი ზეცა არსებობს და მის მიღმა არაფერია, მაინც, თუ ყველაფერი მართალია, ზეცისა და ჯოჯოხეთის შესახებ რაც გვსმენია, ექვსი ან შვიდი ზეცა უნდა არსებობდეს.

და ისე მკაფიოდ დაჩნდა აჩრდილი მის თვალწინ, რომ გულში ხიშტგარჩობილმა შეჰყვირა „ალაჰ!“ და სამოთხე იხილა მთელი მისი მისტერიებით და ნათელი მარადისობა, შეუნიღბავი მისი სულისათვის უსაზღვრო მზის ამოსვლა, წინასწარმეტყველნი, პურიები, ანგელოსნი, წმინდანები მოჩანდნენ ღვთაებრივ ნათელში.

და სახეზე ღვთაებრივნიშანი მოხუცი ხანი, ვინც პურიებს კი ხანია ველარ ხედავდა და აღარც უნდა ენახა თავისი აყვავებული მოდემის შემყურეს, კედლებით რომ ერთმოდენენ გარს ძლევაშოსილნი, როს დაინახა მისი ბოლო გმირის დანარცხება მინაზე მოჭრილ ხესავით, წუთით შედგა, შეწყვიტა ბრძოლა და გადაჰხედა მოკლულ შვილებს, პირველსა და ბოლოსას.

ჯარისკაცები, რომ დაინახეს მახვილი დაუშვაო, შედგნენ, თითქოს კიდევ ერთხელ სურდათ გაცლოდნენ აქაურობას, თუკი ეტყოდ, „გამეცალეთ!“²⁹ ვით თავიდან უბრძანა, ველარც მათ ხედავდა და ველარც მათ ქმედებას, მისი გული საგულედან ამოვარდნილიყო³⁰ და ირწუნოდა (აქამდე უძრავი) ვითარცა ლერწამი, და იგრძნო, თუმც სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, რომ მარტო გახლდათ.

მაგრამ ეს წამიერი ყოყმანი იყო;... ისკუპა და მკერდით აგეო რუსულ ფოლადზე, ისე დაუდევრად, ვითა პეპელა აფარფატებს თვის ფრთებს სანთლის შუქზე: ახლოს მიიჭრა, რომ უფრო შეჯგუფულიყვნენ მის მოსაკლავად, იმ შუბებთან, მისი უმცროსი ვაჟი რომ იმსხვერპლეს, ერთი გადახედა თავის ვაჟებს და ღრმად ამოუშვა სული თვისი.

მეტად უცნაურია, რომ უხეში, გამოჯეკილი ჯარისკაცები, ვინც არც სქესის გამო ინდობდნენ არავის და არც ასაკისა, თავიანთი კაცთაკვლის კარიერის მანძილზე, ამ ბერიკაცის ხიშტზე აგების შემდგომ, როს თავის შვილთა გვერდზე მწოლიარეს დაჰყურებდნენ, შეიძვრნენ მოკლულის ჰეროიზმით და წუთით მოლბნენ; თუმც ცრემლი არ გაჩენილა მათ სისხლიან, ნითელ თვალებში, მაინც პატივი მიაგეს ასეთ შეუპოვარ დათმობას სიცოცხლისას.

მაგრამ ქვის სიმარე ჯერაც აფრქვევდა ცეცხლს, აქ მთავარი ფაშა დინჯად იცავდა თავის პოსტს; ოცჯერ მაინც დაახევიანა რუსებს და აინუნიაც არ აგდებდა მრავალრიცხოვნებას მტრისა; ბოლოს კეთილი ინება და იკითხა:

— ქალაქის დანარჩენი ნაწილი დგას თუ დაეცა?

და როს შეიტყო, დაეცაო, ერთ-ერთი ბეი გაგზავნა რიბასთან მოსალაპარაკებლად.

თვითონ კი იჯდა ფეხმორთხმით მცირე ხალიჩაზე, ალუმფოთველად, ნანგრევებში და ეწეოდა თამბაქოს.

ტროას ასეთი სცენა არ უხილავს; საბრძოლო სტოიზმით აღსავსეს.

ვერაფერი ამდღერევედა მის მკაცრ ფილოსოფიას; ნაზად ივარცხნიდა წვერს და ამბროზიულ ბოლქვებს უშვებდა ჩიბუხნიდან, თითქოსდა სამი სიცოცხლე აქვს, ვითა სამი კუდიო.³¹

ქალაქი აიღეს და დანებდებოდა და ჩააბარებდა თუ არა კომეს, დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა; ჯიუტი სიმამაცე ფარად ველარ გამოადგებოდა.

იზმაილი აღარ არსებობდა! ნახევარმთვარის ვერცხლისფერი ნათელი ჩაქრა და ალისფერი ჯვარი კამკაშებდა ბრძოლის ველზე, ნითელი სისხლი მუწურებლივ მოჩქევდა, და მოგიზიგზე ქუჩათა ანარეკლი მოჩანდა ჟღერისაგან წარმოქმნილ სისხლის ზღვაში, ვითარცა მთვარე მოჩანდა მანამდე წყალში.

ყველაფერი, რასაც გონება განაგდებს, ზედმეტობისა გამო; ყველაფერი, რასაც სხეული ცუდად მიიჩნევს; ყველაფერი, რასაც ვკითხულობთ, გვესმის, ხილვად გვევლინება კაცის ხიფათზე; ყველაფერი, რასაც ეშმაკი დაგვმართებს ჭკუაზე შესაშლელად; ყველაზე უარესი, რაც კალამს შეუძლია აღწეროს; ყველაფერი, რითაც ჯოჯოხეთი ივსება ხალხით ანუ ჯოჯოხეთზე უფრო სევდიანი, ოდეს უბრალო მოკვდავნი თვის ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ, ყველაფერი ეს აქ ხდებოდა.

ეგებ აქა-იქ შემთხვევითი ნიშნები გამოჩნდა სიბრალული-სა და რომელიმე კეთილშობილმა გულმა შეიკავა სისხლისღერის ჟინი და გადაარჩინა ღამაზე ბავშვი, ან ხნიერი კაცი, ეგება ორიც... ეს რას უშველიდა გაპარტახებულ ქალაქს, სად ცოცხლობდა ათასობით სიყვარული, კავშირები, მოვალეობანი?

ლონდონელო კოკნი! პარიზელო მასკადინო!³² იხილეთ თუ რა ნეტარი დროსტარებაა ომი.

გახსოვდეთ, რომ გაზეთის კითხვით მოგვრილი სიხარული მოტანილია აგონიითა და დანაშაულით: და თუ არც ეს დამანუხრებთ, ნუ დაივნიყებთ, რომ ასეთი ბედისწერა თქვენც მოგელთ მომავალში და ამის მაუწყებელია გადასახადები, კასლრი და ვალები, კაი ქადაგებასავით ისმის და რითმასაც წაეშველება.

ჰკითხეთ საკუთარ გულს ირლანდიის დღევანდელი ამბები, და მერე გამოაძლეთ დამშეული ერი ველსლის დიდებით.

მაგრამ ჯერაც აქ არის პატრიოტი ერი, ვისაც უყვარს თვისი სამშობლო და თვისი მეფე, საგანი ამაღლებული აღფრთოვანებისა აიტაცე, მუზავ, შენს კამკაშა ფრთებზე! თუმც მძლავრი კალია გაპარტახებისა ამიშველებს შენს მინდვრებს და ანადგურებს მოსავალს, მაგრამ ჩონჩხადქცეული შიმშილი ვეროდეს მიაღწევს ტახტამდე, დაე იშიმშილოს ირლანდიამ, დიადი ჯორჯი მაინც იწონის ორასოთხმოც ფუნტს.

მაგრამ ნება მიბოძეთ დავასრულო ჩემი ამბავი:

ბოლო მოელო იზმაილს, ბედუკუდმართ ქალაქს! შორიდან ჩანდა დუნაის პირას აგიზგიზებული მისი კომპები. განითლებული მიედინებოდნენ დუნაის ტალღები. შემზარავი საომარი შეძახილები და მსხვერპლის კივილი ჯერაც ისმოდა; მაგრამ ქუხილის ხმა შენელდა, ორმოცი ათასი ზალპიდან, კედლებს რომ ანგრევდა, ასოდელა შემორჩა, დანარჩენები დუმდნენ.

ერთი მხრივ შეიძლება შევაქოთ რუსეთის არმია ამ შემთხვევაში; ეს სიქველე დაფასებულია დღეს და ღირსია მოხსენიებისა. საკითხი ფაქიზია და ჩემი სიტყვებიც ფრთხილი იქნება; ეგებ ცივი ამინდისა გამო, ეგებ იმიტომაც, რომ დიდხანს დაბინავება უჭირდათ ზამთრობით, ან დასვენება სურდათ და სურსათიც აკლდათ, ჟინი დაიცხრეს და ძალზე ცოტა იძალდნენ და ძარცვეს.

ბევრი დახოცეს, ბევრი ძარცვეს და აქა-იქ არანაკლები სხვა დანაშაულიც ჩაიდინეს, მაგრამ ისეთი დიდი უბედურება არ დაუთვიათ, ვითარცა ფრანგები, ეს ყველაფერს მოდებული ერი რომ სჩადიოდა ქალაქთა მტურმით აღებისას; არ შემოძლია მეტი მიზეზი დავასახელო, გარდა ცივი ზამთრისა და სიბრალულისა; მაგრამ ოციოდე ქალზე მეტს არ დაუკარგავს ქალწულობა.

ცოტაოდენი უცნაური შეცდომა კი მოხდა სიბნელებში, რაც მიანიშნებს ფარნების საჭიროებას ან გემოვნებისა... მართ-

ლაც რომ ისეთი ბოლი იდგა, ძნელად განასხვავებდი მოკეთეს მტრისაგან; ამასთან, ასეთი რამეც ხდება სიჩქარეში, იშვიათად, მაგრამ მაინც, მაშინაც კი, როს უმანკოთა გადარჩენა სურთ; მაგრამ ექვსი მოხუცი ქალწული, ასე სამოცდაათი წლისა, კი შემოეუპატიურათ ხელში გრენადერებს.

მაგრამ საერთოდ კი დიდად თავშეკავებულად იქცეოდნენ; იმდენადაც, რომ იმედი გაუცრუვდათ მათ, ვისაც დიდად არ ეპრიანება „მარტოხელა დლოცვილობაში“³³ ცხოვრება და ფიქრობენ, კარგი იქნებოდა (რაკი მათ არ დაბრალდებოდათ, არამედ ბედის მუხთლობას ამ ჯვარის ტარება) თვითეული მორცხვისა და უნიათოსათვის თითო რომაული ჯურის საბინური ქორწილიო, ასე რომ, არც ფული დაეხარჯებოდათ სარეცლის დაქირავებაში.

აქა-იქ შუახნის ჩამრგვალებულ ქალთა ხმებიც გაისმოდა ლოცვა-ვედრების შუაგულიდან (ორმოციოდე წლის დიდი ხნით გამოკეტილი ქვრივებისა):

— რატომ არ იწყება ძალადობა!³⁴

მაგრამ როს სისხლისა და ძარცვის წყურვილი ზეობდა, ცოტა დრო რჩებოდა გადამეტებული ცოდვისათვის; და გადაურჩნენ თუ არა, ტყუილ-მართალი ბნელში რჩება და იმედოვნებალა შემოძლია, რომ გადაურჩნენ.

სუვაროვი ახლა უკვე დამპყრობი გახლდათ, ხელობით მსგავსი თემურისა თუ ჩინგიზისა. და ვიდრე მის თვალწინ მეჩეთები და ქუჩები ჩალასავით იწვოდა და ქვემეხის ხმა ოდნავ წყნარდებოდა, სისხლიანი ხელით დანერა პირველი დეპეშა; აი, რას წერდა სიტყვა-სიტყვით:

„დიდება ღმერთსა და იმპერატრიცას! (ძალაუფლება მარადიულია! მასში ეს სახელებიც ერევა!) იზმაილი ჩვენია.“³⁵

ფიქრობ, ეს უდიადესი სიტყვებია, „მენე, მენე, თეკელ“ და „უფარსინ“-ის შემდგომ³⁶ მათ შორის, რომელნიც ვინმეს ხელსა თუ კალამს ალუბეჭდავს მახვილის ტრიალის შემდგომ.

ღმერთო მიშველე! მღვდელზე ნაკლებად ვიცი, თუ რა ნაიკითხა დანიელმა ღვთის დანერილი, მკაცრი, ამაღლებული; წინასწარმეტყველს არ დაუნერია არაფერი ერების ბედისწერაზე; მაგრამ ეს რუსი ისერიგად გამჭრიახი გახლდათ, შეეძლო გაერითმა, ნერონივით, მოგიზგიზე ქალაქის ხილვისას.

მან დანერა და შეასრულა ეს პოლარული მელოდია, შესაფერი აკომპანემენტით კივილისა და კენესისა, რასაც ცოტა თუ იმღერებს, ვიმედოვნებ, მაგრამ არავის დაავინწყებდა, რადგამ მე ვასწავლი ქვებს, თუკი ეს შესაძლებელია, აღსდგენ ტირანთა წინააღმდეგ. დაე ნულარასოდეს ითქმის, რომ უნდა მონურად დავემორჩილოთ ტახტებს; და თქვენ, ჩვენო შვილიშვილო! შეაფასეთ თუ რარიგ აღვწერეთ მოვლენები, ვიდრე სამყარო გათავისუფლდებოდა.

იმ საათს ჩვენ ვერ მოვესწრებით, მაგრამ ამ საათებს კი თქვენ გაეცნობით; და დიდ სიხარულს მოგვგვრით თქვენს ათასწლეულში, ძლივძლივობით თუ დაიჯერებთ, რომ ეს ყოველი მართლა ხდებოდა, და მე კი კალმით აღვწერ თქვენთვის; მაგრამ მათზე მოგონებაც შეიძლება, რომ ვაჭქერს! და მაინც თუ შემორჩა, უნდა გაგადეთ იმაზე მეტად, ვიდრე გარდასული დროის ველურები გაძაგთ, ვინც მკლავებს კი იღებავდნენ, მაგრამ არა სისხლით.

და როს გესმით ისტორიკოსთა ლაპარაკი ტახტებისა და მათ შესახებაც, ვინც მათზე ისხდნენ, დაე ისე უყურებდეთ, ვითარც ჩვენ ვუყურებთ მამონტთა ძვლებს, და გვიკვირს წარსული დროების არსებანი, ან ეგვიპტის ქვებზე ამოკვეთილი იეროგლიფები, სასიამოვნო გამოცანად რომ დაუტოვებიათ მომავლისათვის, რათა გამოვიცნოთ თუ რას მალავენ ისინი, ანთუ სინამდვილეში რა დანიშნულება აქონდათ პირამიდებს.

მკითხველო, მე შევასრულე ჩემი სიტყვა, სხვა თუ არააფერი, პირველ ქებაში დანაპირები ხომ შევასრულე. თქვენს წინაშე ამბები სიყვარულისა, ქარიშხლისა, მოგზაურობისა, ომისა... ყველაფერი ზედმიწევნით აღვწერე, დამეთანხმებით, და ეპიკურადაც, თუკი ნაღდი სიმართლე არსად შემიზღუდავს; რადგან ჩემს წინამორბედებზე გაცილებით ცოტაზე მოვიხიდე გრძელი მშვილდი.

დაუდევრად ვიმღეროდი, მაგრამ დროდადრო ფეხებს მანვადის ხოლმე ლარს, რითაც შემოძლია არფა გავემართო, ვითევზაო და ვიოლინოზე დავუკრა.

თუ რა შეიძლება შეემთხვეს შემდგომ ამ დიდი პოეტური გამოცანის გმირს, ნელ-ნელა გეტყვით, თუ საერთოდ მოვახერხებ; მაგრამ ახლა გადავწყვიტე შუაზე გავწყვიტო, დამქანცა იზმაილის ჯიუტი კედლების დაბომბვამ მაშინ, როს უუანი გაგზავნილია შიკრიკად და მთელი პეტერბურგი ამბის მოლოდინშია.

ეს განსაკუთრებული პატივი ერგო, რადგან მამაცურადაც მოიქცა და ადამიანურადაც, რაც ხალხს მოსწონს, როს მონდომებენ შეაჩერონ სისასტიკე, შობილი ამაოებისაგან. პატარა ტყვე გოგონას გადარჩენამ ქება მოუტანა ამ მხეცურ, გადარწმუნებულ ფლელაში, და, მგონი, ამ გოგონას გადარჩენა უფრო უხაროდა, ვინემ წმიდა ვლადიმირის ორდენისა ჩამოკიდება.

ობოლი მუსლიმანი თავის მფარველთან ერთად მგზავრობდა, რადგან უბინაო გახლდათ, უსახლო, უსასო; მისი მეგობრები ჰექტორის ოჯახივით დაიღუპნენ ველსა ან კედლებზე; მისი დაბადების ადგილი აჩრდილია იყო წინანდელისა; აღარ ისმოდა მუეძინის ხმა! უკვე აღარ ისმოდა ლოცვა, ყუანს შეებრალა და ფიცი დასდო, დაეფარა, და სიტყვა შეასრულა.

ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

შენიშვნები:

(გამუქებული კომენტარები ლორდ ბაირონს ეკუთვნის)

1. მუსლიმანთა საომარი შეძახილი, მახვილი მოუდის ბოლო მარცვალზე, რაც განსაკუთრებით ველურ ხშიანებას იწვევს (ბაირონი პირველად არ იყენებს ამ საომარ შეძახილს; იხ., „გაიური“, 734; „კორინთოს ალყა“, 668 (მთარგმ.)

2. უილიამ უორდსუორთის „ოდა მადლიერების დღესასწაულს“: „მაგრამ შენი (უფლის) ყველაზე უფრო საშინელი იარაღი, რომელიც სუფთა განზრახვით მუშაობს, ერთურთის დასახოცად შეიარაღებული კაცებია; დიახ, ყლელტა შენი ქალიშვილია!“

3. ეს ფაქტია; იხილეთ ვატერლოოს გაზეთები. მახსოვს, მაშინ მეგობარს მივწერე: „აი, სახელგანთქმულობა! კაცი დაიღუპა, სახელად გროუსი, დაბეჭდეს კი გროუსად“. დალუპული ჩემი თანაკოლეჯელი იყო, სასიამოვნო, ჭკვიანი კაცი, მასთან ურთიერთობა უხაროდათ მისი მახვილონიერების, მხიარულებისა და „Chansons à boire“ გამო.

4. იხ. გენერალი ვალენსი და სერ ლორენს პარსონსი (ფილოლოგები, მაიორი (შემდგომ გენერალი) ჩარლზ ვალენსი (1721-1812) და სერ ლორენს პარსონსი (შემდგომ როსის გრაფი) (1756-1841) ირლანდიელი პატრიოტები იყვნენ. პარსონსი, როგორც პარლამენტის წევრი დუბლინის უნივერსიტეტიდან, წინააღმდეგი იყო ინგლისთან გაერთიანებისა 1801 წელს. კვლევებმა ისინი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ირლანდიელები კართაგენელებს ენათესავებოდნენ და, ამრიგად, უფრო ძველი და სუფთა სისხლისანი იყვნენ, ვიდრე ინგლისელები (მთარგმ.)

5. პორტუგალიური ანდაზა ამბობს, ჯოჯოხეთი მოკირწყლულია კეთილი ზრახვებითო.

6. ლონდონში, პელ მელის ქუჩაზე განლაგებული იყო სათამაშო სახლების უმრავლესობა და ჯერაც კლუბური ცხოვრების ცენტრია.

7. ამბობენ, რომ თოფისწამალი სწორედ ბერმა, ძმა ბეკონმა გამოიგონა.

8. ეს არ არის სამხედრო ტერმინი, ალბათ უფრო კლუბური ტერმინია, სადილობისას ხორცის მოჭრას და შემდგომ მიბრუნებას და კვლავ ჩამოჭრას გულისხმობს.

9. ფსლმ. 22, ვიდოდი ლათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან — ამთ ნუგემინის-მცეს მე. სუ-ვოროვის მიერ იზმაილის აღების კონტექსტში ფსალმუნის მოხმობა, რა თქმა უნდა ირონიულია, რადგან ამ გზაზე დამდგარი ჯარისკაცები ეშმაკის კერძებად მიაჩნია ბაირონს.

10. ჰენრი IV, I, iii

11. ჰამლეტი, III, i: მთელი სტრიქონი ასეა ივანე მაჩაბლის თარგმანში — „იქ, იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება“.

12. იგულისხმება ბარონი მენო ვან კოპორნი (1641-1704) პოლანდიელი სამხედრო ინჟინერი, ფრანგი ვაჟბანის რანგის სპეციალისტი. მისი ხსენებით ბარონი ირონიულად მიანიშნებს, რომ იზმაილის ფორტიფიკაციებს აშენებდა ფრანგი ინჟინერი, მაგრამ დაასრულა არაკვალიფიციურმა თურქმა ინჟინერმა.

13. ბაირონმა იცის თუ რა მოუტანა რევოლუციამ საფრანგეთს, მაგრამ მინც ჯიუტად იმეორებს უტოპიურ თვალსაზრისს, რომ რევოლუციას შეუძლია დაცემული ადამიანის გამოსწორება.

14. შდრ. პირველი კორინთელთა მიმართ, 13, 11: როდესაც ვიყავი ყრმა, ვიტყვოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობისდროინდელს. როგორც ვხედავთ ბაირონი ომს არ მიიჩნევს ყრმობისდროინდელ მოვლენად.

15. რუსო, „ჟიული, ანუ ახალი ელოიზა“, თ. I, წერილი V, რუსოს ალუზია ბაირონის რომანტიკულ განწყობილებაზე მიუთითებს.

16. ბეზონელი (Bezonian) დამახინჯებული იტალიურია (bisognoso) და ნიშნავს „ლატაკ არამზადს“. ჰენრი IV, II, Y, iv; პისტოლი: ლივორიად იმ დროს ბალტიისპირეთის მხარე მოიხსენიებოდა, დღევანდელი ესტონეთი და ლატვია.

17. ამერიკელი გენერალი, დენილ ბუნი (1735-1820), ვინც მართლაც ტყემი დაესახლა, შედარებულია ველინგტონს, სუვოროვსა და სხვებს. მკვლევარები დავობენ, თუ საიდან უნდა აელო ეს ამბავი ბაირონს.

18. ბუნი ოთხმოცი წლისა გარდაიცვალა. 19. ჯონ კირლი, ჰერფორდშირის მინათმფლობელი, ცნობილი ფილანტროპიითა და მოკრძალებული ცხოვრებით.

20. კავალერი ამ შემთხვევაში დიდი შენობაა, აგებული ქვემეხთა და თოფების განსათავსებლად.

21. ეს იყო სამხედრო ნაწილი, გამწესებული წინა ხაზზე და, ამრიგად, განწირული დასაღუპავად.

22. ამგვარი სახელწოდებით იზმაილის აღებას ტროას მსგავსი ეპიკურთა ენიჭება. გაიხსენეთ ტროას ჭიშკრების სახელწოდებანი და აღწერილობანი „ლიადაში“.

23. თავდაპირველ ვარიანტში ყოფილა: საბედისწეროა მეომრებისა და ქალებისათვის, — მაგრამ მერი შელის უარი უთქვამს ამ სტრიქონების გადწერაზე და ბაირონს შეუცვლია ანტიქალური სტრიქონი... ანტიეპიკურით. 1822 წლის 19 ივლისს, ლონდონში, ჰაიმარკეტზე, სენტ ოლბანის რაიონში, ფუნდუკ უაით ლაიონში, ნესრიგის დამცველებს დაუკავებიათ ღირსი პერსი ჯოსელინი, ირლანდიის, კლოგერის ეპარქიის ეპისკოპოსი, ვისაც სამარცხვინო ქმედებაში წაასწრეს რიგითი ჯეიმზ მოვერლისთან. ეპისკოპოსი გაქცევას შეეცადა, მაგრამ სამოსმა შეუშალა ხელი. დაკავებულმა გირაოთი დაიხსნეს

სასამართლოსგან თავი და ეპისკოპოსი ინგლისიდან გადახვეწილა. ამ სკანდალმა დიდად გაახარა უღმერთო რადიკალები.

24. სამხედრო მინისტრი თურქულ არმიაში. პოტიომკინის წერილში იზმაილის სერასკირი მოხსენიებულია აიღოს მეჭმეთად.

25. იზმაილში მყოფი თურქული ჯარის მთავარსარდალი თათარი არ ყოფილა, ბაირონს ალბათ რითმისათვის დასჭირდა.

26. რუსული სამხედრო ჯილო.

27. თათარი ხანისა და მისი ხუთი ვაჟის ამბავი იზმაილის ქრონიკებიდან არ არის აღებული. ეს არის ამბავი ქრისტიან ლათინუსისა და მისი ვაჟებისა, ტორკვატო ტასოს „გათავისუფლებული იერუსალიმიდან“ (ქება IX)

28. პოლტავის ბრძოლაში (8 ივლისი 1709) დამარცხების შემდეგ შედეგის მეფე კარლოს XII-მ დნეპრი გადალახა და თურქთა ტერიტორიაზე, სოფელ ბენდერში დაბანაკდა სამასობედ მხლებელთან ერთად. თურქებმა ალყა შემოარტყეს და დანებება მოსთხოვეს, მან უარი განუცხადა და მამაცურად იცავდა თავს, ვიდრე ტყვედ ჩაიგდებდნენ.

29. იხ. მაკეტეი, I, iii, ქართულ თარგმანში ეს მიმართვა გამოტოვებულია.

30. შდრ. ჰამლეტი, I, v, ორიგინალშია: out of joint (ამოვარდნა), ქართულ თარგმანში ასეა: კავშირი დაირღვა.

31. ფაშა რანგი განისაზღვრებოდა ცხენის კუდებით, რომელსაც თავის ალაშზე ამაგრებდა. ეს ფაშა სხვებზე მაღლა იდგა. იმავეს წერს ბაირონი „აბიდოსელ პატარძალში“.

32. საშუალო კლასის ახალგაზრდები, ვინც იაკობინური ტერორის დამხობის შემდეგ სანკიულოტებს სდევნიდნენ და ხოცავდნენ. ბაირონი მათ შეუპირისპირებს ლონდონში მდებარე, კოკნის.

33. შდრ. „შუა ზაფხულის ღამის სიზმარი“, I, i.

34. ეს სუბრობა ორჯერ არის მოხმობილი სერ უოლტერ სკოტის ჩანანერებში; 1745 წელს, მთიელთა თავდასხმის დროს, ხმა გავრცელდა, მთიელები ყველა ქალს აუპატიურებენო, კარლაილიმ ცხოვრები წივირით ქალი ჩაკეტოდა თავის საძინებელში და მორჩილად ელოდა თუ რა მოხდებოდა. ხანი რომ გამოხდა და არავინ შეეჭრა, მორიდებით გამოიხედა გარეთ და იკითხა: „გათავყა, ვერ მეტყვით, როდის იწყება გაუპატიურება?“

35. ცნობილია, რომ სუვოროვმა გარიტული კოშტარი გაუგზავნა ეკატერინე მეორეს: „სლავა ბოგუ, სლავა ვამ, კრუჟსტე ვზიატა, იია ტამ.“

36. დანიელი 5, 25-8. ბაირონს ლექსი აქვს დანიელი ამ თემაზე, იხ. ებრაული მელოდები.

როცა ნიგნები ავტორებს ემსგავსებიან

მოგ ზაურობა უყვარდა **ლუის ვაჟ დე კამონენს**.

ხშირ შემთხვევაში ფათერაკებით მთავრდებოდა მისი სახლვაო თუ სახმელეთო ვოიაჟები.

ყოველივე ეს გამახსენა „ჩვენი მწერლობის“ წლებადეულ 21-ე ნომერში დაბეჭდილმა მშვენიერმა წერილმა, რომელიც **ეკატერინე ტუკაძის** კალამს ეკუთვნის. ნოველასავით იკითება ნიჭიერი ჟურნალისტის მიერ გადმოცემული ამბავი — ექსპოზიცი, კულმინაცია, კვანძის გახსნა — პროზაული ნაწარმოების ყველა კანონი დაცულია.

ამბავი კი ეხება პორტუგალიური ლიტერატურის კლასიკოსის კამონენის ეპოსის „**ლუზიადები**“ ქართული გამოცემის გაგზავნას ავტორის სამშობლოში. ნიგნი დიდი ხანი არ არის, რაც დამიბეჭდა ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ, რედაქტორობა თავა ჩაუმუხლავდა როსტომ ჩხეიძემ (მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო — რომ არა ბატონი როსტომის მოწადინება, ჩემს თარგმანს ალბათ კარგახანს არ ეღირსებოდა დღის სინათლე).

მოკრძალებული ტირაჟის მიუხედავად, პოეტური ფორმით — ოქტავებით (და არა სონეტებით, როგორც ერთი ლიტერატორი წერს წლების წინათ დაბეჭდილ სტატიაში კამონენის შესახებ) — გადმოცემული თავგადასავალი ვასკო და გამას ისტორიული მნიშვნელობის მოგზაურობისა, ასე თუ ისე, გაიგო ქართველმა მკითხველმა. ნაწილი მაღაზიებში გავიდა, ნაწილი გავაჩუქეთ, რეცენზიების სახით დადებითი გამოხმაურებები გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში.

გაჩნდა პრობლემა — როგორ გავგვეგებინებინა ჩვენი ჰიპოთეტური ნათესავების — პორტუგალიელებისთვის მათი ხელი-ხელსაგომანები ნიგნის ქართულად ამეტიყველების ამბავი, როგორ მიგვეწოდებინა მათთვის ქართული „ლუზიადები“.

პირველმა ცდამ ფიასკო განიცადა.

ერთ დღეს ჩვენი ახლობელი მოჭადრაკე ქალბატონი მეუბ-

ნება: „გავემგზავრები ლისაბონს“ (ზუსტად ისე, როგორც ნაირა გელაშვილი ამბობს „მივემგზავრები მადრიდს“).

აგაშენა ღმერთმა-მეთქი. აი, ეს ნიგნი ნაუღე პორტუგალიელებს, როგორც ქართველი ხალხის საჩუქარი, ვუთხარი და მობოდიშებით გადავეცი საკმაოდ სქელტანიანი არმაღანი.

უარი არ უთქვამს. ნაილო.

მოგ ზაურობა უყვარდა კამონენს.

ჩემ მიერ თარგმნილი „ლუზიადები“ ჩავიდა პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში, გაიუღინთა იქაური ჰაერით... და ჩამომივიდა უკან — გაიარ-გამოიარა ათასობით კილომეტრი.

იმოგზაურა ნიგნმა.

ვერ მოახერხეს მისი გადაცემა თუნდაც უბრალო ჩინოვნიკისთვის. ეკატერინე ტუკაძის ნოველა მეორე ცდას შეეხება. რა ექსპრესიით აღწერს ავტორი პორტუგალიელ კალათბურთელებთან შეხვედრის პერიპეტეებს, სპორტსმენებთან, რომლებიც დამარცხებულები მიდიან საქართველოდან და ტრადიციულად სავალდებულო პრესკონფერენციასაც კი არ მართავენ ნირწამხდარები. აბა, მიდი და გამოუკეთე ამ ხალხს გუნება.

ეკატერინემ ყველაფერი იღონა ამ მისიის შესასრულებლად. გამოეკიდა კალათბურთის მოედნიდან სასწრაფოდ აკვირამაძლეულ დელეგაციას, სასტუმრომდე სდია ნიგნაბლუჯულობა, მამინდა ამოსუნთქა, როცა საიმედო ხელს ჩააბარა. — ოო, ეს ჩვენი დიდი პოეტია, დაიძახა სტუმრების თავკაცმა, რომელიც ალაფრ-თოვანა ნიგნის ყდაზე გამოსახული თანამემამულის დანახვამ.

გაუქარწყლდათ ნაგებით გამონვეული უგუნებობაო, გვაუნყებს თვითონაც კარგ გუნებაზე იმის გამო დამდგარი ავტორი, საშვილიშობი დავალება რომ ანდეს და ფრიადზე შესარულა.

ბატონო როსტომ, თქვენ ზუსტად გიპოვიათ ის ადამიანი, რომელსაც ხელწინებოდა საპატიო მისიის სათანადოდ დაგვირგვინება.

უყვარდა ლუის ვაჟ დე კამონენს მოგ ზაურობა.

ჯემალ იფაია

ამერიკელთა თვალთ

1966 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სერიით „დიდ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცეს ნიგინი სათაურით „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ამერიკულ სახელმწიფო მოღვაწეთა და ჟურნალისტთა შთაბეჭდილებანი, დაფუძნებული პირად შეხვედრებზე კრებლში.

ვიმონებთ მოკლე ნაწყვეტებს აღნიშნული ნიგნიდან.

ლუის ფიშერი (1896-1970) — ამერიკელი ჟურნალისტი. გაზეთ „ნიუ-იორკ ივინგ პოსტის“ კორესპონდენტი მოსკოვში 1922-1938 წლებში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „ადამიანები და პოლიტიკა“ (ნიუ-იორკი, 1941).

შუადღის პირველ საათზე მიგვიწვიეს სტალინის ვრცელ კაბინეტში და იქ ვიმყოფებოდით საღამოს შვიდ საათსა და თხუთმეტ წუთამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სტალინი ერთხელაც არ გასულა ოთახიდან, ერთხელაც არ დაუძახია ვინმესთვის და არც არავის დაურღვევია ჩვენი მყუდროება. კაბინეტში ტელეფონი არ დაგინახავს.

საბჭოთა რუსეთის მესაჭე, ვის ხელთაც არის მთელი ხელი-სუფლების სადავეები, შეგნებულად მოსწყდა ყველას და ყველაფერს თითქმის მთელი სამუშაო დღით. მას ისე ჰქონდა აწყობილი თავისი მუშაობა, რომ შეეძლო მთლიანად დაეთმო თავი სტუმრებისათვის. ასეთი გულისხმიერება დამახასიათებელი თვისებაა სტალინისა.

სტალინის კაბინეტში ჩვენი ხანგრძლივი ყოფნისას ორჯერ, წინასწარ გაცემული განკარგულებით, ტიპიურმა რუსმა მუშა-ქალმა შემოიტანა ძეხვის, ყველისა და ხიზილალის სენდვიჩები, აგრეთვე — ვეება სამოვარი, ორთქლი რომ ასდიოდა, და ჭიქები ჩაისათვის ღიმონით. ეს იყო და ეს. ამ ქალის გარდა არავინ შემოსულა ოთახში.

სტალინმა, გაცნობისას, თვითულ ჩვენგანს ცოცხლად და მაგრად ჩამოგვართვა ხელი. მერე კი მიგვიპატიჟა, რომ დავმსხდარიყავით სკამებზე გრძელი მაგიდის გასწვრივ, რომელსაც მწვანე მაუდი ეფარა.

სტალინს ეცვა სამოქალაქო ხაკის სამოსელი. შარვალი მუხლქვეშ ჩატანებული ჰქონდა შავი ტყავის ჩექმებში.

სტალინი ჩასკვნილი ტანისაა, მაგრამ სიმსუქნე არ ეთქმის. სწრაფად და უჩუმრად დააბიჯებს. რომ არ მცოდნოდა, ვინ იყო, ჩემზე ვერავითარ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. იგი გამოიყურება, როგორც ერთი მილიონთაგანი საბჭოთა მუშა.

სტალინი იჯდა მაგიდის თავში. მე ვიჯექი მის გვერდით, ხელმარცხნივ. ვაკვირდებოდი და ფანქრით ვწერდი ძუნწ შენიშვნებს, ახლა ჩემს თვალწინ რომ ძვეს და აი, ვკითხულობ: „ღრმა ნაყვავილარი მთელ პირისახეზე... ეშმაკური თვალეები... დაბალი შუბლი... ხშირი, შავი ფერის თმა. როდესაც იღიმება, მოუჩანს ულაზათო, ჩაშავებულ-ჩაყვითლებული მომცრო კბილები“.

ღიმილით კი იშვიათად იღიმებოდა. საქმით იყო გართული, მაგრამ კონფერენციებსა და საჯარო შეხვედრებზე, აგრეთვე თავისუფალ დროს, არაერთხელ დამინახავს, გულიანად რომ იცინოდა ხოლმე.

ღევ ტროცკის ხელთ უპყრია მიმზიდველი პიროვნების ჯადოსნური კვერთხი და ატყვევებს თანამოსაუბრეს. სტალინი ამას არ აკეთებს. მაგრამ ჩვენთან საუბრისას, რაც მეტი დრო გადიოდა, ჩემი პატივისცემა მისი ძალის, ნებისყოფისა და რწმენის მიმართ უფრო და უფრო იზრდებოდა. სტალინი თანდათანობით ქმნიდა ამგვარ შთაბეჭდილებას, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური მდგომარეობა შეუქმნია — ნელ-ნელა, მეთოდურად, აგურ-აგურ შენებით. მთელი შეხვედრის მანძილზე სტალინს

არაფერი უთქვამს ისეთი, ბრწყინვალე ნათქვამს რომ დაარქმევდი. იგი იყო პროზაული, სერიოზული და უბრალო. მისი მტკიცებანი დაინტერესებდა ეკონომიკის პროფესორებს და გასაგები იქნებოდა ფაბრიკა-ქარხნების მუშებისთვისაც. ჩვენი შეკითხვები წინასწარ მოახსენეს და მან, ალბათ, წინასწარვე მოამზადა პასუხები. ზოგჯერ ვერ იჭერდა შეკითხვის აზრს და სიტყვა გაურბოდა ერთიდან მეორეზე, ვიდრე საქმის არსამდე მიღწევდა, მაგრამ საბოლოოდ მისი ნათქვამი ზუსტად მიზანში ხვდებოდა. მისი პასუხები ყოველთვის ამომწურავი იყო. მისი მენტალიტეტი ღარიბია გონებამახვილობით ან გამჭრიახი შენიშვნებით, რასაც ძალუძს გააჩახახახოს აზრის მთელი ასპარეზი. იგი ხანგრძლივად და ღრმად ხნავს. მისი სრულყოფილი თავდაჭერა, სრულყოფილი უჩინარობა ნერვებისა და წყნარი ხმა გამოსატავდა შინაგან ძალას. და ხვდები, რომ ეს კაცი რკინისა უნდა იყოს. კითხვები, რომლებიც დაუსვავს სტალინს, ენებოდა მარქსიზმის თეორიას, ლენინიზმსა და იმპერიალიზმს. მან თავს ნება არ მისცა, რომ ჩათრულიყო დისკუსიაში ტროცკისთან უთანხმოების თაობაზე. კომუნისტი ლიდერისათვის ეს არ იყო საგანი დისკუსიისა არაკომუნისტებთან. მან თქვა: „ლენინი ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია სრულყოფილი სოციალისტური საზოგადოების აშენება პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, რომელიც გარემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით“.

კიდევ დაუსვავს შეკითხვები: არსებობს თუ არა რუსეთში კერძო თაოსნობა? იღებს თუ არა ამერიკის კომუნისტური პარტია ბრძანებებსა და ფულს თაოსნობაში? სტალინმა თქვა, რომ ეს შეიძლება ხდებოდეს გარკვეულ გარემოებათა კარნახით. მერე ჰკითხეს: კომუნისტი უნდა იყოს თუ არა ათეისტი? იმ დროს, როცა ამ შეკითხვას პასუხობდა, ზარების რეკვამ ქუჩის გადაღმა მდებარე ეკლესიიდან ლამის ჩაახშო მისი ხმა. სტალინმა გაიღიმა და ჩვენც გაგვეცინა (შემდგომ წლებში ეკლესიის ზარები დაადუმეს სათანადო ბრძანებულებით). სტალინმა გვიპასუხა: „დაიხ, კომუნისტი უნდა იყოს ათეისტი“.

აი, ეს და კიდევ სხვა შეკითხვები დაუსვავს სტალინს. სამი საათი რომ გავიდა, დელეგატები უკვე თავიანთი სკამების კიდებზე ისხდნენ და ამერიკელ მუშათა დელეგაციის ხელმძღვანელი ჯერომ დევისი მზად იყო, რომ ამის მსგავსი რამ ეთქვა: „მისტერ სტალინ, მაღლობას გიხდით თქვენი გულისხმიერებისათვის, ამდენი დრო რომ დავგიტომეთ“. მაგრამ სტალინმა ხელსაყრელი შემთხვევა არ მისცა. ბოლოს და ბოლოს, შეხვედრის დაწყებდან ოთხი საათიც რომ გავიდა, დევისმა წარმოთქვა თავისი სათქმელი. მაგრამ სტალინმა მიუგო: „არა, არა! მე ხომ ვუპასუხე თქვენს შეკითხვებს. ახლა თქვენ უნდა გასცეთ პასუხი ჩემს შეკითხვებს“. და ორსაათნახევარი მოსამდე შეკითხვებს. და ამერიკელები პასუხობდნენ. არკვევდა, თუ რატომ არის პროფკავშირებში მუშათა სიმცირე; არსებობს თუ არა ამერიკაში უმუშევართა შესანევარი, ისე როგორც რუსეთში; რატომ არ წარმოქმნა მუშათა პარტია შეერთებულ შტატებში; და ამერიკის მთავრობა აქამდე რატომ არ ცნობს საბჭოთა რუსეთს? ეს იყო და ეს.

დამშვიდობებისას სტალინმა ყოველ ჩვენგანს კიდევ ერთხელ მაგრად ჩამოგვართვა ხელი, კინაღამ თითები არ დაგვამტვრია, და წამოგვიდით. მე ვიგრძენი, რომ სტალინი არის ტიპიური ბოლშევიკი — არასენტიმენტალური, მტკიცე ნებისყოფისა, მოურიდებელი და შეუპოვარი.

ჯოზეფ დევისი (1876-1958) — აშშ ელჩი საბჭოთა კავშირში, 1936-1938 წლებში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „მისია მოსკოვში“ (ნიუ-იორკი, 1943).

პრეზიდენტ კალინინის კაბინეტი რომ დავტოვე და პრემიერის მისაღებისაკენ გავემართე — სულ ორიოდე წუთით ჩამოვჯექი მაგიდასთან — განცვიფრება შემიპყრო და მოულოდნელობისაგან ლამის დავმუნჯდი, როდესაც დავინახე, თუ როგორ გაიღო კარი ოთახის სიღრმეში და შემოვიდა სტალინი. თან არავინ ახლდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამგვარი რამ შეიძლება მომხდარიყო. უწინარეს ყოვლისა, ის არ

არის სახელმწიფოს მეთაური და მისი, თუ განსაკუთრებით სხვათა, მიზანია, რომ განზე იდგეს სახელმწიფოსგან და მართლაც, არც ერთი დიპლომატი არასოდეს შეხვედრია მას ოფიციალურად ანდა პირადად. დიახ, იგი თავს არიდებს ამგვარ შეხვედრებს. ისე საგულდაგულოდ არის დაცული გარესამყაროსგან, რომ თითქმის ისტორიულ მოვლენად ჩაითვლება, თუკი რომელიმე უცხოელი სტუმარი მიუღია.

როდესაც სტალინი შემოვიდა ოთახში, წამოვდექი და მივუახლოვდი. გულთბილად მომესალმა, ღმილითა და დიდი უბრალოებით, მაგრამ ჭკუმიანი ღმირებით. გრძება შთაბეჭდილება ძლიერი პიროვნებისა, რომელიც არის თავდაჭერილი და ბრძენი. უაღრესად კეთილი და ალერსიანი თავისი თვალისფერი თვალები აქვს. ბავშვებს მოეწონებოდათ მის კალთაში ჯდომა და ძაღლებიც წნობით მიუწოდებოდნენ. ძნელია დაუკავშირო მისი კეთილგანწყობა და მშვიდი უბრალოება იმას, რაც აქ ხდებოდა ამ „წმენდათა“ და ნითელი არმიის გენერლების დახვედრის დროს და ა.შ. მისი მეგობრები ამბობენ და ელჩი ტროიანოვსკიც მარწმუნებს, რომ ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო გერმანიისგან თავდაცვის მიზნით და ერთ მშვენიერ დღეს გარესამყარო ჩვენს მხარეზე დადგებოდა.

მაგიდასთან დასხედით თარჯიმანთან ერთად და მთელი ორი საათი ვსაუბრობდით. არ შემიძლია მოგწერო, თუ რას ვსაუბრობდით, ვინაიდან ეს განკუთვნილია მხოლოდ პრეზიდენტის, სახელმწიფო მდივნისა და ჩვენი მთავრობისათვის, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მსჯელობა მოიცავდა ვრცელ ასპარეზს — ვეხებოდით ეკონომიკას, მრეწველობის მდგომარეობას რუსეთში, შეერთებული შტატების პრობლემებს, პრეზიდენტ რუზველტის პიროვნებას, ვითარებას ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში — ყველაფერს ძალზე ზოგადად.

ეს იყო მართლაც რომ ინტელექტუალური ლხინი, ყველასთვის სასიამოვნო. დროდადრო ვხუმრობდით და ვიცინოდით. სტალინს ემარჯვება ირონია. იგი დაჯილდოებულია დიდი ინტელექტით, რომელიც არის მახვილი, გამჭრიახი და, რაც მთავარია, ბრძნული. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. თუკი თქვენ გნებავთ დახატოთ პიროვნება, რომელიც ზედმინივენიტ ენინაღმდეგება იმას, რაც კი სადმე წარმოუდგენია ყველაზე გააფთრებულ ანტი-სტალინისტს, თქვენ შეგიძლიათ დახატოთ ეს კაცი. აქაური გარემოებანი და მისი პიროვნება სწორედ იმდენად არიან დაშორებული ერთიმეორეს, რამდენადაც ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები. რა თქმა უნდა ამის ასხნა შეიძლება ვიპოვოთ იმ ფაქტში, რომ ადამიანები საწმენდებისა ანდა საქმის გულისათვის აკეთებენ იმას, რასაც სხვა დროს არასოდეს გააკეთებდნენ. ეს არის სამყაროს ფანატიზმი, რომელსაც უდიდესი სისასტიკენი მოაქვს.

უოლტერ დიურანტი (1884-1957) — ამერიკელი ჟურნალისტი. 1922-1936 წლებში ხელმძღვანელობდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმის“ ბიუროს მოსკოვში.

ფრაგმენტი ნიგნიდან „ადამიანები, რომლებიც მართავენ რუსეთს“ (ნიუ-იორკი, 1949).

ჩვენი ყოფილი ელჩი ჯოზეფ დევისი სწერდა თავის ქალიშვილს სტალინთან შეხვედრის შთაბეჭდილებებს ამგვარად: „უაღრესად კეთილი და ალერსიანი თავისი თვალისფერი თვალები აქვს. ბავშვებს მოეწონებოდათ მის კალთაში ჯდომა...“ მისტერ დევისის მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძნელია ირწმუნო ეს „კეთილი და ალერსიანი თვალები“.

სტალინთან ჩემი პირველი შეხვედრისას უწყინარი შეკითხვა დავუსვი: „თქვენ გნამთ ბედისწერა?“ ჩემი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ ადამიანური ინტერესი ჩამექსოვა იმაში, რაც საკმაოდ ერთფეროვან ინტერვიუდ მეჩვენებოდა. მაგრამ მოულოდნელ შედეგს მივაღწიე. ეს „კეთილი და ალერსიანი თვალები“ ნაწრთობი ფოლადივით აუღელვარდა. მუშტი დაუბრაახუნა მაგიდას და თქვა: „თქვენ, რაო, ქართველი დედაბერი ხომ არ გგონივართ, რომ ღმერთები და ეშმაკები მწამდეს? მე ბოლშევიკი ვარ და მთელი ეს აბდაუბდა არა მწამს“.

საჩქაროდ განვუმარტე, რომ არავითარ პირადულს არა ვგულისხმობდი. მხოლოდ ვფიქრობდი ნაპოლეონზე, რომელსაც თავისი ბედის ვარსკვლავი სწამდა, და ოლივერ კრომველზე, რომელიც ყოველთვის ამბობდა — და ასეც მოხდა — რომ მისი უდიდესი წარმატება დაემთხვევა მისი დაბადების დღეს. ერთი სიტყვით, ბედისწერის რწმენას ვგულისხმობდი-მეთქი.

სტალინმა, ცოტა არ იყოს, ცივად გაიღიმა. ჩანს, კმაყოფილი დარჩა ჩემი მობოდიშებით და თქვა: „მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ პასუხი ისევე უარყოფითია. მე მწამს მართოდენ ერთი რამ — ადამიანის ნებისყოფის ძალა“. პატიოსანი და მტკიცე განცხადებაა, მაგრამ ძნელად თუ მიესადაგებანი იმ კაცს, ვისაც „კეთილი და ალერსიანი თვალები“ აქვს ანდა იმას, ვის მოხლებზეც ბავშვს მოეწონება აცოცება.

სტალინმა სხვა რამეც თქვა: „ლენინი განსხვავდება ყველა დანარჩენი ჩვენგანისგან თავისი წმინდა მარქსისტული აზროვნებითა და თავისი შეუდრეკელი ნებისყოფით“. უკანასკნელ ორ სიტყვას შეიძლება ხაზი გაესვას, თუმცა სტალინმა ხაზგაუსმელად წარმოთქვა. მე რე დასძინა: „ლენინი თავიდანვე სწავლობდა სასტიკ პოლიტიკას და არჩევდა იმ ადამიანებს, რომელთაც ძალუძდათ მტკიცე და წარბმეუხრელად გაეცა-რებინათ ამგვარი პოლიტიკა“.

ეროვნული ბიბლიოთეკის საპრეზენტაციო დარბაზში აღიარებული ტელეჟურნალისტის **ლუბა ელიაშვილის** პირველი პოეტური კრებულის წარდგინება გაიმართა. ნიგნის — „**მოვიქცეთ ჯაზურად**“ — უმეტესი ლექსები გასული საუკუნის მინურულიდან ერთ-ერთ ახალთაობელთა რომანტიკულ, მაგრამ მაინც ფეთქებად-ემოციურ ენერჯიას ნოსტალგიურად ეხმაურება. დაგვიანებული პოეტური დებიუტი მომზიბლავია სისადავითა და სიცხადით ანუ სათქმელი მონოდებულად ბუნდოვანი „ინტელექტუალური თამაშის“ გარეშე. ბარემ საგანგებოდ აღინიშნოს: ლონისძიება მართლაც აღმოჩნდა ზეიმური, ერთი შეხედვით პომპეზურიც — პოლიტიკური ელიტითა და ე.წ. მეოთხე ხელისუფლების ცნობადი სახეებით გადაჭედული დარბაზი; რასაკვირველია, ალაგ-ალაგ ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელნიც იზიარებდნენ სიხარულს — მძიმე და ენითუთქმელი განსაცდელიანი ერთი წლის შემდეგ — ლუბა ელიაშვილის გამარჯვებულ და მომზიბლავ დაბრუნებას რომ ახლდა. საღამო სასიამოვნოდ წარმართა ჟურნალისტმა **მარიამ ბარათაშვილმა**. შესავალ სიტყვაში ლუბა ელიაშვილმა ლაკონურად ისაუბრა თავის დაგვიანებულ დებიუტზე, რედაქტორის, მწერალ **მიხო მოსულიშვილის** თავგამოდებაზეც, რათა ლექსები იმდაგვარად გამოუმუყრებულყო, როგორადაც მიუბარება მკითხველს... თანაც ავტორმა დასძინა: ეს ნიგნი გახდა იმის საბაბი, რომ ერთად მენახა ამდენი მონატრებული ადამიანი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მგულშემმატკივრობდაო. თავის მხრივ მიხო მოსულიშვილმა კრებულის გახანგრძლივებულად მომზადებაზეც ისაუბრა და თავის რედაქტორულ წვლილზეც. ამის შემდეგ დარბაზი სხვადასხვა თაობის ჟურნალისტებმა „დაიპყრეს“, მიკროფონი სივრცეს სვდენდა მათ მიერ წაკითხულ ლექსებს ამ პოეტური კრებულიდან. ოსტატურად დეკლამატორობდნენ: **ელიკო აგირბა**, დეტექტიური ბესტსელერისა და კინოსცენარების ავტორი **მაია ბურჭულაძე**, თეა შევლიძე, მარიამ მირცხულავა, მსახიობები **გეგა ჩხვიძე** და **მაია ჩართოლანი**. დასასრულ ლუბა ელიაშვილმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, განსაკუთრებულად გამოხატა მადლიერება ინგოროყვას კლინიკის მედ-პერსონალისადმი, უშუალოდ ამ ცენტრის თავკაცის **გოჩა ინგოროყვას** მისამართით და აგრეთვე **„ნიუ ჰოსპიტალის“** ექიმებისადმი. პომპეზურად დანახულ თავყრილობასაც თავისი კეთილი საბაბი აღმოაჩნდა: ნიგნის ამ ტირაჟის (სულ 300 ეგზემპლარი) გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება სოლიდარობის ფონდში და მოხმარდება სიმსივნით დაავადებული ბავშვების მკურნალობას.